

ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

K 224554
3

მეფე გიორგი

ქართული
სოფელი
თეოდორის
ხანაძე

(VI-XVIII სს.)
წიგნი მეოთხე

„მეცნიერება“

დერიუა გოგოლაძე

**ქართული სოფელი
ფორმაციის ხანაში
(VI—XVIII სს.)**

II

სათეგო მიწათმფლობელობა

63.3 (2 Γ)
გ. 612

სათემო მფლობელობის აგრარული ინსტიტუტი შუა საუკუნეების საქართველოში, სახელდობრ, VI—XVIII საუკუნეებში, არ იყო შესწავლილი, დღემდე მასზე არ არსებობს სპეციალური ნაშრომი. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს აღნიშნული საკითხის მონოგრაფიულ გამოკვლევას.

შუა საუკუნეების ქართულ დოკუმენტაციაზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ სათემო მიწათმფლობელობამ (მიწათსარგებლობამ) საქართველოში, არსებითად მის აღმოსავლეთ ნაწილში, ქართლსა და კახეთში, გაუძლო რიგ სოციალურ-ეკონომიკურ და კლასობრივ ისტორიულ პერიპეტეებს და მთელი ფეოდალიზმის მანძილზე განაგრძობდა არსებობას ქართული სოფლის აგრარულ წყობაში. ნაშრომში მოცემულია საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის ისტორიული ბედის, მისი გავრცელების მასშტაბის შესწავლისა და გააზრების ცდა, თითქმის მთელი ფეოდალიზმის მანძილზე, VI—XVIII საუკუნეებში. შესწავლილია აგრეთვე რიგი პრინციპული საკითხები.


ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერ-სპეციალისტების, სტუდენტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

IC 224.554

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. ა. ბოგვერაძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. ნ. ასათიანი

ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. ქ. ვ. ჩხატარაიშვილი



წინასიტყვა

სათემო მიწათმფლობელობა ძველი ისტორიისა და ფეოდალური ეპოქის სასოფლო ერთობის სტრუქტურის პრობლემატიკას განეკუთვნება. კერძოდ, იგი ფეოდალური საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. არქაული აგარარული ინსტიტუტის ამ პრობლემის შესწავლას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნეში. მასზე დიდი მუშაობა გასწიეს ჯერ ევროპულმა, ხოლო შემდეგ რუსულმა მედიევისტურმა სკოლებმა, რომელნიც ამ საკითხს სწავლობდნენ. სხვადასხვა იდეურ-მეთოდოლოგიური და ისტორიული კონცეფციების პოზიციებიდან. კაცობრიობის ისტორიის საკუთრების ამ საწყისი ფორმის წარმოშობა-განვითარებისა და მისი რღვევის შესწავლის მეცნიერულ-თეორიულ შეხედულებების მოცემასთან ერთად, აღნიშნულმა ისტორიულმა სკოლებმა დააგროვეს, აგრეთვე, მდიდარი ფაქტობრივი მასალაც ფეოდალიზმის პერიოდის ძირითადი მწარმოებელი კლასის საქუთრება-მფლობელობის ამ ფორმაზე.

სხვაგვარი ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში. მართალია, სათემო მიწათმფლობელობის საკითხმა ქართული საზოგადოებრივი აზრის ყურადღებაც მიიპყრო XIX საუკუნეში, დაიწერა სტატიები; გამოკვლევებიც გლუხთა ყოფაზე, სადაც სათემო მფლობელობას გარკვეული ადგილი დაეთმო, მაგრამ ისინი ძირითადად XIX ს-ის 80-იან წლებში არსებული სათემო მიწათმფლობელობის ფაქტიურ მდგომარეობაზე შეკრებილ მასალებს, ასევე, ქვეყნის ზოგიერთი კუთხის აგარარულ-ეთნოგრაფიულ გადმონაშთებს ეყრდნობოდნენ. შუა საუკუნეების პერიოდში კი, სახელდობრ, VI—XVIII საუკუნეების საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის აგარარული ინსტიტუტი შეუსწავლელი იყო და მასზე რაიმე სახის სპეციალური გამოკვლევა აღნიშნულ პერიოდში დღემდე არ არსებობს.

აღნიშნული ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი, სადაც სათემო მიწათმფლობელობა საქართველოში VI—

XVIII საუკუნეებში შესწავლილია ამ პერიოდის წყაროების, განსაკუთრებით კი XIII—XVIII საუკუნეების უაღრესად მდიდარი, მეტწილად გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტების საფუძველზე, რომელნიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

ნაშრომში განხილულია: საქართველოს ცალკეული კუთხეებს ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და დემოგრაფიულ დასახლებათა თავისებურებანი, რამაც ქვეყნის ერთ ნაწილში ხელი შეუწყო ამ არქაული აგარაული ინსტიტუტის კონსერვაციას, ხოლო მეორე ნაწილში მის რღვევას და თითქმის მთლიანად გაქრობას; სათემო მიწის საკუთრების ფეოდალიზირება, ფეოდალური ხანის სასოფლო საადგილმამულო ერთობა როგორც „მეორადი“, კლასობრივი ფორმაციის აგარაულ-ფისკალური უჯრედი, სათემო-საერთო მიწების გადანაწილებისა და სარგებლობის ფორმები, საადგილმამულო ერთობა და ფეოდალთა კლასი და რიგი სხვა საკითხები.

ამასთან, ნაშრომში მოცემულია საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის ისტორიული ბედის, მისი გავრცელების არეალის და მასშტაბის (ხვედრითი წონის) შესწავლა-გააზრების ცდა თითქმის მთელი ფეოდალიზმის მანძილზე, VI—XVIII საუკუნეებში. მართლაც, სტრაბონის დიდმნიშვნელოვანი ცნობის შემდეგ, ჩვენ სათემო მიწათმფლობელობაზე საქართველოში XIII—XIV საუკუნემდე მოგვეპოვება მცირე ცნობები, ხოლო რეალური და მდიდარი მონაცემები კი მასზე ვაგვაჩინა მხოლოდ XVI—XVIII საუკუნეებში, — ავტორს სათემო მიწათმფლობელობის არეალისა და მასშტაბის მთლიანობაში გააზრება და მოცემა აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რათა ძველი საზოგადოებიდან ფეოდალურ საქართველოში გადმოსულ ამ არქაულ აგარაულ ინსტიტუტზე საერთოდ, და კერძოდ, მის ხვედრით წონაზე საგლეხო მიწათმფლობელობაში ნათელი და რეალური წარმოდგენა გვექონდეს მთელი ფეოდალიზმის მანძილზე*.

* დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს შემდეგი. ტერმინი (სიტყვა) „თემი“ ჩვენს ნაშრომში ყველგან ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ სოფელს და კუთხეს (ტერიტორიულ ერთეულს) და არა კომუნას, „ობშჩინას“, როგორც ეს აქამდე მიაჩნდათ მკვლევარებს, რაც შეცდომაა. „სასოფლო თემი“ კი ნიშნავს სასოფლო ტერიტორიულ ერთეულს, ერთ ან რამდენიმე სოფელს. „კომუნის“ და „ობშჩინის“ სინონიმი კი ქართულში არის სიტყვა „ერთობა“ (იხ. ჩემი ნაშრომი: „ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI—XIII სს.)“, „მეცნიერება“, 1992 წ.).

თ ა ვ ი

საკითხის ისტორიისათვის

I. სათემო მიწათმფლობელობის საკითხის უმსხავლის დასაწყისი დასავლეთ ევროპა

სასოფლო ერთობის და სათემო (სასოფლო) მიწათმფლობელობის საკითხს ისტორიულ მეცნიერებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. XIX ს-ის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში იგი მწვავე პრობლემატიკის საგანი გახდა, რაზედაც მეცნიერული ძიებანი დღესაც გრძელდება. აგრარულმა და სამრეწველო გადატრიალებებმა კაცობრიობის ისტორიის ახალ პერიოდში დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ მეცნიერებაზე, საზოგადოებათმცოდნეობაზე, ფილოსოფიაზე. ფაქტობრივ-ისტორიული მასალების ბაზაზე დაიწყო ძიებანი წარსული ეპოქების საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილებებისა, რასაც მოჰყვა ახლებური კონცეფციური გააზრებანი და თეორიულ შეხედულებათა სკოლებისა და მიმართულებების შექმნა. ასეთი ისტორიული კვლევა-ძიებისას აღმოჩენილ იქნა ძველი, არქაული ეპოქის აგრარული კომუნისმიც, საერთოდ და, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი — სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობა.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სათემო მიწათმფლობელობის შესწავლა ვუჩვენოთ ეტაპობრივად, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით — პირველად ვინ და სად დაიწყო ამ საკითხის შესწავლა, ვინ იყვნენ პირველი მკვლევარები, ხოლო შემდეგ არსებითად წარმოვადგინოთ საკითხის ისტორიოგრაფია საქართველოში.

* * *

სასოფლო ერთობის (კომუნის) და სათემო მიწათმფლობელობის პრობლემის შესწავლა პირველად დაიწყო ინგლისურ და გერმანულ ისტორიოგრაფიაში XIX ს-ის 30-იან წლებში.

პირველი, ვინც ეს პრობლემა გაიაზრა და დაამუშავა, იყო ინგლისელი ისტორიკოსი ფრ. პელგრევი. თავის ნაშრომში — „ინგლისის კეთილდღეობის ამადლებისა და პროგრესის ისტორია. ანგლო-საქსური პერიოდი“¹, — რომელიც 1832 წელს გამოქვეყნდა, ფრ. პელგრევი შეისწავლა ირლანდიისა და უელსის ძველი კელტების საზოგადოებრივი წყობილება და პირველმა აღნიშნა ისტორიოგრაფიაში სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობა ძველ პერიოდში, სახელობრ, კელტებში. მან აღნიშნა, რომ ძველმა კელტებმა არ იცოდნენ კერძო საკუთრება მიწაზე და, რომ, მიწა გვაროვნული კავშირების საერთო საკუთრება იყო. მანვე აჩვენა ცვლილებები ანგლო-საქსურ ეპოქაში, — საზოგადოების კლასობრივი დაყოფა, ამასთანავე აღნიშნა კელტური აგრარული კომუნიზმის ფორმის გადმონაშთების დიდხანს არსებობა ირლანდიაში და უელსში. იგი კელტურ აგრარულ ფორმას უპირისპირებს რომაული მეურნეობისა და მფლობელობის ინდივიდუალურ ორგანიზაციას, აღნიშნავს, რომ აგრარული ორგანიზაციის ძველი კელტური სისტემა დაფუძნებული იყო გვაროვნულ ერთობაზე.

უადრესად დიდი მნიშვნელობისაა მისი შეხედულება, რომ კელტური აგრარული წყობილება ძველად ანგლო-საქსებსაც ჰქონდათ თავიანთ სამშობლოში და, რაც მთავარია, მან აღნიშნა, რომ ძველი კელტების მსგავსი აგრარული წყობილება სათემო-საერთო მიწათმფლობელობით დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სხვა ხალხებისთვისაც მათი განვითარების ადრეულ ეტაპზე, პირველყოფილი კულტურის საფეხურზე. ამით ფრ. პელგრევი ძველი კოლექტიური აგრარული წყობილება კაცობრიობის უნივერსალურ მოვლენად გამოაცხადა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საერთობო-გვაროვნული საზოგადოებრივი ფორმაციის პრობლემატიკის შესწავლაში.

შემდეგი მკვლევარი, რომელმაც ძველი თემის აგრარული წყობილების საერთო-კოლექტიური მიწათმფლობელობა წარმოაჩინა, იყო გეორგ ჰანსენი. 1835 წელს გამოცემულ ნაშრომში „შეხედულებანი ძველ აგრარულ წყობილებაზე“², გ. ჰანსენმა აღწერა ძველი გერ-

¹ Fr. Palgrave, History of the rise and progress of English Commonwealth. Anglo-Saxon period, 1832, vol. 1—2.

² G. Hansen, Ansichten über das Agrarwesen der Urzeit, „Neue staatsbürgerliche Magazin“, Bd. 3, 1835; Bd. 4, 1837.



მანუელი თემი, რომ მასში არ არსებობდა მიწის კერძო საკუთრება, აგრარული წყობა ემყარებოდა მიწის საერთო საკუთრებას, თითოეული ოჯახის მიწის ფართობის სიდიდე დამოკიდებული იყო მის მოთხოვნილებაზე და მიწის ფართობის დამუშავების შესაძლებლობაზე. ამასთან, ისევე როგორც პელგრევის, უადრესად მნიშვნელოვანია გ. ჰანსენის დასკვნა, რომ ძველი გერმანული ერთობის აგრარული წყობილება ზოგადისტორიულ, ე. ი. ყველა ხალხისათვის დამახასიათებელ უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენდა.

XIX ს-ის 40-იან წლებში გერმანულ ერთობაზე გამოდის გერმანელი ისტორიკოსების ჰენრიხ ზიბელის და გეორგ ვაიცის ნაშრომები, რომელნიც 1844 წელს გამოქვეყნდა. კერძოდ, ჰ. ზიბელმა თავის ნაშრომში „გერმანიის სახელმწიფოს წარმოშობა“³, აჩვენა გერმანული აგრარული ერთობის გვაროვნული საფუძველი, ხოლო გ. ვაიცმა თავის ნაშრომში⁴ აღწერა უკვე დარღვეული, კლასობრივი, გერმანული სასოფლო ერთობა, მარკა, მისი სამეურნეო და უფლებრივი ორგანიზაცია, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა ძველი გვაროვნული თემის რიგი ტრადიციები.

ამავე 40-იან წლებში, 1845 წელს, კაცობრიობის ძველ საზოგადოებაზე თავისი მოსაზრებები გამოთქვეს უკვე სრულიად ახალგაზრდა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. „გერმანულ იდეოლოგიაში“ მათ ისტორიის პირველ პერიოდად მიაჩნდათ უკერძოსაკუთრებო საზოგადოება. სახელდობრ, მიუხედავად ჯერ კიდევ ფაქტიური მასალების სიმცირისა, თავიანთ აღრეულ ნაშრომებში კაცობრიობის ისტორიის საწყის ეტაპად მათ გაიაზრეს სატომო-გვაროვნული კოლექტივების ორგანიზაცია და მიწის საერთო საკუთრება. იმომებდნენ რა უახლოეს გამოკვლევებს, კ. მარქსი და ფ. ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“ აღნიშნავენ: „როგორც რომში, ასევე გერმანულ, კელტ და სლავ ხალხებში საკუთრების განვითარებას საწყის პუნქტად ჰქონდა საერთო ანუ სატომო საკუთრება“⁵. შემდეგში კ. მარქსი თავის „ეკონომიკურ ხელნაწერებში“ (1857—1859 წწ.) წერს, რომ კაცობრიობის ისტორიის ამ აღრინდელი პერიოდის ტომობრივი ერთობისას „მიწა

³ H. Sybel, Entstehung des Deutschen Konigthums, 1844.

⁴ G. Weitz, Deutsche Verfassungsgeschichte, kiel, Bd. 1—2, 1844, 1847; über die altdeutsche Hufe, Goettingen, 1854.

⁵ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, გვ. 361.



ადამიანებს. გულუბრყვილო უშუალობით მიაჩნიათ როგორც კომუნისტების საკუთრება⁶. მარქსისა და ენგელსის ზემოაღნიშნულ ადრეულ შეხედულებებში, ძველი საზოგადოების სათემო ერთობის კოლექტიური საკუთრების შესახებ, აშკარად ჩანს ძველი აგრარული კომუნის უნივერსალობის ხასიათი მთელი კაცობრიობის ისტორიის განთიადისას, როგორც ყველა ხალხებისათვის დამახასიათებელი. გვაროვნული კომუნის უნივერსალურ იდეას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც შემდგომ მეცნიერულმა გამოკვლევებმა ფაქტიური მონაცემების საფუძველზე თანდათან დაადასტურეს.

შეისწავლა რა ერთობის ფორმები, კ. მარქსმა მათ საფუძვლად მიიჩნია მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმა, რადგან კაპიტალიზამდე ფორმაციებში, მისი აზრით, „მიწის საკუთრება და მიწათმოქმედება ქმნიან ეკონომიკური წყობილების ბაზისს“⁷. სახელდობრ, კ. მარქსმა შეისწავლა აზიური, ანტიკური და გერმანული ერთობება. გაარკვია გერმანული ერთობის განსხვავება ანტიკურ — ბერძნულ-რომაულ და განსაკუთრებით აზიური ერთობისაგან, რასაც იგი გერმანული ერთობის წევრების სამეურნეო დამოუკიდებლობაში ხედავდა, რომელიც, მისი აზრით, აზიურ სათემო ერთობაში გამორიცხული იყო⁸. ამასთან, კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ გერმანული თემის წევრების სამეურნეო დამოუკიდებლობა (ოჯახების გაფანტული დასახლება ერთმანეთისაგან დაშორებით და სხვ.) არ წყვეტდა კავშირს სათემო საკუთრების სისტემასთან, რომელთანაც იგი გენეტიკურად იყო დაკავშირებული⁹.

ამავე დროს, კ. მარქსმა აღნიშნა ანტიკურ და აზიურ ვარიანტებთან შედარებით გერმანული ერთობის გაცილებით უკეთესი ნიშნები და პირობები ფეოდალიზმის გენეზისის საქმეში.

კ. მარქსი თვლიდა, რომ პირველყოფილი სათემო საკუთრება რომელიმე ხალხის სპეციფიკური ფორმა არაა და იგი არის კაცობრიობის უნივერსალური მოვლენა. შემდგომ, გ. მათურერის საეტაპო ნაშრომების გამოსვლასთან დაკავშირებით, კ. მარქსი 1868 წ. 14 მარტს კმაყოფილებით სწერდა ფ. ენგელსს, რომ მისი თვალსაზრისი საკუთ-

⁶ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 46, ч. I, стр. 463.

⁷ იქვე, გვ. 472.

⁸ იქვე, გვ. 470—471.

⁹ იქვე, გვ. 471—472.



რების აზიური ანუ ინდური ფორმები რომ ევროპაშიც საკუთრების საწყისი ფორმები იყო, ახალ დადასტურებას პოულობს მაურერის ნაშრომებში¹⁰.

კ. მარქსი შემდგომ არაერთხელ უბრუნდებოდა ერთობის პრობლემაზე მუშაობას, ყურადღებით ეცნობოდა მკვლევართა მეცნიერულ მიღწევებს, მოსაზრებებს, სწავლობდა და აანალიზებდა მათ მიერ დაგროვილ ფაქტობრივ ისტორიულ მასალებს, ადგენდა კონსპექტებს მკვლევართა ნაშრომებზე (ჯ. ლებოკის, ჰ. მენის, ლ. მორგანის და სხვ.). მარქსმა მოგვცა კომუნის ტიპების კლასიფიკაცია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე: 1. არქაული გვაროვნული ერთობა, 2. საადგილმამულოსამიწათმოქმედო ერთობა, 3. სასოფლო ერთობა — მარკა. მარქსმა მეცნიერულად დაასაბუთა აგრეთვე აგრარული კომუნისთვის, ერთობისა და სათემო მიწათმფლობელობის დაშლის შინაგანი და გარეგანი ისტორიული მიზეზები: აგრარული ერთობის დამახასიათებელი დუალიზმი და სპონტანური განვითარების შედეგად თემში სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია, კომენდაცია ფეოდალიზმის პერიოდში, ომების, ძალდატანებისა და უზუტრპაციის როლი (სახელმწიფოს, მთავრობის და ეკლესიის მხრივ).

უაღრესად მნიშვნელოვანია ამ მხრივ კ. მარქსის „პასუხის მონახაზები ვ. ი. ზასულიჩის წერილზე“, სადაც იგი კაცობრიობის ძველი საზოგადოების სათემო ერთობისა და მათ შორის რუსული ობშჩინის მთელ რიგ საკვანძო საკითხებს შეეხო, კერძოდ კი სათემო-საერთო მიწათმფლობელობას, როგორც საკუთრების განვითარების საწყის, პირვანდელ ფორმას, რომელმაც შუა საუკუნეების ყველა პერიბეტებს გაუძლო და რომლის გადმონაშთები, მარქსის განცხადებით, ბოლო დრომდეც კი შემორჩენილი იყო მის სამშობლოში, გერმანიაში, ტირის ოლქში, რომელიც მაურერმა შეისწავლა და შეძლო აღედგინა მისი პირველადი ფორმა¹¹.

როგორც ცნობილია, კ. მარქსი აპირებდა ძველ საზოგადოებაზე მონოგრაფიის დაწერას, რაც მან ვერ მოასწრო. ეს საქმე გააგრძელა და დაასრულა ფ. ენგელსმა თავის ნაშრომში — „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. მარქსმა და ენგელსმა მწყობრი მეცნიერული შეხედულებები ჩამოაყალიბეს ერთობისა და

¹⁰ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 32, გვ. 36.

¹¹ К. Маркси Ф. Энгельс, Соч., т. 19, გვ. 403, 417.

სათემო მიწათმფლობელობის ისტორიული განვითარების, ტიპობრივი გრადაციისა და დაშლის საკითხებში, რაც დღესაც ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას.

1843 წელს რუსეთში ჩამოვიდა და იმპერიის რიგ კუთხეებში იმოგზაურა პრუსიის მთავრობის მოხელემ, გერმანელმა აუგუსტ ჰაქსტჰაუზენმა. იგი გაეცნო რუსეთის სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას და 1847—1852 წლებში გამოაქვეყნა ნაშრომი „ნარკვევი რუსეთის სახალხო ცხოვრების შინაგან ურთიერთობასა და უმთავრესად სასოფლო დაწესებულებებზე“¹².

ა. ჰაქსტჰაუზენმა რუსეთში აღმოაჩინა გლეხთა სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობა და ევროპას გააცნო იგი. აღსანიშნავია, რომ ჰაქსტჰაუზენი რუსული თემის „ობშინაში“ სწორად ხედავდა ღრმა სიძველის მოვლენას, მიწისმფლობელობის პირველსაწყის საერთო კოლექტიურ ფორმას, რომელიც, მისი აზრით, მრავალი საუკუნეებით წინ უსწრებდა მიწის კერძო საკუთრებას, მაგრამ ამასთან იგი გამოთქვამდა მცდარ შეხედულებას: რადგან ევროპაში იგი ვერ ხედავდა მსგავს აგრარულ ინსტიტუტს, სათემო მიწათმფლობელობა მას მიაჩნდა მხოლოდ სლავი ხალხის სპეციფიკურ თვისებად, რომელმაც თავისი ტიპური გამოხატულება რუსეთის საადგილმამულო „ობშინაში“ პოვა¹³.

ამასთან, ა. ჰაქსტჰაუზენი ქება-დიდებას ასხამდა რუსეთის აგრარული წყობილების ამ ერთ-ერთ დედაბოძს — რუსულ სასოფლო ერთობას, „ობშინის“ წევრთა მიერ სათემო მიწების თანაბარ ფლობას და პერიოდულ გადანაწილებას, ხედავდა მასში მონარქიული წყობილების სიმტკიცის საფუძველს, აცხადებდა, რომ მხოლოდ ასეთი აგრარული წყობა დაიცავს რუსეთის ცარიზმის წესწყობილებას რევოლუციისაგან, გლეხობას კი იხსნის პაუპერიზმისა და პროლეტარიზაციისაგან¹⁴.

¹² Haxthausen A., Studien über die innern zustände, das volksleben und insbesondere die ländlichen Einrichtungen Russlands, Bd. I—IV, Hanpower—Berlin, 1847—1852. რუსულად ითარგუნა ამ ნაშრომის I ტომი: „Исследования внутренних отношений народной жизни и в особенности сельских учреждений России, М., 1869.

¹³ Гакстгаузен А., დასახ. ნაშრომი, გვ. XIII, XVI, 78.

¹⁴ იქვე, გვ. XIX, 77—78, 81, 88.

1849 წელს ლონდონში გამოქვეყნდა ი. კემბლის ნაშრომი „ქსებო ინგლისში“. ი. კემბლმა შეისწავლა ანგლოსაქსური დოკუმენტაციის დიდძალი მასალა და წინანორმანდული ინგლისის რეალური სურათი დახატა, ფართოდ შეისწავლა და აღწერა ანგლოსაქსური სასოფლო ერთობა (მარკა), როგორც თავისუფალ მიწისმოქმედთა საადგილმამულო ერთობა, რომელსაც თავდაპირველად, მისი აზრით, გვაროვნული ხასიათი გააჩნდა, ხოლო გვიან, ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად მოხდა თავისუფალი მეთემეების დაყმევება, ხოლო სათემო მიწების ფეოდალთა ხელში გადასვლა, მემამულეთა იურიდიული უფლების დაკანონება მასზე¹⁵.

ახალი ეტაპი ერთობის პრობლემატიკის შესწავლაში დაკავშირებულია გერმანელი მეცნიერის იეორგ მაურერის გამოკვლევებთან. ამ საკითხს მან მიუძღვნა მთელი რიგი მონოგრაფიები. 1854 წელს გამოქვეყნდა მისი კაპიტალური ნაშრომი „სამარკო, საკარმიდამო, სასოფლო და საქალაქო წყობილებისა და საზოგადოებრივი ხელისუფლების ისტორიის შესავალი“¹⁶. ამას მოჰყვა მისი ნაშრომები: „სამარკო წყობილების ისტორია გერმანიაში“, „საბატონო მამულება“, გლეხთა საკარმიდამოების და საკომლო წყობილების ისტორია გერმანიაში“ (ოთხი ტომი), „სასოფლო წყობილების ისტორია გერმანიაში“ (ორი ტომი), „საქალაქო წყობილების ისტორია გერმანიაში“ (ოთხი ტომი)¹⁷. გ. მაურერის ეს ნაშრომები, ფ. ენგელსის შეფასებით, პრობლემის „კლასიკურ თხზულებებს წარმოადგენენ“¹⁸.

¹⁵ J. M. Kemble, *The Saxons in England*, London, vol. 1—2, 1849. უფრო დაწვრთვებით იმ საკითხზე იხ. П. Виноградов, *Исследования по социальной истории Англии в средние века*. С. П., 1887; П. Ф. Лаптин, *Община в русской историографии*, Киев. 1971.

¹⁶ G. L. Maurer, *Einleitung zur Geschichte der Mark-Hof-Dorf-und stadtverfassung und der öffentlichen Gewalt*, München. 1854. რუსული თარგანი: „Введение в историю общинного, подворного, сельского и городского устройства и общественной власти“, М., 1880.

¹⁷ G. L. Maurer, *Geschichte der Markenverfassung in Deutschland*, Erlangen, 1856; *Geschichte der Fronhöfe, der Bauerhöfe und der Hofverfassung in Deutschland*, Erlangen, Bände 1—4, 1862—1863; *Geschichte der Dorfverfassung in Deutschland*, Erlangen, Bd. 1—2, 1865—1866; *Geschichte der Städteverfassung in Deutschland*, Bd. 1—4, Erlangen, 1869—1871.

¹⁸ К. Маркс и Ф. Энгельс, *Соч.*, т. 18, გვ. 544.

გ. მაურერის კონცეფციით, გერმანელებს აგრარული ისტორიის უძველეს საწყის ეტაპზე გააჩნდათ მიწაზე არა კერძო, ინდივიდუალური საკუთრება, არამედ საერთო-სათემო საკუთრება. ამასთან, თავდაპირველად ისინი ამ საერთო მიწაზე კოლექტიურად შრომობდნენ. აქედან გამომდინარეობდა მათი ეკონომიკური და საზოგადოებრივი თანასწორობა. მაურერმა ნათელყო ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისას გერმანელების დასახლებათა თავისებურებანი, მათი დასახლებათა კომუნა-მარკების სიდიდე და სახეები, მეცნიერულად აღწერა და განაზოგადა გერმანული კომუნა-მარკების შინაგანი ორგანიზაცია, კოლექტიური საკუთრების ბატონობა, მეთემეთა მიერ მიწის ნაკვეთების სარგებლობის სრული თანასწორუფლებიანობა, მიწების პერიოდული გადანაწილება, სრული სათემო დემოკრატია და სხვ. მთელი ეს მისი გამოკვლევა და კონცეფციური შეხედულებანი არგუმენტირებულია სხვადასხვა სახის ისტორიულ მდიდარ წერილობით წყაროებსა და ფაქტობრივ მასალებზე, დაწყებული იულიუს ცეზარისა და ტაციტუსის მიერ გერმანელთა საზოგადოებრივი ყოფაცხოვრების აღწერით¹⁹.

მაურერმა აღნიშნა ასევე გერმანელთა ძველი მარკა-ერთობის დაშლის მიზეზებიც. მისი აზრით, გერმანელთა მარკა-ერთობის დაშლის ჩანასახები მოცემული იყო ადრეულ ეპოქაში თვით მარკის შინაგან ორგანიზაციაში, სახელდობრ, ადრეულ ეპოქაშივე ტომის ბელადებს მარკა მიწის დიდ ნაკვეთებს გამოუყოფდა, რაც უთანასწორობის ნიშნებს აჩენდა და ზრდიდა. ასევე, ერთობის დაშლას, მაურერის აზრით, იწვევდა ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორიც: მთაგორიანი ადგილები აჩენდა ოჯახებს არა კონცენტრირებულ, არამედ გაფანტულ დასახლებას, რაც არღვევდა მათი სამეურნეო-აგრარული კომუნიზმის პრინციპებს და ავითარებდა ინდივიდუალიზმს. მისი აზრით, მარკის ერთობის (კომუნის) დაშლის პროცესს იწვევდა ასევე დემოგრაფიული ფაქტორიც — მოსახლეობის ზრდა. დაბოლოს, მაურერის აზრით, თავისუფალი თემის აგრარული ერთობის დაშლის დაჩქარება გამოიწვია ფეოდალიზაციის პროცესმა — კომენდაციამ და იმუნტიტეტმა.

გ. მაურერმა, ამავე დროს, ნათელყო აგრეთვე სამარკო ერთობის დიდი გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა. კერძოდ, გერმანული

¹⁹ Г. Л. Маурер. Введение в историю общинного, годичного, сельского и городского устройства и общественной власти, М., 1880. гв. 1--219.

მარკა შენარჩუნებულ იქნა ფეოდალიზმის პერიოდში და შეეთავსა ფეოდალურ მიწათმფლობელობას, მხოლოდ, ცხადია, ტრანსფორმირებული სახით, ფეოდალიზირებული აგრარული წყობილებითა და სოციალურ-უფლებრივი მდგომარეობით. მანვე საფუძვლიანად დაახასიათა აგრეთვე ფეოდალური მარკა²⁰.

ასეთია ძირითადად გ. მაურერის მარკული თეორია, რომელსაც მარქსი და ენგელსი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

გ. მაურერს გააჩნდა შეცდომებიც, უზუსტობანიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძველი გერმანული საზოგადოებისა და მარკის წყობილების ისტორიის შესწავლის საქმეში მაურერის ფუნდამენტურმა ნაშრომებმა, ძირითად ხაზებში სწორი მეცნიერული დასკვნებისა და დებულებების გამო, ახალი ეტაპი შექმნეს. მაურერის მარკულმა თეორიამ ფართო გავრცელება პოვა ევროპაში. ამ თეორიის დებულებების საფუძველზე და ევროპის ქვეყნების მასალების მოძიების შედეგად ფართოდ დაიწყო ცალკეული ქვეყნების ძველი საზოგადოებების შესწავლა.

გ. მაურერის სამარკო თეორიის საფუძველზე 50—60-იან წლებში გერმანიაში გამოკვლევები დაწერეს: გ. ლანდაუმ — „ოლქები ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით“, ფ. ტუდიხუმმა — „საოლქო და სამარკო წყობილება გერმანიაში“, ო. ვირკემ — „გერმანული ერთობის სამართლის ისტორია“, ხოლო ინგლისის მასალებზე ანგლო-საქსური თემი და სათემო მიწათმფლობელობა შეისწავლა ე. ნასემ — „შუასაუკუნეების სათემო მიწათმფლობელობისა და მიწების შემოღობვის შესახებ XVI საუკუნის ინგლისში“²¹.

აღნიშნული მკვლევრები არსებითად იზიარებენ მაურერის კონცეფციას და, ასევე, მაურერამდე გამოთქმულ შეხედულებას კაცობა-

²⁰ Г. Л. Маурер, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 200—350.

²¹ G. Landau, *Die Territorien in Bezug auf ihre Bildung und ihre Entwicklung*, Hamburg und Gotha, 1854; F. Thudichum, *Die Gau- und Markverfassung in Deutschland*, Gissen 1860; O. Gierke, *Das Genossenschaftsrecht*, Bd. 1, *Rechtsgeschichte der deutschen Genossenschaft*, Berlin, 1868; E. Nasse, *Über die mittelalterliche Feldgemeinschaften und Einhängungen der XVI Jahrhunderts in England*, Bonn, 1869; რუსულა თარგმანი: Е Н а с с е, *О средневековом общинном землевладении и огораживании полей в Англии XVI века*, 1878 г.



რიობის ისტორიის ადრეულ ეტაპზე სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობის თაობაზე.

ერთობისა და სათემო მიწათმფლობელობის როგორც მსოფლიო უნივერსალური მოვლენის ნათელსაყოფად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ინგლისელი ისტორიკოსისა და იურისტის ჰ. მენისა და ბელგიელი ისტორიკოსისა და ეკონომისტის ე. ლაველეს ნაშრომებს²². მათ შეისწავლეს სხვადასხვა ხალხების კომუნები ევროპასა და აზიაში, კერძოდ, ინდოეთში (ჰ. მენი) და მათურის, პელგრევისა და კემბლის ნაშრომებზე დაყრდნობით დამაჯერებლად აჩვენეს ისტორიულ საწყის ეტაპზე მიწის კოლექტიური საკუთრების არსებობა.

კაცობრიობის ძველი საზოგადოების კვლევა ევროპაში კიდევ უფრო სიღრმით წარიმართა. 60-იან წლებში ი. ბახოფენმა, ჯ. მაკლენანმა და ჯ. ლებოკმა კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში „დედის უფლება“, მატრიარქატი, — ქალის უფლებრივი ბატონობა აღიარეს.

ამის შემდეგ მალე, 1877 წელს, გამოდის ამერიკელი ეთნოგრაფის ლუის მორგანის ნაშრომი, რომელმაც მსოფლიო ისტორიულ მეცნიერებაში, უეჭველია, დიდი ეტაპი შექმნა. ეს იყო ნაშრომი „ძველი საზოგადოება“²³, რომელზედაც მორგანმა 40 წელი იმუშავა. აქ მორგანს უმთავრესად ყოველმხრივ შესწავლილი და მოცემული აქვს პირველყოფილი საზოგადოების ისტორია. მორგანის მოძღვრებაში ძირითადი არის გვარის განვითარების კონცეფცია; გვარი მორგანის მახედვით შეადგენს პირველყოფილი თემური წყობილების ძირითად უჯრედს, რომელსაც გააჩნია ძირითადი ნიშნები: ს ი ს ხ ლ ი თ ნ ა თ ე - ს ა ო ბ ა , ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ე რ თ ო ბ ა ს ა ე რ თ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ , გ ვ ა რ ო ა რ ის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ის ე რ თ ე უ ლ ი , გა ა ჩ ნ ა საერთო-საგვარეულო რელიგიური კულტი. მორგანმა ფაქტური მასალების შესწავლის საფუძველზე, ამერიკელი ინდიელებს გვარში, რომელიც დედის უფლების მიხედვით იყო ორგანიზებული, აღმოაჩინა პირველადი ფორმა — მატრიარქატი, ანუ დედის უფლებითი ხაზი, საიდანაც განვითარდა მერმინდელი, მამის უფლების მიხედვით ორგანიზებული გვარი — პატრიარქატი და პატრიარქალური

²² Г. С. Мэн, Деревенская община на Востоке и Западе. С—П., 1874; Древнейшая история учреждений. С—П., 1876; Эмиль де Лавеле, Первобытная собственность. С—П., 1875.

²³ Г. Л. Морган, Древнее общество, Л., 1934.



ოჯახი. მორგანის მოძღვრებამ დიდი დარტყმა მიიყენა პატრიარქატის თეორიას, რომელიც ანტიკურ პერიოდში აღმოცენდა, საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა და ამტკიცებდა თავიდანვე პატრიარქალური ოჯახის მარადიულობას, როგორც საზოგადოების ძირითად უკრედს.

ფრ. ენგელსი აღნიშნავდა: მორგანის იმ დიდ „აღმოჩენას, რომ დედისუფლებიანი პირველყოფილი გვარები წინა საფეხურია კულტურულ ხალხთა მამისუფლებიანი გვარებისა, პირველყოფილი ისტორიისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დარვინის განვითარების თეორიის ბიოლოგიისთვის და მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიის პოლიტიკური ეკონომიისათვის“²⁴. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ მორგანმა, შეისწავლა რა ჩრდილო ამერიკის ინდიელების გვაროვნული წყობილება, ნახა უძველეს ბერძენთა, რომაელთა და გერმანელთა ისტორიის ვასალები²⁵.

მორგანის აღმოჩენები მსოფლიო მეცნიერებაში საყოველთაოდ იქნა აღიარებული, ხოლო მისი ძირითადი კონცეფციები — უნივერსალურად მიჩნეული მსოფლიოს ყველა ხალხთა ძველი ისტორიისათვის. მორგანმა დაამტკიცა მთელი კაცობრიობის განვითარების ერთიანი გზა, მისი განვითარების ისტორიული პროცესის ერთიანობა.

მორგანმა მეცნიერულად დაასაბუთა კაცობრიობის განვითარების პერიოდიზაცია — „ველურობა“, „ბარბაროსობა“, „ცივილიზაცია“, რომელიც ფ. ენგელსმა სწორად მიიჩნია, და რაც დღესაც მიღებულია. გვაროვნული საზოგადოების უმაღლესი საფეხურის აღსანიშნავად მანვე შემოიღო ტერმინი „სამხედრო დემოკრატია“.

კაცობრიობის ძველი საზოგადოება მორგანს არ დაუტოვებია, ცხადია, წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმების შესწავლას გარეშე. ძველ საზოგადოებაში მან გვაროვნულ წყობილებასთან ერთად ნათელყო მიწების საერთო მფლობელობის არსებობა.

ცნობილია თუ როგორ დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი მორგანის აღმოჩენებს. კ. მარქსმა დაწვრილებითი კონსპექტი შეადგინა მორგანის წიგნისა და, როგორც აღინიშნა, სჩანს სურდა დაეწერა ნაშრომი ძველ საზოგადოებაზე, მაგრამ არ დასცალდა.

24 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწერები, II, თბ., 1964, გვ. 215.
25 იქვე, გვ. 201—202.

1884 წელს გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ნაშრომი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომელიც თავის ახალ წყაროებთან ერთად ემყარება მორგანის ნაშრომის ფაქტიურ მასალებს.

კაცობრიობის ძველი სამყაროს, პირველყოფილი გვაროვნული წყობილების შესწავლასა და გაანალიზებასთან ერთად, ფ. ენგელსმა ფართოდ გვიჩვენა ძველ საზოგადოებაში — გვაროვნულ ტომებსა და სასოფლო თემებში მიწების, კერძოდ კი, ძირითადი საარსებო საგარეულების, სახნავი მიწების, საერთო სათემო მფლობელობა ძველ გერმანელებში, კელტებში — უელსში, შოტლანდიასა და ირლანდიაში, ასევე, ძველ რომაელებში, კელტებსა და გერმანელებში მიწების საერთო მფლობელობა ფ. ენგელსმა, ისე როგორც მათურერმა, აჩვენა და გაანალიზა იულიუს კეისრისა და რომელიც ისტორიკოსის ტაქტიუსის ფაქტიური მასალების შესწავლის საფუძველზე.

ძველ გერმანელებსა და კელტებში ფ. ენგელსმა წარმოაჩინა როგორც მიწების საერთო მფლობელობა, ისე მიწების საერთო დამუშავება, ხოლო შემდეგში საერთო მიწების ცალკეული ოჯახების მიერ ინდივიდუალური დამუშავება და საერთო მიწების პერიოდული გადანაწილება²⁶.

თავის მეორე ნაშრომში, „მარკაში“ (1882 წ.) ფ. ენგელსი სპეციალურად შეეხო სათემო-საერთო მიწათმფლობელობას გერმანიაში ძველი დროიდან მის დრომდე. აქაც დამაჯერებლად გვიჩვენა მიწების საერთო მფლობელობის არსებობა ძველ დროს, მისი წარმოშობისა და დაცემის, რიგ კუთხეებში კი მისი გახანგრძლივების ხელშემწყობი მიზეზები და ფაქტორები²⁷.

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნეში დასავლეთ ევროპაში დიდი ინტერესით დაიწყო ძველი საზოგადოების — გვაროვნული წყობილების, სასოფლო ერთობისა და სათემო-საერთო მიწათმფლობელობის ისტორიის შესწავლა. აღნიშულ დიდმნიშვნელოვან საკითხებს XIX საუკუნეში ევროპაში სწავლობდნენ აგრეთვე რიგი სხვა მოღვაწენი და მკვლევარი-მეცნიერნი. ძველი საზოგადოების სტრუქტურისა და სათემო-საერთო მიწის საკუთრების ფორმის შესწავლა მყარ მეცნიერულ საფუძველზე დადგა.

²⁶ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 334—360.

²⁷ ფრ. ენგელსი, „მარკა“, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1932, გვ. 161—



„ობშინის“ პრობლემამ XIX საუკუნის რუსეთში, სადაც სათემო მიწათმფლობელობა „ნაციონალური მასშტაბით“ იყო შემორჩენილი, მთელ რუსულ სოციალურ-პოლიტიკურ ლიტერატურაში ცენტრალური ადგილი დაიკავა და მწვავე კამათის საგანი გახდა. რუსული „ობშინის“ შესწავლის საწყისი ეტაპი თვით რუსეთში XIX ს. 50-იან წლებში დაიწყო.

K 224.554


რუსეთში, სადაც სათემო საკუთრება, სამიწათმოქმედო-საადგილმამულო ერთობა, ნაციონალური მასშტაბით იყო შემორჩენილი, აღმოჩენილ იქნა მხოლოდ 1843 წელს გერმანელ ა. ჰაქსტჰაუზენის მიერ და ეს ამბავი მან 1847 წელს ლიტერატურულად, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, „მსოფლიოს მოსდო“, „როგორც რაღაც სრულიად საოცარი მოვლენის შესახებ“, მაშინ როცა ჰაქსტჰაუზენს შეეძლო საკმაო რაოდენობით ეპოვნა სამიწათმოქმედო ერთობის ნაშთები თავის სამშობლო ვესტფალიაში, ხოლო როგორც მთავრობის მოხელე, ის ვალდებულიც კი იყო კარგად სცოდნოდა ეს გარემოება²⁸. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ა. გერცენმა, რომელიც თვით იყო რუსი მეკამულე, ჰაქსტჰაუზენისაგან გაიგო პირველად, რომ მისი გლეხები მიწას თურმე კოლექტიურად ფლობენ. ისარგებლა რა ამით, გერცენმა შექმნა რუსული გლეხური (სასოფლო ერთობის) სოციალიზმის თეორია და დაუბრისპირა იგი დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის სოციალიზმს²⁹.

დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიულმა მიღწევებმა ერთობის საკითხის შესწავლის საქმეში, აშკარაა, თანდათან რუსეთშიც შემოაღწია, საადგილმამულო-სამიწათმოქმედო ერთობის „კლასიკურ“ ქვეყანაში. რუსი მკვლევარები თანდათან გაეცნენ დასავლეთის ნაშრომებს და, ამასთან, რუსეთის საზოგადოებრივმა მდგომარეობამ ძლიერი ზიჯი მისცა მათ ხელი მოეკიდათ ამ პრობლემის ეროვნულ ნიადაგზე შესწავლა-დამუშავებისათვის

50-იან წლებში ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების კრიზისისა და გლეხური ანტიფეოდალური მოძრაობის ფართოდ გაშლამ რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ აზრში მწვავედ დააყენა რუსეთის მოქა-

²⁸ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., II, გვ. 57,

²⁹ იქვე.





ვალი აგრარული წყობილების, სასოფლო ერთობის ბედის საკითხი გაიზიარებდა იგი დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროლეტარიატის ბედს თუ წავიდოდა თავისი „თავისთავადობის“ („თვითმყოფადობის“) გზით. ამ მწვავე პრობლემამ წარმოშვა რუსეთში სხვადასხვა სახას „ობშინური“ თეორიები, ძირითადად კი „სლავიანოფილური“ და „სახელმწიფოებრივი“.

რუს მკვლევარ-მოღვაწეთა ერთი ნაწილის, „სლავიანოფილების“ ამოსავალი საყრდენი გახდა ა. ჰაქსტჰაუზენის ცნობილი ნაშრომი რუსეთზე, რომელმაც პირველად აღწერა რუსული „ობშინა“. სლავიანოფილებმა (კ. ს. აქსაკოვი, ი. ვ. კირეევსკი, ა. ი. კოშელიოვი და სხვ.) ხელი ჩასჭიდეს ჰაქსტჰაუზენის მცდარ და ამავე დროს რეაქციულ კონცეფციას რუსეთის აგრარული წყობილების ნაციონალური სპეციფიკური თავისებურებისა და თავისთავადობის, თვითმყოფადობის შესახებ. ამით სლავიანოფილებმა სლავი ხალხი დაუპირისპირეს დასავლეთ ევროპის ხალხებს. ობშინა და სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობა რუსი ხალხის ეროვნულ მოვლენად აღიარეს. მაგალითად, ი. კირეევსკის აზრით, დასავლეთ ევროპის საზოგადოება თავიდანვე ინდივიდუალისტური იყო, ხოლო რუსული საზოგადოება თავიდანვე კოლექტიური, რომელიც ემყარებოდა ძველი დროიდან არსებულ რუსი ხალხის სათემო-საერთო მიწათმფლობელობას³⁰.

სლავიანოფილური ობშინის თეორიას დაუპირისპირდა ობშინის „სახელმწიფო სკოლის“ თეორია, ანუ „ობშინის სახელმწიფო წარმოშობის თეორია“. „სახელმწიფო სკოლის“ ფუძემდებელი და მეთაური გახდა ბ. ჩიჩერინი, რომლის ნაშრომებში ობშინის „სახელმწიფო თეორია“ ყველაზე უფრო ტიპურად არის მოცემული³¹.

სლავიანოფილებისაგან განსხვავებით, ბ. ჩიჩერინს გვაროვნული კავშირების „ობშინა“ (ერთობა) მიაჩნდა ყველა ხალხისათვის დაუახასიათებელ უნივერსალურ მოვლენად. კერძოდ, რუსი ხალხის ეს გვაროვნული ობშინები, ჩიჩერინის აზრით, ვარიაგების დაპყრობის შედეგად დაიშალა და მათ ნაცვლად წარმოიქმნა სამამულო-მფლობელო-

³⁰ И. К и р е е в с к и й, О характере просвещения Европы и его отношение к просвещению России. Московский сборник, т. I, 1852, гл. 51.

³¹ Б. Н. Ч и ч е р и н, Областные учре дения России в XVIII веке, М., 1856; Обзор исторического развития общины в России—РВ, I, 15 февраля 1856; Опыты по истории русского права. М., 1858.

ბითი ობშჩინები. კერძო მფლობელთა (მემამულე-მიწათმფლობელები) მიწებზე არსებული ეს ობშჩინები შედგებოდა ნებაყოფლობითად სახლებული მოსახლეობისაგან.

ამის შემდეგ, ჩიჩერინის აზრით, XV საუკუნიდან, როცა წარმოიშვა რუსეთის (მოსკოვის) სახელმწიფო, ეს კერძო-მფლობელობითი სამამულო ობშჩინები გადაიქცა თანამედროვე სახელმწიფო ობშჩინებად, რომლებშიც ამიერიდან მოსახლეობა კერძო საწყისებზე კი არ იყო გაერთიანებული, არამედ სახელმწიფოსადმი საერთო მოვალეობის საწყისებზე. მასასადამე, ჩიჩერინის აზრით, XV—XVIII საუკუნეებში და მის დროსაც, XIX საუკუნეში, არსებული რუსეთის ის სასოფლო ერთობები (ობშჩინები), რომელთა მთავარი ნიშნები იყო მიწის საერთო მფლობელობა, მიწის გადაწილება, გამთანაბრებლობა და ურთიერთთავებობა, „არ წარმოქმნილა ბუნებრივი კავშირის შედეგად, არამედ მოწყობილ იქნა მთავრობის მიერ სახელმწიფო საწყისების უშუალო გავლენით“³².

ბ. ჩიჩერინის ობშჩინის „სახელმწიფო თეორიას“ გამოუჩნდნენ მიმდევრები (კ. დ. კაველინი, ს. მ. სოლოვიოვი, ვ. ი. სერგეევიჩი, პ. მილიუტკოვი და სხვ.), რომლებმაც ამ სფეროში რუსულ ისტორიოგრაფიაში ე. წ. მთელი „სახელმწიფო სკოლა“ შექმნეს.

ბ. ჩიჩერინის ობშჩინის „სახელმწიფო თეორია“ მცდარი იყო, სახელდობრ, ობშჩინის წარმოშობაში ე. წ. „სახელმწიფო საწყისი“, ანუ სასოფლო ობშჩინის მოწყობა-შექმნა სახელმწიფოს მიერ. მაგრამ ამ თეორიას დადებითი მხარე ის ჰქონდა, რომ იგი აღიარებდა ხალხთა განვითარების საწყის ეტაპზე გვაროვნული სათემო კოლექტივებს: უნივერსალურ ხასიათს, ყველა ხალხისათვის დამახასიათებელს, რაც „სლავიანოფილთა“ რუსი ხალხის ნაციონალური სპეციფიკურობის თეორიას არღვევდა.

სლავიანოფილები თავს დაესხნენ „სახელმწიფო სკოლის“ თვალსაზრისს, მკვეთრად გააკრიტიკეს და უარყვეს რუსული ობშჩინის წარმოშობის საქმეში „სახელმწიფო საწყისი“. იცავდნენ თავიანთ თვალსაზრისს რუსული ობშჩინის უცვლელი სახით ძველი დროიდან მომდინარეობის შესახებ. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ ასტორიკოს ი. დ. ბელიაევის გამოსვლა ბ. ჩიჩერინის წინააღმდეგ.

³² Б. Н. Чичерин, Областные учреждения России в XVIII веке, гл. 1, 23, და სხვ.; Опыты по истории русского права, гл. 57.

ი. ბელიაევმა უარყო ჩიჩერინის თვალსაზრისი და აღნიშნა, რუსეთის „ობშჩინების წყობილება თავისი არსებითი ნიშნებით მოიქმნა არა მთავრობის გვიანდელი დადგენილებებით, არამედ იგი მომდინარეობდა თვით ხალხთა ცხოვრებიდან... რომელიც ისტორიამ გამოუმუშავა“³³. სლავიანოფილების მსგავსად ბელიაევი აიდეალურად რუსულ ობშჩინას და მის როლს საერთოდ და, კერძოდ, ფეოდალურ საზოგადოებაში, თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, — საერთო მიწათმფლობელობითა და ურთიერთთავდებობით, — და ხაზს უსვამდა რუსეთის განვითარების თავისთავადობასა და თვითმყოფადობას.

ამ პერიოდის მკვლევართაგან აღსანიშნავია ისტორიკოს ტ. ნ. გრაზოვსკისა და ს. ვ. ეშევსკის ნაშრომები, რომლებშიც სლავიანოფილების კონცეფციის საწინააღმდეგოდ ნაჩვენებია გვაროვნული წყობილება და მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობა ისტორიის საწყის პერიოდში, როგორც ყველა ხალხისათვის საერთო დამახასიათებელი მოვლენა³⁴.

* * *

რუსეთის ობშჩინის პრობლემატიკაზე უაღრესად მნიშვნელოვანი შეხედულებებია მოცემული რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის ნაშრომებში.

ბ. გ. ბელინსკი უარყოფდა სლავიანოფილების კონცეფციას და აღიარებდა ობშჩინის საერთო-ისტორიული პროცესის ერთიანობას, როგორც ყველა ხალხისათვის დამახასიათებელს. იგი წერს, რომ ძველად ერთობა-„ობშჩინები“ ჰქონდათ არა მარტო სლავ ტომებს, როგორც ამას სლავიანოფილები აღნიშნავენო, არამედ ძველად იგი ჰქონდათ ყველა ტომს და ხალხს, რომ მხოლოდ „სლავი ტომების ერთობლივი ყოფა“, რომელიც „სლავოფილების ქვაკუთხედია“, მცდარი უაწინააღმდეგობრივიაო³⁵.

³³ И. Д. Беляев, Обзор исторического развития сельской общины в России, М., 1856, гл. 6—11.

³⁴ Т. Н. Грановский, О родовом быте у древних германцев, Соч., М., 1856, т. I, гл. 150—155. С. В. Ешевский, Соч., т. II, М., 1870, гл. 156—166.

³⁵ В. Г. Белинский, Полн. собр. соч., т. X, 1956, гл. 266—267.



ა. ი. გერცენის აზრით, დასავლეთ ევროპის ხალხებში ობშჩინის დაირღვა კერძო საკუთრების განვითარებითა და რომაული სამართლის გავლენით, რუსეთში კი იგი შემორჩა. რუსული სასოფლო „ობშჩინის“ საფუძველზე მან მთელი ფილოსოფიურ-სოციოლოგიური თეორია შექმნა „რუსული სოციალიზმისა“. ა. გერცენი რუსულ ობშჩინას თვლიდა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა და გადაარჩინა რუსეთი დაღუპვისაგან წარსულში, ხოლო მომავალში ობშჩინა და სათემო-სასოფლო მიწათმფლობელობა იხსნის მას პროლეტარიზაციისაგანო. იგი ობშჩინაში და გლეხობის სათემო კოლექტიურ მიწათმფლობელობაში ხედავდა რუსეთის სოციალიზმში გადასვლის წინამძღვარს. თუ ეს თეორია მცდარი იყო, სამაგიეროდ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ობშჩინის დროით „რუსული სოციალიზმის“ დამყარების მიზნით ქადაგებას — თვითმპყრობელობისა და ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მოსასპობად, ამავე დროს მის ბრძოლას მონარქიის დამცველ სლავიანოფილების წინააღმდეგ³⁶.

დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსული ობშჩინის შესწავლაში ნ. გ. ჩერნიშევსკის. იგი 1856 წლიდან ჩაება ობშჩინის პრობლემატიკის გარშემო ატეხილ კამათში სლავიანოფილებთან და „სახელმწიფო თეორიის“ წარმომადგენლებთან. იგი რუსული ობშჩინის წარმოშობის საკითხში გამოვიდა ბ. ჩიჩერინის „სახელმწიფო თეორიის“ კრიტიკით და აჩვენა მისი მცდარობა. მან გაილაშქრა აგრეთვე სლავიანოფილების კონცეფციის წინააღმდეგაც რუსეთის „თვითმყოფადობის“ შესახებ. ნ. ჩერნიშევსკი თვლიდა, რომ ობშჩინების და სათემო მიწათმფლობელობის არსებობა რუსეთში ეს სლავების სპეციფიკური ობშჩინური სულის ნაყოფი კი არ არის, არამედ რუსეთის ისტორიული ჩამორჩენილობის შედეგი. ამიტომ სათემო-სასოფლო მფლობელობა რუსების ეროვნულ სპეციფიკურ ნიშნად კი არ უნდა ჩაეთვალოს, არამედ გარკვეული პერიოდის ყველა ხალხის საერთო საკაცობრიო მოვლენად³⁷. ჩერნიშევსკი ობშჩინას განიხილავდა ისტორიულ განვითარებაში და XIX ს-ის რუსეთის სასოფლო ერთობას (ობშჩინას) გენეტიკურად უკავშირებდა ძველი რუსეთის გვაროვნულ ობშჩინას, მაგრამ მათ არ

³⁶ А. И. Герцен, Полн. собр. соч., т. VII, стр. 259—263, 323. т. IX, стр. 133—134, 164—165.

³⁷ Н. Г. Чернышевский, Избр. экон. и обществ. произв., т. I, М., 1948, стр. 202, 696.

აიგივებდა და XIX ს-ის რუსულ ობშჩინას იგი თვლიდა როგორც „მორეული წარსულის ნამოს“³⁸.

ამასთან, ჩერნიშევსკი, როგორც გლეხობის იდეოლოგი, გამოდიოდა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის დასაცავად, რადგან, მისი აზრით, სოფლის ობშჩინის მოსპობა გამოიწვევდა გლეხობის ვალატაკებას და პროლეტარიზაციას, ხოლო მისი შენარჩუნება გარანტია იქნებოდა მშრომელი გლეხობის მიწით უზრუნველყოფისათვის. ამავე დროს, ჩერნიშევსკის, როგორც სოციალისტ-უტოპისტის აზრით, რუსეთის „ობშჩინის“ შენარჩუნება თავისი საერთო-კოლექტიური მიწათმფლობელობით იქნებოდა საფუძველი და საშუალება რუსეთის სოციალიზმში გადასასვლელად, რისთვისაც იგი, როგორც რევოლუციონერ-დემოკრატი, მოითხოვდა ცარიზმის და ბატონყმობის მოსპობას.

ამრიგად, ჩერნიშევსკის შეხედულება რუსეთის სასოფლო „ობშჩინაზე“ პრინციპულად განსხვავდებოდა როგორც „სახელმწიფო თეორიის“, ისე სლავიანოფილების რეაქციული და მონარქისტული თვალსაზრისისაგან, რადგან იგი მოითხოვდა (და მოუწოდებდა) თვითმპყრობელობის, ბატონყმობისა და მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობას.

* * *

რუსეთის სასოფლო ობშჩინაზე მწვავე კამათი რუსულ ისტორიო-გრაფიაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის არ შეწყვეტილა ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც. შეიქმნა მთელი ნა-როდნიკული სოციოლოგიურ-თეორიული სისტემა რუსეთის განვითარების განსაკუთრებული გზის შესახებ და რუსული სასოფლო ერთობის გზით სოციალიზმის დამყარებისა რუსეთში. რუსეთში გამოქვეყნდა უამრავი გამოკვლევა როგორც რუსეთის, ისე სხვა ქვეყნების სასოფლო თემზე და სათემო მიწათმფლობელობაზე — ა. პოსნიკოვის, ნ. კარეევის, მ. მ. კოვალევსკის, გ. ვ. პლენანოვის, ი. ლუჩიციკის, კ. გოლოვინის, პ. ვინოგრადოვის, ს. ეგიაზაროვის, ა. კარელინის, ა. კა-

³⁸ იქვე, გვ. 53.

უფმანის, ა. პაპკოვის, ა. ვოსკრესენსკის, ვ. სერგეევიჩის და სხვათა ნაშრომები³⁹.

მკვლევართა ამ ნაშრომებში რუსულ სასოფლო ერთობაზე და საერთოდ ობშჩინა-კომუნაზე კვლავ ადგილი აქვს მძაფრ კამათს, ურთიერთკრიტიკას, ფაქტიური მასალებისა და მოვლენების სხვადასხვაგვარ ანალიზს, წყაროებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას.

ამრიგად, რევოლუციამდე რუსულ ისტორიოგრაფიაში შეიქმნა ბევრი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაშრომი სასოფლო ერთობაზე და სათემო მიწათმფლობელობაზე. მკვლევრებმა გასწიეს დიდი წყაროთმცოდნეობითი მუშაობა, გამოავლინეს უამრავი საარქივო დოკუმენტი, რის შედეგად რუსულ საადგილმამულო ერთობაზე და სასოფლო მიწათმფლობელობაზე დაგროვდა დიდძალი ფაქტიური მასალა⁴⁰.

მთელ ამ XIX—XX ს-ის რუსულ ისტორიოგრაფიაში „ობშჩინაზე“ სამი ძირითადი თეორიულ-კონცეფციური შეხედულება გამოირჩევა: სლავიანოფილური, „სახელმწიფო თეორიის“ და უნივერსალური. აქედან, როგორც ცნობილია, მეცნიერულად სწორი და დასაბუთებული კონცეფცია არის ერთობის (კომუნის, ობშჩინის) უნივერსალობა, როგორც კაცობრიობის ისტორიის საწყის ეტაპზე ყველა ხალხი-

³⁹ А. Посников, Общинное землевладение. Одесса, 1878; Н. Кареев, Заметки о распадении поземельной общины на Западе, «Знание», 1876, № 4; М. М. Ковалевский, «Общинное землевладение», М., 1879; Г. В. Плеханов, Поземельная община и ее вероятное будущее, «Русская беседа», 1880, январь; И. Лучицкий, Общинное землевладение в Малороссии, «Устой», 1882, № 7; К. Головин, Сельская община в литературе и действительности, Спб., 1887; П. Виноградов, Исследования по социальной истории Англии в средние века, Спб., 1887; С. А. Егнazarов, Исследования по истории учреждения в Закавказьи, ч. I, сельская община, Казань, 1889; А. Карелин, Общинное владение в России, Спб., 1893; А. А. Папков, Несколько замечаний по истории древне-русской общины, Журн. «Вестник права», 1901, № 10; А. Е. Воскресенский, Общинное землевладение и крестьянское малоземелье, Спб., 1903; А. А. Кауфман, Русская община в процессе ее зарождения и роста, М., 1908; В. И. Сергеевич, Время возникновения крестьянской поземельной общины, Спб., 1908.

⁴⁰ მნიშვნელოვანია ამ მხრივ ი. ლუჩიцкийის გამოცემული საარქივო დოკუმენტები სასოფლო ერთობაზე და საერთო მიწათმფლობელობაზე, სახელწოდებით: „Сборник материалов для истории общины и общественных земель в Левобережной Украине XVIII в.“ Киев, 1834.

სათვის საერთო დამახასიათებელი მოვლენა, რამაც თანდათან რეზერვუარული ისტორიოგრაფიაში.

მიუხედავად მკვლევართა კონცეფციური განსხვავებისა რუსული სასოფლო ობშჩინის, მისი ევოლუციისა და არსის საკითხში, მთელი ეს რუსული სამეცნიერო ლიტერატურა რუსეთის სასოფლო-სამიწათმომკმედო ერთობის შესახებ, დიდი ფაქტიური მონაცემების ბაზაზე, ერთხმად აღასტურებს და ამტკიცებს რუსეთში სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობას, სახელდობრ, თემის (სოფლის) საზოგადოების მიერ სახნავი მიწებისა და სხვა ადგილ-მამულის საერთო-კოლექტიურ მფლობელობას, სახნავი მიწების პერიოდულ გადაწილების, რაც სასოფლო-საერთო მიწათმფლობელობის ძირითად ნიშნებს წარმოადგენდა. მთელი სამეცნიერო ლიტერატურა რუსულ თემზე (სოფელზე) ერთხმად ამტკიცებს იმას, რომ სათემო-საერთო მიწათმფლობელობა რუსეთის აგრარული წყობის დედაბოძი იყო.

რუსეთის ძველ სასოფლო ობშჩინაზე ყურადღება არ შენელებულა რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც და საბჭოთა რუსულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი მყარ და სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დადგა და მასზე არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაიწერა⁴¹.

3. სათემო მიწათმფლობელობის საკითხი ჰარითულ ისტორიოგრაფიაში

სათემო მიწათმფლობელობის საკითხის შესწავლა საქართველოში იწყება XIX ს-ის 60-იანი წლებიდან.

⁴¹ აქ შეიძლება დავასახელოთ ისეთი ნაშრომები ამ საკითხზე, როგორცაა, მაგალითად: А. Л. Шапиро, Крестьянская община в крупных вотчинах первой половины XVIII в., 1939 г.; П. Ф. Лаптин, Община в русской историографии. Киев, 1971; В. А. Александров, Сельская община в России (XVII — начало XIX в.), М., 1976; Е. Н. Бакланова, Крестьянский двор и община на русском севере (конец XVII — начало XVIII в.), М., 1976; Н. А. Горская, Монастырские крестьяне центральной России в XVII в., М., 1977; Л. С. Прокофьева, Крестьянская община в России во второй половине XVIII первой половине XIX века, Ленинград, 1981.

რუსულ სასოფლო თემზე მკვლევრებს გამოქვეყნებული აქვთ აგრეთვე რიგი სტატიები.

პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომელიც შეეხებოდა თემო-საერთო მიწათმფლობელობის საკითხს საქართველოში, იყო ნიკო ნიკოლაძე. ბატონყმობის გაუქმების პერიოდში, 1865 წელს, ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა წერილი „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, სადაც მან უარყო სათემო კოლექტიური მიწათმფლობელობა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში⁴². დასავლეთ საქართველოში რომ უარყოფდა ნ. ნიკოლაძე სათემო მიწათმფლობელობის არსებობას, ეს სავსებით სწორი იყო, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახეთის, მიმართ იგი მართალი არ იყო, რადგან აქ, მთელ რგ კუთხეებში ამ დროისაც ფართოდ იყო შემორჩენილი გლეხთა საერთო კოლექტიური სათემო მიწათმფლობელობა. ეს გარემოება, ცხადია, აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ნ. ნიკოლაძე არ იცნობდა აღმოსავლეთ საქართველოში სათემო საერთო მიწათმფლობელობის სათანადო დამადასტურებელ ფაქტიურ მასალებს.

შემდეგში, XIX ს. 70-იან წლებში, სახელდობრ 1874 წელს, სათემო-საერთო მიწათმფლობელობას საქართველოში შეეხო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანტონ ფურცელაძე, რომელმაც „გუთნის დედაში“ მოათავსა წერილები სახელწოდებით: „მამულების საერთო მფლობელობაზედ“⁴³. ნაროდნიკული იდეით შთაგონებულმა ან. ფურცელაძემ სათემო მიწათმფლობელობა საქართველოში აშკარად უპირატეს ფორმად მიიჩნია მიწის კერძო საკუთრებასთან შედარებით ქართველი მწარმოებელი კლასის, გლეხობის, ცხოვრებაში და სათემო კოლექტიური მიწათმფლობელობა ქართული სოფლის აგრარული წყობის იდეალად გამოაცხადა.

ან. ფურცელაძემ სათემო კოლექტიური მიწათმფლობელობა საქართველოში საერთოდ, ზოგად-ისტორიულ ხაზებში განიხილა, ხოლო კონკრეტული დოკუმენტაცია სათემო მიწათმფლობელობის არსებობის შესახებ საქართველოში, მას არა მოუცია. ნათელია, მას ეს საკითხი აინტერესებდა არა როგორც ისტორიკოსს, არამედ როგორც გარკვეული საზოგადოებრივი, გლეხური სოციალიზმის იდეის მატარებელს.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობის შესწავლის შემდგომი ეტაპი საქართველოში იწყება XIX ს. 80-იანი წლებიდან. 80-იან წლებში კიდევ უფრო გაცხოველდა ინტერესი საქართველოში სათემო მიწათ-

⁴² ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, 1962, გვ. 265—267.

⁴³ გუთნის დედა, 1874, №№ 9—10—11.

მფლობელობის საკითხის შესწავლისადმი. სათემო (საერთო) მიწა, მფლობელობის საკითხით დაინტერესდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ივ. მაჩაბელი, ზ. გულისაშვილი, ალ. ნანეიშვილი და სხვები, რომლებმაც აღნიშნულ საკითხს 1883—1884 წლებში მნიშვნელოვანი სტატიები მიუძღვნეს. სახელდობრ, ი. ჭავჭავაძემ — „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა საქართველოში“⁴⁴, ივ. მაჩაბელმა — „მიწის სათემო-მფლობელობა ჩვენში“⁴⁵, ზ. გულისაშვილმა — „საერო მიწის მფლობელობა ჩვენში“⁴⁶, ალ. ნანეიშვილმა — „მიწისმფლობელობის საქმე“⁴⁷. აღნიშნულმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ფართოდ განიხილეს სათემო მიწათმფლობელობის საკითხი საქართველოში საერთოდ, მაგრამ კვლავ მხოლოდ ზოგად ისტორიულ ასპექტში. ისინი თავიანთ სტატიებში მსჯელობენ სათემო-საერთო მიწათმფლობელობის ფორმის უპირატესობაზე კერძო საკუთრებასთან შედარებით თეორიულ-კონცეფციური თვალსაზრისით, ფაქტიური მონაცემები კი სათემო მიწათმფლობელობაზე მათ არ მოაქვთ.

XIX ს. 80-იან წლებში ქართველ მკვლევართაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ეთნოგრაფი ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), რომლის სახელთან დაკავშირებულია ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების სათავეები. იგი კანონზომიერად ითვლება ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერული სკოლის ფუძემდებლად.

80—90-იან წლებში მან რიგი გამოკვლევები მიუძღვნა საქართველოს ისტორიის სიძველეთა ინსტიტუტებს. მათ შორის, ძველი წყაროებისა და ქართველ მთიელთა ყოფის პირადი დაკვირვებებისა და შესწავლის შედეგად, მან რიგი დასკვნები მოგვცა სათემო-საერთო მიწათმფლობელობაზე.

აშკარაა, ნ. ხიზანაშვილისთვის ამ დროს უკვე კარგად ყოფილა ცნობილი ევროპული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიერების მიღწევები პირველყოფილ გვაროვნული საზოგადოების შესწავლის საქმეში.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნ. ხიზანაშვილმა გადმონაშთი ისტორიული რეალიებით მიუთითა ძველ ქართველ ტომებ-

44 ი. ჭავჭავაძე, თხზ., VI, 1956 წ.

45 „ღროება“, 1884, № 62.

46 „ღროება“, 1884, №№ 168, 263, 267, 269—270.

47 „ღროება“, 1883, №№ 166, 224.

ში თავდაპირველად „საზოგადო, საგვარეულო საკუთრების არსებობა“, ხოლო შემდეგ კი „კერძო საკუთრების“ გაჩენა, ასევე ძველ ტომებში თავდაპირველად მატრიარქატის არსებობაც.

ფშავლებისა და ხევსურების მთელი ყოფა-ცხოვრების დრმა შესწავლით, რაც თვით ფშავსა და ხევსურეთში პირადად ყოფნისა და დაკვირვებების შედეგად მოხდა, ნ. ხიზანაშვილმა გამოიკვლია და დაადსტურა აღნიშნულ კუთხეებში ძველი, გვაროვნული საზოგადოების მთელი რიგი ინსტიტუტების გადმონაშთები, როგორცაა, ხატაპ ყმობის, ანუ ჯვარის ყმობის ინსტიტუტი, ფშავ-ხევსურეთის წარმართული პანთეონი, საკულტო დაწესებულებანი და რიტუალები, ასევე, გვაროვნული წყობილების დროინდელი სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობის გადმონაშთები, რომელსაც იგი ხატის, სახატო მამულებში ხედავდა. სათემო-საერთო მიწათმფლობელობის გადმონაშთების საკითხს ნ. ხიზანაშვილი დიდი დაკვირვებით და სიფრთხილით ეკიდებოდა. იგი წერდა, რომ „ხევსურეთში შეხვდებით მხოლოდ სახატო სათემო მიწის მფლობელობას. არათუ მიწა, ტყეც კი ბევრგან ნაწილ-ნაწილ არის დაყოფილი სოფლის მკვიდრთა შორის, მაგრამ იმავე სოფელში საუკეთესო მამული და ტყე უმეტესად ხატისაა, უმეტესად სალოცავს ეკუთვნის“⁴⁸, რომ „ყველა ხატს თავისი მამული აქვს (სახატო მიწა, ტყე)“⁴⁹ და რომ „სათემო მფლობელობას სახატო მამულში ვპოვებთ“⁵⁰. მანვე აღნიშნა სახატო-სათემო მიწების კოლექტიური დამუშავება სოფლის მიერ (მოხვნა, დათესვა, მოსავლის აღება და ბედელში შენახვა) და ასევე მოსავლის კოლექტიური მოხმარება საკულტო ღრესასწაულების დროს⁵¹.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ძველი ქართული ოჯახი“, რომელიც „დროება“-ში გამოქვეყნდა 1885 წელს. სწორედ ამ ნაშრომში წამოაყენა მან დებულება ძველ ქართველ ტომებში თავდაპირველად მატრიარქატის არსებობის შესახებ, კერძო საკუთრების არარსებობასთან ერთად.

აღნიშნულ ნაშრომში ნ. ხიზანაშვილი წერს, რომ დიდი ხანი არაა, რაც სოციოლოგიურმა მეცნიერებამ ახალი ნათელი მოპვინა ოჯახის

48 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 20.
49 იქვე, გვ. 21.
50 იქვე,
51 იქვე.

ძველ წყობილებას. აქამდე ეგონათ, რომ ოჯახის პირვანდელ ფორმას შეადგენდა პატრიარქალური ოჯახი, მამაკაცით სათავეში. ძველი თეორია ივიწყებდა საზოგადო წარმოების კანონს. ახალი თეორიით ცოლი დაისაკუთრა კაცმა მხოლოდ მაშინ, როცა შეიგნო, თუ რა არის კერძო საკუთრება მიწისა, ნივთისა და სხვ⁵². მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე (ჯანაგროძისა ნ. ხიზანაშვილი), რომ თავდაპირველად არსებობდა საერთო ცოლ-ქმრობა, ნათესაობა დედითი ხაზით მიდიოდა. ეს იყო მატრიარქატი. ამას შემდეგ მოჰყვა პატრიარქატი. ამ საზოგადო მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა ქართველების ცხოვრებაშიც⁵³.

აქვე ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს ძველ ქართველ ტომებში საზოგადო, საერთო-საგვარეულო საკუთრების არსებობას და საამისოდ იგი იმორწმუნებს ცნობილ ბერძენ გეოგრაფს სტრაბონს. მას მიაჩნია, რომ საერთოდ პატრიარქალური ოჯახის წარმოშობამ წარმოშვა კერძო საკუთრება, რამაც დაარღვია საგვარეულო საკუთრება, რომ ძველ ქართლშიც კერძო ოჯახს თავისი განცალკევებული საკუთრებით უკვე კავშირი აღარ ჰქონდა გვართან, გვარმა ადგილი დაუთმო პირს, საზოგადომ კერძობას, იურიდიულმა „მე“-მ სძლია იურიდიულ „ჩვენ“-ს. ეს გარემოება იყო „ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელთაც შეარყიეს გვარი, საგვარეულო შინაური წეს-წყობილება და წინ წამოაყენეს კერძო ოჯახი თავისი კერძო საკუთრებით“. საქართველოში საგვარეულო „მიწის მფლობელობას უჩვენებს თვით სტრაბონი და ჩვენ, ვფიქრობთ, არ უნდა ვეჭვნეულობდეთ, რომ წინათ კერძო საკუთრების მაგვირად საზოგადო საგვარეულო საკუთრება იყო“, რომ „თუ წინათ საგვარეულო საკუთრება იყო ქვაკუთხედი მიწის მფლობელობისა, შემდეგში კერძო მიწის საკუთრებამ დაიჭირა მისი ადგილი“⁵⁴.

ასეთია ის ძირითადი კონცეფცია, რომელიც ნ. ხიზანაშვილმა პირველად წამოაყენა ქართულ საისტორიო მწერლობაში ქართველი ტომების ძველი საზოგადოებრივი წყობილების, კერძოდ, მატრიარქატისა და საზოგადო, სათემო საგვარეულო მიწისმფლობელობის შესახებ. როგორც აღინიშნა, მისთვის ამ დროს ცნობილი იყო თანამედროვე

52 ნ. ხიზანაშვილი, ძველი ქართული ოჯახი, ეთნოგრაფიული ნაწერება, 33-155.
53 იქვე, 33-156.
54 იქვე, 33-167.



ისტორიული მეცნიერების მიღწევები და ნაშრომში — „ძველი ქართული ოჯახი“ — ეყრდნობა და იმოწმებს ევროპელ მკვლევარებს: ლებოკს, სპენსერს, ტელონს, ასევე ძველ ბერძენ მკვლევარებს, როგორც წყაროებს — პეროდოტეს, ქსენოფონტეს, აპოლონ როდოსელს, სტრაბონს და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ხიზანაშვილმა სავსებით სწორად აღნიშნა აგრეთვე ბარისა და მთის სოციალური განვითარების დონის სპეციფიკა, სახელდობრ, „მთაში ფეოდალიზმი ისრე არაოდეს არა ყოფილა აღორძინებული, როგორც ვაკე ქართლში“⁵⁵.

როგორც აღინიშნა, ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ფართოდ განიხილეს სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობის საკითხი საქართველოში, მაგრამ მხოლოდ ზოგად ისტორიულ ხაზებში. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (პირველ რიგში ნ. ხიზანაშვილი) ისინი მსჯელობდნენ კერძო საკუთრებასთან შედარებით სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობის ფორმის უპირატესობაზე, აიდეალებდნენ ამ უკანასკნელს, ფაქტიური მონაცემები კი სათემო-საერთო მიწათმფლობელობაზე მათ არ მოაქვთ, არათუ ადრეული და განვითარებული ფეოდალური ხანის, არამედ არც გვიანფეოდალური ხანის საქართველოს — XIX ს. პირველი ნახევრისა; მეტიც, მათ, საილუსტრაციოდ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, როგორც წესი, არ მოაქვთ არც თავიანთი მოღვაწეობის პერიოდის — XIX ს. 80-იანი წლების ფაქტიური მონაცემები სათემო საერთო მიწათმფლობელობაზე საქართველოში, რაც მაშინაც მნიშვნელოვნად იყო შემორჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ნთელ რიგ კუთხეებში. ეს გარემოება, ცხადია, მათი წერილებს დიდი ნაკლი იყო.

* * *

ეს ნაკლი შეავსეს და გამოასწორეს საქართველოს სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევარებმა XIX ს. იმავე 80-იან წლებში, რომლებმაც საფუძვლიანად შეისწავლეს სათემო მიწათმფლობელობის ფაქტიური მდგომარეობა საქართველოში. ეს მკვლევარები იყვნენ: მ. მაჩაბელი,

⁵⁵ ნ. ხიზანაშვილი, ძველი ქართული ოჯახი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 88. 162.




ს. მაჩაბელი, ს. ეგიაზაროვი, ა. არღუთინსკი, ნ. ნიკიფოროვი, ა. ერიცოვმა, ალ-
 ნ. ვერმიშევი, ფ. მარკოვი, ი. იოსელიანი, დ. ნოსოვიჩი და ი. ბახტაძე. აღ-
 ნიშნულმა მკვლევრებმა ადგილზე მისვლით საქართველოს სხვადასხვა
 კუთხეში ნახეს რეალური ვითარება და შეისწავლეს სათემო მიწათ-
 მფლობელობის არსებობა-არარსებობის საკითხი სახელმწიფო გლეხებ-
 ში, დაგვიტოვეს საყურადღებო გამოკვლევები და, რაც მთავარია, მწი-
 ჳვნელოვანი მასალები იმ ფაქტიური მდგომარეობისა, რომელიც ახა-
 სიათებდა სათემო მიწათმფლობელობას საქართველოში XIX ს. 80-
 იან წლებში. მართალია, მათ მიერ შეგროვილი მასალები განეკუთვნება
 მხოლოდ და მხოლოდ ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდს,
 XIX ს. 80-იანი წლების საქართველოს და არა ადრეულ ხანას, და
 ისიც მხოლოდ სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობას, მაგრამ მი-
 უხედავად ამისა, აღნიშნული მასალები და გამოკვლევები მნიშვნე-
 ლოვანი წყაროებია საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის შე-
 სწავლის საქმეში.

აღნიშნული მკვლევრების მიერ შეგროვილი მასალები და გამ-
 კვლევები სახელმწიფო გლეხთა სათემო მიწათმფლობელობაზე მო-
 თავსებული კრებულებში, რომლებიც 1885—1888 წლებში გამოქვე-
 ყნდა თბილისში სახელწოდებებით «Материалы для изучения эконо-
 мического быта государственных крестьян Закавказского края»,
 (ტ. I—VII, ტიფ., 1885—1887 გ.) და «Свод материалов по изу-
 чению экономического быта государственных крестьян Закав-
 казского края», (ტ. I—V, ტიფ., 1887—1888 გ.).

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნულმა მკვლევრებმა სა-
 ქართველოს სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრება და მათი მიწის-
 მფლობელობის ფორმები შეისწავლეს ცალკეული მაზრების მიხედ-
 ვით. თ ბ ი ლ ის ის გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი: თბილისის და გორის მაზრები
 შეისწავლა ს. ვ. მაჩაბელმა, თიანეთის მაზრა — მ. ვ. მაჩაბელმა, თე-
 ლავისა და სიღნაღის მაზრები — ა. არღუთინსკიმ, დუშეთის მაზრა —
 ნ. ნიკიფოროვმა, ბორჩალოს მაზრა — ა. ერიცოვმა, ახალციხისა და
 ახალქალაქის მაზრები — ნ. ვერმიშევმა.

ქუთაისის გუბერნიისაში: ქუთაისის მაზრის ჩრდილო-აღ-
 მოსავლეთი ნაწილი შეისწავლა ფ. მარკოვმა, ქუთაისის მაზრის სამ-
 ხრეთ-დასავლეთი ნაწილი — ი. იოსელიანმა, ზუგდიდისა და სენაკის
 (სამეგრელო), ოზურგეთის (გურია) და ლეჩხუმის მაზრები — დ. ნო-
 სოვიჩმა, ხოლო რაჭისა და შორაპნის მაზრები — ი. ბახტაძემ.



საქართველოში XIX საუკუნეში სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობის ორი ძირითადი ფორმა არსებობდა: ინდივიდუალური მემკვიდრეობითი და სათემო. მკვლევრები, უმთავრესად, სწორედ ამ ორ ფორმას ეხებიან და გვამცნობენ თუ სად რომელი ფორმა იყო გაბატონებული.

დასავლეთ საქართველოს მიმართ სახელმწიფო გლეხთა მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აქ სახელმწიფო გლეხებში მიწათმფლობელობის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა ინდივიდუალური მფლობელობა, ხოლო თემური მიწათმფლობელობა გვხვდებოდა გამონაკლისის სახით.

დ. ნოსოვიჩი წერს, რომ ლეჩხუმის მაზრაში (341 კომლი სახელმწიფო გლეხი, ცხოვრობდა 34 სოფელში) მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმა მხოლოდ და მხოლოდ კომლობრივ-ინდივიდუალურია. მთელი ადგილ-მამული დაყოფილია კერძო საკომლურ ნაკვეთებად, რომელთა საზღვრები მუდამ უცვლელია. მიწის მფლობელობის კერძო-ინდივიდუალური ფორმა აქ გაჩნდა ძველი დროიდან და ხალხში ერთობის ცნების კვალიც არ არსებობს⁵⁶. მისი სიტყვებით, მცხოვრებლები აქ არ იცნობდნენ საერთო მიწათმფლობელობის უმარტივეს სახესაც კი, როგორც იყო, მაგალითად, საერთო საძოვარი ადგილები. ამ მხრივ ერთი გამონაკლისი იყო მხოლოდ სადადიანო სვანეთში, სადაც არსებობდა მთიანი საზაფხულო საძოვრები. აქ სოფელ საღხარის (ჩოლური) გლეხებს (1 სახაზინო, 11 დროებითვალდებულები) ჰქონდათ 100-მდე დესეტინა საძოვარე ადგილი საერთო სარგებლობაში⁵⁷.

გურიაში (2119 სახელმწიფო გლეხთა კომლი, ცხოვრობდა 59 სოფელში) დ. ნოსოვიჩის მოწმობით გლეხის კომლს, ეკონომიკური აზრით, არავითარი ურთიერთობა არ აქვს სოფელთან, სადაც იგი ცხოვრობს და წარმოადგენს სავსებით დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს. მიწის მფლობელობისა და მიწის სარგებლობის ფორმა, ისე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც იყო კერძო-

⁵⁶ Материалы для изучения экономическаго быта государственных крестьян Закавказскаго края, т. I, Тиф., 1885 г. гл. 163, 167.
⁵⁷ იქვე, გვ. 167

ინდივიდუალური. მთელი ადგილ-მამული დაყოფილი იყო საკომლო ნაკვეთებად, რომლის საზღვრები უცვლელი იყო⁵⁸.

ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი (ითვლებოდა 3500 კომლზე მეტი სახელმწიფო გლეხი) მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ძირითადი ფორმა, დ. ნოსოვიჩის მოწმობით, იყო ასევე კომლობრივ-ინდივიდუალური. ყველა ადგილ-მამული დაყოფილი იყო საკომლო ნაკვეთებად, რომელთა საზღვრები უცვლელი იყო. მაგრამ გამონაკლისის სახით აქ გვხვდება შემთხვევები მიწის ფლობის საგვარეულოსაერთო წესისა. მისი მონაწილენი ეკუთვნიან ერთ-ერთ რომელიმე გვარს, რომლის რიცხვი აღწევს 40—50 კაცს. მათ შორის მიწის გადანაწილებანი არასდროს არ ხდებოდა და დ. ნოსოვიჩის აზრით, მიწისმფლობელობის ეს საგვარეულო ფორმა უფრო ახლო იდგა საკომლო ინდივიდუალურთან, ვიდრე საერთო მიწათმფლობელობასთან. თანაც ეს ფორმა ირღვეოდა მოგვარეების საბოლოო გაყოფის გახშირებას შედეგად⁵⁹.

ქუთაისის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, ოკრიბა (50 სოფელი) შეისწავლა ფ. მარკოვმა (ქუთაისის მაზრაში საერთოდ ითვლებოდა 149 სახაზინო სოფელი 6.756 კომლით)⁶⁰. ფ. მარკოვის მოწმობით, ქუთაისის მაზრის მის მიერ შესწავლილ ყველა სოფელში არსებობდა კერძო-ინდივიდუალური მიწათმფლობელობა, რომელიც ძველი დროიდან მოდიოდა და არასდროს იცვლებოდა⁶¹. ყოველი საკომლო ნაკვეთი შედგებოდა საკარმიდამოსაგან, ვენახისაგან, სახნავი მიწისაგან და ტყისაგან. დაახლოებით ნაკვეთის საერთო ფართობის ორი მესამედი მოდიოდა საკარმიდამოზე, ვენახსა და სახნავ მიწაზე; ერთი მესამედი — ტყეზე⁶².

რაც შეეხება სათემო მფლობელობას, ფ. მარკოვი აღნიშნავს, რომ ოკრიბაში იგი გამონაკლისის სახით არსებობდა მხოლოდ სამ სოფელში: ძმუისში, წყნორში და ძიროვანში და ისიც ზოგიერთი ადგილ-მამულის მიმართ, სახელდობრ, ტყეზე⁶³.

რაჭისა და შორაპნის მაზრები შეისწავლა ი. ბახტაძემ.

⁵⁸ ი ქ ვ ე, გვ. 734, 738.

⁵⁹ МИЭБГКЗК, т. II, 1886, Тиф., გვ. 268—275.

⁶⁰ МИЭБГКЗК, т. I, გვ. 211.

⁶¹ ი ქ ვ ე, გვ. 220.

⁶² ი ქ ვ ე, გვ. 222.

⁶³ ი ქ ვ ე, გვ. 220.

რატვის მაზრაში სახელმწიფო გლეხები შეადგენდა 1. 895 კომლად, რომლებიც ცხოვრობდნენ 75 სოფელში⁶⁴.

ბახტაძის მოწმობით, რატვაში მიწის ძირითად მარჩენალ სავარგულეზე გაბატონებული იყო კერძო მფლობელობა. საგლეხო მიწები იყოფოდა ორ ჯგუფად: 1. საკარმიდამო, სახნავი მიწები და ვენახები ითვლებოდა გლეხთა საკომლო ინდივიდუალურ მფლობელობაში, 2. სათიბები, საძოვრები და ტყე გლეხების სათემო სარგებლობაში⁶⁵.

სახნავი მიწები რატვაში ჩვეულებრივად იმყოფებოდა ინდივიდუალურ სარგებლობაში, გამონაკლისები იშვიათად არსებობდა, რომლის დროსაც სახნავს ფლობდა რამდენიმე კომლი ერთად. ეს იყო უმთავრესად „გარე-ყანას“ მიმართ, რომელიც სოფლიდან დაშორებულ მთებში მდებარეობდა, მას არ ანაყოფიერებდნენ და უმნიშვნელო ღირებულების მქონე ნაკვეთს წარმოადგენდა. ეს მიწები მუშავდებოდა ან ნათესავების, ანდა არამონათესავე პირების მიერ ერთად, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე — დამუშავებისა და განაწილების მხრივ.

სათიბი ადგილები რატვაში ცოტა იყო და მით გლეხები სარგებლობდნენ კომლობრივად ან ერთობით.

ტყის სარგებლობის უმთავრესი ფორმა აქ იყო წმინდა ერთობლივი. გლეხები ტყით სარგებლობდნენ განუსაზღვრელად⁶⁶, რამდენიც ესაჭიროებოდათ.

მაგრამ ეს ერთობლივი ფორმა, ბახტაძის მოწმობით, იწყებდა რღვევას. ნაწილი გლეხებისა ცდილობდა თავიანთი წილის გამოყოფას ტყიდან. გლეხთა უმრავლესობა კი იმ აზრისა იყო, რომ ტყე საერთო საკუთრებაა და მისი დაყოფა არის დანაშაული მთელი საზოგადოების წინაშე⁶⁷.

დაბოლოს, ბახტაძე ეხება სასოფლო მიწათმფლობელობის რღვევის საკითხს რატვაში, განიხილავს მას ისტორიულ ასპექტში, ადარებს ერთმანეთს ქვემო და ზემო რატვას და არსებითად სწორად აღნიშნავს, რომ ქვემო რატვა წარმოადგენდა ფეოდალური თარემისა და ყოველგვარი ძალდატანების ფართო ასპარეზს. ეს გარემოება აჩანავდებდა

⁶⁴ МИЭБГКЗК, т. II, გვ. 10.

⁶⁵ იქვე, გვ. 24—25.

⁶⁶ იქვე, გვ. 25.

⁶⁷ იქვე, გვ. 25—26.

გლებს, ართმევდა მათ პირად თავისუფლებას, ქონებას. გასაგებია, ასეთ ვითარებაში სასოფლო ერთობას არ შეეძლო თავისუფლების შენარჩუნება და გლებები, თუ მათ ძალით არ დააყმევებდნენ, თვით ისინი თავისი ნებით იძულებულნი ხდებოდნენ ეძებნათ მფარველი, რომელიც შემდეგში თვითნებურად ეპატრონებოდა როგორც მათ, ასევე მათ ქონებას.

ფეოდალიზმის ძლიერი გავლენა რაჭაში ერთობის (კომუნის) საწყისების რღვევაზე, განაგრძობს ბახტაძე, ჩანს იმაშიც, რომ მიწას საკუთრების ინდივიდუალიზაცია ზემო რაჭის ჩრდილოეთ მხარეებში არასდროს არ იჩენდა თავს ისე ძლიერ, როგორც ქვემო რაჭაში, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა ამ წყობის, ფეოდალიზმის, უშუალო გავლენის ქვეშ⁶⁸.

მიწათმფლობელობის ინდივიდუალური ფორმა იყო გაბატონებული აგრეთვე იმერეთის აღმოსავლეთ კუთხეში შორაპნის მაზრაში. ი. ბახტაძე აღნიშნავს, რომ აქ ყოველი კომლი კერძოდ ფლობდა მიწებს თავის საზღვრებში და რაიმე გადასაწილება კომლებს შორის მიწის გათანაბრებისათვის არასდროს არ ხდებოდა იგი მიუთითებს, რომ გლებთა მოწმობით, ასეთი საკომლო კერძო მიწათმფლობელობა არსებობდა უძველესი დროიდან და არც ერთ მათგანს არ გაუგონია, რომ მათთან როდესმე არსებულ იყოს სათემო მიწათმფლობელობა⁶⁹.

დაბოლოს, ი. იოსელიანის გამოკვლევით, მიწათმფლობელობის ასეთივე კერძო საკომლო-მემკვიდრეობითი ფორმა იყო გაბატონებული ქუთაისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში⁷⁰, სათემო-საერთო მიწათმფლობელობა აქაც არ არსებობდა.

ამგვარად, 80-იანი წლების სახელმწიფო გლებთა მკვლევრებსა მოწმობით, ერთხმად, დასავლეთ საქართველოში, მიწათმფლობელობას გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა საკომლო-მემკვიდრეობითი ინდივიდუალური მიწათმფლობელობა, საერთო მიწათმფლობელობა კი გამონაკლისის სახით იშვიათად გვხვდებოდა და იგი ვრცელდებოდა უმთავრესად მხოლოდ ტყეზე.

⁶⁸ МИЭБГКЗ, т. II, გვ. 23.

⁶⁹ МИЭБГКЗ, т. V, ч. II, გვ. 183.

⁷⁰ МИЭБГКЗ, т. VII, გვ. 224.

სხვაგვარი მდგომარეობა იყო ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში.

თუ დასავლეთ საქართველოში საკომლო-ინდივიდუალური მიწათმფლობელობა უცილობლად ბატონობდა, ხოლო საერთო ფლობა და სარგებლობა მიწისა იშვიათი გამონაკლისი იყო, აღმოსავლეთ საქართველოში სათემო მიწათმფლობელობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ს. ვ. მაჩაბლის, მ. ვ. მაჩაბლის, ნ. ვერმიშევის, ა. არღუთინსკაი, ნ. ნიკიფოროვის და ა. ერიცოვის მიერ შეგროვებული მასალებითა და გამოკვლევებით აღმოსავლეთ საქართველოში სახაზინო გლეხებში მიწათმფლობელობის ორი მთავარი ფორმა არსებობდა: საკომლო-მემკვიდრეობითი და სასოფლო-საერთო.

საკომლო-ინდივიდუალურ მიწებში შედიოდა: საკარმიდამო, ვენახი და ბაღ-ბოსტნები⁷¹. ეს მიწები კომლებს საშვილიშვილოდ ექართათ. ზოგ ადგილებში ინდივიდუალურ საკუთრებაში შედიოდა აგრეთვე სახნავი მიწებიც. მაგალითად, მთიან რაიონებში, სადაც სახნავი მიწის წვრილ-წვრილი ნაჭრები გაბნეული იყო მთის ფერდობებსა და ზეგებში და სადაც არასოდეს არ ხდებოდა მათი გადანაწილება⁷².

საკომლო-მემკვიდრეობითი მიწების გადანაწილება არასდროს არ ხდებოდა.

მიწათმფლობელობის მეორე ძირითადი ფორმა იყო სათემო სახაზინო გლეხები, სოფელი, მას ფლობდა კოლექტიურად. საქართველოში ამ მიწებს ზოგან „სასოფლოს“ უწოდებდნენ, ზოგან „სათემოს“, რადგან ორივე იდენტური ცნებებია.

სათემო მიწები ჩვეულებრივ სოფლიდან მოშორებით იყო. სათემო მიწებში შედიოდა სახნავი, სათიბ-საძოვარი და ტყე.

მკვლევრები აღნიშნავენ სათემო მიწათმფლობელობის დამახასიათებელ ნიშნებს:

1. თემის ანუ სოფლის უფლება ჩაერიოს თავის წევრთა შორის მიწების გადანაწილების საქმეში;
2. თემის უფლება ბეთალმან (უპატრონოდ დარჩენილ) მამულზე;

⁷¹ МИЭБГКЗК, т. I, გვ. 44, 490, 546. т. IV, ч. II, 209, т. V, ч. I, 195, 376, 379. СМИБГКЗК, т. I, ч. I, 37—38, 164—165, т. III, ч. II, 17—18.

⁷² МИЭБГКЗК, т. III, ч. II, 68.

3. საძოვარი ადგილების საერთო სარგებლობა. ამასთანავე ამოკრების მოხვნა მხოლოდ თემის ნებართვით;

4. თემის უფლება ჩამოართვას თავის წევრს მიწა იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გადაიხდის მასზე შეწერილ გადასახადს, რაც, როგორც წესი, სოფლის წევრებზე ნაწილდება მიცემული მიწის პროპორციულად⁷³.

სასოფლო მიწათმფლობელობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი სათემო-კოლექტიური მიწის პერიოდული გადანაწილება იყო.

სათემო მიწების გადანაწილების პერიოდი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა იყო. მაგალითად, ა. არღუთინსკის მოწმობით, ქიზიყში ყოველ 3—5 წელიწადში ერთხელ წარმოებდა მიწების გადანაწილება თემების უმრავლეს ნაწილში, ხოლო ერთ-ერთ მათგანში გადანაწილება ჩატარდა 1805, 1820 და 1855 წლებში⁷⁴. მისივე მოწმობით, თელავის მაზრაში მიწების პერიოდული გადანაწილება ხდებოდა 20—25 წელიწადში ერთხელ. უკანასკნელად მიწების გადანაწილება თელავის მაზრის ხუთ თემში მომხდარა 1852 წელს, ხოლო ოთხ თემში — 60-იანი წლების დასაწყისში⁷⁵. თბილისის მაზრაში მიწების გადანაწილება ხდებოდა ყოველი კამერალური აღწერის შემდეგ, ე. ი. დაახლოებით 12 წლის მანძილზე⁷⁶.

დანარჩენ მაზრებში — გორის, დუშეთის, თიანეთის ახალციხის, — მიწების პერიოდული გადანაწილება (სადაც კი სათემო მიწათმფლობელობა არსებობდა) წარმოებდა არა წინასწარ დადგენილ ვადებში, არამედ მაშინ, როდესაც თემი საჭიროდ დაინახავდა⁷⁷. სათემო მიწების გადანაწილება ხდებოდა შემდეგნაირად: დასანაწილებელი ფართობი იყოფოდა ნაწილებად, დღიურებად, ნაჭრებად და სხვ. მიწის მშობელად თემი ირჩევდა სანდო პირს. მიწის გაზომვა თბილისის გუბერნიაში საბელით ხდებოდა და ამიტომ ზოგიერთ თემში გამოყოფილ ნაკვეთს „საბლის მამულს“ უწოდებდნენ.

⁷³ МИЭБГКЗК, т. I, гл. 738; т- III, ч. II, гл. 68; СМИЭБГКЗК, т. I, ч. I, гл. 163—164.

⁷⁴ МИЭБГКЗК, т. IV, ч. II, гл. 216—217.

⁷⁵ МИЭБГКЗК, т. V, ч. I, гл. 31.

⁷⁶ МИЭБГКЗК, т. V, ч. I, гл. 198.

⁷⁷ МИЭБГКЗК, т. III, ч. II, гл. 74—77; т. V, ч. I, гл. 32; т. V, ч. II,

შესაბამისი კატეგორიების მიხედვით დაყოფილი ნაკვეთების და-
რიგება მეკომპურთათვის უფრო ხშირად წილის ყრით ხდებოდა⁷⁸.

მიწის ფართობის გადაცემის ფაქტის ფიქსაცია წარმოებდა სიე-
ბის შედგენით, სადაც აღინიშნებოდა კომლისათვის მიცემული მიწის
ფართობი, ზომა, ადგილმდებარეობა. ამ ჩანაწერს იხილავდა და ამ-
ტკიცებდა სოფლის კრება, ხოლო ბეჭდის დასმით — მამასახლისი.
ყოველივე ამის შემდეგ მეკომპურები ჩაითვლებოდნენ მათთვის გამო-
ყოფილი სათემო მიწების მფლობელებად, მიწების მომავალ გადანაწი-
ლებამდე. ამასთან, თემს უფლება ჰქონდა კომლებზე მიცემული სა-
თემო მიწის ნაკვეთების ფართობის ცვლილებისა მიწების მომავალ
გადანაწილებამდე. იმ შემთხვევაში თუ კომლის წევრთა რაოდენობა
დაიკლებდა, თემი (სოფელი) ამ კომლს ჩამოაჭრიდა მიწის გარკვე-
ულ ფართობს და გადასცემდა მეორე კომლს, რომელიც საჭიროებდა
მეტ ფართობს.

თუ კომლს ინდივიდუალურ მფლობელობაში სამყოფი სახნავი
მიწა ჰქონდა, მაშინ ასეთ კომლს სოფლის კრება, მიწების გადანაწი-
ლების დროს, უარს ეუბნებოდა გასანაწილებელი ფონდიდან სახნავი
მიწის მიცემაზე.

გადანაწილების დროს თემის წევრებისათვის სათემო მიწის ნა-
კვეთების მიცემის ორი საზომი არსებობდა: „კომლი“ და „ლიტრა-
ჩარეკი“. კომლების მიხედვით მიწის დაყოფისას მხედველობაში არ
იყო მიღებული კომლის სულადი რაოდენობა და, საერთოდ, მისი
ეკონომიკური სიძლიერე და შესაძლებლობა⁷⁹.

ლიტრა-ჩარეკის სისტემის დროს კომლები იყოფოდა ეკონომი-
კური შეძლებისა და გადახდისუნარიანობის მიხედვით 4 ჯგუფად:
ლიტრიანები, სამჩარეკიანები, ნახევარლიტრიანები და ჩარეკიანები,
ან — ლიტრიანები, ნახევარლიტრიანები, ჩარეკიანები და ნახევარჩა-
რეკიანები⁸⁰. ლიტრა, საწყავეის გარდა, წარმოადგენდა აგრეთვე ფარ-
თობის საზომსაც.

⁷⁸ МИЭБГКЗК, т. II, ч. I, зб. 547; т. IV, ч. I, зб. 52—56; СМИЭБГКЗК,
т. I, зб. 119—173.

⁷⁹ МИЭБГКЗК, т. IV, V, VI; СМИЭБГКЗК, т. II, 399

⁸⁰ МИЭБГКЗК, т. V, ч. I, зб. 198; ч. II, зб. 24; СМИЭБГКЗК, т. II,
зб. 399.

ლიტრის კაცი ყველაზე შეძლებული იყო. ლიტრიანი კომლი ჯერ უფრო მეტ ნაკვეთს ღებულობდა სათემო მიწიდან, ვიდრე ჩარე-ქიანი კომლი, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ოთხჯერ უფრო მეტ გადასახადს იხდიდა, რადგან სახელმწიფო გადასახადი მიწის ამ ნაკვეთებზე ფართობის მიხედვით იკრიფებოდა. ვისაც მეტი ნაკვეთი ჰქონდა, ის მეტს იხდიდა. ამიტომ ლიტრა-ჩარეკების სისტემის დროს დანაწილებული მიწის ნაკვეთების რაოდენობის აღება კომლის ნებაზე იყო დამოკიდებული, ოღონდ, გადასახადსაც შესაბამისი სიდიდის მიხედვით იხდიდა. მაგრამ ყველა კომლს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაემუშავებინა იმდენი მიწა, რამდენიც მას სურდა.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სასოფლო თემთა უმრავლესობაში, სათემო მიწების დანაწილება ხდებოდა ამპა-ჩარეკის სისტემის საფუძველზე, ზოგიერთ თემში კი „საკომლო“ სისტემის მიხედვით. ამპა-ჩარეკის სისტემაში მაღალი ერთეული იყო ამპა (ლიტრის შესატყვისი), ხოლო დაბალი — ჩარეკი.

ამპა-ჩარეკის სისტემის მიხედვით სათემო მიწების გადანაწილების დროს, მხედველობაში ღებულობდნენ კომლის რიცხობრივ რაოდენობას. კომლის მოთავსება ამა თუ იმ ჯგუფში (ამპა, ნახევარი ამპა, ჩარეკი) და მიწის ნაკვეთის სიდიდის მიცემა მასზე დამოკიდებული იყო კომლის სულაობრივ რაოდენობაზე. თუ ამპა-კომლი შედგებოდა, ვთქვათ, 20 სულისაგან, ნახევარი ამპა-კომლი — 10 სულისაგან.

კომლის რიცხობრივი შემადგენლობის სიდიდე, საერთოდ, განსაზღვრავდა მუშახელის მეტ-ნაკლებ რაოდენობას, მუშახელის რაოდენობა კი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო კომლის ეკონომიკური ძლიერების.

აქაც, ვინც სათემო მიწის ნაკვეთის მეტ ფართობს ფლობდა, უფრო მეტ გადასახადს იხდიდა⁸¹.

მკვლევარი ს. ეგიაზაროვი ფიქრობს, რომ ამპა-ჩარეკის ინსტიტუტი წმინდა არიული წარმოშობისაა, იგი გვხვდებოდა ძველ სომხეთში და ახალციხისა და ახალქალაქის სომხებმა ეს მათი ეროვნული სისტემა აქ თავისი ძველი საცხოვრისიდან (თურქეთიდან) გადმოსახლების შედეგად მოიტანეს⁸².

⁸¹ МИЭБГКЗК, т. III, ч. II, 69, 75.

⁸² СМИЭБГКЗК, т. II, 83, 400.

კომლის სულადობრივი რაოდენობის მიხედვით სათემო მიწის ვადანაწილება არსებობდა აგრეთვე რუს კოლონისტთა სოფლებში, რომლებმაც მიწის განაწილების ეს ფორმა რუსეთიდან გადმოიტანეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს სათემო მიწების სარგებლობის უძველესი ფორმა, ე. წ. დატაცებითი მიწათსარგებლობა. სათემო მიწების „დატაცების“ წესს საქართველოში ადგილი ჰქონდა კახეთში, სახელდობრ ქიზიყში.

ა. არღუთინსკის მოწმობით, ქიზიყში, მის მიერ შესწავლილი 28 თემიდან ხუთ მათგანში: ანაგის, ვაქირის, კაკაბეთის, ყანდაურისა და კედელის თემებში მთელი სათემო მიწები იმყოფებოდა დატაცებით სარგებლობაში. დანარჩენ თემებში, სოფელთან ახლო მდებარე მიწების უკეთესი ნაწილი იმყოფებოდა „წესიერ“ ვადანაწილებაში, ხოლო ნაწილი — „დატაცებით“ სარგებლობაში.

ა. არღუთინსკი დაწვრილებით აგვიწერს „დატაცებითი“ მიწათსარგებლობის წესს ქიზიყის ზემო მაჩხანის, ჯულანის, მირზაანის და საქობოს თემებში, ამ აღწერით „დატაცება“ ასე ხდებოდა: მთელი ფართობი იყოფოდა ნაკვეთებად (როგორც ჩანს, თანასწორ — დ. კ.); დათქმულ ღღესა და დროს აქ მოვიდოდნენ კომლთა წარმომადგენლები (ქვეითი და ცხენოსნები) და დადებოდნენ განსაზღვრულ ხაზზე. მამასახლისის მიერ მიცემული ნიშნის მიხედვით ყველანი ერთდროულად დაიძრებოდნენ სარბენად ნაკვეთების დასაკავებლად. ვინც ადრე მოასწრებდა, ახლობელ ნაკვეთს ის დაიკავებდა, ხოლო ვინც ვერა, გარბოდა შემდეგი ნაკვეთის დასაკავებლად და ა. შ. სათემო მიწების ასეთი დატაცებითი წესის დროს, ნაკვეთს ორი ან სამი წლით იკავებდნენ⁸³.

არსებობდა სათემო მიწების დატაცებითი მიწათსარგებლობის სხვაგვარი წესიც. სახელდობრ, ადგილი არ ჰქონდა მიწების ნაკვეთებად დაყოფას. დათქვამდნენ: ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას მოვხნათო. დათქმულ ვადაზე ვინც სად მოასწრებდა და მოხნავდა, ის ნაკვეთი მისი იყო იმ დრომდე, სანამ ნაკვეთი არ გამოიფიტებოდა. ნაკვეთების ერთი ნაწილის გამოფიტვის შემდეგ კი, იგივე წესით, სხვა ნასვენ მიწებს იკავებდნენ და იყენებდნენ.

ანდა კიდევ ასეთი წესიც იყო: ყოველგვარი ვადისა და დათქმის გარეშე გაიტანდნენ გუთანს და მოხნავდნენ, ვინ როგორც დაასწრებდა.

⁸³ МИЭБГКЗК, т. IV, ч. II, გვ. 213.

ვინც დაასწრებდა და მოხნავდა, მოხნული მიწა იმ წელიწადს იყო. მეორე წელიწადს კი სხვას შეეძლო დაეჭირა ეს ნაკვეთი, თუკი წინანდელ მფლობელს დაასწრებდა და მოხნავდა. ყველას უფლება ჰქონდა სხვებისათვის დაესწრო და სადაც უნდოდა და რამდენიც უნდოდა მოეხნა.

სათემო მიწათსარგებლობის ეს უძველესი, დატაცებითი, წესი მოწმობდა სათემო მიწების ფონდის სიდიდეს, როდესაც არ იყო იმის საშიშროება, რომ ვინმე დარჩებოდა სახნავ-სათესი მიწის გარეშე.

დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, სათემო მიწათსარგებლობის ეს დატაცებითი წესი უკმაყოფილებას იწვევდა ლარბ გლეხობაში, რადგან ასეთი წესის დროს მხოლოდ შეძლებულ გლეხებს შეეძლოთ სხვებზე ადრე გაეტანათ გამართული გუთნეული და მოეხნათ უკეთესი და უფრო მეტი სახნავ-სათესი ფართობი, ღარიბები კი იჩაგრებოდა და ამიტომ ისინი დატაცებითი წესის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამის გამო, სათემო მიწათსარგებლობის ეს დატაცებითი წესი თანდათან ქრება და XIX ს. მიწურულში ადგილს უთმობს მიწების წესიერ გადაწილებას.

ამგვარად, სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევართა მასალებითა და მოწმობით, აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხობაში XIX ს-ის II ნახევარში მიწათმფლობელობის ორი ძირითადი ფორმა არსებობდა: საკომლო ინდივიდუალური და სათემო-საერთო მფლობელობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მკვლევრის ს. ა. ეგიაზაროვის ნაშრომები „Формы крестьянского землевладения в Кутаисской губернии“ და „Формы общины и крестьянского землевладения в Тифлисской губернии“. ეს ნაშრომები წარმოადგენს ზემოთ განხილულ გლეხთა ყოფა-ცხოვრების მკვლევართა მიერ შეგროვებული მასალებისა და გამოკვლევების გაანალიზებასა და განზოგადებას.

ს. ეგიაზაროვი იმ ნაშრომში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობას ეხება, გამოკვლევას იწყებს თემის წყობილებისა და მისი ფორმების შესწავლით თიანეთის მაზრაში, რომელიც დასახლებული იყო ფშავლებით, ხევსურებითა და თუშებით. თიანეთის მაზრა მაშინ შედგებოდა 207 სოფლისაგან. ძველად ეს 207 სოფელი შეადგენდა 21 საზოგადოებას: 12—ფშავს,

5.—ხევსურების და 4—თუშების. 80-იან წლებში კი საზოგადოების ცხვი შეადგენდა 29-ს.

იმდროინდელი ისტორიული მეცნიერების მიღწევების, ჩანს, უმთავრესად ლ. მორვანის კონცეფციითა საფუძველზე, ს. ეგიაზაროვი აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო მარტივი ფორმა, — რომლისგანაც დროთა განმავლობაში წარმოიქმნენ უფრო მსხვილი და რთული საზოგადოებრივი ერთეულები, — იყო გვაროვნული ერთობა. იგი განვითარების შედეგად გადადის ან სასოფლო ერთობაში, რომელიც ჩვეულებრივ შედგება სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებისაგან, ანდა სასოფლო-საგვარეულო ერთობაში, რომელიც შეიცავს მრავალ სოფელს, შექმნილს ცალკეული გვარების მიერ.

მკვლევარი არსებითად სწორად აღნიშნავს გვაროვნული ერთობის ძირითად ნიშნებს:

1. წარმოშობის ერთობა. გვაროვნული ერთობა წარმოადგენს სასხლის ნათესავეების კავშირს;

2. გვაროვნული ერთობა წარმოადგენს ეკონომიკურ ერთეულს. მისი წევრებში ერთმანეთთან დაკავშირებულია ქონებრივი ინტერესებით და, პირველ ყოვლისა, სათემო მიწათმფლობელობით. როგორც მარტივ გვაროვნულ, ისე სასოფლო-საგვარეულო ერთობაში, ადგილმამულები ითვლება მთელი ერთობის („ობშინის“) საკუთრებად. მაგრამ ადგილ-მამულის კოლექტიური ფლობა არ გამორიცხავს ოჯახები ფლობდნენ გარკვეულ ნაკვეთებს მემკვიდრეობითი უფლებით, საკარმიდამო მიწები და სოფლისპირა შემოღობილი ნაკვეთები იმყოფება ცალკეულ კომლების ინდივიდუალურ-მემკვიდრეობით მფლობელობაში;

3. გვაროვნული ერთობები დაკავშირებულია ერთმანეთთან რელიგიური ინტერესებით — საეგვარეულო კულტით;

4. გვაროვნული ერთობა არის ამავე დროს ადმინისტრაციული ერთეული. მას აქვს განსაზღვრული უფლებებრივი წყობა და წესი. ამის დასაცავად კი მას აქვს ხელისუფლება და მისი ორგანოები.

საგვარეულო კულტის დასაცავად მათ ჰყავთ ქურუმები — დეკანოზები და ხუცები;

5. გვაროვნული ერთობა არის აგრეთვე საზოგადოებრივი ერთეული⁸⁴.

⁸⁴ С. А. Егнazarов, *Формы общины и крестьянского землевладения в Тифлисской губернии*, СМИБГКЭК, т. II, Тиф., 1887, გვ. 388—394.

განიხილავს რა სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობის ფორმებს აღმოსავლეთ საქართველოში, ს. ეგიაზაროვის აზრით, შეგროვილი მასალების გულდასმით შესწავლას მიყვავართ იმ დასკვნამდე, რომ აქ მიწათმფლობელობის ორი ფორმაა: საკომლო-ინდივიდუალური და სათემო-საერთო. მთელი რიგი ადგილ-მამული, როგორცაა საკარმი-დამო, ბალი და სოფლისპირა სახნავეები იმყოფება კერძო-მემკვიდრე-ობით მფლობელობაში, ხოლო დანარჩენ მიწებს, როგორცაა, სოფ-ლისაგან მოშორებული სახნავეები და დამხმარე ადგილ-მამული, გლე-ხები ფლობენ საერთო (ერთობის) საფუძველზე.

საკომლო-მემკვიდრეობითი (ინდივიდუალური) მფლობელობა სა-ხაზინო გლეხებს, ეგიაზაროვის აზრით, არ ანიჭებდა საკუთრების უფლებას მიწაზე, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაინც სახელმწიფო საკუთრებად რჩებოდა⁸⁵.

შემდეგ იგი განიხილავს სათემო მიწების გადანაწილების საკო-ლო, ლიტრა-ჩარექის და ამბა-ჩარექის სისტემებს, რაც ზემოთ აღნიშ-ნა ეხება ასევე სათემო მიწათსარგებლობის უძველეს წესს — და-ტაცებით მიწათმფლობელობას. განიხილავს სათემო მიწების გადანა-წილების პერიოდებს და აღნიშნავს მის დიდ ინტერვალებს. მისი აზ-რით, გადანაწილების განუსაზღვრელი და ხანგრძლივი პერიოდები იწ-ვევს მიწების არათანაბარ ფლობას გლეხთა შორის. იგი იმოწმებს აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევ-რებს, რომლებიც ერთხმად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ბატონყმო-ბის გაუქმების შემდეგ გლეხობის შეძლებულმა ნაწილმა და კულა-კებმა დაიტაცეს და ხელში ჩაიგდეს სათემო მიწების დიდი და უკუ-თესი ნაწილი და ხელს უშლიან მიწების ხელახალი გადანაწილებას მოწყობას. მეთემეთა უღარიბესი ნაწილი კი ძალზე განიცდის მიწის ნაკლებობას, ხოლო ზოგიერთ ადგილებში სრულიად უმიწონი გახცი-ნენ.

ს. ეგიაზაროვი აღნიშნავდა, რომ მიწების გადანაწილების ასეთი უთანაბრობით აიხსნება ის მძაფრი აგრარული ბრძოლა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ეწეოდა მეთე-მეთა უღარიბესი ნაწილი მდიდრებთან და კულაკებთან⁸⁶.

85 С. А. Егизаров, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 397.

86 იქვე, გვ. 399—402.

ასეთია, ძირითადად, XIX ს. 80-იან წლებში სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევრების მიერ ჩატარებული მუშაობა და მათი გამოკვლევები — საქართველოს ცალკეულ კუთხეებში სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობისა თუ არარსებობის შესახებ.

* * *

შემდეგი მკვლევარი, რომელიც შეეხო სათემო-საგვარეულო მიწათმფლობელობის არსებობის საკითხს საქართველოში, ეს იყო XIX ს-ის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ა. ხახანაშვილი. 1900 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში — „Некоторые черты строя и культуры древней Грузии, по данным археологии и этнографии“ — ა. ხახანაშვილმა, მთელ რიგ წყაროებზე და გამოკვლევებზე დაყრდნობით, ასევე, არქეოლოგიურ და განსაკუთრებით ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვებებით, წამოაყენა საინტერესო მოსაზრებები, რითაც დაადასტურა გვაროვნული წყობილებისა და თავდაპირველად მატრიარქატის არსებობა ძველ ქართველ ტომებში. ასევე, სტრაბონის მონაცემებზე დაყრდნობით, — რომელიც გვამცნობს ძველი იბერიის დაყოფას ოთხ წოდებად, რომელთაც (ცალკეულ წოდებებს) საერთო ქონება გააჩნიათ, — ა. ხახანაშვილმა მიუთითა ძველ საქართველოში, იბერიაში, საერთო საგვარეულო მიწათმფლობელობის არსებობაზე⁸⁷.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობის საკითხს შეეხო აგრეთვე გასული საუკუნის მკვლევარი-ეთნოგრაფი ბესარიონ ნიჟარაძე, რომელიც წერდა წერილებს სვანეთის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებაზე. მან უარყო სვანეთში სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობა სახნავ მიწებზე XIX ს. მეორე ნახევარში, ხოლო რიგ სხვა საგვარეულებზე, მისი მოწმობით, საერთო მფლობელობა იყო. იგი წერს: „სვანეთში სახნავი მიწა საერთო მფლობელობაში არ არის. საზოგადო, სასოფლო და სათემო მფლობელობაში არიან: სამწყემსური საძოვარი ადგილები, სათიბები მთებში და ზოგიერთი ტყე-

87 А. Х а х а н о в, Некоторые черты строя и культуры древней Грузии, по данным археологии и этнографии; Юбилейный сборник, в честь Всеволода Федоровича Миллера, Москва, 1900, зз. 13—19.

ები“, „საერთო ტყის, სათიბის და საბალახო ადგილების ხმარებას, სარგებლობას ერთი მეორეს ვერ-ვინ დაუშლის“⁸⁸.

მას მნიშვნელოვანი დაკვირვებები აქვს სვანეთის სასოფლო ერთობის სხვა ინსტიტუტებზეც.

ზემოთ განხილული არის ძირითადად ის, რაც მოგვცა ჩვენ რევოლუციამდე, XIX საუკუნის ისტორიოგრაფიამ, — ძველი თუ ვიწრო დროის საქართველოში საერთო, სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობის შესახებ.

* * *

ახალი პერიოდი საქართველოს ისტორიის შესწავლისა იწყება გასაბჭოების შემდეგ.

ახალი ეტაპი კი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებისა დაკავშირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელთან. საქართველოს წარსულის მრავალრიცხოვანი პრობლემების შესწავლისას, ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ თვალსაწიერს არ გამოორჩენია სათემო-მიწათმფლობელობის საკითხიც. სახელდობრ, სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობის ფართოდ არსებობა ივ. ჯავახიშვილმა დაინახა სტრაბონის დროინდელ იბერიაში, თვით სტრაბონის ცნობილი ცნობების საფუძველზე. ივ. ჯავახიშვილი წერს: „სტრაბონის აღწერილობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოში სავგარეულო მიწისმფლობელობის არსებობის შესახებ ცნობაა. მისი სიტყვით, ქონება იბერებს საერთო ჰქონიათ საგვარეულოთა მიხედვით და ამ საერთო საგვარეულო ქონებას გვარის უხუცესი განაგებდა. მაშასადამე კერძო საკუთრება მაშინ, უძრავი მაინც, არ ყოფილა. უძრავი ქონება გვარის საერთო საკუთრება იყო და თვით ამ ქონების მოვლა-გამგეობაც საერთოვე ყოფილა, რადგან მისი მართვა-გამგეობის უფლება გვარის უხუცეს წევრსა ჰქონია ხელთა“. ამავდროულად იგი წერს, რომ საქართველოში „სტრაბონის აღწერილობა-

⁸⁸ ბესარიონ ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. 1, 1962, გვ. 115.

დანა ჩანს, რომ I ს. ქ. წ. სოციალური უთანასწორობის მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო⁸⁹.

მაგრამ, ზემოთ თქმულის გარდა, ივ. ჯავახიშვილი სათემო-საერთო მიწათმფლობელობის საკითხს შემდგომში არ შეხებია.

პარალელურად, VI—VII საუკუნეების საქართველოში ბრძოლა მეთემეთა (სოფლელთა) მიწის ფეოდალური მითვისებისათვის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ პირველად შენიშნა და გააანალიზა ს. კაკაბაძემ. ეს ძეგლი, მისი აზრით, VII საუკუნისაა. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ფეოდალ ჩორჩანელის სამფლობელოში „თავისუფალ დამოუკიდებელ მოსახლეებს“, ე. ი. თავისუფალ მეთემეებს, ბრძოლა უხდებოდა თავიანთი ადგილ-მამულის დასაცავად აქ მოსული სამონასტრო ბერების წინააღმდეგ, რომელნიც ფეოდალ ჩორჩანელის მფარველობით ცდილობდნენ მათი ადგილ-მამულის ხელში ჩაგდებას. მართალია, ს. კაკაბაძე არ აღნიშნავს თავისუფალი მეთემეების ეს ადგილ-მამული რა სახისა იყო: პარცელარულ-ალოდალური თუ სათემო, მაგრამ ამ ფაქტის — „თავისუფალი“ მეთემეების მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ბრძოლის დანახვას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა აქ სათემო მიწისმფლობელობის დასადასტურებლად⁹⁰.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში რიგი მკვლევრები საქართველოს ისტორიის ძველი ინსტიტუტების გაშუქებას ცდილობენ გადმონაშთებრივი რეალიების შესწავლით და მათ ეძიებენ უმთავრესად საქართველოს მთიანეთში — თუმ-ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში და სხვა კუთხეებში.

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გ. თევდორაძე და ეთნოგრაფი ს. მაკალათია.

შეიძლება ითქვას, გ. თევდორაძე იყო პირველი, რომელმაც ნ. ხიზანაშვილის შემდეგ, ასე საფუძვლიანად აღწერა ფშავ-ხევსურეთი. მან 5 წელი დაჰყო ფშავ-ხევსურეთში და დაწვრილებით აღწერა მათი საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა. ისე როგორც ნ. ხიზანაშვილმა, გ. თევდორაძემ თავის ნაშრომში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, რომელიც 1930 წელს დაიბეჭდა, კვლავ დაადასტურა სათემო-საერთო

⁸⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1928, გვ. 148, 190

⁹⁰ С. Какабадзе, Из социально-экономических вопросов средневековой Грузии, ИКИАИ, т. V, Тиф., 1927 г. гв. 108—109.



მიწათმფლობელობა სახატო მამულების სახით. ეხება წის საერთო მფლობელობას, ხევსურეთის ერთ-ერთი თემის, შესახებ გ. თევდორაძე წერს, რომ აქ რიგი „მშვენიერი შემოსავლიანი ადგილები ახლა ხატების საკუთრებას შეადგენს, მათ ხატების სასარგებლოდ ამუშავებენ შატლიონები და მთელი წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილ ყოველ დღესასწაულზე დროს გასატარებლად ხარჯავენ ხატის მამულის მთელ შემოსავალს. ასე რომ, ამ მამულით სარგებლობა რომელსაღე კერძო ოჯახს არ შეუძლია, იგი ფაქტიურად მთელ სოფელს ეკუთვნის და მისი დამუშავების: დათესვის, მომკის, თანაბარ განაწილების ფარგლებში ერთგვარი პრიმიტიული სახის კომუნა არსებობს.

ასეთი პირველყოფილი წესი და ადათი არათუ შატილელებში (შატლიონებში), არამედ მთელი ხევსურების ცხოვრებაში ტრადიციულად არის შემუშავებული და განმტკიცებული“⁹¹.

მაგრამ გ. თევდორაძე სპეციალობით ექიმი იყო და აღნიშნულ ფაქტი საერთო მიწათმფლობელობისა მას ისტორიულ ჭრილში სპეციალურად არ შეუსწავლია. იგი ფაქტის აღნუსხვითა და მისი მოკლე სწორი ახსნით დაკმაყოფილდა — ისტორიულ სიძველეს, საქართველოს ისტორიის ადრინდელ ხანას დაუკავშირა და მთელი თემის მიერ სახატო მამულების საერთო მფლობელობასა და მოსავლის თანაბარ განაწილებას მართებულად „პრიმიტიული სახის კომუნა“ უწოდა.

საქართველოს მთიანეთში ქართველი ხალხის ძველი ყოფის გადმონაშთების შესწავლის საქმეში ეთნოგრაფებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ს. მაკალათიას ნაშრომები. ს. მაკალათიამ ჩაატარა დიდი სამუშაო საქართველოს მთიანეთის, სახელდობრ, თუშეთის, ფშავის, ხევსურეთის და სხვა კუთხეების სოციალური, ეკონომიკური, საოჯახო, საკულტო-რელიგიური და საზოგადოებრივი ყოფის მთელი რიგი საკითხების ყოველმხრივი, კომპლექსური შესწავლისათვის. საამისოდ მან გამოაქვეყნა ნაშრომები: თუშეთი (1933 წ.), ფშავი (1934 წ.), ხევსურეთი (1935 წ.) და მრავალი სხვა. მის ნაშრომებში გამოკვლევასთან ერთად მოცემულია ავტორის უშუალოდ ადგილზე შეკრებილი მასალა აღნიშნული კუთხეების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის.

⁹¹ გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1930, გვ. 73.



აღნიშნული კუთხეების სოციალურ-ეკონომიკურ, საოჯახო და რელიგიურ-საკულტო წესწყობილების კომპლექსურ შესწავლასთან ერთად, გვარონული წყობილების გადმონაშთებთან დაკავშირებით, მკვლევარი თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც ეხება აგრეთვე სათემო-საეკლესიო მიწათმფლობელობის არსებობის საკითხსაც. სათემო მიწათმფლობელობაზე მსჯელობისას აღნიშნულ კუთხეებში ს. მაკალათია იყენებს XIX ს. 80-იან წლებში ზემოვანხილულ სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევართა ნაშრომებს და ამასთან ერთად სწავლობს თანამედროვე მდგომარეობასაც, გვაცნობს საკუთარ დაკვირვებებს.

თუ შეთის შესახებ მკვლევარი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნემდე აქ სათემო-საერთო მიწათმფლობელობა არსებობდა და თერა მოსახლეობას მიწებს თანაბრად უნაწილებდაო. „თემი.. მიწებს პერიოდულად ანაწილებდა თემში შემავალ საგვარეულო ოჯახებს შორის. მიწები განსაზღვრულ ვადამდე მათ დროებით სარგებლობაში რჩებოდა“⁹². XIX საუკუნეში კი, მისი აზრით, „სავაჭრო კაპიტალის“ განვითარების შედეგად სათემო მიწათმფლობელობა ირღვევა და მანაცვლად მიწაზე მტკიცდება კერძო, ინდივიდუალური საკუთრება: სისტემა⁹³.

სათემო მიწათმფლობელობის გადმონაშთებს მკვლევარი ხედავდა მის დროსაც. ასეთი იყო აქ „წილის მიწა“ — სათემო საერთო მიწებიდან წილის ყრის შედეგად მიღებული ნაკვეთი, და „სახატო მიწა“ — თემის საზოგადოების საერთო მიწა, რომელსაც ერთად ამუშავებდნენ და რომლის მოსავალიც საკულტო დღესასწაულისათვის იყო განკუთვნილი.

ს. მაკალათიას მიხედვით, სათემო-საერთო მიწათმფლობელობის გადმონაშთები არსებობდა ფშავშიც. აქაც, მისი განცხადებით, XIX საუკუნემდე „მიწის კერძო ინდივიდუალური საკუთრება.. არ არსებობდა და თემში შემავალ ოჯახებს მიწა თანაბრად უნაწილდებოდა“. აქ მკვლევარი, ცხადია, აჭარბებს, რადგან XIX საუკუნემდეც ფშავში სათემო-საერთო მიწათმფლობელობასთან ერთად არსებობდა აგრეთვე მიწის კერძო, ინდივიდუალური მფლობელობა.

ს. მაკალათია ეყრდნობა XIX ს. 80-იანი წლების სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევართა გამოკვლევებს და აღნიშნავს, რომ XIX

92 ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933, გვ. 144—145.

93 იქვე, გვ. 145.

ს. მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, „განსტე-
ცდა კერძო საკუთრების სისტემა“ და ახალმა ეკონომიკურმა ურთი-
ერთობამ გამოიწვია ფშავში ძველი წყობილებისა და „მიწათმფლო-
ბელობის ძველი წესების რღვევა“-ო, რის შედეგად მოსახლეობის
ნაწილი გამდიდრდა, ნაწილი გაღარიბდა. ამიტომ ღარიბი მოსახლე-
ობის დაყენებითი მოთხოვნით მთავრობას XIX ს. 70-იან წლებში
აღუდგენია მიწების პერიოდული დაყოფის სისტემა, რასაც ფშავში,
მისი მოწმობით, კოლექტივიზაციის გატარებამდე იცავდნენ. აქ მა-
წების პერიოდული დანაწილების ვადა ყოფილა 20 წელი. ნაკვეთებს
კომლები იღებდნენ კენჭისყრით, რასაც ფშავში „წილის ყრას“ ეძახ-
დნენ.

სახნავი მიწები ფშავში შედარებით მცირე იყო, რომელიც, ს.
მაკალათის მოწმობით, იყოფოდა: სახატო, კარისპირის, ნაწილარის
და სხვა სახის ნაკვეთებად. „ამათში სახატო მიწები წილის ყრასში
არ შედიოდა. ის ხატს ეკუთვნოდა და ხელშეუხებელი იყო. ხატის მა-
მულებს წინათ ხატის ყმები ამუშავებდნენ და მოსავალიც ხატს ხმა-
რდებოდა. ამ სახატო მიწებს ფშავში საკმაო დიდი ფართობი უჭ-
რავს და ღირსებითაც უკეთესია“. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ „რე-
ვოლუციამ ხატებს მამულები ჩამოართვა, მაგრამ ცრუმორწმუნე გლე-
ხოზა მაინც ვერ ბედავს ხატის ამ მამულების წილში ჩავიდებას და კერ-
ძოდ დამუშავებას“⁹⁴.

აღსანიშნავია, რომ ფშავის ერთ ნაწილში — მაღაროს თემში,
კარისპირა მიწები (მიწები რომლებიც კარმიდამოს ეკრა) გადანაწი-
ლებაში არ შედიოდა, რადგანაც ამ თემში მოსახლეობა გაფანტული
იყო, კომლები ერთმანეთისაგან განცალკევებით და მოშორებით სახ-
ლობდნენ. ფშავის მეორე ნაწილში კი, — უკანაფშავის თემში, სადაც
მოსახლეობა შეჭკუფულად ცხოვრობდა, კარისპირა მიწებიც გადანა-
წილებაში შედიოდა.

ს. მაკალათიამ სათემო-საერთო მიწათმფლობელობის გადმონაშაი
დაადასტურა აგრეთვე ხევსურეთშიც, მაგრამ ისე როგორც ნ. ხიზანა-
შვილმა და გ. თევდორაძემ მხოლოდ სახატო მიწათმფლობელობის სა-
ხით. მიწების მეტი ნაწილი კი — კარისპირა, სახნავ-სათესი და სხვა
სავარგულეები, კომლებს ჰქონდათ კერძო ინდივიდუალურ საკუთრება-
ში. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მიწის კერძო საკუთრების სისტემა

⁹⁴ ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 32—34.

წინათ ხევსურული ადათით მტკიცედ იყო დაცული, განსაკუთრებულ პრაგვის ხეობაში, სადაც სახნავი მიწა, სათიბი და ტყე კერძო საკუთრებას შეადგენდა. „მიწების ყიდვა-გაყიდვა, იჯარით თუ საზიაროთ გაცემა ხევსურული ადათით დაკანონებული იყო და იგი ჩვეულებრავ მოვლენას წარმოადგენდა“⁹⁵.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსისტული კვლევის ეტაპის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია ს. ჯანაშია. ს. ჯანაშია თავის ნაშრომებში ეხება სათემო მიწათმფლობელობის საკითხსაც, ძველი და ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში. ისე როგორც ყველა მკვლევარი, სათემო მიწათმფლობელობის საკითხის გარკვევისას საქართველოში პირველ საუკუნეებში, ს. ჯანაშია მიმართავს ცნობილი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის ცნობებს, რადგან სხვა წყარო ან რაიმე ცნობა სათემო-საერთო მიწათმფლობელობაზე აღნიშნულ პერიოდში ჩვენ არ გავვაჩნია.

როგორც ცნობილია, სტრაბონის ცნობით, იბერიის მოსახლეობა (საზოგადოება) იყოფოდა 4 წოდებად: 1. სამეფო საგვარეულის, 2. ქურუმების, 3. მეომრებისა და მიწათმოქმედთა და 4. მდაბიო ხალხისაგან ანუ „ლაოებისაგან“, რომლებიც სამეფო საგვარეულოს ემსახურებოდნენ. ამის მომდევნო სიტყვები სტრაბონისა: „ქონება მათი საერთოა საგვარეულოთა მიხედვით, რომლებშიაც თვითეულში მეთაურობს და განაგებს უზუცესი (ასეთია იბერები და მისი ქვეყანა)“, — ივ. ჯავახიშვილმა „საერთო ქონება“, ცხადია, პირველ რიგში მიწების საერთო მფლობელობა, გააგრძელა იბერიის (ქართლის) ოთხივე წოდებაზე (გენზე) და, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, მისი დასკვნით „ქონება იბერებს საერთო ჰქონიათ საგვარეულოთა მიხედვით“ და „კერძო საკუთრება მაშინ, უძრავი მაინც, არ ყოფილა“. ს. ჯანაშიამ სტრაბონის ტექსტის ასეთი გაგება სწორად არ მიიჩნია, და მისი აზრით, სტრაბონის სიტყვები „ქონება მათი საერთოა საგვარეულოთა მიხედვით“, ეხება მხოლოდ მეოთხე — „ლაოების“ ანუ მდაბიო ხალხის (სამეფო მონების, ყმების) წოდებასო, რადგან აღნიშნული სიტყვები მეოთხე წოდების დახასიათებას მოსდევსო. მისი დასკვნით, „სადაო ცნობა მხოლოდ მეოთხე „წოდებას“ გულისხმობს“-ო⁹⁶. ს. ჯა-

95 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 54—56.

96 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, გვ. 138—142.

ნაშის აზრით, სტრატონის ცნობის თანახმად, იბერიის სამეფო ანუ მდაბიო ხალხი „შეკავშირებული ყოფილან თემებად“, ცხოვრობდნენ „ყმა-თემების სახით“⁹⁷, და მასასადამე, მათში გაბატონებულ იყო საერთო, სათემო მიწათმფლობელობა. რაც შეეხება იბერიის საზოგადოების ძირითად მასას, „მესამე გენეს“ ანუ „ერის“ მიწისმფლობელობას, ს. ჯანაშიას აზრით, „განსაკუთრებით“ საქართველოს ბარში, „ბარის სახლებში“ („ერის“ კომუნებში) „ამ დროს (I საუკუნეში ჩვენს ერამდე და უფრო ადრე) თემური მიწისმფლობელობა საეცხბით დარღვეულად არის საგულისხმებელი“⁹⁸.

ს. ჯანაშია შეეხო აგრეთვე ქართლის „თემისა“ და სათემო მიწათმფლობელობის წარმომავლობის, მისი პირველადობის საკითხს. სახელდობრ, სატაძრო მიწათმფლობელობის წარმოშობასთან დაკავშირებით, ს. ჯანაშია აღნიშნავდა ქართლის „თემისა“ და სათემო მიწათმფლობელობის საერთო ხასიათს, ხოლო სატაძრო მიწათმფლობელობა, ტაძრის მემამულეობა, მისი აზრით, თემების საზოგადოებრივი მიწის ფონდიდან მიწების გამოყოფით იყო წარმოქმნილი. „პირველყოფილ საზოგადოების თავისუფალ თემში“, წერს იგი, „ტაძრას მიწებს“ „თვით თემი გამოჰყოფს საერთო საზოგადოებრივ ფონდიდან“⁹⁹ (ხაზი ავტორისა).

ს. ჯანაშია ეხება აგრეთვე სათემო-საერთო მიწათმფლობელობის რღვევის საკითხს ფეოდალურ ხანაში და აღნიშნავს, რომ იგი თანდათან ეცემოდა მიწაზე ფეოდალური საკუთრების დამკვიდრებისა და გაფართოების შედეგად, ჯერ, როგორც საერთოდ ცნობილია, სახნავ-სათესებზე, შემდეგ სათემო საძოვრებზე, ხოლო ყველაზე გვიან სათემო ტყეზე. სათემო ტყის ფეოდალური მითვისებისათვის ბრძოლის პროცესი საქართველოში, ს. ჯანაშიამ დაინახა ბასილ ზარზმელის თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, სადაც მოთხრობილია სერაპიონისა და მისი მოძმე „სულიერი მამების“ მიერ ზარზმის მონასტრის აშენების ისტორია სამცხეში, ქვაბლიანის ხეობაში. აღნიშნულ საკითხს ს. ჯანაშიამ სპეციალური წერილი მიუძღვნა — „ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში“. ავტორის აზრით, ბასილ ზარზმელის აღნიშნული თხზულებიდან კარგად ჩანს

97 ს. ჯანაშია, დასახ. შრ., გვ. 142.

98 იქვე, გვ. 164.

99 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 168.

სათემო მიწების, კერძოდ, სათემო ტყის მითვისება ფეოდალურ მიერ, რომელსაც სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ კვლავ თვლის სოფლის სათემო კოლექტიურ საკუთრებად. ს. ჯანაშია დასკვნის, რომ „ტყეის ბერები ფეოდალისაგან“ იღებენ, „რომელიც მას თავისი „საბრძანებლის“ ნაწილად და თავის საკუთრებად სთვლის. მაგრამ სხვანაირად უყურებს ამ საქმეს ხალხი: აშკარაა, რომ იგი ფეოდალის ამ უფლებებს არ სცნობს, რომ იგი ჯერ კიდევ არ შეირიგებია ტყის დაკარგვასაც, მასზე თავისი უძველესი თემური უფლების გაუქმებას. ამ ნიადაგზე ჩნდება აღწერილი მწვავე ბრძოლა. ცხადია, რომ ჩვენ თვალთა წინ ის ხანაა, როდესაც მიწისთვის ბრძოლის უკანასკნელი მოქმედება სრულდება, სათემო ადგილმამულის ფეოდალთა მიერ მიტაცების უკანასკნელი ეტაპი“¹⁰⁰.

შეიძლება დავა ოხზულების ტექსტის ზოგი ადგილების გაგებაში და, ამასთან, სწორი არაა, თითქოს, „უკანასკნელი ეტაპი“, „უკანასკნელი მოქმედების დასრულება“ იყო აღნიშნულ ხანაში, IX—X საუკუნეებში, ფეოდალთა მიერ, სათემო ადგილ-მამულის მიტაცებისა, მაგრამ ის კი სავსებით სწორია, როგორც ამას ს. ჯანაშია დასკვნის, რომ სათემო ადგილ-მამულის, მათ შორის სათემო ტყეების მიტაცებისა და მათზე ფეოდალური საკუთრების უფლების გაგრძელებას, დიდი ენერგიით ცდილობდნენ ფეოდალები — გაბატონებული კლასის წარმომადგენლები.

სათემო მიწათმფლობელობის საკითხს გვიანი ხანის ქიზიყში მოკლედ შეეხო გრ. ნათაძე. მან ზოგადად აღნიშნა აქ სათემო მიწათმფლობელობისა და მიწების პერიოდული დანაწილების არსებობა XVIII ს-ის ბოლოს, მაგრამ რაიმე ფაქტობრივი დადასტურება საამისოდ არ მოაქვს¹⁰¹. აშკარაა, ასეთი სურათის წარმოსახვის საფუძველი მას მასცა XIX ს-ის 80-იან წლებში აღწერილმა ფაქტიური ვითარების მასალებმა, სახელმწიფო გლეხთა მკვლევართა ნაშრომებში რომ არის მოცემული. აშკარაა, ეს ვითარება გრ. ნათაძემ, ისე როგორც სხვებმა

¹⁰⁰ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 448.

¹⁰¹ Г. Натадзе Крестяне «сахасо» в Восточной Грузии в конце XVIII столетия, Мსკი, ნაკ. V, 1937., გვ. 258.



რეტროსპექტული მეთოდით გადაიტანა ადრეულ ხანაში, სახელმწიფო XVIII ს-ის ბოლოს.

შემდეგში სათემო მიწისმფლობელობაზე ნაშრომი გამოაქვეყნა პ. გუგუშვილმა 1946 წელს. პ. გუგუშვილი სათემო მიწათმფლობელობას განიხილავს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ფაქტიურად იგი ეხება სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობის ფორმებს. მისი ნაშრომი ამ საკითხზე „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში (1800—1921 წწ.)“ მთლიანად ემყარება XIX საუკუნის 80-იანი წლების სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევარების შეგროვებულ მასალებსა და გამოკვლევებს, ასევე, ამავე პერიოდში ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და სხვების მიერ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ წერილებს, რომლებიც მიძღვნილი იყო სათემო მიწათმფლობელობის საკითხებისადმი. საკითხის შესასწავლად აღსანიშნავია მისი პირადი დაკვირვებანიც რიგ კუთხეებში ადგილზე მისვლით.

პ. გუგუშვილი ნაშრომში აღნიშნავს, რომ სათემო მიწათმფლობელობის (მიწათსარგებლობის) გადმონაშთები დაცულ იქნა უპირატესად სახელმწიფო გლეხთა შორის. რუსეთში 1861 წლის კანონით სახელმწიფო გლეხები გადაიქცნენ კერძო მესაკუთრე გლეხებად. ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხებზე კი არც 1861 წლის და არც 1906 წლის კანონი არ გაუგრცელებიათ. ასე რომ, აქაური სახელმწიფო გლეხები თვით 1917 წლამდე დარჩნენ სახელმწიფო მიწებზე, ე. ი. რეფორმამდელი რუსეთის სახელმწიფო გლეხების მსგავსად იხდიდნენ საბაზო გადასახადს და თემობრივად სარგებლობდნენ სახელმწიფო მიწებით, როგორც ამ მიწების მემკვიდრეობითი მემკვიდრეები. ამ გარემოებას შესამჩნევი ზომით შეუწყო ხელი ამიერკავკასიაში მიწის სათემო მფლობელობის გადმონაშთების შემდგომ შენარჩუნებას¹⁰².

არსებულ მასალათა საფუძველზე, პ. გუგუშვილი მთელს ამიერკავკასიაში სახელმწიფო გლეხთა სარგებლობაში მყოფ ყოველგვარ ვარგის მიწებს ჰყოფს ორ მთავარ ჯგუფად: 1. საკომლო-ინდივიდუალურ და 2. სათემო-საერთო მიწებად. საკომლო-ინდივიდუალური ნაკვეთების გადანაწილება არ ხდებოდა. ეს ნაკვეთები „საშვილიშვილოდ დაჭერილი“ ჰქონდათ, შეიძლო მათი დაგირავება, გაყიდვა და ა. შ.

¹⁰² პ. გუგუშვილი, თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში (1800—1921 წწ.), ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1946, ტ. I, გვ. 13.



პ. გუგუშვილი განიხილავს აგრეთვე სათემო მიწათმფლობელობის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს — მიწების პერიოდულ გადაწეობას, აღნიშნავს ამ გადაწეობების პერიოდების სხვადასხვაობას, სათემო მიწების სარგებლობის ძველი წესის — „დატაცებით“ მიწათსარგებლობას, რომელიც არსებობდა კახეთის ზოგიერთ კუთხეში¹⁰³.

ცალკეა მოცემული მიწათმფლობელობის ფორმები თუშ-ფშავ-ხევსურეთში. ავტორი აღნიშნავს, რომ აქაც მიწათმფლობელობის ორი ფორმა არსებობდა: საკომლო-ინდივიდუალური და თემური, რომ თემური მიწათმფლობელობა აქ ხატის მამულების სახით იყო წარმოდგენილი, რომელსაც სოფელი კოლექტიურად ამუშავებდა. ამასთან, თუშეთში იალაღები და მთელი ალვანის ველი თემის საკუთრებას შეადგენდა¹⁰⁴. მაგრამ მიწათმფლობელობის გაბატონებული ფორმა მთაში კერძო-ინდივიდუალური იყო.

აღსანიშნავია, რომ 1934 წელს თვით მას ჰქონდა საშუალება ადგილზე უშუალოდ დაკვირვებოდა მთის საადგილმამულო ურთიერთობას, რაც მხოლოდ ოდნავად თუ შეცვლილიყო ასიოდე წლის წინათ აქ აღწერილ ვითარებასთან შედარებით. მისი დაკვირვებით, XIX საუკუნემდე დიდი ხნით ადრეც, აქ გაბატონებული უნდა ყოფილიყო კერძო მიწათმფლობელობა. ყოველ შემთხვევაში კარისპირისა და საყანე მიწის მეკომურთა ფაქტიურ საკუთრებაში ადრინდანვე გადასვლას აქ თვით ტოპოგრაფიული პირობებიც დააჩქარებდა: მთებთან ძნელად მისადგომ ფერდობებზე და ღრანტე-ხევებში გაფანტული სახანავი მიწის პაწაწინა ნაჭრები იმთავითვე ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენდა მიწების პერიოდული გადაწეობისათვის¹⁰⁵.

თბილისის გუბერნიის შემდეგ პ. გუგუშვილი განიხილავს მიწათმფლობელობის ფორმებს ქუთაისის გუბერნიაში¹⁰⁶ და სათანადო მასალების განხილვის შედეგად ისიც იმ დასკვნამდე მიდის, რომ აქ სახანონო გლეხობაში გაბატონებული იყო მიწათმფლობელობის „კომლობრივ-ნაკვეთობრივი“ ფორმა, ე. ი. ინდივიდუალური მფლობელობა. გამოწვევის წარმოდგენდა მხოლოდ რაჭა, სადაც ჯერ კიდევ იყო შეჩინილი მიწის სათემო მფლობელობის ფორმა (გარე ყანა, სათიბი, სხვ

103 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16—25.
 104 იქვე, გვ. 35—36.
 105 იქვე, გვ. 35.
 106 იქვე, გვ. 47—53.

ბალახო და ტყე). დაბოლოს, ავტორი ეხება სათემო მიწათმფლობელობის რღვევას და სათემო მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლის პროცესს.

ისე როგორც სახელმწიფო გლეხთა მკვლევართა ნაშრომებში, ასევე, პ. გუგუშვილის ნაშრომში მოცემულია მხოლოდ ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელი ხანის ვითარება სათემო მიწათმფლობელობის შესახებ და, სამწუხაროდ, მასში არაა აღრეული პერიოდის სათემო მიწათმფლობელობის ფაქტიური მასალა.

შემდეგში ერთობის სტრუქტურის და სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობის საკითხი შეისწავლა ვ. ბარდაველიძემ XX ს-ის 30—50-იანი წლების საქართველოს მთიანეთის ყოფა-ცხოვრების მაგალითზე, სადაც გადმონაშთების სახით შემორჩენილი იყო ძველქართული „თემის“, „ერის“ (დაბა-სოფლების) რიგი ინსტიტუტები. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ადგილზე შესწავლისა და დაკვირვებების შედეგად, სახელდობრ, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთსა და გუდამაყარში ბოლო დრომდე (საბჭოთა ხელისუფლების პირველი ათეული წლები) შემორჩენილი გვაროვნულა წყობილების გადმონაშთების — ხატ-სამლოცველოების, წარმართული რელიგიური რიტუალებისა და, რაც მთავარია, სახატო მამულების შესწავლის შედეგად ვ. ბარდაველიძემ, ისე როგორც სხვებმა, აღნიშნულა კუთხეების სახატო მამულებში საყმოს სათემო-საერთო მიწათმფლობელობა დაინახა.

ამ და რიგ სხვა საკითხებს ბარდაველიძემ ორი ნაშრომი მიუძღვნა: «Земельные владения древнегрузинских святилищ» და «ხევსურული თემი. სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი».

ვ. ბარდაველიძემ ხევსურეთში დაწვრილებით აღწერა სახატო მამულები და მისი სხვა ქონება, მათი დამუშავების ორგანიზაცია, მიღებული პროდუქტების განაწილება და, ისე როგორც ნ. ხიზანაშვილმა და გ. თევდორაძემ, დაასკვნა, რომ ძველქართული სახატო-სამლოცველოების მიწათმფლობელობა ატარებს აგრარული კომუნის მიზნებს, რადგანაც აქ სახატო მიწების დამუშავება საყმო-მოსახლეობას ნიშნებს, რადგანაც აქ სახატო მიწების დამუშავება საყმო-მოსახლეობას მიერ ხდებოდა კოლექტიური შრომით (ნადით) და ამავე დროს, ხდებოდა ასეთი შრომით მიღებული პროდუქტების თანაბარი განაწილება ხატის საყმო-მოსახლეობაზე¹⁰⁷.

107 В. Бардавелидзе, Земельные владения древнегрузинских святилищ, «Советская этнография», 1949 г., № 1, стр. 104.

ხევსურეთის სათემო საზოგადოებების სახატო მიწათმფლობელო-
ვაში ვ. ბარდაველიძემ, რეტროსპექტული (უკუსვლითი) მეთოდით
მომარჯვებით, ძველი აღმოსავლეთის თემის ტიპის უჯრედი დაინახა.
იგი წერს: „ხევსურული თემები ყველა ამ მხარით, როგორც ამაში
შედარებითი მასალების გათვალისწინებით ვრწმუნდებით, ძველი აღ-
მოსავლეთის თემურ ორგანიზაციებს უმსგავსებოდა. ეს გარემოება
გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ხევსურული თემები ძველი
აღმოსავლური თემების ტიპისა იყო“¹⁰⁸.

შენდგომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სახელდობრ,
ხ ე ვ შ ი და ხ ა ნ დ ო შ ი სათემო მიწათმფლობელობის გადმონაშთე-
ბი — საერთო სასოფლო საძოვრები, ტყე, ასევე „სახატო“ მამულები
(მათ შორის სახნავიც), მათი კოლექტიური დამუშავება სასოფლო თე-
მის მიერ, ადგილზე შეგროვებული მასალების საფუძველზე, შესწავ-
ლილია აგრეთვე ეთნოგრაფების რ. ხ ა რ ა ძ ი ს და ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ი ს
ნაშრომებში¹⁰⁹. ამასთან, აღნიშნული აქვთ, რომ მიწების უდიდესი ნა-
წილი, მათ შორის სახნავ-სათესისა, ოჯახებს ინდივიდუალურ მფლო-
ბელობაში ჰქონდათ.

ძველ საქართველოში მიწათმფლობელობის ფორმები ფართოდ
შეისწავლა გ. მელიქიშვილმა. თავის ნაშრომში, „К истории древней
Грузии“ (1959 წ.), აღნიშნულ საკითხს სპეციალური თავი აქვს დაუ-
მობილი (V). აქ ცალკე პარაგრაფებადაა მოცემული მიწათმფლობელო-
ბის ისეთი ფორმები, როგორცაა: სათემო, სატაძრო, კერძო და სა-
მეფო მიწათმფლობელობა. მიწათმფლობელობის ეს ფორმები გ. მე-
ლიქიშვილის მიერ მოცემულია აგრეთვე „საქართველოს ისტორიის
ნარკვევების“ I ტომში.

მიწათმფლობელობის ფორმების შესწავლაში აქ ყველაზე მეტი ად-
გილი სწორედ სასოფლო ერთობას და სათემო მიწათმფლობელობას
აქვს დათმობილი (ორი პარაგრაფი), რადგან სატაძრო მიწათმფლობე-
ლობა, როცა იგი მთელი თემის მიწებს მოიცავდა, სინამდვილეში ეს

108 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემი, სტრუქტურა და ჯვარისყმობის
ინსტიტუტი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XIII, № 8,
1952. გვ. 497.

109 რ. ხ ა რ ა ძ ე, თემური მმართველობის გადმონაშთები: ხეში, ივ. ჯავახი-
შვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. 2, 1959, გვ. 166—163;
რ. ხ ა რ ა ძ ე, ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი ძველად, „მეცნიერება“, 1965.
გვ. 50—52.



სათემო-საერთო მიწათმფლობელობა იყო. ასევე აღსანიშნავია, ¹¹⁰ აქ სტაბონის მონაცემების გარდა აღრეფეოდალური ხანის საწყისი საუკუნეების ქართული სასოფლო ერთობისა და სათემო მიწათმფლობელობის შესწავლისას გამოყენებულია არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები, ისტორიული პარალელები და ანალოგიები.

სათემო მიწათმფლობელობასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილმა განიხილა სატაძრო მიწათმფლობელობა და მისი მეურნეობა საერთოდ. მისი აზრით, ქართლის ერთობა („картлийская община“) და სათემო მიწათმფლობელობა თავისი წარმოშობით, პირველადობით, ეს იყო სატაძრო ერთობა¹¹⁰. ამ კონცეფციით, სათემო მიწათმფლობელობა გვაროვნულ-თემური წყობილების დროს, გვაროვნული და სასოფლო-ტერიტორიული ერთობების არსებობის დროს, კონცენტრირებული იყო ტაძრების ირგვლივ და მთელი სათემო-კოლექტიური მიწები სატაძრო მიწათმფლობელობას შეადგენდა¹¹¹. მისი აზრით, სატაძრო მეურნეობა, რომელსაც ქურუმები განაგებდნენ, ფაქტიურად ალბათ სათემო მეურნეობას წარმოადგენდა¹¹². აღნიშნული დებულების დასასაბუთებლად, ქართულ სინამდვილეში გ. მელიქიშვილმა დიდი ყურადღება მიაქცია ეთნოგრაფიულ მასალას — საქართველოს მთიანეთში შემორჩენილ სახატო-სამლოცველოების მიწათმფლობელობას.


ზემოაღნიშნულიდან ლოგიკურია დასკვნა იმის შესახებ, რომ სატაძრო მიწათმფლობელობის რღვევა და შევიწროება, რასაც სამეფო და მსხვილი კერძო მიწათმფლობელობის განვითარება იწვევდა, ეს იგივე სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობის რღვევას წარმოადგენდა. სახელდობრ, ავტორი წერს: მიწაზე სამეფო და მსხვილი კერძო მიწათმფლობელობის თანდათანობითი განვითარება ძლიერ ავაწროებდა სათემო მიწათმფლობელობას საერთოდ. მაგრამ, ასევე, მეთემეთა კერძო საკუთრებაში სატაძრო მიწების თანდათანობით გაღსვლა ასევე ძირს უთხრიდა სატაძრო მფლობელობას ანუ ფაქტიურად სათემო მიწათმფლობელობას. ამის შედეგად ტაძრების მფლობელობაში რჩებოდა მხოლოდ განსაზღვრული სათემო მიწის გაუყოფელი ფონდი და რჩებოდა საკუთრივ სატაძრო მეურნეობა¹¹³.

¹¹⁰ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, 33. 406.

¹¹¹ იქვე, 33. 107.

¹¹² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 33. 494.

¹¹³ Г. А. Меликишвили, К истории... 33. 407.



სათემო მიწათმფლობელობის საკითხთან დაკავშირებით, გ. მელიქიშვილი, ცხადია, განიხილავს სტრაბონის ცნობებს იბერიის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ და გამოთქვამს რიგ განსხვავებულ მოსაზრებებს წინა მკვლევართან შედარებით. იბერიის საზოგადოების საერთო-სათემო მიწათმფლობელობის შესახებ კი იგი ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს იზიარებს. სახელდობრ, გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ სტრაბონის სიტყვები: „ქონება მათი საერთოა საგვარეულოთა (ნათესაობისდა) მიხედვით“, ეხება იბერიის საზოგადოების ოთხივე წოდებას ანუ მთელ საზოგადოებას. მაგრამ ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, გ. მელიქიშვილს, ისე როგორც ს. ჯანაშიას, სტრაბონის ცნობების მიხედვით იბერიის სოციალური სტრუქტურა კლასობრივ საზოგადოებად მიაჩნია, სადაც, მისი აზრით, ჯერ კიდევ ძლიერი იყო სათემო (რიგ შემთხვევაში სასოფლო, ზოგჯერ კიდევ საგვარეულო) მიწათმფლობელობა¹¹⁴. ახ. წ-ის პირველი საუკუნეების იბერიაში, მისი აზრით, როგორც წესი, სასოფლო-ტერიტორიული ერთობები არსებობდა.

გ. მელიქიშვილი შეეხო აგრეთვე სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობის რღვევის ფაქტორებს საქართველოში ადრეფეოდალური პერიოდის პირველ საუკუნეებში.

შემდეგში სათემო მიწათმფლობელობის საკითხს აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ XVI—XVII საუკუნეების კახეთში, შეეხო ნ. ასათიანი. მან აღნიშნა, რომ XIX ს-ის 80-იანი წლების სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევართა მასალები ადასტურებს კახეთში, უმთავრესად სახელმწიფო გლეხებში, სათემო-საერთო მიწათმფლობელობას სახნავ მიწებზე, ტყესა და საძოვრებზე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ თუკი ამ დროს ასეთი მდგომარეობა იყო, ცხადია, მე-18 და მე-17—16 საუკუნეებში, ე. ი. უფრო ადრე, კახეთში საერთო-სასოფლო (თემური) მიწათმფლობელობას გაცილებით უფრო დიდი წონა უნდა ჰქონოდა¹¹⁵.

მას მოაქვს აგრეთვე XIX ს-ის დასაწყისის, 1804 წლის თელავის მაზრის (83 სოფელი) რუსული კამერალური აღწერის მასალები, რომელიც გ. ბოჭორიძემ დაჯამებული სახით გამოაქვეყნა („საქართვე-

¹¹⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 486—487.

¹¹⁵ ნ. ასათიანი, გლეხობა XVI—XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1960, გვ. 150.



ლოს არქივი, წიგნი III, თბ., 1927 წ.), სადაც კარგად ჩანს სხსნაველი მიწებზე სათემო მფლობელობის დიდი ხვედრითი წონა. რეტროსპექტულ მეთოდზე დაყრდნობით ნ. ასათიანი სწორად დაასკვნის, რომ სრული საფუძველი გვაქვს 1804 წლის ვითარება წინა საუკუნეებზეც გადავიტანოთ, სახელდობრ, XVI—XVII საუკუნეებს კახეთშიც. მკვლევარი ამასთან აღნიშნავს, რომ სათემო მიწათმფლობელობა უნდა არსებულებოდა აგრეთვე საბატონო და საეკლესიო გლეხებშიც, რადგან, მისი აზრით, სახელმწიფო გლეხთა ნაწილი შედგებოდა უოფილი საბატონო გლეხებისაგან, ხოლო საეკლესიო გლეხები — ყოფილი საბატონო და სახელმწიფო გლეხებისაგან¹¹⁶.

მკვლევარი რეტროსპექტული მეთოდის საფუძველზე დაასკვნის, რომ XVI—XVII საუკუნეების კახეთში საერთო-სასოფლო მიწათმფლობელობა ფართოდ უნდა არსებულებოდა სხსნაველში მიწებზე, ტყესა და საბალახე მინდვრებზე. ვენახი კი ინდივიდუალურ მემკვიდრეობით მფლობელობაში იყო. აქვე მან მოიტანა XVIII ს-ის სამი საბუთი სათემო მიწათმფლობელობაზე კახეთში¹¹⁷, რაც, ცხადია, მან არასაკმარისად ჩათვალა სურათის ნათელსაყოფად. ამიტომ, ნ. ასათიანი საესებით სწორად აღნიშნავს, რომ XVI—XVII საუკუნეების კახეთში სათემო მიწათმფლობელობის შესწავლა ცალკე, სპეციალურ „დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს“ და საამისოდ „ახალი მასალები მოძიება“ არის საჭირო, რადგან ამ საკითხის „კონკრეტული დახასიათებისათვის“ „სამწუხაროდ, ჯერჯერობით მიკვლეული არ არის ფოტომენტები“¹¹⁸.

შემდეგში სათემო მიწათმფლობელობის საკითხს აღრეფერავს „ქართლში საქართველოში შეესო ა. ბოგვერაძე თავის ნაშრომში „ქართლის ადრე-ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან“ (1961 წ.).

სათემო მიწათმფლობელობის შესახებ, ა. ბოგვერაძე აღნიშნავს, რომ ეს საკითხი ქართლში მჭიდროდაა დაკავშირებული „თემურა“ ორგანიზაციების ხასიათთან და სვამს კითხვას: იყო თუ არა „ქართლის თემი“ და სათემო მიწათმფლობელობა თავისი წარმოშობით სატაძრო მფლობელობა, თუ, პირიქით ტაძრების მემამულეობა საერო თემების

116 ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151—152, 159.

117 იქვე, გვ. 160—161, 164, იხ. აგრეთვე ნაშრომის აბტორეფრატი, გვ. 12.

118 იქვე, გვ. 160, 162.

საზოგადოებრივი მიწების ფონდიდან იყო გამოყოფილი. ამ საკითხზე მას მოაქვს ს. ჯანაშიას და გ. მელიქიშვილის განსხვავებული შეხედულებანი, მაგრამ თავის მხრივ არ იძლევა რაიმე მოსაზრებას ამ საკითხზე და კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ „ქართლის თემების“ წარმოშობის ხასიათის გარკვევა ჯერ კიდევ დამატებით საჭიროებს კვლევადობას¹¹⁹

ეხება რა სათემო მიწათმფლობელობის რღვევის საკითხს, ა. ბაგვერად აღნიშნავს, რომ თემის და მისი კოლექტიური მიწათმფლობელობის „დაშლის პროცესი მარტოოდენ შინაგანი (ეკონომიური) გზით არ მიმდინარეობდა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქმეში გარეეკონომიური იძულებას, პირდაპირ ძალადობას ფეოდალების მხრიდან, რომლებიც მდებარეობდა სათემო თუ კერძო სამფლობელო მიწებს იტაცებდნენ“. იგი აღნიშნავს, რომ ეს პროცესი ყველგან ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობდა. ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის ქართლის დაწინაურებულ კუთხეებში სათემო მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი უკვე ფეოდალურ მამულებად იყო გადაქცეული. „მესამომოთა“ გაერთიანებები ან მთლიანად დაიშალა, ანდა თემობიე ყმობის უღელში აღმოჩნდნენ შებმულნი. სასოფლო ტერიტორიულმა „თემმა“, როგორც მიწათმფლობელობით ფორმამ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მაგრამ როგორც მიწათსარგებლობის ფორმა განაგრძობდა არსებობას¹²⁰.

ქართულ სასოფლო-სათემო მიწათმფლობელობას ადრეფეოდალური ხანის ბოლო პერიოდში (IX—X სს.) ეხება მ. ლორთქიფანიძე თავის ნაშრომში „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“. უმთავრესად მ. ლორთქიფანიძე ეხება სათემო მიწათმფლობელობის დაკემას, რომელიც, მისი აზრით, მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობდა და IX—X საუკუნეებში ეს პროცესი

119 ა. ბაგვერადიძე, ქართლის საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 70.

ტერმინ „თემში“ და „სასოფლო თემში“ მკვლევრები გულისხმობდნენ „ობშინას“ და „სასოფლო ობშინას“, რაც, როგორც ითქვა, შეცდომაა (იხ. წინასიტყვა, სქოლიო) მაგრამ ჩვენ ვაღიარებთ ვართ მკვლევართა აზრი გადმოვცეთ იმ სიტყვებით, როგორც მათ უწერიათ.

120 იქვე, გვ. 71—73.



გადამწყვეტ ფაზაში შედის¹²¹. „სასოფლო თემები“ ფეოდალების პოლიტიკური პლატაციის ქვეშ მოექცნენ და ფეოდალის წინაშე პასუხისმგებელი თემი იყო¹²². სამამისოდ მას მოჰყავს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოცემული ძარღველი „კაცის“ ცხოვრების ეპიზოდი.

მ. ლორთქიფანიძე განიხილავს აგრეთვე საადგილმამულო ურთიერთობის ნიადაგზე წარმოქმნილ კლასობრივ ბრძოლას ადრეფეოდალური პერიოდის დასასრულს, ფეოდალების ბრძოლას სათემო-კოლექტიური მიწების შითვისება-მიტაცებისათვის, ზოლო სასოფლო ერთობის წევრების თავდაცვით ბრძოლას სათემო მიწების შენარჩუნებისათვის. სამამისოდ იგი მიუთითებს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ დაკულ ცნობებს — სოფელ ძინძეს მცხოვრებთა ბრძოლას საეკლესიო ფეოდალებთან, სახელდობრ, სამონასტრო ბერებთან, ასევე, „საძმობის“ ბრძოლას იგივე სულიერ მამებთან, რომელნიც მათი სათემო-საერთო მიწის დასაკუთრებას ცდილობდნენ მონასტრისათვის; მიუთითებს ასევე ბრძოლას სათავის ტბის სანაპიროზეც; დაბოლოს, — ანჩის ეკლესიის მახლობელი სოფლების მცხოვრებთა ბრძოლას ხანძის ეკლესიის დასანგრევად, რაც, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს (და სხვა მკვლევარნიც ეთანხმებიან), აგრძობულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული.

ადრეფეოდალური პერიოდის დასასრულს, IX—X საუკუნეების საქართველოში, მ. ლორთქიფანიძის დასკვნით, ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი, თავისუფალი თემებას ფეოდალთა მიერ დამორჩილება, „სასოფლო თემების“ დაცემა და თავისუფალ მწარმოებელთა გაგლეხება, მიწაზე მიმაგრება¹²³.

აღსანიშნავია, რომ სათემო მიწათმფლობელობის ფაქტები ტყესა და სათიბ-საძოვარზე მკვლევარებმა თავიანთ ნაშრომებში დაადასტურეს ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ, XIV

121 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 69; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 359.

122 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 42—43; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 331.

123 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 102—106; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 367—371.

—XV საუკუნეების სვანეთში: მ. ბეძინიშვილი¹²⁴. გ. გასვიანმა¹²⁵ დ. გოგოლაძემ¹²⁶, ხოლო XVIII ს-ის გურიის სამთავროში ქ. ჩხატარაიშვილი¹²⁷.

1970 წელს გამოქვეყნდა თ. პაპუაშვილის ნაშრომი „ჭერეთის ისტორიის საკითხები“, სადაც რიგ საკითხებს შორის ძველი ქართული საზოგადოების კომუნის სტრუქტურიდან განხილულია სათემო-საერთო მიწათმფლობელობის საკითხი ჭერეთში. საკითხის თეორიულ ასპექტში განხილვის შემდეგ, რახან სათანადო ფაქტიური მონაცემები ჭერეთში სათემო მიწათმფლობელობის დასადასტურებლად ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მას არ გააჩნდა, თ. პაპუაშვილმა რეტროსპექტულ მეთოდს მიმართა და ნ. ასათიანის ზემოაღნიშნულ ნაშრომის, მსგავსად, გვიანდელი, სახელდობრ, XIX ს. 80-იანი წლების ფაქტიური მონაცემები სათემო მიწათმფლობელობისა კახეთში, კერძოდ, ქიზიყში, ასევე, 1804 წლის თელავის მაზრის რუსული კამერალური აღწერის მონაცემები სათემო მიწათმფლობელობაზე (გ. ბოჭორიძის გამოცემული) გამოიყენა ძველ ჭერეთში სათემო მიწათმფლობელობის არსებობის დასადასტურებლად და იგივე დასკვნები გააქეთა¹²⁸.

ავტორმა განიხილა სტრაბონის მონაცემები ალბანეთის ტაძრის იეროდულეების შესახებ. რიგი მკვლევრებისაგან განსხვავებით, რომლებიც მასში მონებს ან წახევრად მონებს ხედავენ, თ. პაპუაშვილის აზრით (ისე როგორც გ. მელიქიშვილის შეხედულებით), ალბანეთის

124 მ. ბეძინიშვილი, სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV—XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, „მეცნიერება“, 1968, გვ. 129—130.

125 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979, გვ. 193—194.

126 დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X—XV საუკუნეებში, კრებ. „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“, „მეცნიერება“, 1983, გვ. 64.

127 ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს გლეხთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა XVI—XIX საუკუნეებში, საზ. განყ. „მომამბე“, 1963, № 1, გვ. 91—92.

128 თ. პაპუაშვილი, ჭერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 262—264.

სატაძრო იეროდულუბი იყენენ თავისუფალი მეთემეები და ალბანეთის სატაძრო მამულუბი სათემო მამულუბს ემთხვეოდა და, მაშასადამე, იგივე სათემო მიწათმფლობელობა იყო. აქ მან მოიშველია ეთნოგრაფიული მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა, სადაც, როგორც ცნობილია, სათემო მიწები შემორჩენილი იყო სახატო (სატას) მამულუბის სახით²⁹. ჰერეთში სათემო მიწათმფლობელობის დასადასტურებლად თ. პაპუაშვილი მიმართავს აგრეთვე რიგ პარალელურ მგზობელ ქვეყნებში.

საქართველოს ისტორიის ადრეფეოდალური ხანის სათემო მიწათმფლობელობას და მისი რღვევის საკითხს შეეხო აგრეთვე ნ. ვაჩნაძე ნაშრომში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო“ (1975 წ.). ავტორი განიხილავს სერაპიონ ზარზმელის და მისი სულიერი ძმების მიერ სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებულ აგრარულ კონფლიქტებს სასოფლო „თემებთან“ (ძინძე, სანძო). მოაქვს ამ საკითხზე ს. ჯანაშიას და ა. ბოგვერაძის მოსაზრებები, რომელნიც მას სწორად არ მიაჩნია.

როგორც ცნობილია, ს. ჯანაშიას აზრით, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ძეგლის მიხედვით ბრძოლა წარმოებს სათემო ტყისათვის და ეს ბოლო ეტაპია ფეოდალთა (საერო, სასულიერო) მიერ სათემო მიწების მითვისების პროცესში. ა. ბოგვერაძის აზრით, კი, აღნიშნული ძეგლის მიხედვით ბრძოლა წარმოებს არა ტყისათვის, არამედ სწორედ სახნავ-სათესი მიწისათვის.

ნ. ვაჩნაძის აზრით, აღნიშნული მოსაზრებები სწორი არაა. სახელდობრ, იგი წერს, რომ ძეგლის მიხედვით ბრძოლა წარმოებს როგორც ტყისათვის, ისე სახნავ-სათესი მიწებისათვის. ამასთან, ფეოდალთა მიერ სათემო მიწების მიტაცების დაყოფა ეტაპებად, — ჯერ სახნავ-სათესი მიწების, ხოლო შემდეგ ტყის მითვისება, — საერთოდ, შეცდომაა. ამიტომ „უსაგნო ჩანს კამათი იმის შესახებ, თუ სათემო მიწების მითვისებისათვის ბრძოლის რა ეტაპია ასახული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, მაგრამ ტყე შედარებით მაინც დიდხანს შემორჩა სათემო საკუთრებაში — დასძენს იგი.

ამასთან, ნ. ვაჩნაძეს მიაჩნია, რომ ტყე, ძეგლის მიხედვით, სათემო კი არ არის, არამედ ფეოდალ ჩორჩანელის, რომ, როგორც ტყე, ისე სახნავ-სათესი მიწები ჩორჩანელის იურიდიული საკუთრებაა. ძეგლში ამის დადასტურებაა, მისი აზრით, ის, რომ ფეოდალ ჩორჩანელს უკვირს როგორ გაბედეს მისი ნებართვის გარეშე უცხო პირებმა ტყე-

²⁹ თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246—259.

ში შესვლა, ხოლო რაც შეეხება სახნავ-სათეს მიწებს, მათ თვით ჩოჩხანელი სთავაზობს ბერებსო. თუმცა, როგორც სახნავზე, ისე ტყეზე „ჯერ კიდევ ჩანს უშუალო მწარმოებელთა საკუთრებაც (აღბათ, სათემო)“¹³⁰ — წერს იგი.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ისტორიის მთელ ფეოდალურ პერიოდში, XIX საუკუნემდე, ხელშესახები მონაცემები ქართულ ისტორიოგრაფიას სათემო მიწათმფლობელობაზე — განსაკუთრებით მოსახლეობის ძირითად მარჩენალ სავარგულებზე, სახნავ-სათეს მიწებზე, — არ გააჩნდა. ამიტომ იგი, ბუნებრივია, იძულებული იყო სტრაზონის ცნობისა და ბასილ ზარზმელის თხზულების, მართალია, მნაშენელოვან, მაგრამ მაინც არასრულ ცნობებს დასვერებოდა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით, ხოლო XIX ს-ის II ნახევრის 80-იან წლებში ადგილებზე აღწერილი მონაცემები სათემო მიწათმფლობელობაზე, ეს უკვე ბურჟუაზიულ ხანას განეკუთვნებოდა. რაც შეეხება XIX ს-ის დასაწყისის, 1804 წ. თელავის მახრის აღწერის მონაცემებს სათემო მიწათმფლობელობაზე, რატომღაც იგი მკვლევრების ყურადღების გარეშე რჩებოდა და ძალიან გვიან შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში (1960 წ.).

ამასთან, XIX ს. 80-იანი წლების აღწერილ მონაცემებს სათემო მიწათმფლობელობაზე ზოგიერთი მკვლევრები ეჭვის თვალით უყურებდნენ (ი. სეგალი, ბურჟუაზიული პერიოდისა, ასევე საბჭოთა პერიოდის ზოგიერთი მკვლევარნიც...) და უარყოფდნენ სათემო მიწათმფლობელობის არსებობას საქართველოში, განსაკუთრებით ძირითად საარსებო სავარგულებზე — სახნავ-სათეს მიწებზე, ხოლო XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში საერთო-სათემო მიწათმფლობელობისა და სათემო მიწების პერიოდული გადანაწილების ფიქსირებული ფაქტები მათ მიაჩნდათ მთავრობის ფისკალური პოლიტიკის „ხელოვნურ“ წარმონაქმნად, ასევე „ნაროდნიკული იდეოლოგიის“ ზეგავლენად¹³¹.

130 ვ. ა. ნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 86—91.

131 იხ. Н. П. Селадзе. Хозяйственное землеустройство в Закавказье. Тф., 1912 г., გვ. 52. ალ. ბენდოიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 111—116.

ისტორიულ ლიტერატურაში, საერთოდ, მართლაც არ იყო ფაქტობრივი დადასტურება სათემო მიწათმფლობელობის არსებობისა XIX ს-ის I ნახევარში, გარდა 1804 წ. თელავის მაზრის აღწერის მონაცემებისა და, როდესაც XIX ს. I ნახევარში და უფრო ადრეულ ხანაში სათემო მიწათმფლობელობაზე მსჯელობდნენ, საილუსტრაციოდ მოჰყავდათ თითქმის მხოლოდ XIX ს. 80-იანი წლების მონაცემები სათემო მიწათმფლობელობაზე, რაც სახელმწიფო გლეხთა ყოფის მკვლევრებმა დაგვიტოვეს. უეჭველია, როგორც აღინიშნა, ამან შეუწყო ხელი ზოგიერთ მკვლევარებს უარეყოთ სათემო მიწათმფლობელობის არსებობა საქართველოში.

1971 წელს გამოქვეყნდა ჩვენი ნაშრომი „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) — 1800—1864 წწ.“, სადაც სათემო მიწათმფლობელობას სათანადო ადგილი უკავია.

არქივში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ჩვენ გამოვავლინეთ და მოვიპოვეთ უაღრესად მდიდარი ფაქტიური მასალა სათემო მიწათმფლობელობის არსებობაზე XIX ს. დასაწყისში და ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში (1801—1820). ამით, ვფიქრობთ, გაიფანტა ეჭვები XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის არსებობისა თუ არარსებობის შესახებ და ასევე ეჭვები მისი XIX საუკუნეში „ხელოვნურად წარმოქმნისა“, ანდა კიდევ, ვითომდა „ნაროდნიკული იდეოლოგიის“ ზეგავლენით მოგონილი სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის შესახებ.

როგორც ნაშრომშია მოცემული, XIX ს. პირველ ნახევარში სათემო მიწათმფლობელობა ფართოდ დადასტურდა აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში — მოსახლეობის 1804 და 1817—1821 წლების აღწერებით, ყველა კატეგორიის გლეხობაში, უმთავრესად კი სახელმწიფო (ყოფილ სამეფო) გლეხებში. რაც მთავარია, სათემო-საერთო მიწათმფლობელობა დადასტურდა მოსახლეობის ძირითად მარჩენალ სავარჯულებზე — სახნავ მიწებზე. ჭეშმარიტი სათემო მიწათმფლობელობის არსებითი ნიშანი კი, ჩვენი აზრით, სწორედ საერთო მფლობელობაა სახნავ-სათეს მიწებზე. სახელდობრ, 1804 წ. და 1817—1821 წლების მოსახლეობის აღწერებით ს ი ღ ნ ა ღ ი ს მ ა ზ რ ა შ ი მთელი რიგი სახელმწიფო-სახაზინო სოფლების გლეხობას, გარდა ინდივიდუალურ-მემკვიდრეობითი მიწებისა (საკარმიდამო, ბალ-ვენახები და სახნავი მიწები), გააჩნდა აგრეთვე საერთო-სათემო სახნავი და

სათიბი მიწები, რომელთაც აღწერის დოკუმენტებით მოსახლეობა უწოდებდა „სასოფლო“, „საზოგადო“ ან „საერთო“ მიწებს. მაგალითისათვის, სახაზინო სოფლების ნუკრიანისა და ჭოტორის გლეხები ფლობდნენ 10.000 დესეტინა სათემო-საერთო მიწებს, სოფ. ანავის გლეხებს — „საკუთარ“ ინდივიდუალურ მფლობელობაში გააჩნდათ 1271 დღიური სახნავი მიწა, ხოლო სათემო მფლობელობაში — 5000 დღიური სახნავი მიწა, სოფ. მადაროს გლეხებს ინდივიდუალურ მფლობელობაში გააჩნდათ 1007 დესეტინა სახნავი, ხოლო სათემო-კოლექტიურ მფლობელობაში 2000 დესეტინა, სოფ. ზემო და ქვემო მაჩხანის გლეხებს 3500 დესეტინა ყოველგვარი სახის სათემო-საერთო მიწა. სათემო-საერთო მიწები გააჩნდათ აგრეთვე დიდი ოდენობით ფანიანის, ვაქიერის, მირზაანის, ცლუნკანის, არბოშიკის, ჯულაანის, ტიბაანის, ოზაანის, კოტაანის, პრასიანის და სხვა სახაზინო სოფლების სახელმწიფო გლეხებს.

სათემო მიწათმფლობელობა სიღნაღის მაზრაში აღწერის მონაცემებით დადასტურდა აგრეთვე საეკლესიო სოფლების გლეხობაშიც — ბოდბეში, ბოდბისხევში, ქედელში და სხვ.

რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, სათემო-საერთო მიწათმფლობელობა სიღნაღის მაზრაში დადასტურდა აგრეთვე საბატონო გლეხებშიც — სოფ. კარდანახში, ვეჯინში, კოლაგში, გურჯაანში, ზიარში, ქოდალოში, ფხოველში და მელაანში.

სათემო მიწათმფლობელობა XIX ს. დასაწყისში დადასტურდა აგრეთვე კახეთის მეორე ნაწილში — თელავის მაზრაში. როგორც აღინიშნა, თელავის მაზრის 1804 წლის აღწერის მონაცემები დააჯამა გ. ბოჭორიძემ. სამწუხაროდ, დაჯამებისას მას მნიშვნელოვანი შეცდომა მოსვლია. მისი დაჯამებით თელავის მაზრის 83 სოფლის ყველა კატეგორიის გლეხობას (4.804 კომლი) საერთო-სათემო მფლობელობაში გააჩნდა 37.280 დღიური სახნავი მიწა, ხოლო ინდივიდუალურ-მემკვიდრეობით მფლობელობაში („საკუთარი სახნავი“) მხოლოდ 7.774 დღიური სახნავი („საქართველოს არქივი“, წიგნი, III, ცხრილი 5). ეს მონაცემები ასეთივე შეცდომით შევიდა სამეცნიერო ლიტერატურაში. 1804 წლის აღწერით თელავის მაზრაში 83 სოფლის ყველა კატეგორიის გლეხობას (4.804 კომლი) სინამდვილეში ინდივიდუალურ-მემკვიდრეობით მფლობელობაში სახნავი მიწა გააჩნდა გაცილებით მეტი — 19.775 დღიური, ხოლო საერთო-სათემო მფლობელობაში — 27.600 დღიურზე მეტი.



უღრესად მნიშვნელოვანია, რომ კახეთში, 1817 წლის აღწერით მონაცემებით, XIX ს. პირველ ნახევარში დოკუმენტურად დადასტურდა აგრეთვე სათემო მიწათმფლობელობის მეორე არსებითი ნიშანი — სახნავი მიწების პერიოდული გადაანაწილება¹³².

სათემო მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა აგრეთვე ქართლის სოფლებშიც, უმთავრესად ქვემო ქართლში.

აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ამ საკითხზე, — სახელდობრ, აღმოჩნდებოდა იუ არა სათემო მიწათმფლობელობის დამადასტურებელი ფაქტები ფეოდალურ საქართველოში უფრო ადრეულ პერიოდში, კერძოდ XII—XVIII საუკუნეებში, უმთავრესად სახნავ მიწებზე, ამასთან დადასტურდებოდა თუ არა სათემო-საერთო მფლობელობა ამ პერიოდის თვით ქართულ აგრარულ დიპლომატიკაში (დოკუმენტაციაში), რადგან აღნიშნული ხანის ნარატიულ წყაროებში იგი არ ჩანდა. თანაც, როგორც ცნობილია, ფეოდალური ურთიერთობის დიდ ინტერვალში, ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანიდან, ვიდრე XVIII საუკუნის ჩათვლით, საქართველოში სათემო მფლობელობის სპეციალური შეაწავლის ცდა არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გამო, ისტორიის ინსტიტუტის შუა საუკუნეებს საქართველოს ისტორიის განყოფილებამ დაგვეავალა შეგვესწავლა ქართული სოფლის სტრუქტურა ფეოდალურ ხანაში, მათ შორის, სათემო მიწათმფლობელობა, რომლის შედეგი არის ჩვენი წინამდებარე მონაგრაფია*.

132 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულა ურთიერთობა) — 1800—1864 წწ., "მეცნიერება", 1971, გვ. 189—195.

* ნაშრომი შესრულებულია 1975—1980 წლებში.

თ ა ვ ი ი

სათემო მიწათმფლობელობა საქართველოში VI—XII
საუკუნეებში

1. VI—XII საუკუნეების ქართული დაბა-სოფლების
დასახლება-განვინილობა

ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ ადამიანები სახლდებოდნენ გორებზე, მთებში და ბარში. თავდაპირველად ამ დასახლებებს, ადამიანის განუვითარებლობის გამო, თავ-თავისი სახელები არ ერქვა და მასობრივად ამ დასახლებებს, ჩანს, ეწოდებოდა მხოლოდ „გორა“, „დაბა“, „სოფელი“, „სახლი“, „ხევი“ და ა. შ. შემდეგში ადამიანის აზროვნების განვითარების შედეგად დასახლებულ პუნქტებს, ერთმანეთისაგან გასარჩევად, ადგილის სპეციფიკურობის, სატომო, სავაჭრეულო თუ სხვა მრავალი წიშნის მიხედვით ეწოდა თავ-თავისი სახელი, ვთქვათ: მცხეთა, კასპი, ურბნისი, ხოვლე, მაჩხაანი, არბოშიკი, ბოდბე, წავეკისი და ა. შ. ისე როგორც ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად მათ უწოდეს სხვადასხვა სახელი, რაც (ეს უკანასკნელი) გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდოდნენ.

თუ როდის უნდა მომხდარიყო დასახლებული პუნქტებისათვის: გორებისთვის, ხევებისთვის, დაბებისთვის და სოფლებისთვის თავ-თავისი სახელების შერქმევა — ძნელი სავარაუდოა, შესაძლებელია, ძალიან შორეულ ხანაში, საქართველოში ვარაუდით დასაშვებია ადრე-ბრინჯაოს ეპოქაში, ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში. შუა-ბრინჯაოს ხანაში კი, III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში, დასახლებულ პუნქტათვის თავ-თავისი სახელების შერქმევა ქართველი ტომების მიერ, ვფიქრობთ, წესი უნდა ყოფილიყო.

ასე რომ, ქართული დაბა-სოფლების, გორების, ხევების წოდებების წარმოშობას ძალიან შორეულ წარსულში უნდა ჰქონოდა ადგილი.

პირველ ყოვლისა აქ მოკლედ უნდა შევეხოთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხის ერთ მხარეს. სახელდობრ, უნდა აღინიშნოს, რომ გვიანი შუა საუკუნეების, XV—XVIII საუკუნეების საქართველოს დასახლებათა ტოპონიმების, დაბა-სოფლებისა და ქალაქების უმრავლესობა, აშკარად ჩანს, რომ არსებობდა ადრეფეოდალურ და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში — VI—XII საუკუნეებში.

მართალია, რიგი დაბა-სოფლებისა (ეანსაკუთრებით ქვემო ქართლში) გაქრა და ნასოფლარად იქცა, ზოგან კიდევ ახალი დასახლება — დაბა-სოფელი გაჩნდა, ხოლო ბევრმა დაბა-სოფელმა სახელწოდებაც კი შეიცვალა უცხოტომელთა ჩამოსახლების შედეგად, მაგრამ, გვიანი შუა საუკუნეების ქართული დაბა-სოფლების უმრავლესობა არსებობდა ადრეფეოდალურ და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში — VI—XII საუკუნეებში, იმავე სახელწოდებითა და, რაც მთავარია, იმავე განფენილობით, ანუ იმავე ადგილებზე დასახლება-განლაგებით.

როგორც ცნობილია, გეოგრაფიული ტოპონიმები, დასახლებანი და მათი სახელწოდებანი გამძლეა და რიგი მათგანი ათეულ საუკუნეებში განაგრძობს არსებობას, თუ ქვეყნის მოსახლეობა ბინადარია და სახელმწიფოებრივ ორგანიზმშია მოქცეული, ე. ი. თუ სახელმწიფო ჩამოყალიბებულია. ასე იყო საქართველოშიც. რაც შეეხება საქართველოს ცალკეულ კუთხეებს და ხევებს, ე. ი. შედარებით მსხვილ რეგიონებს, მათ პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე პოლიანად უცვლელად შეინარჩუნეს თავიანთი ძველი სახელწოდებანი. ზოგიერთი გამოჩაყლისის გარდა. ასევე ითქმის ძველ ქართულ ქალაქებსა და ციხე-ქალაქებზე.

მამასადამე, VI—XII საუკუნეების საქართველოს დაბა-სოფლების სახელწოდებანი და მათი განფენილობა-დასახლებულობა, დასახლებათა ადგილება, რიცხობრივი რაოდენობა, ძირითადად ისეთივეა, როგორც გვიან შუა საუკუნეებში, XV—XVIII საუკუნეებში, რიგ სახელწოდებათა მცირეოდენი ცვლილებით. ამაში ჩვენ გვარწმუნებს VI—XIV საუკუნის საქართველოს დაბა-სოფლების სახელწოდებანი, მათი რიცხობრივი რაოდენობა, რაც მოცემულია აღნიშნული ეპოქის სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში (ნარატიულ და დოკუმენტურში): ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში, ეპიგრაფიკულ მასალებში,

„ქართლის ცხოვრებაში“, ქართული სამართლის ძეგლებში, VI—XII საუკუნეების ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში და უცხოურ წყაროებში*.

რაც შეეხება VI—XII საუკუნეების ქართული დაბა-სოფლების მოსახლეობის სიდიდეს, თითოეული დაბა-სოფლის კომლთა დაახლოებით რიცხობრივ რაოდენობას, რომლის გარკვევა უადრესად საჭირო და საინტერესო იქნებოდა ჩვენთვის, — დადგენა ძნელია. მართალია, გვაქვს ორი-სამიოდე სოფლის კომლთა რიცხვი ისტორიულ წყაროებში. მაგრამ მისი განზოგადება. ცხადია, არ შეიძლება. უფრო საზღვრულად გვეჩვენება დავუშვათ, რომ, მოცემულ პერიოდში, VI—XII საუკუნეებში, ხდებოდა დაბა-სოფელთა გამსხვილება.

დასახლებათა ტიპების მიხედვით კი ქართული დაბა-სოფლები მოცემულ ხანაში უნდა ყოფილიყო როგორც ერთგვარიანი, ისე მასოფლო-ტერიტორიული, ე. ი. რიგი ქართული დაბა-სოფლები შედგებოდა ერთი რომელიმე მონათესავე გვარისაგან დასახლებული, ხოლო რიგი დაბა-სოფლები სხვადასხვა გვარისაგან დასახლებული ხალხისაგან, რომელსაც ტერიტორიულ-სამეზობლო სოფელი ეწოდება, ანუ სამეზობლო-ტერიტორიული თემი. დაბა-სოფლების დასახლებათა ამ ორი ტიპიდან საქართველოში VI—XII საუკუნეებში უმრავლესობა, ჩვენი აზრით, სამეზობლო-ტერიტორიულ სოფლებს, თემებს, უნდა სჭეროდათ, მაგრამ ორივე ტიპის სოფლები (ერთგვარიანი და სამეზობლო-ტერიტორიული) კლასობრივ საზოგადოებაშია მოქცეული. საკუთრების ორივე ფორმა არსებობს მათში — კერძო და საერთო.

აღსანიშნავია, რომ VI—XII საუკუნეებში ქართულ დაბა-სოფლებს, ერთგვარიან და მასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებს, თემებს, ქართველ მოსახლეობას, საერთოდ, ძირითადად ათვისებული ჰქონდა ის სამიწათმოქმედო ტერიტორია, რაც ქართველ ხალხს გააჩნდა გვიან საუკუნეებში, ვთქვათ XIII—XVIII საუკუნეებში. სახელდობრ, VI—XII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში ქართველ ხალხს საბნავ-სათესად, სავენახედ და საბალ-ბოსტნედ ათვისებული ჰქონდა ქართლის ვაკე — მუხრანის, ტირიფონისა და დოღლაურის ველები, ქვემო ქართლის ვაკე, გარდაბნისა და ყარაიას ველები, კახეთში — მთელი

* VI—XII სს-ის ქართულ დაბა-სოფელთა რაოდენობისა და სახელწოდებათა შესახებ იხ. დ. გოგოლაძე, „ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI—XII სს.)“, დანართი, „მეცნიერება“, თბ., 1992.



ალაზან-იერის სამიწათმოქმედო აუზი, ასევე, მთისძირა ზოლები, იყო ძირითადად დასავლეთ საქართველოშიც.

უფრო მეტი, ქართველ არქეოლოგთა გამოკვლევებით, ქართველ ხალხს VI—XII საუკუნეების აღნიშნული სამიწათმოქმედო ტერიტორია (რეგიონები) ძირითადად ათვისებული ჰქონდა ადრეულ I—V საუკუნეებშიც. თანაც ამავე გამოკვლევებით, ამ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულია სარწყავი მიწათმოქმედება და მისი შესაბამისი ინტენსიური მეურნეობა — მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა და მებაღეობა-მებოსტნეობა**.

2. სასოფლო-სამეურნეო მიწათმფლობელობა

ისე როგორც ყველა ხალხი, ქართველი ტომებიც შორეულ წარსულში, გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ დღევანდელ საქართველოს და საერთოდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე. ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას მიწათმოქმედების დასაწყისი და განვითარება მოჰყვა. სახნავად და მდელიოდ რომ ექციათ ველური მიწები, ტყე რომ ახოდ გაეტეხათ, ცხადია, საჭირო იყო მძიმე სამუშაოს ჩატარება. ამ სამუშაოს ინდივიდუალურად შესრულება შეუძლებელი იყო. ამიტომ ადამიანთა დიდი ჯგუფები, გვაროვნული კავშირები, ამ სამუშაოს ერთად ასრულებდნენ, რათა ყამირის და ახოს გატეხის შედეგად ველური ადგილები საცხოვრებლად და სახნავ-სათესად ექციათ, გაეყვანათ ვზები, წყალი და ა. შ.

ადამიანთა ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ცხოვრებისათვის საჭირო მძიმე სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას — წარმოშობდა მათ საერთო საკუთრებას. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში საკუთრება მიწაზე მათ შეგნებაში „გულუბრყვილო უშუალობით“ გაიზარებოდა როგორც მათი საერთო კუთვნილება.

ამასთან, ასეთი სამეურნეო-ეკონომიური ვითარება, საერთო საკუთრება მიწაზე, ადამიანთა კოლექტივების წევრთა ასეთი ურთიერთდამოკიდებულება მეურნეობაში, ვზებისა და წყლების გაყვანაში, ბუნების მოვლენებისა და მხეცებისაგან თავის დაცვაში, ასევე, მტრული ტომების თავდასხმის მოგერიებაში — მათ შეგნებაში წარმოშობდა

** ვრცლად ამ საკითხზე იხ. ი. კიკვიძე, მიწათმფლობელობა და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, „მეცნიერება“, 1976.

კოლექტივის ყოველი წევრის თანასწორობის იდეას, ასევე, ერთობის სათემო საქმეების შესრულებაში თანასწორი ვალდებულების იდეას, ურთიერთთავდებობას.

ასე ყალიბდებოდა თავისი ისტორიის გარიჟრაჟზე ქართველ ტომთა პირველყოფილი კოლექტივები, კომუნები, სასოფლო ერთობები. ერთობა ირჩევდა თემის (სოფლის, კუთხის) უფროსს, სათემო საქმეების გადასაწყვეტად წესდებოდა სათემო ყრილობების მოწვევა, სადაც მონაწილეობდა თემის ყველა სრულსაკოვანი წევრი.

ცხადია, ქართველ ტომთა ძველი საზოგადოებრივი ყოფის ადღენა სრული სიცხადით შეუძლებელია და ისტორიკოსებისათვის სამუდამოდ დარჩება გაუხსნელი და ამოუცნობი როგორც ძველ ქართველ ტომთა ერთობების (კომუნების) საადგილმამულო წყობის, ისე ამ ერთობების წევრთა უფლებრივი საწყისების და მისი განვითარების სრული სურათი. მაგრამ თანამედროვე ისტორიული მეცნიერების განვითარების დონითა და მეთოდოლოგიური პრინციპებით ზოგად ისტორიულ ხაზებში მისი არქაული ყოფის რეკონსტრუქცია და, მით უფრო, შემდგომი, ფეოდალიზებულ სასოფლო ერთობათა ძველი აგარჯული წყობის სურათის სწორად წარმოსახვა, ვეიქრობთ, შესაძლებელია.

პირველყოფილმა (არქაულმა) კომუნებმა თავიანთ წარმოშობასა და ისტორიულ განვითარებაში გაიარეს რიგი ეტაპები, რის შედეგადაც იქმნებოდა კომუნების რიგი ტიპები, სახეები: პირველადი ანუ არქაული, მეორადი, მესამეული და ა. შ. ძირითადად კი პირველყოფილმა საზოგადოებამ გაიარა ორი ეტაპი: 1. გვაროვნული კომუნები (ერთობები, საზოგადოებანი) ანუ გვაროვნული წარმონაქმნების სხვადასხვა ტიპები, 2. „სამიწათმოქმედო ერთობა“ ანუ „სამიწათმოქმედო კომუნა“, რომელიც იყო პირველყოფილი, ანუ არქაული, პირველადი საზოგადოებრივი ფორმაციის ბოლო ფაზა, უკანასკნელი ეტაპი. უკლასო საზოგადოება ეფუძნება გვაროვნული და სამხედრო დემოკრატიის დროინდელ სასოფლო-ტერიტორიულ გაერთიანებებს. მის ადგილს იჭერს ახალი საზოგადოება, კლასობრივი, სახელმწიფოდ ორგანიზებული, რომლის უჯრედს შეადგენს არა გვაროვნული, არამედ ტერიტორიული გაერთიანებანი. უკლასო საზოგადოებიდან გადმოსული „სამიწათმოქმედო კომუნა“ არქაული, პირველადი, გვაროვნული კომუნის ძლიერ დარღვეული ფორმაა კლასობრივ საზოგადოებაში, სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ. „საადგილმამულო“ ანუ „სამიწათმოქმედო



ერთობა“ (კომუნა) იმიტომ ეწოდება მას, რომ მიწის მნიშვნელოვან ნაწილი წარმოადგენს სოფლის წევრების საერთო საკუთრებას.

ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები გვაროვნულსა და ტერიტორიულ სამიწათმოქმედო კომუნებს შორის არის შემდეგი: 1. პირველყოფილი გვაროვნული კომუნები დაფუძნებულია მათი წევრების სისხლით ნათესაობაზე. ტერიტორიულ სამიწათმოქმედო ერთობაში კი ეს დარღვეულია და მასში სხვადასხვა გვარის კოლექტივები ცხოვრობენ; 2. გვაროვნულ ერთობებში საცხოვრებელი სახლი, წარმოების საშუალებანი და მთელი უძრავ-მოძრავი ქონება კომუნის წევრთა საერთო საკუთრებაა, მატერიალური დოვლათის წარმოება ხდება ერთობლივად, კოლექტიურად, პროდუქტები ნაწილდება კომუნის წევრებს შორის თანაბრად. საადგილმამულო-სამიწათმოქმედო ერთობაში კი სახლი და კარმიდამო მიწათმოქმედი კომლის კერძო საკუთრებაა, ასევე ბალ-ბოსტანი. სახნავი მიწა, მთლიანად ან მისი ნაწილი და სხვა სავარგულები კი სოფლის (თემის) საერთო საკუთრებაა. მატერიალური დოვლათის წარმოება, — სარგებლობაში გამოყოფილ სახნავ ნაკვეთზე, — თემის წევრების მიერ ხდება ინდივიდუალურად, ცალკეული ოჯახების ინდივიდუალური შრომით, პროდუქტების მიღებაც შესაბამისად ინდივიდუალურია თავთავიანთი ნაკვეთებიდან. ამავე დროს ხდება საერთო სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილება. კერძო და საერთო საკუთრების (ან სარგებლობის) ეს დუალიზმი „საადგილმამულო ერთობას“ მთელი მისი ისტორიის მანძილზე მიჰყვება.

საადგილმამულო ერთობისთვის (კომუნისათვის) დამახასიათებელია დუალიზმი — კერძო და საერთო საკუთრების თანაარსებობა. მართალია, კერძო საკუთრება სახლისა და კარმიდამოსი, ასევე სახნავი მიწის ნაკვეთის პარცელარული დამუშავება და მატერიალური დოვლათის კერძო მითვისება ავითარებს პიროვნების ინდივიდუალიზმს, რაც საადგილმამულო (სამიწათმოქმედო) ერთობაში შემდგომი დაშლის ელემენტებს წარმოშობს, მაგრამ სახნავ მიწასა და სხვა სავარგულებზე საერთო კოლექტიური საკუთრება საადგილმამულო ერთობას აძლევს დიდი გამძლეობის საფუძველს.

საერთოდ პირველყოფილმა საზოგადოებებმა დიდი გამძლეობა გამოიჩინეს, მათ შორის საადგილმამულო ერთობამ — არქაული ფორმაციის უკანასკნელმა საფეხურმა, კ. მარქსი აღნიშნავს, რომ პირველყოფილი კომუნების სიცოცხლისუნარიანობა გაცილებით ხანგრძლივად

იყო, ვიდრე კლასობრივი საზოგადოებებისა, „სემიტურის, ბერძნულის, რომაულის და სხვა საზოგადოებებისა“¹.

სამიწათმოქმედო კომუნა და არქაული ფორმაციის ზოგიერთი სხვა პირველყოფილი ინსტიტუტები, გარდა ყველაზე მეტი სიცოცხლის ხანგრძლივობისა, კლასობრივ საზოგადოებაშიც გადმოვიდნენ, მსოფლიოს რიგ რეგიონებში, ქვეყნებში, გაუძლეს კლასობრივი საზოგადოების ფორმაციების ხანგრძლივ ისტორიულ პერიპეტებს და კუპიტალისტურ საზოგადოებამდე მოაღწიეს. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველო ყოფილა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცნობები ძველ დროში სამიწათმოქმედო ერთობის ან მისი პროტოტიპის შესახებ, მსოფლიო ისტორიის მასშტაბითაც კი, წერილობითი ისტორიის დროიდან მეტად მწირი გვაქვს. ამ მწირმა ცნობებმა, XIX ს-ის ისტორიკოსებს, ამ დროს არსებულ გადმონაშთ არქაულ აგრარულ ინსტიტუტებთან ერთად, შესაძლებლობა მისცა აღედგინათ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟის საადგილმამულო ყოფა, აგრარული კომუნისმი და მისი განვითარების ტენდენციები.

სახელდობრ, ძველ გერმანელებში არქაული კომუნა აღწერა იულიუს კეისარმა (100—44 წწ.) ნაშრომში „გალიის ომების შესახებ“. მის დროს, ძვ. წ. I საუკუნეში გერმანელებში, მისი ცნობით, არსებობდა სახნავი მიწის საერთო კოლექტიური საკუთრება. ხდებოდა სახნავი მიწების ყოველწლიური გადანაწილება, მაგრამ არა კომუნის ინდივიდუალურ ოჯახებს შორის, არამედ გერმანელი ტომების გვარებსა და სისხლით მონათესავე გაერთიანებებს შორის. მიაჩნიათ (კ. მარქსს), რომ ამ ცნობის საფუძველზე მიწის დამუშავებაც, ჩანს, ვერ კიდევ იდებოდა კოლექტიურად. შედარებით არქაული ტიპის ეს კომუნა შემდგომში სპონტანური განვითარების შედეგად გერმანელებში სამიწათმოქმედო კომუნად გადაიქცა, რომელიც იულიუს კეისრიდან 150 წლის შემდეგ ტაციტმა (55—116 წწ.) აღწერა („გერმანია“). სახელდობრ, ტაციტის დროს, გერმანელები უკვე ცალკეულ კომლებად ცხოვრობდნენ ერთმანეთისაგან შორისშორ, დაფანტულად, და კომლის (ოჯახის) საკარმიდამო ეზოს გარს ერტყა მიწის სხვა სავარგულელებიც. სათემო საერთო სახნავ მიწებს „იყოფდნენ“ და მათი დამუშავება უკვე კოლექტიურად კი არ ხდებოდა, არამედ გამოყოფილ სახნავ ნაკვეთებზე იგი

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 19, стр. 402.

ცალკეული ოჯახების მიერ ინდივიდუალური შრომით წარმოება.
მოწვეულ პროდუქციასაც, ცხადია, კომლები ინდივიდუალურად წარმოებენ.
სებდნენ.

აი, ეს მცირე, მაგრამ უაღრესად უდიდესი მნიშვნელობის მონაცემები ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისა, რომელთა საფუძველზე, სხვა მონაცემების დახმარებით, გვიან ხანაში (XIX ს) ისტორიკოსებმა შესძლეს აღედგინათ კაცობრიობის ისტორიის განთიადის საწყისი აგრარული წყობა, საკუთრების საწყისი ფორმა — მიწის საერთო-კოლექტიური საკუთრება.

როგორ იყო ამ მხრივ, საქმე საქართველოში, როგორი უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში ქართული დაბა-სოფლების მიწისმფლობელობის ფორმები, სახელდობრ, არსებობდა თუ არა სათემო-საერთო მიწისმფლობელობა?

უაღრესად ნიშანდობლივი და საინტერესოა ის გარემოება, რომ სათემო კოლექტიური მიწათმფლობელობა ძველ საქართველოში თითქმის იმავე დროიდან გვაქვს დამოწმებული, როგორც გერმანელებმა, იულიუს კეისრის დროს. სახელდობრ, ახ. წ. II საუკუნის საქართველოში (იბერიაში) სათემო მიწათმფლობელობის შესახებ მონაცემები დავიგეოვა ცეზარის თანამედროვემ, ბერძენმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა სტრაბონმა (ძვ. წ. 64 წ. — ახ. წ. 24 წ.), რომლის ცნობებს ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიისათვის უნიკალური მნიშვნელობა აქვს, ისე როგორც ცეზარის და ტაციტის მონაცემებს ძველი გერმანელების შესახებ. მაგრამ არსებითი განსხვავება ის არის, რომ ცეზარისა და ტაციტის დროს გერმანელები პირველყოფილ-გვაროვნული საზოგადოების სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე იდგნენ, მაშინ როცა იბერიაში დიდი ხანია კლასობრივი საზოგადოება არსებობდა და იგი სახელმწიფოებრივად იყო ორგანიზებული. ამიტომ სათემო თუ სხვა სახის კოლექტიური მიწათმფლობელობა აქ უკვე მეორად, კლასობრივ ფორმაციას განსკუთვნებოდა.

ასეთივე ვითარება გვაქვს კიდევ ერთ გვიანდელ, მაგრამ ასევე მნიშვნელოვან ცნობასთან. ცნობა ეხება რუსების ერთ-ერთ ძველ ტონს პოლიანებს. მემატიანე ნესტორი (XI—XII სს.) ვარიაგებამდელ პოლიანების შესახებ ამბობს: „Живяху кождо с своим родом и на



своих местах, владеюще кождо родом своим“². ამ ცნობამ რუს ისტორიკოსებს საფუძველი მისცა დაემტკიცებინა რუსი ხალხის ისტორიის საწყის ეტაპზე გვაროვნული კოლექტიური საკუთრება მიწაზე. უეჭველია ამ ცნობის ზოგადი მსგავსება, ერთი მხრივ, ცეზარის ცნობასთან გერმანელებზე, ხოლო მეორე მხრივ, სტრაბონის ცნობასთან იბერებზე, მაგრამ აქაც ისეთივე ვითარებაა. სახელდობრ, არსებითი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ცეზარისა და ნესტორის ცნობების პერიოდში გერმანელები და პოლიანები გვაროვნული საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე — სამხედრო დემოკრატიის წყობილებაზე იმყოფებოდნენ და, მაშასადამე, მათი სათემო კოლექტიური მიწათმფლობელობა პირველადი იყო, უკლასო პირველად ფორმაციას განეკუთვნებოდა, მაშინ როცა სტრაბონის დროინდელი იბერიის საზოგადოება კლასობრივი იყო და შესაბამისად აქ არსებული სათემო მიწათმფლობელობა „მეორადი“ იყო და კლასობრივ ფორმაციას განეკუთვნებოდა.

სტრაბონის ცნობები — პირდაპირი მითითებაა საერთო მიწათმფლობელობის არსებობაზე ქართლის (იბერიის) სამეფოში I საუკუნეში. ქართლის სამეფოს აღწერის დასასრულს სტრაბონი აღნიშნავს: „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესა, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა (Λαοί) რომლებიც სამეფო მონები (εἰς βασιλῆα; δῆμιαι) არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი“².

უნიკალური ცნობაა და თანაც ერთადერთი, ვიდრე XVI საუკუნემდე, სადაც ასე პირდაპირი მითითებაა იმ დროის საქართველოში საერთო კოლექტიური მიწათმფლობელობის არსებობის შესახებ.

² Повесть временных лет, текст, М.-Л., 1950, стр. 12.

^{2a} თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 128.

ეს ცნობა სტრახონისეული იბერიის მარტო მეოთხე გენესისი ეხებოდეს, მაინც უდიდესი მონაცემი იქნებოდა მოსახლეობის თო-კოლექტიურ მიწათმფლობელობაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, სწორი არიან ივ. ჯავახიშვილი და გ. მელიქიშვილი, როდესაც აღნიშნავენ, რომ სტრახონის ბოლო ცნობა — „საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით“, — ეხება სტრახონის დროინდელ იბერიის მთელ საზოგადოებასო, — ოთხივე გენეს, ოთხივე წოდებას³.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა გარკვეული, რომ სტრახონის დროინდელი იბერია კლასობრივი საზოგადოებაა. აქ ორი გაბატონებული ზედა წოდების (მეფეთა გვარი და ქურუმთა გვარი) ქვემოთ არსებობს ორი დაქვემდებარებულ-დამორჩილებული წოდება — „მიწათმოქმედთა და მეომართა“ და „ლაოებისა“, ანუ „სამეფო მონებისა“. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „სამეფო მონები“ ჩამოცილებულ უნდა ყოფილიყვნენ სამხედრო საქმეს და ისინიც მიწათმოქმედნი იყვნენ, რომლებიც „ცხოვრებისათვის ყოველივე საქირა“-ს აკეთებდნენ სამეფო საგვარეულოსათვის. მესამე წოდების ხალხი „მიწათმოქმედნი და მეომარნი“ თავისუფალი მეთემეები (სოფლელები) იყვნენ, ხოლო მეოთხე წოდების ხალხი — „სამეფო მონები“ („ლაოა“) დაპყრობის შედეგად დამორჩილებულ-დამოკიდებული მეთემეები, რომელნიც სახელმწიფო მიწებზე ისხდნენ⁴.

ზემოთ როდესაც დაბა-სოფლების დასახლებათა ტიპებზე გვქონდა საუბარი, აღვნიშნეთ, რომ სტრახონისეული მესამე და მეოთხე წოდების ხალხი, ანუ ქვეყნის მწარმოებელი მოსახლეობა, გაერთიანებული უნდა ყოფილიყო ერთგვარიან და სასოფლო-ტერიტორიულ (სხვადასხვა გვარისაგან შემდგარ) ერთობებში.

დაბა-სოფლების ეს ერთობები სტრახონის დროინდელ იბერიაში შემდგარი უნდა ყოფილიყო დიდი ოჯახებისაგან. სტრახონის ფრაზაში „საერთო აქვთ ქონება ნათესაობისდა მიხედვით“ — სიტყვა „ნათესაობა“ (საყრახეჲ) აშკარაა, დიდ ოჯახებს, ერთი ნათესაური გვარის დიდ ოჯახებს ანუ „საოჯახო კომუნებს“ გულისხმობს⁵.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, თბ., 1928, გვ. 148, გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 486—487.

⁴ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 166—7. გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 488—491.

⁵ შეად. გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 490.

ამასთან, აღსანიშნავია, ბოლო დროს უფრო მხარდაჭერას პო-
ლობს გ. მელიქიშვილის შეხედულება იმის შესახებ, რომ ძველი ქარ-
თული ერთობები თავისი წარმოშობით სატაძრო ერთობები იყვნენ
და, რომ, სატაძრო მიწათმფლობელობა იგივე სათემო-საერთო მიწათ-
მფლობელობა იყო. ტაძრის ზედა ფენა ექსპლოატაციას უწევდა და-
ქვემდებარებული სასოფლო ერთობების მოსახლეობას.

საქართველოს კლასობრივი საზოგადოების განვითარების პროცე-
სში, დროდადრო, ხდებოდა სატაძრო-სათემო მიწათმფლობელობიდან
თვით საკუთრივ სატაძრო მიწათმფლობელობის გამოყოფა. სა-
ტაძრო თემის დანარჩენი მიწები კი გადადიოდა სამეფოსა და მეთემე-
თა საკუთრებაში და იგი საერთო ხდებოდა.

ტაძრები თავიანთ საკუთრივ სატაძრო მიწებს ამუშავებდნენ მო-
ნებით, ან აძლევდნენ ნაკვეთებად გარკვეული პირობით, ანდა კიდევ
ამუშავებდნენ მათ ტაძრისადმი დამოკიდებულ სასოფლო ერთობებს
წევრთა შრომითი ვალდებულების გზით.

ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, სამეფო ხელო-
სუფლების დამორჩილებულ დაბა-სოფლების მოსახლეობაშიც — „ლა-
ოებში“, ანუ „სამეფო მონებშიც“ და სამხედრო არისტოკრატის მიერ
ასევე, დამორჩილებულ სასოფლო ერთობებში.

კითხვა ისმის, მაინც რა მასშტაბის უნდა ყოფილიყო სათემო-კო-
ლექტიური მიწათმფლობელობა. მკვლევრები აღნიშნავენ მიწათმფლო-
ბელობის ამ სათემო კოლექტიური ფორმის სხვადასხვა სიდიდეს სტრა-
ბონის დროინდელ იბერიაში. ზოგს კი მიაჩნია, რომ სათემო მიწათ-
მფლობელობა ძირითად სავარგულებზე, სახნავ-სათეს მიწებზე, აქ
დროს, განსაკუთრებით საქართველოს ბარში, დარღვეულია. მაგრამ
ასეთი ვითარება არ ჩანს.

სტრაბონი გადმოგვცემს, რომ იბერიის მოსახლეობის წოდებებს
„ნათესაობის და მიხედვით“ „საერთო აქვთ ქონე-
ბა“. როგორც სტრაბონის ამ პირდაპირი მითითების, ისე შემდეგ
ეპოქების ყველა სხვა წყაროების — პირდაპირი თუ არაპირდაპირი
მონაცემების საფუძველზე, რაც კი გაგვაჩნია საქართველოს სათემო
მიწათმფლობელობაზე, ჩვენ სტრაბონის დროინდელი იბერიის სურს-
თი გვესახება შემდეგნაირად.

ქვეყანა შედგება სამეზობლო-ტერიტორიული და ერთგვარიანი
სასოფლო ერთობების კრებულისაგან. სასოფლო ერთობები თავის მხრე
შედგება უმთავრესად დიდი ოჯახებისაგან. დიდ ოჯახებს ინდივიდუ-



აღურ საკუთრებაში აქვთ სახლ-კარი, ეზო-მიდამო, ბალ-ვენახები, წარმოო იარაღები, გამწევი ძალა, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუ-ტყვი. ეს სასოფლო ერთობის შიგნით დიდი ოჯახების ინდივიდუალუ-რი საკუთრებაა, მაგრამ თვით დიდი ოჯახისათვის, რომელიც ზოგჯერ 60-ზე მეტი სულისაგან შედგებოდა, — ეს საკუთრება მათთვის საერთო კოლექტიურია. სტრაბონის ცნობა: „საერთო აქვთ მათ ქონება ნათე-საობისდა მიხედვით“, სწორედ ასეთ ვითარებას გულისხმობს.

მაგრამ, ჩვენი აზრით, საქმე ამით არ ამოიწურება. რაც მთავარია, სასოფლო ერთობებს ვააჩნიათ სახნავ-სათესი მიწები, რომელიც მთელი სოფლის საერთო-კოლექტიური საკუთრებაა. ამ მიწებით სარგებლო-ბენ და მათ ამუშავებენ დაბა-სოფლების დიდი და შედარებით პ-ტარა ოჯახები. მოსავალიც, ცხადია, ოჯახების საერთო-კოლექტიური საკუთრებაა. სტრაბონის ცნობა — „საერთო აქვთ ქონება ნათესაო-ბისდა მიხედვით“ — ჩვენი აზრით, საოჯახო კოლუნების სასოფლო-სათემო სახნავ მიწებსაც გულისხმობს.

სახელდობრ, ჩვენი აზრით, აშკარაა, სათემო-კოლექტიურ მფლო-ბელობაში უნდა ყოფილიყო ამ დროისთვის სახნავ-სათესად ათვისე-ბული მიწები: შიდა ქართლის ვაკე — ტირიფონის, მუხრანისა და დოღლაურის ველები, ქვემო ქართლის ვაკე, ყარაიას და გარდაბნის ველები, კახეთში ალაზნისა და ივრის მთელი სამიწათმოქმედო აუზის სახნავ-სათესი მიწები.

საერთო-კოლექტიურ მიწათმფლობელობას ადასტურებს სტრაბო-ნის მეორე ცნობაც, რომელიც, მართალია, პირდაპირი მითითება არაა, მაგრამ, როგორც მკვლევრები სამართლიანად აღნიშნავენ, მასში სათე-მო მიწათმფლობელობა იგულისხმება. ესაა „კახეთის საზღვარზე“ მდე-ბარე ალბანეთის მთვარის ღვთაების ტაძრის მიწები⁶. მკვლევართა აზრით, ეს ტაძარი დღევანდელი ალავერდის ტერიტორიაზე არსებობ-და.

ცხადია, სათემო მიწათმფლობელობის პარალელურად ამ დროის კლასობრივ იბერიაში (ქართლში) არსებობდა სამეფო საგვარეულოს, სამხედრო არისტოკრატიისა და სატაძრო მიწათმფლობელობა.

ასე რომ, სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობა ძირითად სა-ვარგულებზე, — სახნავ-სათეს მიწებზე, — საქართველოში I—V სა-უკუნეებში, ჩვენი აზრით, არა თუ დაარღვეულია, არამედ ქართული სა-

⁶ თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 134—135.



სოფლო-საგვარეულო (ერთგვარიანი) და სამეზობლო ტერიტორიების დაბა-სოფლების აგრარული წყობის ერთ-ერთი დედაბოძია.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობამ მთელი რიგი ისტორიული ეპოქები განვლო. სასოფლო კომუნები იცვლიდნენ უფლებს, პატრონებს, ბატონებს, იცვლიდნენ სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმებს, რომლებშიდაც ისინი იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ მათი სათემო-საერთო მიწათმფლობელობა რჩებოდა. რჩებოდა ასევე მისი ძირითადი პრინციპი — საერთო სარგებლობისა და განაწილებისა.

ჩვენი აზრით, კლასობრივი ქართული დაბა-სოფლების სათემო-საერთო მიწათმფლობელობამ გაიარა სამი საფეხური, სამი საზოგადოებრივ-ისტორიული ეპოქა.

1. წარმართული სასოფლო ერთობის სატაძრო-საერთო მიწათმფლობელობა. რელიგიური უფროსი — წარმართული ტაძარი ქურუმით სათავეში, საერო ხელისუფალი — წარმართული სახელმწიფო თავისი სამოხელეო ორგანიზაციით.

2. IV საუკუნიდან ქართულ წარმართულ სასოფლო ერთობებს და სათემო მიწათმფლობელობას ეცვლება რელიგიური და საერო ხელისუფალი. რელიგიური ხელისუფალია ქრისტიანული ეკლესია — ძველი წარმართული ტაძრების, კერპ-სამლოცველოების ადგილას. საერო ხელისუფალია — ქრისტიანული ფეოდალური სახელმწიფო თავისი შესაფერი სამოხელეო ორგანიზაციით. საერო-სასულიერო ხელისუფალი, ანუ უფალი, სასოფლო ერთობებისათვის არის პატრონი-ფეოდალი, ხოლო სასოფლო ერთობები — ყმა.

3. შემდეგში, ძირითადად XI—XII საუკუნეებში, საერო და სასულიერო ფეოდალი-ხელისუფალი ყმა-თემებისათვის ბატონად იქცევა, ხოლო სასოფლო ერთობის უშუალო მწარმოებლები, მდაბორმეთემეები, უკვე მასობრივად — გლეხებად ანუ მიწაზე მიმაგრებულ მწარმოებლებად.

ყველა ამ საფეხურზე სასოფლო ერთობები სახელმწიფო-საერო და საეკლესიო-რელიგიური ხელისუფლების მიერ მეტ-ნაკლები დოზით დაბეგრულია ვალდებულება-გადასახადებით; სასოფლო ერთობის შინაგან ორგანიზაცია კი, ამ შემთხვევაში მისი აგრარული წყობილების ერთ-ერთ არაერთ მხარეს — სათემო-საერთო მიწათმფლობელობას, მისი სარგებლობის წესებს, საერო და სასულიერო ხელისუფლება არ ეხება და იგი არსებობას განაგრძობს.

ჩვენი აზრით, სტრაბონის დროინდელი იბერიისა და ახალქალაქის თალიციცხვის პირველი საუკუნეების ქართული სოფლის საერთო მიწათმფლობელობა ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის რეგიონებში, შემდეგშიც, ფეოდალურ ხანაში — VI—XIX საუკუნეებში, ძირითადად, ისევე განაგრძობდა არსებობას, როგორც ძველად, რასაც, როგორც შემდგომში დავინახავთ, კარგად ადასტურებს XIII—XVIII, განსაკუთრებით კი გვიანი შუასაუკუნეების (XV—XVIII) საქართველოს დიდძალი პირდაპირი მონაცემები.

მაგრამ აღნიშნული საუკუნეების მონაცემების განხილვამდე, აქ, სტრაბონის მონაცემების შემდეგ, უნდა განვიხილოთ კიდევ ორი წყარო, რომელიც გვიდასტურებს სათემო-საერთო მიწათმფლობელობას VI—XII საუკუნეებში. ეს წყაროებია: VII—X საუკუნეების „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და XIV ს-ის „ძეგლი ერისთავთა“.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ სათემო-საერთო მიწათმფლობელობის დადასტურებას ტყეზე ს. ჯანაშიამ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა. შემდეგში სათემო-საერთო მიწათმფლობელობის საკითხს აღნიშნულ წყაროში შეეხენ ა. ბოგვერაძე, მ. ლორთქიფანიძე და ნ. ვაჩნაძე. მათ თავიანთი დაკვირვებები წარმოგვიდგინეს. აღნიშნული მკვლევრები სხვადასხვა მოსაზრებებს გამოთქვამენ, რის შესახებაც ისტორიოგრაფიულ ნაწილში უკვე ითქვა. ჩვენი მხრივ, წარმოვადგენთ საკუთარ დაკვირვებებს.

საქმის ვითარება სამცხეში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით ასეთია. წმინდა მამები — სერაპიონი, მისი ძმა იოანე „და ოთხნი ძმათა ამათვანი“ (ბერები) წამოვიდნენ სამონასტრო ადგილას საქმენელად. „მოიწინეს მთასა მას... რომელსა ბერას ჟუარ ეწოდების“. სერაპიონმა აქ ბერებს უჩვენა ადგილი, სადაც უნდა აეშენებინათ მონასტერი და ჩამოვიდნენ „დასასრულსა მას ჳევისასა“ (ე. ი. ჳევის ბოლოში), მოვიდნენ დაბა ძინძეში „და იხილეს, რამეთუ უღაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და ჳევთა. და შეიყუარეს იგი ძმათა მათ“. ბერებმა აქ გადაწყვიტეს მონასტრის აშენება და მათ დროებით სადგომად დაიწყეს მცირე ტალავრის შენება⁷.

⁷ „ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 323—324.



მაგრამ გაიგეს თუ არა ბერების მოსვლა („ხოლო ეუწყა რაჲ უფ-
 ლთა მის დაბისათა“), როგორც წყაროშია აღნიშნული, დაბა ძინძეს
 „უფლებმა“ (—მეპატრონეებმა), ანუ, ჩვენი აზრით, დაბა ძინძეს მე-
 თემეებმა, მდაბიორებმა (და არა დაბა ძინძეს უფალმა-ბატონმა --
 ფეოდალმა, როგორც ეს გაგებულა ქართულ ისტორიოგრაფიაში),
 წმიდა მამებს უფლება არ მისცეს აეშენებინათ მათ სადაბო მიწაზე
 მონასტერი და ისინი ძინძედან გამოარეკეს მდინარის პირამდე⁸.

ბერებმა „წილ-მოვლეს რაჲ მდინარე იგი“ მივიდნენ უდაბურ
 ტყეში. აქ „ბოვეს ნიშნები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან
 მოძღვარისა, და განიხარეს“. აქ ნახეს მცირე ბორცვი, სხვებზე მაღალა
 იმ ადგილებში; ბორცვს აღმოსავლეთით მდინარე ჩამოუდიოდა. სერა-
 პიონმა ბრძანა წყაროსა და ბორცვს შუა „მოიქნას ადგილი და აღე-
 შენოს მცირე ტალავარი“. ამჟამად აქ გადაწყვიტეს ბერებმა აეგოთ
 მონასტერი. ეს ადგილი იყო ზ ა რ ზ მ ა⁹.

ამ ქვეყანაში მთავარი იყო ფეოდალი გიორგი ჩორჩანელი. მის
 ტაძრები ჰქონდა აშენებული ჩორჩანისა და ზ ა ნ ა ვ შ ი. მისი
 სანადირო ადგილი იყო ც ხ რ ო ჭ ა. აქ ჰქონდა მას სანადირო სახლი
 ღამის გასათევად.

ბერებმა ბორცვის მახლობლად ტალავარი გააკეთეს და „აღაგზ-
 ნეს ცეცხლი“. ეს დაინახა გიორგი ჩორჩანელმა, გაუკვირდა, — ჩემს
 სამთავრო ქვეყანაში ვინ მოვიდა და გააჩაღა ცეცხლი, ისე რომ შე
 არ ვიცო და მყის გაგზავნა მსახური ამბის გასაგებად. მალე გიორგი
 ჩორჩანელი თვით ეახლა ბერებს და გაიგო მათი მიზნები. ჩორჩანელმა
 ბერებს მონასტრის ასაშენებლად შესთავაზა უკეთესი ნაყოფიერი ად-
 გილი ამ „ყოვლითურთ უქმ და უღღაწ“ ადგილის სანაცვლოდ. სე-
 რაპიონმა ჩორჩანელს უპასუხა, რომ „ნიშნი და უწყებანი“ გვაკო-
 ლებს აქ ავაშენოთ მონასტერიო. შრომითა და ღვაწლით ამ ადგილს
 ბაღნარად გადავაქცევთ და ნუ დაგვატოვებინებ ამ ადგილსო.

შემდეგში კვლავ მივიდა ჩორჩანელი ბერებთან და უთხრა: „არაჲ
 ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი“ და იქ
 ააშენეთ ტაძარიო. ბერებმა უარყოფითად უპასუხეს¹⁰.

8 ძველი ქართული აგიოგრაფიული., გვ. 324.
 9 იქვე.
 10 იქვე, გვ. 324—327.



მაშინ ვიორგი ჩორჩანელი დამორჩილდა ბერების სურვილს და ერთ-ერთ მსახურ ჭაბუკს უბრძანა, გაჰყოლოდა ამ ბერებს მეორე დღეს დილით და საღამომდე ეს ბერები ფეხით რამოდენა და რა სახას მიწის ფართობის გარშემოვლას შესძლებენ, ის მიწის ფართობი მიმიცემია მათთვის სამონასტროდ, რადგან აქ უნდა მათ ააშენონ მონასტერიო.

მართლაც, მეორე დღეს დილით სამი ბერი — სერაპიონი, მიაქმა იოანე და ერთი სხვა, ჭაბუკის თანხლებით გაემართნენ სამონასტრო ადგილ-მამულის გარშემოსაწერად. დანარჩენი სამი ბერი კი ადგილზე დარჩა ზარზმას.

ბერები წავიდნენ ზარზმიდან დასავლეთისაკენ, — „პირსა მას მდინარისასა დასავლით კერძო“. მივიდნენ წისქვილთან, სახლთან „რამდე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცნი რამდე უკეთურნი, ყოლად მკეცებრიენი“¹¹.

მეგზურმა ჭაბუკმა ბერებს უთხრა: წმინდანო საითკენ გინდაო წასვლაო. (აღსანიშნავია, რომ წყარო, აგიოგრაფი, ამის შემდეგ პირველ პირში აღაპარაკებს ერთ-ერთ ბერს). ერთ-ერთი ბერი მოუთხრობს აგიოგრაფს, რომ ჩვენ გვინდოდა „გარე-შეწერით“ შემოგვევლო „სუმრგულე“ ადგილებისა, ამიტომ „პირი სამხრით (—სამხრეთით) ვიქციეთ თანა-აღყოლად ერთისა მის მდინარისა“. მაგრამ საძმოელებმა დაინახეს რა ეს, ცოფიანივით წინ აღგვიდგნენ და არ გვიშვებდნენ. მაშინ მეგზური ჭაბუკი წინაღუდგა საძმოელებს და აყენებდა მათ, თანაც რისხვით ემუქრებოდაო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტექსტის ეს ადგილი ისეა გაგებული, თითქოს საძმოელებმა ბერებს სვლის მიმართულება შეუცვალეს და სხვა გზით, სხვა მიმართულებით გაუშვეს. ტექსტის ასეთი გაგება სწორი არ არის. სინამდვილეში ბერებმა სვლა იმ მიმართულებით განაგრძეს, საითკენაც მიდიოდნენ. ჩანს, საძმოელებზე მეგზური ჭაბუკის რისხვა-მუქარამ იმოქმედა.

წყაროში, საძმოელებთან კონფლიქტის წინ ერთ-ერთი ბერი აღნიშნავს, რომ „პირი სამხრით ვიქციეთ თანა-აღყოლად ერთისა მის მდინარისა“, ხოლო საძმოელებთან კონფლიქტის შემდეგ იგივე ბერი

¹¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული..., გვ. 328.

აღნიშნავს: ჩვენ „აღვჰყევით პირსა მის მდინარისასა“-ო, იმ მიმართულებით წავედით, საითკენაც გვინდოდა წასვლა¹².

ბერებმა ვზა ვანაგრძეს, მივიდნენ „ვევსა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდურძისა ეწოდების“, აქედან შევიდნენ ხშირ ტყეში, შემდეგ ავიდნენ ვევის თავს და იხილეს „მცირე რაიმე ყანობირნი და მცირე ღაბა“, სადაც მყის მიეგება მათ კაცი კეთილი, მსცოვანი, სახელად ია, რომელიც ბერების მეგზურმა ჰაბუკმა შეიცნო. ია ჰაბუკთან ერთად გაჰყვა ბერებს მეგზურად. ამაყრად, ადგილებს გარშემოვლის მიზნით, ბერები გაემართნენ აღმოსავლეთისაკენ. მივიდნენ მალალ ქედთან, ქედის აღმოსავლეთით დაინახეს ტბა, რომელსაც ეწოდებოდა სათაჯვე. ბერები მივიდნენ ტბის პირას. ჩანს, ბერებს ტბის გარეშემოწერაც უნდოდათ, მაგრამ აქ მათ დახვდნენ მონადირე მეთემეები — „კაცი უკეთურნი“ და არ გაუშვეს. ერთ-ერთი ბერი აღნიშნავს: „გარე-უტყ-მოგუაქცინეს და პირი ზღუსა მის დასავლათ წიად-ვლეთ“. იამ ბერები მიიყვანა ერთ მცირე დაბას და უთხრა: აქ ცხოვრობს კეთილი კაცი გარბანელი, რომელმაც იცის აქაური გზები და ის მიგვიყვანთ იქ, საიდანაც წამოხვედითო. ია გამოემშვიდობა ბერებს. სერაპიონმა მას მადლობა გადაუხადა და უთხრა: მალე გაიღებ და იხილავ „მისაგებელს“ „კაცთა მათ ბოროტთა და შფოთია მოყვარეთა“-ო¹³.

ბერები მივიდნენ ადგილ ბაბგენს, მცირე ველსა ბობხას, სადაც გარბანელი ცხოვრობდა. ბინიდან გამოვიდა გარბანელი ორი ძით და სახლში მიიპატიჟა ბერები. ბერებმა მადლობით უარი უთხრეს, გვეჩქარებაო. მაშინ გარბანელი და მისი ვაჟი მეგზურად წაუძღვა ბერებს. ჩორჩანელის მიცემული მეგზური ჰაბუკი კი ბერებს აქ გამოემშვიდობა და თავის სახლში წავიდა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ გარბანელმა თავის შვილს უბრძანა ბერები მიეყვანა ზარზმას, საიდანაც ისინი დილით გამოვიდნენ. თვითონ კი სახლში გაბრუნდა. გარბანელის შვილმა ბერები საღამოს მიიყვანა ზარზმას, სადაც მათ მიეგებნენ იქ დარჩენილი სულიერი ძმები¹⁴.

მეორე დღეს დილით ზარზმას ბერებთან სწრაფად მოვიდნენ ბერების პირველი მეგზური ჰაბუკი, გარბანელი და კიდევ ორი უცხო

¹² ძველი ქართული აგიოგრაფიული., გვ. 328—329.

¹³ იქვე, გვ. 329—330.

¹⁴ იქვე, გვ. 331.



კაცი. გარბანელმა ბერებს უთხრა: გუშინ სახლში რომ გავბრუნდით მეგზური ჭაბუკი იყო დაღლილი და ჩემთან გაათია ღამეო. ^{რამდენიმე წელიწადი} თენდა თქვენთან წამოსვლას ვაპირებდით, რომ უცებ „იქმნა ძრვად და ოხრაჲ, რამდე, ვითარცა ქარისაჲ“. სულ მალე ჩვენთან მოვიდნენ ეს უცხო კაცები, რომლებმაც გვიოხრეს, რომ ტბა სათავესთან განიბო კლდე, „წარვიდეს წყალნი“ და ჩვენ „განვიბნიენით“-ო. ხოლო მეგზურმა ჭაბუკმა წმიდა სერაპიონს უთხრა: „აჰა ესერა ვხედავ, რამეთუ სიტყუანი შენი“ როგორ გამართლდაო, მახსოვს გუშინდელი შენი სიტყუები ჩვენ თანამგზავრ კაცს, იას, სათავეის ტბასთან რომ უთხარი: მისაგებელს მიიღებენ შფოთის მოყვარენიო; რომ ასევე დაემართება შფოთის მოყვარეთ „რომელნი იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინა რბილდეს ვითარცა ეშმაკეულნი“-ო. როცა დასცხრა მდინარის წყალდიდობა, დავინახეთ, რომ მართლაც ტბის ადგილი ქვეუღიყო ლოდთან ველაჲ, „ხოლო ადგილი იგი წისქვილ-სახლთაჲ კუალად წარღუნილ და უჩინო“-ო¹⁵.

ასე დასაჯა ქრისტეს ძალით აგიოგრაფმა ყველა ისინი, ვინც წინაღულდა ქრისტიან ბერებს დაუფლებოდნენ საჭირო სამონასტრო მიწებს, შემოეღობათ ადგილ-მამული მონასტრისათვის, — თუგინდ ეს მიწები სხვისი, სათემო თუ საფეოდალო ყოფილიყო.

ძეგლით, ეს „სასწაული“ და ბერების საქმიანობა გახმაურდა მეზობელ კუთხეებშიც. მოვიდნენ მღვდელნი და მონაზონნი სხვადასხვა მხრიდან. მთავარი გიორგი ჩორჩანელი მთელი გულმოდგინებით შეუდგა ბერების დახმარებას მონასტრის აგებაში. მოვიდნენ სხვა მთავრებიც ვარემო კუთხეებიდან და ყველა მათგანი სთავაზობდა მათ სამონასტრო ადგილს. აღსანიშნავია, რომ თავჩაქინდრული მოვიდა „კაცი“ სოფელ ძინძედანაც, საიდანაც პირველად გამოაძევეს წმიდა მამები. ძინძელმა კაცმა, რომელიც, შესაძლოა, ძეგლით ძინძელების რომელიმე ხელისუფალი ჩანდეს, ამჟამად სიყვარულით და მოწიწებით სთხოვა სერაპიონს ძინძეში აეშენებია მონასტერი. სერაპიონმა მას სახარების ენაზე უპასუხა: „სულსა შინა უკეთურსა შინი ღმრთისაჲ არა დაემკვიდრების“ (მათე), მაგრამ შემინდვია შენთვის ეს პირველი ცოდვებით, ხოლო ჩვენ ნურავინ გვაიძულებს სამონასტრო ადგილს გამოცვლასო.

¹⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული., გვ. 332.

სერაპიონმა აქვე შეკრებულ საერო ხალხს მიმართა: „მთავარი და ერნო“, თუმცა ჩვენი ძალითაც მოხდა ეს სასწაულები, მაგრამ მთავარი ძალა ამისი ქრისტე ღმერთიაო¹⁶.

აგიოგრაფიის მიზანს მონასტრის ფაქტიურ, პრაქტიკული მშენებლობის ისტორიასთან ერთად შეადგენს აჩვენოს ყოვლისმძლე ქრისტიანული იდეოლოგია, ის, რომ, ყველა დაიღუბება, ვინც წინ აღუდგება ქრისტეს წარმომადგენლებს დედამიწაზე, ქრისტიან სულიერ მამებს, ამა თუ იმ საქმის განხორციელებაში. ისინი მოწინააღმდეგეებს ღუბავენ, ხოლო მოკეთე-მორწმუნეებს მკვდრებით აღადგენენ. მართო წმ. ნინომ და ანდრია მოციქულმა ქრისტეს ძალით ათეულობით მკვდარი „გააცოცხლა“; ქრისტეს ძალით ერთი კაციც კი ავებს გრანდიოზულ მონასტრებს (აბუსერიძე ტბელი, ბასილ-ბოლოკის მშენებლობა შუარტყალში) და ა. შ.

მთელ აგიოგრაფიულ ძეგლებს წითელ ზოლივით გასდევს ეს ქრისტიანული იდეოლოგია. ხშირად რიგი მიწიერი პიროვნებები, რიგი პერსონაჟები ქრისტიანობისათვის თავდადებულნი, ბუნებრივია, აგიოგრაფი მწერლების მიერ გამოგონილია, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ რელიგიურ-ფანტასტიკური საბურველის მიუხედავად, მათ თხზულებებში ასახულია იმ დროის რეალური ქვეყანა, რეალური სოციალური და პოლიტიკური საზოგადოება, რასაც, ცხადია, აგიოგრაფი მწერლები ვერ გამოიგონებდნენ.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“-ში ზარზმის მონასტრის აშენების მოსამზადებელი ეპიზოდებიდან ნათლად ჩანს ქართული სასოფლო-ეკონომიკის საერთო მიწათმფლობელობა მოცემულ ხანაში, რაც, ვფიქრობთ, ძეგლში დასტურდება.

უპირველეს ყოვლია სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობა წყაროდან ჩანს დაბა ძინძეში. აქ მისულ ბერების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ სამონასტრო ადგილ-მამულის დაკავებას, მთელი ძინძეს კოლექტივი გამოვიდა. როგორც წყაროშია აღნიშნული: ბერების მისვლა „ეუწყა რა უფალთა მის დაბისათა“, არ ინებეს მათ სასოფლო მიწა-წყალზე მიეცათ ადგილ-მამული ბერებისათვის და გარეკეს. როგორც აღინიშნა, „დაბის უფლებში“, ჩვენი აზრით, აქ მდებრიორ-მეთემეები იგულისხმებიან და არა დაბის ბატონი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მოცემული. მთელ კონტექსტში ლაბა-

16 ძველი ქართული აგიოგრაფიული., გვ. 333.



რაკია მრავლობით რიცხვში, რითაც მთელი სოფლის კოლექტივი
 ქმედება იგულისხმება. რაც მთავარია, მთელი სოფლის კოლექტიური
 გამოსვლა სასოფლო მიწა-წყლის დამო, ამ სასოფლო ადგილ-მამულა
 საერთო მფლობელობაზე მიუთითებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, --
 სასოფლო ადგილ-მამულის მთლიანად მდაბიოთა ინდივიდუალური
 მფლობელობაში არსებობის შემთხვევაში, — სოფლის მთელი კოლექ-
 ტივის ასეთ საერთო გამოსვლას ადგილი არ ექნებოდა. წყაროს მიხე-
 დვით, მთელი კოლექტივი გამოვიდა დაბის სათემო-საერთო მიწათმფლო-
 ბელობის დასაცავად. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში სათემო-
 საერთო მიწების დასაცავად დაბა-სოფლის საზოგადოების სწორედ
 ასეთი კოლექტიური გამოსვლა იყო დამახასიათებელი.

ძნელია თქმა, ძინძელებს ამ დროს სახნავი მიწებიც ჰქონდათ თუ
 არა საერთო მფლობელობაში. ტყე და სათიბ-საძოვარი აშკარაა მათ
 საერთო მფლობელობაში უნდა ჰქონოდათ. თუმცა, შესაძლებელია სა-
 ხნავ-სათესი მიწებიც ჰქონოდათ საერთო მფლობელობაში.

ასეთივე ვითარებაა ადგილ საძმოსთანაც, სადაც ბერებს მეორე-
 ჯერ მოუხდათ კონფლიქტი. შესაძლებელია „საძმო“ სასოფლო კომუნა
 აღნიშნავდეს. ასევე, შესაძლებელია, მასში დიდი ოჯახი, ერთი გვარის
 ნათესაობის „საოჯახო კომუნა“ იგულისხმებოდეს („ратство“, „за-
 друга“, „Hausgenossenschaft“). ჩანს, ის ადგილ-მამული, სადაც
 საძმოელები იდგნენ, მათი საერთო მიწა-წყალი იყო, ან სასოფლო თე-
 მის, ანდა საოჯახო კომუნის. შესაძლებელია, ასეთი საგვარეულო „სა-
 ოჯახო კომუნები“ ბევრი იყო ამ დროს მოცემულ კუთხეში. სიტყვა
 „საძმო“ ფეოდალურ საქართველოში საერთოს, საერთო ქონე-
 ბას ნიშნავდა.

ასეთივე ვითარებაა ტბა „სათავესთან“, რომელიც იმ კუთხის მე-
 თემე-მდაბიორთა საერთო-სანადირო ადგილი უნდა ყოფილიყო და,
 მამსადაამე, მატერიალური შემოსავლის წყარო, რის გამოც, ჩანს, ბე-
 რებს ეს სანადირო ადგილიც უნდოდათ მოექციათ თავიანთ სამონა-
 ტრო მიწებში.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი. მოცემულ პერიოდში, VI—XII
 საუკუნეებში, ქართული საგვარეულო (ერთგვარიანი) და სასოფლო-
 ტერიტორიული ერთობები არქაულ დამოუკიდებელ თვითმმართველ
 ერთეულებს როდი წარმოადგენდნენ. ისინი დიდი ხანია, სახელმწიფოს
 წარმოქმნის შემდეგ, მოქცეულნი იყვნენ მის პოლიტიკურ ორგანიზა-

ციში, კლასობრივ საზოგადოებაში და ჩვენს წინაშე, „მეორადი“ სოფლო ერთობებია. შუა საუკუნეებში ხდებოდა საადგილმამულო საკუთრების ფეოდალიზაციის პროცესი. მოცემულ ხანაში სასოფლო ერთობები ფეოდალური სახელმწიფოსა და ფეოდალური ურთიერთობის სფეროში არიან მოქცეულნი და ისინი მეტ-ნაკლები გადასახადებითა და ვალდებულებებით არიან დაბეგრულნი და საერთოდ ფეოდალური ექსპლოატაციის ობიექტები — ტერიტორიულ-საზოგადოებრივი უჯრედები არიან. მთელი ქვეყნის მიწა-წყალი ფეოდალიზებულია, იურიდიულად ფეოდალთა კლასის მფლობელობაშია (სახელმწიფო-სამეფო, საერო და სასულიერო ფეოდალთა. ამ შემთხვევაში ეს რეგიონი ფეოდალ ჩორჩანელის სამფლობელოა), მაგრამ სასოფლო ერთობები თავიანთი ძველი შინაგანი თვითმმართველობის რიგი ტრადიციებითა და საერთო მიწათმფლობელობით განაგრძობენ არსებობას. სავარჯულო და სამეზობლო სასოფლო-ტერიტორიულ ერთობებში ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში, დარჩა ძველი პრინციპი — სახნავ-სათესი მიწების, საძოვრების, ტყეების საერთო-კოლექტიური მფლობელობა-სარეგებლობა, დარჩა სათემო-საერთო მიწათმფლობელობა.

კითხვა ისმის — მიწების რა სავარჯულების გარშემო მოხდა კონფლიქტი მეტემე მდამიორებსა და წმიდა მამებს შორის. განხილული წყაროს მიხედვით ჩანს, რომ წმიდა მამები მონასტრის ასაგებად შერჩეულ ადგილს ეძებენ, უფრო მეტად თითქოს ტყიანს, ალბათ სულიერი სიმშვიდისათვის. მართლაც, ეს სულიერი სავანეები საქართველოში ძალიან ბევრგან მაღალ და ტყიან, ე. ი. „წმიდა“ ადგილებშია აგებული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სულიერი მამები მიწებზე სხვა სავარჯულებზე — სახნავ-სათესზე, საძოვრებზე უარს ამბობენ. სრულიადაც არა. მათ კარგად იციან, რომ მონასტრის აგების შემდეგ, მიწის ასეთი სავარჯულებით, შეწირულების სახით, უხვად დაჯილდოვდებიან, პირველ ყოვლისა გარეშემო დაბა-სოფლებიდან. უფრო მეტიც, ასეთი შეწირულებების დაწყებამდე, ვინ იცის, სამონასტრო ბერებს იქნებ თავიდანვეც სურდათ სახნავ-სათესი მიწების მოქცევა, მაგრამ ეს აგიოგრაფმა არ აღნიშნა თხზულებაში (აგიოგრაფით, ბერებმა ფეოდალ ჩორჩანელის შეთავაზებულ ვარგის მიწებზე უარი განაცხადეს (!). აგიოგრაფმა ეს არ აღნიშნა, რადგან, აშკარაა, იცოდა ცუდად ჩაუთვლიდნენ: სახნავ-სათესი მიწებს, ე. ი. ძირითად სარჩოსაბადებელს ართმევდნენ სულიერი მამები მოსახლეობასო! რაც „წმი-

და მამებს“ მორალურად გაამტყუნებდა საზოგადოებაში. ეს აგიტატორების კარგად უნდა სცოდნოდა და ამიტომაც მოხერხებულ სელებს მიმართა თავის თხზულებაში.

მიუხედავად ამისა, ეს გარემოება მეთემე-მდაბიორებმა ამ დროს უკვე კარგად იციან. კარგად იციან, რომ რიგი ადგილ-მამულის დაკარგვასთან ერთად დაიბეგრებიან საეკლესიო ვალდებულებებით, რიგ მეთემე-მდაბიორებს კი თავიანთი ადგილ-მამულით შეწირავენ ეკლესიას და ა. შ.

ერთი სიტყვით, მეთემე-მდაბიორებმა, საგვარეულო და სამეზობლო სასოფლო-ტერიტორიულმა ერთობებმა კარგად იციან, რომ ეკლესიამონასტრები მათ მიწიერი საარსებო საფუძვლით — მე მამულეობით უპირობოდ ებოძა. ამიტომ არის, რომ აგიტატორულ ძეგლში — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ — ასე კარგად აისახა მეთემე-მდაბიორთა რეაქცია მათ სასოფლო მიწებზე ეკლესია-მონასტრების აგების წინააღმდეგ.

შეიძლება თუ არა მოცემულ ძეგლში მომხდარი კონფლიქტების განზოგადება? საერთოდ, IX—X საუკუნეები, — ძეგლის დაწერის დრო, — ფართო საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის ხანაა საქართველოში. ამიტომ მეტ-ნაკლებად ასეთ კონფლიქტებს უნდა ჰქონოდა ადგილი მეთემე-მდაბიორებსა და ეკლესია-მონასტრების მშენებელ სასულიერო პირებს შორის, როგორც ეს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ასახული, რადგან ასეთი მშენებლობით მეთემე-მდაბიორთა ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა ილახებოდა.

ჩვენი აზრით, ზემოგანხილულ ძეგლში, სტრაბონის მონაცემების შემდეგ, მართალია, მცირე ცნობებით, მაგრამ კარგად არის ასახული მოცემულ ხანაში ქართული დაბა-სოფლების სათემო საერთო მიწა-მფლობელობის არსებობა, თუმცა უკვე ძირითადად ფეოდალიზებული სახით.

შემდეგი ძეგლი, რომელიც მიუთითებს სათემო-საერთო მიწა-მფლობელობის არსებობაზე VI—XII საუკუნეების საქართველოში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანა — „ძეგლი ერისთავთა“ (XIV ს.).

ეს ძეგლი მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. სავსებით სწორი იყო ს. ჯანაშია, როდესაც აღნიშნავდა, რომ ამ ძეგლის „რო-

გორც სოციალური ისტორიის დოკუმენტის, მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს¹⁷.

ძველი აქ გვინტერესებს მხოლოდ ერთი კუთხით — სათემო-საერთო მიწათმფლობელობის ცნობებით.

ძველში ლაპარაკია ცხრაზმის ხევზე, ლარგვისზე, მოქმედების საწყისი დრო ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს ხანაა — VI საუკუნე. ძველით ხევის საზოგადოების ერთობა-კომუნა აშკარად ჩანს, მაგრამ ეს ის დროა, როცა ქართლის სახელმწიფო დიდი ხანია უკვე შექმნილია და ეს რეგიონიც სახელმწიფოს ფარგლებში, მისი ორგანიზაციის სისტემაშია მოქცეული, ისე როგორც ქვეყნის ყველა სხვა საგვარეულო და სასოფლო-ტერიტორიული ერთობები. უფრო მეტიც, ძველით ცხრაზმის ხევში აზნაურები სახლობენ. მაგრამ სასოფლო ერთობებს, ხეების ერთობილ საზოგადოებებს, განსაკუთრებით, როგორც ჩანს, მთიან რეგიონებში, ჯერ კიდევ კარგად აქვთ შენარჩუნებული შინაგანი ორგანიზაცია, საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგანი წესი, შინაგანი სამოხელეო წყობა.

ერთ-ერთი ასეთი ძველი ტრადიციის შინაგანი ორგანიზაციის მქონე ერთობის თემი, ძველის მიხედვით ცხრაზმისხევია. აქ ხევის მოსახლეობას, „ერს“, ჯერ კიდევ გადამწყვეტი ხმა აქვს ამა თუ იმ საკუთხის გადაჭრაში. მათ ჰყავთ თავისი მამასახლისი, ეს თანამდებობა აქ, როგორც ჩანს, უფრო არჩევითია, რომელსაც შემდეგ სამეფო ხელისუფლება ამტკიცებს. ჯერ კიდევ ცხრაზმისხევს არ ჰყავს სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელი — ერისთავი, მეფის მოხელე.

ცხრაზმის ხევის ცენტრია ლარგვისი, სადაც მამასახლისი ცხოვრობს და აქვია ხევის მონასტერი, აშკარაა, ძველი წარმართული ტაძარი, ხოლო ამჟამად მოდერნიზებული ქრისტიანული. ტაძარს, ძველიდან ჩანს, ცენტრალური ადგილი უჭირავს „ერის“, ერთობის ცხოვრებაში, მას ხევის ერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „ძველში ხაზი აქვს გასმული ტაძრის (ამ დროს უკვე ქრისტიანულის) წამყვან მდგომარეობას. მას უკავშირდება როგორც მიწის ფონდის განკარგულების უფლება, ისე ამ ოლქის მცხოვრებთა საზოგადოებრივი მდგომარეობა“¹⁸. მართლაც, ძველიდან ჩანს, რომ ჩვენს წინაშეა მოდერნიზებული, ქრისტიანულ სამოსელში

17 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 163.

18 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 583.



გახვეული ძველი სატაძრო თემი, რომლის მამასახლისი, თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მისი საკულტო მსახური-ხელისუფალიც არის, რაც შეეხება სატაძრო მიწებს, ძველით იგი იურიდიულად „სამეფო მიწებია“ შეწირულების სახით, მაგრამ როგორც ვ. მელიქიშვილი სწორად აღნიშნავს, ცხრაზმისხევის სატაძრო მიწები აქ ფაქტიურად არის ძველი „ტრადიციული სათემო-სატაძრო მიწათმფლობელობის ფორმა“¹⁹.

ვფიქრობთ, ძველში შიითითებულია სათემო-სატაძრო მიწათმფლობელობის და ამ სატაძრო მიწების მიცემა-გასხვისებების საქმეც. სახელდობრ, ცხრაზმისხევში არსებობს ერთობილი თემის ციხისთავის „ნაქონები მამული“, და ხევის „ერს“, ერთობას, ეკითხება ამ მამულის ვინმესთვის მიცემის საქმე, ისე როგორც ცხრაზმისხევის ერთობას სხვა საქმეები²⁰.

ეგვი არაა, VI—XII საუკუნეებში, ასეთი სათემო-სატაძრო და, ასევე, სათემო-საერთო მიწათმფლობელობა უნდა არსებულიყო საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებშიც — ფშავში, ხევში, ხევსურეთში და საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში, რაც ეთნოგრაფიული მასალებით კარგად არის დადასტურებული.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს სტრაბონის, მართალია, არასრული, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობა მთელ იბერიაში მოსახლეობის მასიური საერთო მიწათმფლობელობის შესახებ. გვაქვს ცნობები სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობაზე საქართველოში VII—X საუკუნეებში, ამავე ხანის აგიოგრაფიულ ძეგლში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“; ასევე, სათემო-საერთო (სატაძრო) მიწათმფლობელობის არსებობას საკვლევ პერიოდში გვიდასტურებს „ძველი ერისთავთა“.

საკითხი ისმის სასოფლო ერთობების საერთო მიწათმფლობელობის მასშტაბის შესახებ საქართველოში VI—XII საუკუნეებში. რა ბედი ეწია სტრაბონის დროინდელ იბერიისა და I—V საუკუნეების ქართლის სათემო-საერთო მიწათმფლობელობას, რა მასშტაბისა უნდა ყოფილიყო სათემო-საერთო მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში VI—XII საუკუნეებში.

უმთავრესად, სტრაბონის მონაცემების საფუძველზე ჩვენ ვასკვნადით, რომ ქართლსა და კახეთში (აღმოსავლეთ საქართველო) სტრაბონის დროს და მის შემდეგ, სახელდობრ, I—V საუკუნეებში დაბასოფლების დიდ საოჯახო კომუნებს, ასევე მცირე და საშუალო ინდუ-

¹⁹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 583.

²⁰ ქსძ, II, გვ. 103.

ვიდუალურ ოჯახებს, ინდივიდუალურ მფლობელობა-საკუთრებას უნდა ჰქონოდათ კარ-მიდამო, საბაღბოსტენ მიწები და ვენახები, ხოლო სახნავ-სათესი მიწების უმეტეს ნაწილზე, ასევე საძოვრებზე და ტყეზე ქართული დაბა-სოფლების მწარმოებელ მოსახლეობას უნდა ჰქონოდა სათემო-საერთო მფლობელობა.

სახელდობრ, ფეოდალთა კლასის საკუთარი საბატონო მიწების გამოკლებით, დაბა-სოფლების საერთო-სათემო სახნავ-სათესი მიწები უნდა ყოფილიყო შიდა ქართლის ვაკის — დოღლაურის, ტირიფონის და მუხრანის ველების, მთელი ქვემო ქართლის ვაკის, რუსთავ-ყარაღის ველების, კახეთში — მთელი ალაზან-ივრის სამიწათმოქმედო აუზის უმეტესი ნაწილი.

მაინც, თუ რა მასშტაბის უნდა ყოფილიყო სათემო მიწათმფლობელობა (მიწათსარგებლობა) საქართველოში VI—XII საუკუნეებში, ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხი შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა განვიხილავთ სათემო მიწათმფლობელობას XIII—XVIII საუკუნეებში, ამ პერიოდის უაღრესად მდიდარ მონაცემებს ამ აგრარულ ინსტიტუტზე და რეტროსპექტიული მეთოდით მთლიანობაში გავიაზრებთ მას. აქ კი აპრიორის სახით შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რომ VI—XII საუკუნეებში სათემო მიწათმფლობელობას აღმოსავლეთ საქართველოში, მიუხედავად შემცირებისა, მეტად დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა ქართულ სააღვლამშულო წყობაში, დაახლოებით ისეთივე, როგორც I—V და XIII—XVIII საუკუნეებში.

საერთოდ მწარმოებელი კლასის სათემო-საერთო მიწათმფლობელობის სფერო ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც ყველა ქვეყანაში, ცხადია, მცირდებოდა. ეს უნდა მომხდარიყო ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის სისტემისა და ქვეყანაში ფეოდალთა კლასის რიცხობრივი რაოდენობის ზრდის შედეგად, სახელმწიფოს მეფე-მესვეურთა მიერ საერო და სასულიერო ფეოდალთა კლასისადმი ქვეყნის, დაბა-სოფლების, მიწების, ბოძება-შეწირულობის შედეგად; ასევე, ფეოდალთა კლასის მიერ სათემო მიწების ძალით მიტაცების შედეგადაც. მაშასადამე, საბოლოო ჯამში, სათემო-საერთო მიწათმფლობელობა უნდა შემცირებულიყო ფეოდალთა კლასის საკუთრივ საბატონო მიწების ზრდის შედეგად.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში, უმთავრესად მთიანეთში, უნდა დარღვეულიყო აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის შედეგად, როგორც იყო:



ვიწრო ხეობები, ზეგნები, სახნავი მიწების ერთიანი ფართო სარეზერვუარო ბის არარსებობა, ოღროზოლო ადგილები, რაც მოსახლეობის არა კომპაქტურ, არამედ დაფანტულ დასახლებას იწვევდა, რის შედეგად ცალკე კომლების კარ-მიდამოს გარს ერტყა ოჯახისთვის საჭირო მიწის სხვა სავარგულებიც, რაც საკომლო-ინდივიდუალური მიწათმფლობელობის განვითარებას იწვევდა. ამის შედეგად აქ საერთო მიწათმფლობელობა სახნავ მიწებზე, გარდა სახატო მიწებისა, გვიან შუა საუკუნეებში არსებითად უკვე არ ჩანდა.

თუ როგორ იყო სათემო-საერთო მიწათმფლობელობის საქმე დასავლეთ საქართველოში VI—XII საუკუნეებში — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უაღრესად ძნელია.

გვიან შუა საუკუნეებში კი დასავლეთ საქართველოში სათემო-საერთო მიწათმფლობელობა მასობრივად დარღვეულია და, ასევე, მასობრივად განვითარებულია დაბა-სოფლების მწარმოებელი მოსახლეობის კომლთა, ოჯახების, ინდივიდუალური მფლობელობა სახნავ მიწაზე. თუ როდის უნდა დარღვეულიყო აქ სათემო-საერთო მიწათმფლობელობა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თითქმის შეუძლებელია. ერთი კია, რომ ეს გარემოება აქ დიდი ხნის წინათ მომხდარი ფაქტი უნდა ყოფილიყო. სათემო-საერთო მიწათმფლობელობის დარღვევაში აქ გადამწყვეტი ფაქტორი ზემოაღნიშნული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და მის შედეგად მოსახლეობის დაფანტული დასახლება უნდა ყოფილიყო. ამ ფაქტორს კი სათემო საკუთრება-მფლობელობის რღვევაში ცნობილი მეცნიერნი ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევენ (ფ. ენგელსი, გ. მაურერი და სხვ)*.

საქართველოში სათემო საერთო მიწათმფლობელობის არსებობისათვის კარგი ფიზიკურ-ტოპოგრაფიული პირობები იყო კახეთში, ქიზიყსა და ქვემო ქართლში, სადაც კომპაქტურად დასახლებული სოფლებიდან დიდი დაშორებით, მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი სახნავ-სათესი მიწების ერთიანი დიდი სივრცეები არსებობდა. სწორედ გეოგრაფიულმა ფაქტორმა — ფიზიკურ-ტოპოგრაფიულმა პირობებმა, ნიადაგის კონფიგურაციამ, განაპირობა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის დიდი მასშტაბით შენარჩუნება ქართლ-კახეთში, ამ ქვეყნებს ვაკე-ველებზე, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, კერძოდ, XIII—XVIII საუკუნეებშიც.

* გეოგრაფიული ფაქტორის შესახებ იხ. გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ., 1975 წ.

თ ა ვ ი III

სათემო მიწათმფლობელობა საქართველოში XIII—XVIII საუკუნეებში

ფეოდალურ ხანაში საერთოდ და, კერძოდ კი, XIII—XVIII საუკუნეების საქართველოს სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულები და მათი სათემო-საერთო მიწათმფლობელობა, შესაბამისად არქაული ტერიტორიული დამოუკიდებელი თემები და ძველი სათემო-საერთო მიწის საკუთრება როდი იყო. ფეოდალურ ხანაში თემების მწარმოებელმა მოსახლეობამ საკუთრება მიწაზე საუკუნეების მანძილზე თანდათანობით დაკარგა და მას დაეუფლა ფეოდალი მებატონეები — სახელმწიფო ხაზინა, ეკლესია და თავადაზნაურობა. ამის შედეგად მთელი სათემო მიწა-წყალი იურიდიულად საფეოდალო საკუთრება გახდა, თემის მოსახლეობას კი დარჩა მიწის სარგებლობის უფლება. ისე როგორც მთელ რიგ ქვეყნებში, საქართველოს რიგ კუთხეებში მწარმოებელი მოსახლეობის კერძო-ინდივიდუალური მიწათმფლობელობის ფერდით შემორჩა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არქაული წესი — კოლექტიური მიწათსარგებლობა. მაშასადამე, ქვეყნის ამ კუთხეებში, სადაც სათემო-საერთო მიწათმფლობელობა შემორჩა, ყმა-გლეხობის (სამეფოს, საეკლესიოს, საბატონოს) საკომლო მიწათმფლობელობა ორად იყოფოდა: ინდივიდუალურ მიწათმფლობელობად და სათემო-საერთო მიწათმფლობელობად. სხვა სიტყვებით, გლეხთა საკომლო მიწათმფლობელობა ორი სახის მიწებისაგან შედგებოდა: ინდივიდუალური ნაკვეთებისაგან და საერთო-სათემო ნაკვეთებისაგან.

საქართველოში გლეხის ინდივიდუალურ მფლობელობაში ძველი დროიდანვე შედიოდა საკარმიდამო (ეზო-მიდამო), ვენახები და ბაღბოსტნები — სახლთან ახლო მდებარე მიწის ნაკვეთები, ხოლო კოლექტიურ საერთო მიწათმფლობელობაში — სახნავი მიწები, სათიბ-საძოვრები და ტყე, ანდა ამ სათემო მიწების რომელიმე სავარგული.



სათემო მიწათმფლობელობის საკითხი XIII—XVIII საუკუნეებში საქართველოში ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში საერთოდ შეუწყველელია, მით უფრო რაიმე სპეციალური გამოკვლევა მასზე არ გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სვანეთზე და გურიის სამთავროზე არსებულ რამდენიმე სხვა რიგის გამოკვლევას, სადაც, რამდენიმე დოკუმენტური ცნობის საფუძველზე, დადასტურებულია სათემო მიწების არსებობა აღნიშნულ კუთხეებში, უმთავრესად ტყესა და საძოვარზე, რაც საკითხის ისტორიოგრაფიულ ნაწილში აღინიშნა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახეთს, აქ XIII—XVIII საუკუნეების სათემო მიწათმფლობელობაზე სპეციალური გამოკვლევა არა გვაქვს. ჩვენი ნაშრომი ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად.

წყაროები სათემო მიწათმფლობელობაზე XIII—XVIII საუკუნეების საქართველოში მთლიანად დოკუმენტურია, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკითხის სწორად შესწავლა-განუქებას. დოკუმენტს სხვა წყაროებთან შედარებით (უმთავრესად ნარატიულთან) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სავსებით სწორი იყო ე. ბერნჰაიმი, რომელიც წერს: „დოკუმენტები (Überreste), — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაყალბეებს, გარეგნულად ადვილად შესაჩნევს, — თავისუფალია მასში შემცველი ცნობების სუბიექტური დამახინჯებისაგან, მაშინ როცა გადმოცემის ცნობები, ანუ აღწერითი ან თხრობითი წყაროები შეიძლება დაზიანებული ან დამახინჯებული იყოს მრავალრიცხოვანი სუბიექტური გავლენით“¹.

დოკუმენტები სხვადასხვა ხასიათისაა — ადმინისტრაციული, კანონმდებლობითი, სასამართლო აქტები, კერძო უფლებრივი გარიგებები და სხვ. სათემო მიწათმფლობელობაზე კი ეს დოკუმენტები არის სათემო ადგილ-მამულის დავის გარიგების სასამართლო აქტები („წიგნები“), სათემო-საერთო მიწებზე არსებულ დავის გადასაწყვეტად ადმინისტრაციული ხასიათის ბრძანებები და სხვა, რომელთაც უნიკალური მნიშვნელობა აქვთ, რადგან ისინი არსებული ვითარების ზუსტ ისტორიულ რეალიებს ასახავენ.

¹ Ernst Bernheim. Lehrbuch der Historischen Methode und der Geschichtsphilosophie. dritte und vierte auflage, Leipzig, 1903, pag. 430.

სათემო მიწათმფლობელობის შესწავლამ დასავლეთ საქართველოში XIII—XVIII საუკუნეებში ნათელი გახადა, რომ საადგილმამულო (სამიწათმოქმედო) ერთობა, ანუ სათემო მიწათმფლობელობა, აქ დიდი ხნის წინათ დარღვეული და თითქმის გამჭრალი იყო. სამიწათმოქმედო ერთობა თითქმის არ არსებობდა სახნავ-სათეს მიწებზე და ყოველ დიდ თუ პატარა ფართობის სახნავ მიწებს დასავლეთ საქართველოში თავისი პატრონი ჰყავდა: საფეოდალო-საბატონო თუ საგლეხო-საკომლო ინდივიდუალური მფლობელობა-საკუთრებაში იყო. დიდი, ერთიანი ვრცელი ფართობის სახნავი მიწები, რომელნიც ოდესღაც, ადრეულ ხანაში, — ფეოდალიზმამდელ პერიოდში, — სასოფლო-სათემო კოლექტიური უნდა ყოფილიყო, ამჟამად უკვე ასეთი ვრცელი სახნავი ფართობები დასავლეთ საქართველოში მებატონეებს ეჭირათ საკუთრებაში, გლეხობას კი მცირე, პატარ-პატარა სახნავი მიწის ფართობები გააჩნდათ.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობა სახნავ-სათეს მიწებზე დასავლეთ საქართველოში არ დასტურდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უაღრესად მცირე შესაძლო გამონაკლისებს, ასევე, აქა-იქ სათემო ტყეებსა და ველ-საძოვრებს.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საკვლევი პერიოდის, XIII—XVIII საუკუნეების წყაროებში, მათ შორის დოკუმენტაციაში, არ მაგვებოვება ისეთი საბუთები, რომელნიც არათუ პირდაპირი მოწმობა იქნებოდა, არამედ თუნდაც არაპირდაპირ მიგვანიშნებდა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის მნიშვნელოვან არსებობას მოსახლეობის მთავარ საარსებო სავარგულებზე — სახნავ მიწებზე. ასევე, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გლეხთა სათემო მიწათმფლობელობა სახნავ მიწებზე დასავლეთ საქართველოში არ არსებობდა მომდევნო ხანაშიც, XIX საუკუნეში.

დასავლეთ საქართველოში XIII—XVIII საუკუნეებში, ჩანს, ყველგან გაბატონებული იყო გლეხთა ინდივიდუალური საკომლო მიწათმფლობელობა (მიწათსარგებლობა).

დასავლეთ საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის დარღვევა სახნავ სავარგულებზე, საერთოდ, ჯერ კიდევ ძველ ხანაში უნდა მომხდარიყო, მით უფრო ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში, და აქ

საკომლო-ინდივიდუალური მფლობელობა უნდა ყოფილიყო გაბატონებული.
ბული.

კითხვა იმის, რამ გამოიწვია ასეთი მკვეთრი განსხვავება აღმო-
სავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის, რა იყო იმის მიზეზი,
რომ ქართლ-კახეთში, რომელსაც შემდგომ შევეხებით, ასე დიდი მას-
შტაბით შემორჩა სასოფლო-სათემო მიწათმფლობელობა, ხოლო დასა-
ვლეთ საქართველოში ასე დაირღვა და არ შემორჩა.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობის რღვევა და მის ნიადაგზე
ინდივიდუალური საკომლო მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობის გან-
ვითარების პროცესი საუკუნეებში გრძელდებოდა. ქვეყნის ზოგ კუთ-
ხეში იგი განადგურდა და მიწისმოქმედის ინდივიდუალური მიწათ-
მფლობელობა დამკვიდრდა, ზოგან კი სათემო მიწათმფლობელობა ნა-
წილობრივ დაირღვა.

სათემო მიწათმფლობელობის რღვევას მრავალი გარემოება იწვევ-
და. ცნობილია, რომ, უპირველეს ყოვლისა, სათემო-საერთო მიწათ-
მფლობელობას ინდივიდუალურ-კერძო საკუთრებაში გამოეყო ეზო-
საკარმიდამო, სადაც მიწისმოქმედი თემის წევრი ცხოვრობდა და სა-
მეურნეო ნაგებობანი ედგა. ეს იყო დასაწყისი ეტაპი. შემდეგ ამას
მოჰყვა ხეხილის ბაღებისა და ვენახების ოჯახის კერძო საკუთრებაში
გადასვლა. ეზო-საკარმიდამო, ხეხილის ბაღები და ვენახები ყველგან
მასობრივად მიწისმოქმედთა კერძო, ინდივიდუალურ საკუთრებაში მო-
ექცა. შემდეგში კი ჯერი მიდგა უკვე სახნავ-სათეს მიწებზე.

მაგრამ, აი აქ, მოსახლეობის ძირითად საარსებო სავარგულებზე,
სახნავ-სათეს მიწებზე, სათემო-საერთო მიწათმფლობელობის შენარჩუ-
ნება-კონსერვაციისა თუ მისი დაშლის საქმეში დიდი როლი შეასრუ-
ლა გეოგრაფიულმა ფაქტორმა. გეოგრაფიული ფაქტორის — ფიზი-
კურ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დიდ მნიშვნელობაზე სათე-
მო მიწათმფლობელობის რღვევის საქმეში მიუთითებდა ფ. ენგელსი,
გერმანიის მაგალითზე, სადაც გეოგრაფიულმა ფაქტორმა რიგ კუთხე-
ებში ადრე გამოიწვია სათემო-საერთო მიწათმფლობელობის რღვევა.
სახელდობრ, ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ გერმანიის რიგ კუთხეებში
(ვესტფალია, ოდენვალდი, ყველა ალპიური ხეობა), ვიწრო ხეობებსა
და ზეგნებზე, სადაც სოფლები ადრეულ ხანაში და მის დროსაც „გა-
ფანტული ცალკე კარმიდამოებისაგან შესდგებოდა, თითოეულ მათ-
განს გარს მიკუთვნებული ველმინდორი იქცა, ხელახალი განაწილე-
ბა აქ ძნელი მოსახერხებელი იყო“, რომ ასეთ სოფლებში „კარმიდა-

მოს გარდა ველმინდორიც გამოყოფილი იყო მარკიდან და ცალკე 34-ე ნომერში
 ნდათ გლეხებს მიკუთვნებული“, რასაც მათ „ადგილ მდებარეობა აი-
 ძულებდა“².

როგორც აღნიშნული გვაქვს, „ფიზიკურ-გეოგრაფიულმა ადგილ-
 მდებარეობამ საქართველოს მთელ რიგ კუთხეებშიც, განსაკუთრებით
 კი დასავლეთ საქართველოში, ასევე დიდი როლი შეასრულა სათემო
 მიწათმფლობელობის დაშლის საქმეში, შედარებით ადვილად გამოიწ-
 ვია საერთო მიწისმფლობელობის რღვევა და საკუთარი საკომლო მემ-
 კიდრებითი მიწათმფლობელობის განვითარება. აქაც ფიზიკურ-გე-
 ოგრაფიული ფაქტორები: ვიწრო ხეობები, ზეგნები, ვარგისი მიწის
 ნაკვეთების არსებობა მთის კალთებზე, ოღრო-ჩოღრო ადგილები და
 სხვა, მიწების ხელახალ განაწილებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდი-
 და“³. ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის დიდ როლს სათემო მიწათ-
 მფლობელობის კონსერვაციისა და ამავე დროს მისი რღვევის საქმეში
 აღნიშნავდნენ მასული საუკუნის მკვლევრები. სახელდობრ, მკვლევარ-
 რი ს. ეგიაზაროვი აღნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოში ფიზი-
 კურ-ტოპოგრაფიული პირობები არაა ხელსაყრელი სათემო საერთო
 მიწათმფლობელობის არსებობისათვის, რადგან ნაყოფიერი მიწები და-
 ფანტულია პატარა ნაკვეთებად, მათ შორის ბევრი მთის ფერდობებ-
 ზეა და რომ აქ მიწათმოქმედებისთვის გამოსადეგი დიდი ერთიანი სი-
 ვრცეები არ არსებობს⁴.

როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, გერმანიის რიგი კუთხეების მი-
 მართ, ასევე, დასავლეთ საქართველოს სოფლებშიც გლეხთა კომლე-
 ბი კომპაქტურად (ქალაქური ტიპის მსგავსად) არ იყვნენ დასახლებულ-
 ნი. სოფლებში გლეხები შორი-შორ, გაფანტულად სახლობდნენ
 და, ჩვეულებრივ, გლეხის ოჯახის კარ-მიდამოს გარს ერტყა ბაღ-
 ეენახები, სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყის ნაკვეთი. ყოველივე ზე-
 მოთქმულიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში მიწისმოქმედთა
 სათემო-საერთო მიწათმფლობელობის დაშლა დიდი ხნის წინათ მომ-

2 ფ. ენგელსი, „მარკა“, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1932, გვ. 165.

3 დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვი-
 ანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) — 1800—1864 წწ, თბ. 1971,
 გვ. 200.

4 СМИЭБГКЗК, т. I, ч. I, 1837, გვ. 162—163.

ხდარი ფაქტი იყო, რაშიაც გადამწყვეტი როლი, ამკარაა, ფეოდალური გეოგრაფიულმა ფაქტორმა შეასრულა.

საქართველოში გლეხთა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობისათვის კარგი ფიზიკურ-ტოპოგრაფიული პირობები იყო ქართლ-კახეთში, სადაც სოფლებიდან დაშორებული სახნავ-სათესი მიწების ერთიანი დიდი სივრცეები არსებობდა. ამასთან, აქ მოსახლეობა სოფლად გაფანტულად კი არ იყო დასახლებული, როგორც დასავლეთ საქართველოში, — სადაც ყოველი ოჯახის კარ-მიდამოს, როგორც წესი, გარს ერტყა ბაღ-ვენახები, სახნავ-სათიბი და ტყე, — არამედ აქ, ქართლ-კახეთში, მოსახლეობა სოფლად დასახლებული იყო კომპაქტურად ერთ რომელიმე ადგილზე, ქალაქური ტიპის დასახლების მსგავსად, რაც, სოფლიდან დაშორებით არსებულ სასოფლო სახნავ-სათესი მიწების ვრცელი მასივების არსებობასთან ერთად, ხელს უწყობდა საერთო-სათემო მიწათმფლობელობის კონსერვაცია-შენარჩუნებას.

როგორც არაერთხელ გვაქვს აღნიშნული, როდესაც ჩვენ სათემო მიწათმფლობელობის არსებობაზე ვლაპარაკობთ ფეოდალიზმის ხანაში, ცხადია, იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს მეორად ფორმაციასთან, „მეორად“, კლასობრივ სასოფლო ერთობასთან. ძველი თავისუფალი პირველადი ფორმაციის ტერიტორიული ერთობა (კომუნა) დიდი ხანია ისტორიას ჩაბარებული იყო. ერთობამ მიწაზე საკუთრება დაკარგა და იგი თავისი მიწებით მოექცა ფეოდალური სახელმწიფოს, კერძო ფეოდალთა და ეკლესიის ხელში. მეორადი საადგილმამულო ერთობის დროს მოსახლეობამ ქართლ-კახეთში შეინარჩუნა სათემო-საერთო მიწების მხოლოდ სარგებლობის უფლება. საკვლევე პერიოდის დასავლეთ საქართველოში კი ასეთი მეორადი სამიწათმოქმედო ერთობაც უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდა, რადგან სათემო-საერთო მიწათმფლობელობა აქ ძველი დროიდან მასობრივად დარღვეული იყო.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში XIII—XVIII საუკუნეებში სამიწათმოქმედო ერთობა, როგორც წესი, დიდი ხნის წინათ მასობრივად დარღვეული და გამქრალი იყო, ზოგიერთ კუთხეში, აქა-იქ, გამონაკლისების სახით მაინც იყო შემორჩენილი ძველი სათემო მფლობელობა, უმთავრესად არასახნავ სავარგულეებზე — ტყეზე, მთაზე, ველ-მინდორ-საძოვარზე. ასეთი მცირე გამონაკლისებს სახით იგი შემორჩენილი იყო როგორც ბარში, ასევე მთიანეთშიც, კერძოდ, სვანეთში.

X—XV საუკუნეების სვანეთში, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ადრე-ფეოდალური ურთიერთობაა, რასაც მოწმობს ამ პერიოდის სვანეთზე არსებული მთელი დოკუმენტაცია. საზოგადოების ერთ ნაწილს, ცხადია, მცირეს, შეადგენდნენ სვანი ფეოდალები — ვარგა-აზნაურები, ხოლო მეორეს, დიდ ნაწილს, მეთემე ყმა-მდაბიორება. ვარგა-აზნაურებისადმი მეთემე ყმა-მდაბიორების დამოკიდებულება, ყმობაში („თავყმობაში“) მეთემე ყმა-მდაბიორთა შესვლის ფაქტები, ვარგთა და მეთემეთა ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებები, ექსპლუატაციის (ფეოდალური რენტის ფორმების) შედარებით სიმსუბუქე, ტიპური ადრეფეოდალური ხასიათისაა. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში სვანეთში ბატონობს ადრეფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი უშუალო მწარმოებელი კლასის საკუთრების ფორმა — მეთემე ყმა-მდაბიორთა ძველი ალოდალური საკუთრება მიწაზე, რომლის ანულირება მხოლოდ განვითარებული ფეოდალიზმისა და ბატონყმობის დროს ხდება, როცა ქვეყნის მთელი მიწა-წყალი ამიერიდან იურიდიულად ფეოდალთა კლასის მონოპოლიურ საკუთრებად იქცევა. სვანი თავისუფალი მეთემეები ან მეთემე ყმა-მდაბიორები X—XV საუკუნეებში, ამ პერიოდის დოკუმენტაციით, მიწას კერძო მესაკუთრების სტატუსით ფლობენ და ასეთივე სრული საკუთრების უფლებით ჰყიდიან მიწის ნაკვეთებს ვარგა-აზნაურების შეუკითხავად, განსხვავებით ბატონყმური საქართველოს ბარისაგან, სადაც. ყმა-გლეხის მიერ თავისი მიწის გაყიდვა ხდება მისი ბატონის შეკითხვითა და ნებართვით. სვანი მეთემეები თავიანთი ნაკვეთების მესაკუთრე ალოდისტები და მეურნეობრივად დამოუკიდებელი სუბიექტები იყვნენ. ამავ დროს, რაც მთავარია, სვანი მეთემე ყმა-მდაბიორები მიწაზე მიმაგრებულნი არ არიან და, ამრიგად, ბატონყმური ურთიერთობა სვანეთში X—XV საუკუნეებში არაა⁵.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „X—XV საუკუნეების სვანეთის საზოგადოება ტიპოლოგიურად ჩვენ მიგვაჩნა

5 დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X—XV საუკუნეებში; კრ. „ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. IV. „მეცნიერება“, 1983, გვ. 55—61.

აღრეფეოდალურ საზოგადოებად მეთემე ყმა-მდაბიორთა ძირსადაც მასის ალოდალური საკუთრების არსებობით⁶.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღრეფეოდალური ურთიერთობა სვანეთში, ყოველ შემთხვევაში, მის უმეტეს ნაწილში (სადადიანო სვანეთის გამოკლებით) ვაგრძელდა შემდგომ ხანაშიც, XVI—XVIII საუკუნეებშიც.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, — ფეოდალიზმის ეპოქის სვანეთში, სადაც დიდი მასშტაბით შემორჩა ძველი სამხედრო დემოკრატიის დროინდელი ინსტიტუტები და სერვიტუტები, — სათემო საერთო მფლობელობა მიწაზე მასობრივად დარღვეულია, მაშინ როცა ქვეყნის რიგ კუთხეებში, სადაც ბატონყმობა სუფევდა, სათემო მიწათმფლობელობა (მიწათსარგებლობა) ძირითად საარსებო სავარგულეებზე, — სახნავ მიწებზე, — შენარჩუნებული იყო. ეს გარემოება კი, სახელდობრ, XII—XV საუკუნეების სვანეთის აგრარული წყობა, იმაზე მეტყველებს, რომ იქ სადაც რელიეფის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა (ნიადაგის კონფიგურაცია) სათემო-საერთო მიწათმფლობელობის კონსერვაცია-გახანგრძლივებისათვის სათანადო ხელსაყრელ პირობებს არ ჰქმნიდა, იგი უნდა დარღვეულიყო ჯერ კიდევ სამხედრო დემოკრატიის ეპოქაში და მიწაზე კერძო ინდივიდუალური (პარტეულარული) საკუთრება გაბატონებულიყო.

მაგრამ, მიუხედავად ალოდალური საკუთრების ბატონობისა, XIII—XVIII საუკუნეებში სვანეთში სათემო-საერთო მიწათმფლობელობის ფაქტები დოკუმენტურად დასტურდება. იგი დასტურდება უმოაგრესად სათიბ-საძოვარზე და მთაზე, გამონაკლისის სახით, შესაძლოა, სახნავ-სათესის მცირე ნაკვეთებზეც. ეს ვითარება ასახულია სვანეთის სასოფლო ერთობებს შორის აგრარულ თუ სხვა ხასიათის კონფლიქტების დროს შედგენილ დოკუმენტ-„დაწერილებში“.

XIV ს-ის ერთი დოკუმენტით ს ე ტ ი ს სოფელი ერთობით „ქვეყნის სამაგრობელ“ „დაწერილს“ დებს სათემო მთისა და ჭალის დასაცავად. „დაწერილში“ ვკითხულობთ: „დაუღვეით დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი ჩვენ ს ე ტ ი ს ა სოფელმან ყოველმან, ზემომან და ქვემომან ქვეყნისა სამაგრობელი: თუ ვინ მოგვიმაჯნოს, ანუ მთაი, ან ჭალაი გავვიტეხოს, ერთისა ჯაფარისძისა სისხლად ვერჩოდეთ ჩვენითა შეძლებითა, ვისითა მიზეზითა იყოს, პირი იგი იყოს. საჯელოი საერ-

⁶დ. გ. გ. ლ. ა. ძ. ე, საქართველოს მთიანეთის., გვ. 61.

თო იყოს⁷. ერთობის „სამაგრობელში“, როგორც ვხედავთ, აღნიშნულია, რომ თუ ვინმემ დაჩაგვრა მოგვინდომოს, სასოფლო მთა ან ჭალა უკითხვად მიითვისოს, ერთი ვარგი-აზნაურის (ჯაფარიძის) სისხლი გადავახდევინოთ. ხოლო აღებული ჯარიმა-გადასახადი („საველო“) მთელი სოფლის საერთო სარგებლობას მოხმარდესო.

XV ს-ში კალის ზევს, ჩანს, დავა ჰქონია რომელიღაც ხევთან სათემო მთის გამო. ზევს დაუდგენია ამ საქმეში მტკიცე ერთობა დაეცვათ, მთა არ დაემოთ. დაწერილში (დოკუმენტში) ნათქვამია: „წმინდისა კვირიკეს კალისა თაუსდედობითა და შუგამდგომლობითა... დავდევით დაწერილი ესე საერთო და საერთობრო, მტკიცე და უქცეველი, რას გინდა ჟამისა შემოსრულობისათვის შეუცვალებელი, ამა პირს ზედა. რაც კალისა მთისა საქმესა მოყვეს, რაი გინდა საქმე მოყვეს, გინდა ვინ მოკუდეს, გინდა ვინ დაიკოდოს... გინდა არ გინდა დიდი და საშინელი საქმე მოყვეს, პირი და პასუხვის გამცემი წმინდა კვირიკე კალისა და კალისა ვევი ერთობილი“⁸.

საბუთიდან შესანიშნავად ჩანს სათემო საკუთრება მთაზე და, ამასთან, კალის „ერთობილი“, სასოფლო ერთობა (ვევი) როგორი სიმტკიცით ცდილობს სათემო საერთო მიწის, ამ შემთხვევაში სათემო მთის დაცვას ხელყოფისაგან.

მიუხედავად ალოდალური საკუთრების ბატონობისა, სასოფლო ერთობას აქა-იქ, ჩანს, მაინც გააჩნდა თავისუფალი საერთო მიწები, ასევე ხელის დადების უფლება ბეითალმან ადგილ-მამულზე. ამის გამო საერთო მიწების მცირე ფონდიდან იგი საჭიროების შემთხვევაში თემის წევრებს ნაკვეთს გამოუყოფდა. ამ გარემოებას შესანიშნავად ადასტურებს XIV—XV ს-ის სეტიის ზევის ერთი საბუთი, რითაც თემმა დოდალ ჭედელანს სათიბი მიწა გამოუყო: „ესე დაწერილი სეტისა ვეუმან გიბოძეთ შენ ჭედელანსა დოდილსა მას ჟამსა, ოდეს ჭანდირსა სათიბი მოგეცით. არ ოდეს შევიშალოთ“⁹.

XV ს-ის დასაწყისის ერთი საბუთით ბალზემო სვანეთში, სეტრან ხევში, ვარგი-აზნაური ჯაფარიძე და „სამი თემი“ „სასოფლო მიწაზე“ შეცილებულან. შეკრებილა ერთობილი თემი. საბუთში ნათქვამია:

7 ზ. ინგოროყვა, სვანეთის საინტერესო ძეგლები, II, თბ., 1941, გვ. 43.
 8 სსმ, II, გვ. 70.
 9 იქვე, გვ. 52.



„რაც სასოფლო მიწა წყალსა იქით და წყალსა აქედნად დასა ქვე დავადებინეთ, ვინცა ფასითა არ დაიხსნის. მას მიზეზსა ზელა ჩვენ სამი თემი და ჯაფარიძე დაუმდურდით“. ერთობილი თემი ადგენს: „რაცა ამა საქმესა მოჰყვეს, ესე სამი თემი ერთი პირი ვართ“ და ჯაფარიძე „თუ ამას ზედა ვიპაც წაეკიდოს, პირი და პასუხვისა ერთობილი ვიყოთ“¹⁰.

ამ საბუთშიც შესანიშნავად ჩანს საადგილმამულო ერთობა და სასოფლო ერთობის შესაბამისი იურიდიული სტატუსი. ვარგ-აზნაურ ჯაფარიძეს და, ეტყობა, სხვებსაც საერთო „სასოფლო მიწა“ დაუჭერიათ. თემი¹¹ შეკრებილა და სასოფლო მიწები ყველასთვის ჩამოურთმევაა, მათ შორის აზნაურ ჯაფარიძისთვის. ეს საერთო სასოფლო მიწა რა საგარეულია, საბუთში არ ჩანს, შეიძლება იგი იყოს სახნავ-სათესი ან სათიბ-საძოვარი. სასოფლო ერთობა, ჩანს, წინააღმდეგი არ იყო საერთო სასოფლო მიწის ეს ნაკვეთები შეესყიდათ, უფრო კი, ეფიქრობთ, იჯარით აეღოთ და საამისოდ საიჯარო ფასი (ფული) გადაეხადათ, ვინც ამ მიწით სარგებლობდა. ამიტომ უნდა იყოს ნათქვამი საბუთში: „რაცა სასოფლო მიწა... ყველასა ქვე დავადებინეთ, ვინც ფასითა არ დაიხსნის“-ო. აზნაური ჯაფარიძე და სამი სასოფლო ერთობა ამ საქმეზე შედაგებიან ერთმანეთს. აზნაური გამწყრალა, მაგრამ სასოფლო ერთობა ამან ვერ შეამინა და დაადგინა, რომ თუ ამ საქმეზე ჯაფარიძე ვინმეს წაეკიდება, მის წინააღმდეგ ერთობით გამოვიდეთ..

ამავე დროს ვხედავთ მეორე საბუთს — პატრონ პირნათელ ჯაფარიძის დაწერილს სეტის სოფლისადმი სასოფლო მიწებზე ცილობის გამო (შესაძლოა, ეს კაცი ზემომოტანილი საბუთის ჯაფარიძე იყოს). პირნათელ ჯაფარიძე სეტისადმი მიცემულ წიგნში წერს: „დაგიწერე და მოგახსენე... თქვენ სეტისა სოფელსა, მას ჟამსა, ოდეს ბაღყაყჩერასა დავიცილენით. მერმე მოუყარეთ მართალნი ფიცებულნი მოურაუნი და ბაღყაყჩერისა ჭალაი თქვენ დაგრჩა ყე, და ჩაჭირვალისა მუქაფა მე გამიჩინეს და მომეცით. მე წიგნი თქვენ მოგე-

¹⁰ სსკ, II, გვ. 25.

¹¹ „სამი თემი“ აქ, ჩანს, სამი პატარა სოფელია, რამდენიმე ოჯახისაგან შემდგარი. „სამი თემი“ აქ სამი გვარის შინაარსით არაა მოცემული, როგორც ეს ზოგიერთმა გაიგო, თუმცა, შესაძლოა, სამი სოფელი („სამი თემი“) სამი გვარის ოჯახებით ყოფილიყო დასახლებული.

ცით, ამა პირსა ზედა: დღეის იქით არას გეცილებოდე ბალყაეჩი¹². არა მე და არა ჩემნი შვილნი... მომეცით ფასი სრული და დავეჯრდი“¹².

აქაც შესანიშნავად ჩანს სამიწათმოქმედო ერთობა, სათემო საერთო მიწათმფლობელობა. აზნაურ პირნათელ ჯაფარიძეს სათემო მიწა — ბალყაეჩერის ჭალა უკანონოდ სჭერია. სეტის ერთობას ჩამოუერთმევია, ოღონდ ჯაფარიძისთვის მიუცია მიწის ნაკვეთზე მისი „ნაჭირვალის მუქაფა“, ანუ გაწეული ნაშრომის სამაგიერო („ნაჭირვალი“) — მიწეული მოსავლის ნაწილის, ფულის თუ სხვა ეკვივალენტის სახით.

როგორც ვხედავთ, სასოფლო ერთობებს სვანეთში, ჩანს აქა-იქ, კვლავ გააჩნდათ საერთო გაუყოფელი კოლექტიური მიწები საერთო სარგებლობისათვის, რასაც ზემომოტანილი საბუთები ნათლად მოწმობს.

მთელი ფეოდალიზმის მანძილზე სვანეთში, ამჟამაა, ძველი სამხედრო დემოკრატიის მთელი რიგი ინსტიტუტებია შემორჩენილი, სათემო-საერთო მიწათმფლობელობა კი დიდი ხნის წინათ მასობრივად დარღვეული ჩანს და მიწაზე სვან უშუალო მწარმოებელთა კერძო ალოდალური საკუთრებაა გაბატონებული. საადგილმამულო ერთობის მხოლოდ გადმონაშთები ჩანს აქა-იქ და ისიც მცირე ზომით სათიბ-საძოვარსა და ტყეზე. XII—XVIII საუკუნეების სვანეთის ამ აგრარული ვითარებიდან, ჩვენი აზრით, როგორც ითქვა, კარგად ჩანს, რომ იქ, სადაც ნიადაგის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის გახანგრძლივებისათვის სათანადო პირობებს არ იძლეოდა, იგი ჯერ კიდევ სამხედრო დემოკრატიის ეპოქაშიც, — კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის წინა პერიოდშიც, — დარღვეულია და მიწაზე კერძო ინდივიდუალური (პარცელარული) საკუთრებაა გაბატონებული.

აქ აღსანიშნავია შემდეგიც. საქართველოს პოლიტიკური ერთანობის ჩანაში სვანეთი სამეფო საქონებელად განიხილება. მისი უმეტესი ნაწილი (მიწები, მეთემე-მდაბიორები) სახელმწიფოდ აღრიცხება. სვანეთი სახელმწიფო ფეოდალიზმის სფეროშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ფეოდალურმა ქართულმა სახელმწიფომ მიწაზე სვან მწარმოებელთა კერძო ალოდალური საკუთრების ანულირება ვერ მოახდინა და მთელი ფეოდალიზმის მანძილზე იგი აქ, აგრარულ წყობილებაში, გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. სვანეთი ძირითადად

12 სსი, II, გვ. 25—26.



ადრეფეოდალურ ურთიერთობას შერჩა მიწაზე უშუალო მფლობელობის ალოდალური საკუთრების ბატონობით. ეს ვითარება ასე ჩანს აგრეთვე საქართველოს მთიანეთის რიგ კუთხეებში: ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ხევში და სხვაგანაც. სათემო მიწათმფლობელობა კი მეტ-ნაკლებად შემორჩა აქა-იქ, ზოგ კუთხეში — სახატო მიწათმფლობელობის სახით (ხევსურეთი).

ისე როგორც სვანეთში, ჩვენი აზრით, სათემო მიწათმფლობელობის ასეთვე მცირერიცხოვანი ფაქტები უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც — რაჭაში, ლეჩხუმში, აფხაზეთში და სხვა ადგილებშიც.

* * *

საკვლევ პერიოდში, XIII—XVIII საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებშიც (იმერეთი, სამეგრელო, გურია...) მასობრივად, საკომლო-ინდივიდუალური მფლობელობაა გაბატონებული, მაგრამ მოცემული პერიოდის სვანეთისაგან განსხვავებით, ეს მფლობელობა აქ ძველი ალოდალური საკუთრება დიდი ზანია აღარაა; აქ, დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებში, მთელი ინდივიდუალურ-საკომლო საგლეხო მიწები იურიდიულად მებატონე-ფეოდალთა საკუთრებას შეადგენს — სახელმწიფოს (სამეფო-სამთავროს), კერძო ფეოდალების, ეკლესიის საკუთრებას. ბარის რეგიონების უშუალო მწარმოებლებს, ილეხებს, სვანეთისაგან განსხვავებით, თავიანთი მიწის ნაკვეთების გაყიდვა თავიანთ მებატონე-ფეოდალთა დაუკითხავად არ შეუძლიათ.

რაც შეეხება საკვლევ ობიექტს, — სათემო მიწათმფლობელობას, — იგი დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებში, სვანეთის მსგავსად, დიდი ხნის წინათ დარღვეული ჩანს და მხოლოდ აქა-იქ არას შემორჩენილი ადგილ-მამულის უმნიშვნელო სავარგულებზე. აქ, ბარში, საამისო პირდაპირი დოკუმენტები იშვიათად გვხვდება. სამიწათმოქმედო ერთობა აქ სახნავ-სათეს მიწებზე თითქმის მთლიანად გამჭკალი იყო.

მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველოში მიწის ზოგიერთი, არასახნავი სავარგულები — ტყე, ველ-მინდორა, საძოვარი, აქა-იქ, საერთო სარგებლობაში იგაჩნდა სოფელს და ასევე შემთხვევაში თემი ცდილობდა მასზე თავისი უფლებების დაცვას.

ბარში დოკუმენტურად ისეთი ფაქტებიც შეგვხვდა, რომელნიც იმას მოწმობენ, რომ ესა თუ ის ადგილ-მამული ადრე სათემო, ერთო ყოფილა, რომელიც ოდესღაც მეფე-სიუზერენს ვასალ-ფეოდალისთვის უბოძებია, რაც სოფელს, თემს კარგად ცოდნია და ამიტომ ხშირად ფეოდალს ედავებოდა მასზე. ამ ვითარებას იმერეთში კარგად მოწმობს XVIII ს-ის საბუთები, რომელნიც ესებიან საწირული თემის და თავად აგიაშვილების საადგილმამული დავას.

1781 წელს ციხისთავ ქაიხოსრო აგიაშვილსა ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, საწირის და ახალსოფლის თემს შორის სამამულო დავა გაიმართა მიწის გარშემო, რომელიც აღნიშნულ თემებს აგიაშვილისაგან სამოდოთ (საიჯაროდ) ეჭირათ. თემმა მეფესთან („ბატონთან“) იჩივლა, მიწა ჩვენიაო.

მოდავე ნხარეები მეფის მდივანბეგთა სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. ციხისთავმა თემის წარმომადგენლებს ჰკითხა: რას მემართლებით, რას მერჩითო.

„თემმა უბასუხა: რომელიც ჩვენი სარჩო ყოფილა და ან დღეს არის, ის ადგილები დაგვიმოდე“-ო, ე. ი. წინათ ჩვენი ადგილები იყო და სამოდეთ გავვიხადეო. ამიტომ „ბატონს (მეფეს — დ. გ.) შევატყობინეთო“.

„ციხისთავმა უბასუხა: ღმერთმა წყალობა მიყო და ჩემის ძველისსეული ბატონმა მიბოძა და ახლა ჩემი სამნები მოვძებნეო. ციხისთავმა სამანხედ შუბი დაასო; ამ სამანს შიგნით კაცს ხელი არა აქვსო და ეს ჩემი საციხისთო არისო.

თემმა აშორო უთხრა.

აწ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თემი და... ასე სამართალი მისცენ: „არც ეს სამანი საციხისთო საძღვრის სამანი იყოს, არც შენის ძველისა და არც ახლის და არც სკიპის დეღესა და სამანს შუა არც შენ, არც შენს ძველსა და არც ციხისთავს ამაში ხელი არი ჰქონდეს, და არც საციხისთო ადგილი ეს იყოს,... არც ციხისთავსა და არც საციხისთო კაცს ამ ადგილში ხელი არა ჰქონდეს“.

თუ ასე უსამართლონ ადგილი თემს დარჩეს. თუ ვერ უსამართლონ, მიწა ციხისათვის ყოფილა და თემს ტყუილა უქამია და... რაც ამის ბატონობაში ზოდი დაკლებოდეს, იმ მოდიანათ მისცენ თემ(მ) მა ციხისთავს“¹³.

13 ქართული სამართლის ძეგლები, V, გვ. 171—172, ი. დოლიძის გამოცემა.



„სამართლის მიცემაში“ აქ იგულისხმება ფიცი ხატის წინაშე¹⁴ ჩატით ხელში, რომელიც თემს დაევალა. ხატის წინაშე ტყუილზე, უსამართლოდ, დაფიცებისა კი დიდად ეშინოდათ.

საწირელ თემს ვეღარ დაუფიცია და სადავო მიწა ციხისათვ აგიაშვილს დარჩა. ამის შესახებ საწირის თემისა და ქაიხოსრო აგიაშვილის 1781 წლის მორიგების წიგნში აღნიშნულია:

„ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, საწირელმა თემმა, სამი საყდრის კაცმა, თქვენ, ციხისათვს აგიაშვილს ქაიხოსროს, ასე რომ: სამანსა და სკიპს შუა დავედევით, მერმეთ ბატონის ხემწიფის კარზედ გავსამართლოდით. ბატონმა ხემწიფემ დავით ჩხეიძე ბოქაულათ გიჩინათ და სამნებზე მოფიცარი მოგვაყენე, მარა ჩვენ ვეღარ ვაფიცეთ და ხელშეუვალად დაგიტევით სამანსა და სკიპს შუა და ვაშლარს აქეთ; სამოდროთ თუ გვიბოძეთ, თორემ ხელშეუვალათ მოგართვით“¹⁴.

საბუთი უაღრესად მნიშვნელოვანია იმით, რომ მეფის მიერ აგიაშვილისათვის სათემო მიწის ბოძების ფაქტს (აგიაშვილი აცხადებს: „ჩემის ძველისსეული ბატონმა მიბოძა“-ო, ალბათ „საციხისთო“-დ) შორეულ წარსულშიც გადაყავართ. შორეულ შუა საუკუნეებში მსგავსი მასობრივი ფაქტების შედეგად ნათლად ჩანს, თუ როგორ თანდათანობით მცირდებოდა სათემო მფლობელობა სათემო საერთო მიწების ფეოდალებზე ბოძების შედეგად, — საფეოდალო-საბატონო მიწების ფართობის სათემო მიწების ხარჯზე ვაზრდის შედეგად. თემს კარგად ახსოვდა შორეული წარსული (საბუთით თუ გადმოცემით), — აშკამად სადავო ადგილ-მამული ადრე თემის რომ იყო.

იმერეთში სათემო მიწათმფლობელობის, მცირე ზომით, გადმონაშთების სახით არსებობას, ჩვენი აზრით, მოწმობს XVIII ს-ის რაქდენიმე საბუთი,

1776—1784 წლებში იმერეთის მეფე სოლომონ I-მა და მისმა მდივანბეგებმა (დარბაისლებმა) ეფთვიმე გენათელი სა და ქაიხოსრო აგიაშვილის სამამულო დავა გაარჩიეს.

აგიაშვილმა ვენათელს უჩივლა: „თქვენს კაცებს გვენეტაძენს ტყირბულში ჩემი ადგილი სამოცი ურმის აქვს და სჭამენ“-ო.

ვენათელმა უპასუხა: „ის ადგილი ხახულის მღვთის მშობლის შეწირული არის და გვენეტაძენს სამკვიდროთ აქვს“-ო. აგიაშვილმა აშორო უთხრა.

¹⁴ ქსდ, V, გვ. 172—173.



მეფემ და სასამართლომ ასე გადაწყვიტა: „წამოაყენოს აგიაშვილი თორმეტი გლეხი კაცი და ასე შეაფიცოს: „არც ის ადგილი ხატის შეწირული იყოს, არც გვენეტაძენის ის ადგილი არც სამკვიდრო და არც ნაყიდი იყოს და კიდევ ის ადგილი საციხისთო და საცუცხვათო იყოს“

თუ ასე დაიფიცებდნენ, როგორც ჩანს, სოფელ ცუცხვათის გლეხები, — მაშინ სადავო ადგილ-მამული აგიაშვილს და მის საბატონო სოფელ ცუცხვათს დარჩებოდა, თუ ვერ დაიფიცებდნენ, — გელათის ეკლესიას¹⁵.

აქ, ჩვენი აზრით, დავაა სათემო ადგილ-მამულზე, სახელდობრ, „სამოცი ურმის“ ადგილ-მამულზე, მაგრამ რა სავარგულია ეს ადგილ-მამული (სახნავი, საძოვარი, ტყე...) ეს საბუთიდან არ ჩანს.

დაახლოებით ანალოგიურია ამავ ეხანებში, XVIII ს-ის ბოლო ათწლეულში, იგივე თავად აგიაშვილებისა და გელათის საეკლესიო გლეხების გვენეტაძეების საადგილმამულო დავა და განაჩინება, რომლის გადაწყვეტაში, თხოვნის შედეგად, მონაწილეობა მიიღო თვით მეფე სოლომონ II-მ¹⁶.

XVIII ს-ის 90-იან წლებში სამამულო დავა ჰქონდათ გელათისა და ჯვარის მამის საეკლესიო ყმებს. სამართალი მეფე სოლომონ II-ის მითითებით 1796 წელს გააჩინეს და განაჩინეს. აქაც „სადაო ადგილები“ და მიწები, ჩვენი აზრით, აშკარაა, სათემო საერთო ადგილ-მამული, „ფიცით გარდასწყდა და მორიდდნენ“. სადავო დარჩა მთა, მაგრამ მის მიმართაც სამართალი გააჩინეს, რის საფუძველზეც უნდა მორიგებულ იყვნენ¹⁷.

დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც, სახელდობრ, სამეგრელოსა და გურიაში, ამ მხრივ აქაც ანალოგიური სურათი იყო. აღნიშნულ კუთხეებშიც სათემო-სასოფლო მიწათმფლობელობა აქა-იქ გადმონაშთის სახით, უმნიშვნელო ზომით იყო შემორჩენილი. ამ კუთხეების მიმართ ჩვენ ორიოდ საბუთი გავგაჩნია სათემო მიწათმფლობელობაზე. სამეგრელოს მიმართ საბუთი XIX ს-ის დასაწყისისაა, რაც, ცხადია, XVIII ს-ის ვითარებასაც ასახავს.

15 ქსდ, V, გვ. 284—285.

16 ქსდ, VI, გვ. 465.

17 ქსდ, V, გვ. 680—681.

1806 წელს სამეგრელოს სამთავროს კარის სასამართლოში ბანძი ში გაარჩია და განჩინება დაწერა ბ ე ს ა რ ი ო ნ ჭ ყ ო ნ დ ი დ ჭ ლ ო ს ჯ და თავად ფ ა ლ ა ე ვ ბ ი ს — პეპუ მურძაყანის და ზაალის შვილებზე სამამულო დავაზე.

ჭყონდიდელმა უჩივლა ფალავებს: საყოველთაოდ ცნობილია, თავადანვე ჩვენი ეკლესია „ერთ მთავრობაში“ (ე. ი. საქართველოს ერთიანობის ხანაში — დ. გ.) აშენდაო და „აგრეთვე ს ე ფ ი ე თ ი ს ო ფ ე ლ ი აზნაურითა და გლეხებით იმ ეკლესიის ყოფილა, თავისის საკმაოთ ალაგმამულითა და საყანით და ტყით. და იმ უამითგან ჩვენს ეკლესიასა და მათს ყმებს მოდავე და მოცილე არავინ ფალოსჩენია. დღეს თქვენ ში-დით და ჩემს... ალაგშიდ გლეხები ჩამისახლეთ. მე მაშინვე დაგიოხო-ვეთ... მაგრამ არ გარდამეცალეთ“—ო.

ფალავებმა უპასუხეს: ჩვენ თქვენი ეკლესიის მიწა არ მიგვიტა-ცია, „ერთი ჩვენი სასაკუთრო... ვერანი ალაგი იყო და დღემდის სახმ-რად არა დაგვეჭირვებია და ახლა გლეხები შეგვიწუხდა სამოსახლოზედ და ჩვენს საკუთარს ალაგშიდ ჩვენი გლეხები დავასახლეთ“—ო.

ჭყონდიდელმა აშორო სთქვა. ასევე, ფალავებმაც, თავიანთ მხრივ, აშორო სთქვეს: სადავო ადგილ-მამული არც სოფელ სუფიეთისაა და არც საჭყონდიდლო ეკლესიისო.

მოსამართლეებმა ასე გადაწყვიტეს: რადგან „ჭყონდიდის ეკლე-სია ერთმთავრობისა და მეფობის უამშიდ აღშენებული“ არის, ხოლო ფალავები შემდეგში სამეგრელოს მპყრობელისაგან (დადიანისაგან) არის დასახლებული და დაწინაურებული („ჩენილი“), ამიტომ „ამ პირვე-ლობისათვის“ აშორო და ფიცი ეკლესიასა და მღვდელმთავარს და-კისრეს. ამასთან, ის სადავო ადგილი უფრო საეკლესიო ძველი მოსა-ხლე კაცების მახლობლად არისო.

დაადგინეს: „აწ ამ ალაგებზედ მივიდენ, ხატი ფალავებმა მიუსვ-ნოს და ის ალაგი დამფასებელისაგან დაფასდეს და რამოდენის ათის მარჩილის იქნეს, იმოდენი სეფიეთელი გლეხი კაცი და ან ამაგალი აზ-ნაური იქაურივე ასე შეაფიცოს ფალავებს, რომ: „ახლა ჩვენ რომ ალა-გი შემოვიარეთ არასდროს დადიანის სახაოთ ალაგი ეს არ ყოფილიყოს... და არც არას ფალავას ამაშიდ ხელი ქონდეს“.

„თუ ასე იფიცონ... ის შემორებული ნაფიცი ალაგი ხელშეუვალოთ ეკლესიას დარჩეს“, „თუ ვერ იფიცონ, ფალავას დარჩეს“¹⁸.

¹⁸ ქსმ, VI, გვ. 368—369.

როგორც ვხედავთ, აქაც დავაა ერთ ადრე დაუსახლებელ („ვერან“ ადგილ-მამულზე, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო სოფ. სეფიეთის უნდა ყოფილიყო, თანაც აშკარაა, სათემო-საერთო მფლობელობაში, რადგან იგი რომელიმე მოსახლის საკომლო ინდივიდუალურ მფლობელობაში არ შედიოდა.

სათემო მიწათმფლობელობის უმნიშვნელო გადმონაშთები მოცემულ პერიოდში, როგორც ითქვა, ჩანს იყო გურიამიც. აქაც სააჩისოდ მხოლოდ ერთი დოკუმენტი გვაქვს¹⁹; დოკუმენტით XVII, II ს.-ის 70-იან წლებში სოფელ სურების თემის მოსახლეობა „ერთობით“ გამოვიდა გურიის ერისთავ ზაალთან დავაში მთავარანგელოზის ტყის გამო. ერისთავ ზაალის თხოვნა ივანიხილა სურების „ერთობით თემმა“ და მთავარანგელოზის სათემო ტყის ბეგარის გადახდა ივალდებულა, სახელდობრ, ამ ტყის სანთლის ბეგარა. როგორც ვხედავთ, სურებში ტყეზე სათემო მფლობელობა იყო²⁰. რაც შეეხება სურების თემის მიერ სათემო ტყის მფლობელობა-სარგებლობისათვის ერისთავის სასარგებლოდ სანთლის ბეგარის გადახდის ვალდებულებას, ეს ჩვეულებრივ იმის მოწმობაა, რომ გურიის ააერისთავოს მთელი მიწა-წყალი იურადიულად ფეოდალ-ერისთავის საკუთრება იყო, ისე როგორც ფეოდალურ სახელმწიფოში მთელი მიწა-წყალი ფეოდალთა კლასის საკუთრებას შეადგენდა — მეფის, კერძო ფეოდალების და ეკლესიის.

ზემოგანხილულ მცირე რაოდენობის საბუთების გარდა სხვა რიგის წყარო ჩვენ არ შეგვხვდარია საკვლევი პერიოდის სათემო მფლობელობაზე დასავლეთ საქართველოში.

სამიწათმოქმედო ერთობა დასავლეთ საქართველოში XIII—XVIII საუკუნეებში თითქმის მთლიანად გამქარალია სახნავ-სათეს მიწებზე, ყოველ დიდ თუ პატარა ფართობის სახნავ მიწებს თავისი ინდივიდუალური პატრონი ჰყავს და საბატონო ან საგლეხო. დიდი ფართობის სახნავი მიწები, რომელნიც ძველ პერიოდში სასოფლო-სათემო უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში, ამჟამად მებატონე-ფეოდალებს უკავიათ, ყმა-გლეხობას კი მცირე სახნავი მიწის ნაკვეთები გააჩნიათ. ყველგან, აგრარულ წყობაში, საგლეხო მამულებზე მებატონებულისა საკომლო-ინდივიდუალური მფლობელობა.

¹⁹ ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, 521—522.

²⁰ ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს გლეხთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა XVI—XIX საუკუნეებში. საზ. განყ. „მოამბე“, 1963, წ. № 7, გვ. 91—92.



მოუხედავად ამისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, დასავლეთ საქართველოში თველოში იშვიათად მაინც მიწის ზოგიერთი, უმთავრესად არასახნავი სავარგულები — ტყე, ველ-მინდორი და სათიბ-საძოვარი აქა-იქ საერთო სარგებლობაში გააჩნდა თემს და ასეთ შემთხვევაში სოფლას კოლექტივი ცდილობდა მასზე თავისი უფლების დაცვას. ზოგჯერ კი აგრარულად შევიწროვებული თემი ცდილობდა ოდესღაც ყოფილ სათემო, ამჟამად კი საბატონოდ ქცეულ მიწას დაუფლებოდა, რა მიზნითაც თემი კოლექტიურად გამოდიოდა.

ადრე აღინიშნა დასავლეთ საქართველოში საადგილმამულო ერთობის ანუ სათემო მიწათმფლობელობის მასობრივად დარღვევის ფაქტორები: ქვეყნის ამ ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებია, ნიადაგის კონფიგურაცია, აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, როგორც წესი, დაბა-სოფლების, გლეხობის ვრცელი სახნავი სავრცეების არარსებობა, ასევე, მოსახლეობის დასახლების განსხვავებული, თავისებური ფორმები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ აქ ყოველი ოჯახის კარ-მიდამოს გარს ერტყა თავისი სახნავ-სათესი მიწა. ბაღ-ბოსტანი და ტყე (რაც შეუძლებელს ხდიდა მიწების თემურ-კოლექტიურ მფლობელობასა და გადაწილებას). ამგვარად, ამ ფაქტორებმა გამოიწვიეს სათემო მიწათმფლობელობის დაშლა და მიწაზე საკომლო-ინდივიდუალური მფლობელობის განვითარება-გაბატონება. სათემო მიწათმფლობელობის დაშლა და საკომლო-ინდივიდუალური მფლობელობის მასობრივი გაბატონება, ჩვენი აზრით, აქ ჯერ კიდევ ძველისძველ ხანაში უნდა მომხდარიყო, სამხედრო დემოკრატიისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის ეპოქაში. ყოველ შემთხვევაში, ადრეფეოდალურ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში სახნავ მიწებზე ინდივიდუალური მფლობელობის მასობრივი ბატონობა ფაქტიურად უნდა ყოფილიყო და, საერთოდ, მიწის ძირითად საარსებო სავარგულებზე მასობრივად საკომლო-ინდივიდუალური (პარცელარული) მფლობელობა უნდა ყოფილიყო გაბატონებული.

სულ სხვაგვარი ვითარება ჩანს ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში, რასაც ამჟამად განვიხილავთ.

სათემო მიწათმფლობელობის საკითხის შესწავლას აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი ინტერესით შევეუდქეთ, გვიანტერესებდა მოზაპოვებოდა თუ არა სათემო მიწათმფლობელობის დამადასტურებელი წყაროები XIII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. მართალია, რიგი მკვლევრები აღნიშნავენ სათემო მიწათმფლობელობის (მიწათსარგებლობის) არსებობას ფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ მისი დოკუმენტური დადასტურება არავის არ მოუცია*.

ხელნაწერთა ინსტიტუტში და ცენტრარქივში ისტორიულ დოკუმენტებზე დიდი ხნის მუშაობის შედეგად საამისოდ საკმაოდ ბევრი დამადასტურებელი საბუთი აღმოჩნდა. გამოვავლინეთ მრავალრიცხოვანი დოკუმენტები ქართლ-კახეთში (განსაკუთრებით კახეთში) საგლეხო მიწათმფლობელობის ამ ძველი ფორმის არსებობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნდა ფეოდალური ხანის ისტორიული დოკუმენტები. მის მიერ გამოქვეყნებულ „ქართული სამართლის ძეგლებში“ (ტ. III—V) შევიდა აგრეთვე ჩვენთვის ადრე ნაცნობი რიგი საარქივო საბუთები სათემოსაერთო მიწათმფლობელობაზე. მაგრამ ჩვენ მიერ მოპოვებული გამოუქვეყნებელი საბუთები საკმაოდ მრავალრიცხოვანია და გაცილებით აჭარბებს გამოქვეყნებულ საბუთებს.

ყოველივე ამის გამო, საბედნიეროდ, რეტროსპექტული მეთოდი (რასაც მკვლევარი მიმართავდნენ), ჩვენ მიერ ადრე მოპოვებული XIX ს-ის ფეოდალურ-ბატონყმური ხანის წყაროების საშუალებით, არ დაგვიკირდა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის შესასწავლად XII — XVIII საუკუნეების საქართველოში, რადგან მოცემულ პერიოდში, განსაკუთრებით კი XVII—XVIII საუკუნეებში, საამისოდ საკმაოდ რაოდენობით აღმოჩნდა სათანადო დამადასტურებელი წყაროები — დოკუმენტები. სათემო-საერთო მიწათმფლობელობა XIII—XVIII საუკუნეებში დადასტურდა აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც კახეთში, ასევე ქართლში, მაგრამ, როგორც ამას მოველოდით, გაცილებით ფართოდ — კახეთში.

* საამისოდ XVIII ს-ის სამი საბუთი კი, როგორც აღინიშნა, ნ. ასათიანის გამოქვეყნებულ სადისერტაციო ნაშრომშია მოტანილი.



უნდა აღინიშნოს, რომ XIII—XVIII საუკუნეების საქართველოში ხდებოდა გლეხური მოსახლეობის აღწერა ცალკეული კატეგორიების, ცალკეული სოფლების და ზოგჯერ კუთხეების მიხედვითაც, მაგრამ ეს აღწერები მეტად ერთფეროვანია. აღწერებში ჩამოთვლილია გლეხთა კომლის მეთაურები, მათი კუთვნილება (სამეფო, საეკლესიო, კერძო საფეოდალო-საბატონო), გლეხთა ვალდებულება-გადასახადება, ზოგჯერ კი მოცემულია, თუ რა ფართობის მიწის ნაკვეთი უჭირავს კომლს, მათ შორის ზოგჯერ ნასყიდი მიწის ფართობიც, მაგრამ აღწერებში არსად არაფერია ნათქვამი მთელ რიგ სხვა საჭირო საკითხებზე და ამასთან არაა მონაცემები სათემო-საერთო მიწათმფლობელობაზე.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობის (მიწათსარგებლობის) ფაქტიური მონაცემები აღმოჩნდა სხვა რივის, სახელდობრ, კერძო ხასიათის დოკუმენტებში, — სათემო-საერთო მიწებზე საერთოდ, ანდა მის ანა თუ იმ სავარგულეებზე თემებს, სოფლებსა და კერძო პირებს შორის დავისა და ამ დავის განჩინებებში. სათემო მიწებზე დავა აღწევდა როგორც ამა თუ იმ კუთხის, ასევე მთელი ფეოდალური ქვეყნის მესვეურებამდე და ისინი მრავალრიცხოვან დავაში აქტიურად ერეოდნენ, ხშირად ადგილზე მისვლით, მდივანბეგებისა და სოფლის (თემის) თავკაცების მონაწილეობით წყვეტდნენ ამ საკითხს თავიანთი ოქმებით (ბრძანება-განკარგულებებით) და განჩინებებით.

გლეხთა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის დოკუმენტები შეიცავს უწყებრივი კუთვნილების მხრივ როგორც რომელიმე კატეგორიის, ვთქვათ, საბატონო სოფლების, ისე სხვადასხვა უწყებრივი კუთვნილების სოფლებს შორის (სამეფო, საეკლესიო, საბატონო) დავას საერთო სასოფლო მიწებზე — სახნაე-სათესზე, სათიბ-საძოვარზე და ტყეზე (მთაზე). მიწების საერთო-სათემო მფლობელობა იყო სწორედ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სათემო ადგილ-მამულის, მათ შორის სახნაევი მიწების გაუმჯობესებისა, რის გამოც ხშირად მეთემეებს არც ახსოვდათ სასოფლო ადგილ-მამულის საზღვრები.

ხშირად არა მარტო სოფლები ედავებოდნენ ერთმანეთს სათემო მიწებზე, არამედ მებატონე-ფეოდალები ედავებოდნენ თემებს მიწებზე და ცდილობდნენ ახალი სათემო მიწების მიტაცებას და ამ გზით საკუთარი საბატონო მიწების გაზრდას. ხდებოდა პირიქითაც, როცა თემი (სოფელი) ამა თუ იმ ფეოდალს ედავებოდა მინატაცებ თუ ნაწყალობევი მიწაზე, ვერ ურიგდებოდა სათემო მიწის დაკარგვას და მას კვლავ სათემო-საერთო კუთვნილებად სთვლიდა.



ირკვევა, რომ სათემო-საერთო მიწებზე დავა ფეოდალური აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ერთ-ერთი არსებითი მომენტი ყოფილა, რომლის გადაწყვეტაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქვეყნის მესვეურები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქართული დოკუმენტები სათემო-საერთო მიწათმფლობელობაზე მსოფლიო მნიშვნელობისაა ძველი და ფეოდალური ხანის სამიწათმოქმედო ერთობის, აგრარული წყობის ამ ძველი ინსტიტუტის შესასწავლად.

როგორც ეს წესად გვაქვს მიღებული, ჩვენს სამეცნიერო კვლევაში, ჯერ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოვხსენებთ სათანადო დოკუმენტაციის დემონსტრირებას სათემო-საერთო მიწათმფლობელობაზე, რათა ნათელი სურათი შეიქმნას მწარმოებელი კლასის მიწათმფლობელობის ამ ინსტიტუტზე, ხოლო გზადგავა, უმთავრესად კი ნაშრომის ბოლოს, შევეცდებით სათანადო ანალიზი გავუკეთოთ მას.

ქ ა რ თ ლ ი

მოცემულ საკვლევ პერიოდში ქართლში სათემო-საერთო მიწათმფლობელობა დასტურდება უმთავრესად XVII—XVIII საუკუნეების დოკუმენტებით. რითაც ამ ხანაში საერთო-სათემო მიწებზე, პირველ ყოვლისა, სოფლის საზოგადოების საერთო სახანავე მიწებზე ერთმანეთთან დავა და ცილობა აქვთ მთელ რიგ სოფლებს, სოფლებსა და ფეოდალებს, ასევე ეკლესიას.

მოდავენი — სოფლის ერთობილი კოლექტივები თუ მებატონე-ფეოდალები და ეკლესია, საცილობელ საერთო მიწებზე დავისას იმოწმებენ სხვადასხვა არგუმენტებს, პირველ ყოვლისა სასოფლო თემების საერთო მიწების მიჯნებს, ძველ საბუთებს მათზე და სხვ. ამავე დროს, ხშირად ადგილობრივი თუ მეფის ცენტრალური სასამართლო ავალდებულებს სასოფლო ერთობებს, რომლებსაც საერთო სათემო მიწები უჭირავთ და მით სარგებლობენ, რეალურ დამადსტურებელ საბუთების წარმოდგენასთან ერთად, ხატის წინაშე გამოიფიცონ სადავო ადგილ-მამული.

პირველი საბუთი, რომელიც სათემო-საერთო მიწათმფლობელობას ადასტურებს XVII საუკუნის ქართლში, ეს არის შიდა ქართლის სოფ-



ლების — კვარჩიტსა და ზერტს (დღევანდელი გორის რაიონში) შორის სათემო მიწებზე 1639 წლის დავის გარიგების წიგნი.

როსტომ მეფის ბრძანებით, აღნიშნული დავის გადაწყვეტა დაევალა ბოქალთუხუცეს ელისბარ სოლალაშვილს და „ყაფჩიბაშ“ პაპიას. საბუთით ზერტი უფრო საკათალიკოსო სოფელი ჩანს, ხოლო კვარჩითი ამილახვრის საბატონო სოფელი. გარიგების წიგნში ვკითხულობთ: „ბატონი კ(ათალიკო)ზი და ამილახვარი ბეჟან და ზერტელნი და კვარჩელნი მიწის სამძღვრებისა და ალაგებზედ ცილობდენ. ბატონჴან ფიცი ზერტელთ დაადვა, სახლთუხუცესი პაპუა გაუძღვესო და ქარსიძე თამაზო, საცა გაიარონო დაანებეთო... მოვედით კვარჩითს. ამილახვარმა ბიძინა ყანჩელი გამოგვატანა და ავთანდილ ჩიკოტიძე, მოვასხით გარეშემოს მახსოვარი კაცი, ამილახვრის ყმა და ერისთავისა და თუმანიშვილებისა. ყველანი ზერტელთ ამართლებდნენ, ფიციც ეღვა“.

ზერტელებს სადავო სათემო მიწების საზღვრებზე გაუვლიათ და სამნები — სასაზღვრე ქვები ან სარები (პალო) ჩაუსვამთ: „ერთი სამანი ქსნის ერისთავის ხოდაბუნის ბოლოს ჩავსვით ვარდის გორასთანა, ჩასწორ ლაგამას ჯევისაკენ გავსამზღვრეთ და გავარიგეთ. ლაგას გევამდინ ამ სამნებს ქვემოთ, ბატონს კათალიკოზს და ზერტელო ჯელი აღარა აქვს და ამ სამნებს ზემოთ ამილახვარსა კვარჩელთ ერთმანეთთან ჯელი აღარა აქვს...“

ასე გავარიგეთ ბატონის ბრძანებით და რომელიც ჩვენს გარიგებულს საქმეს იუარებს და არ დასჯერდების ჯელმწიფის შემცოდე იქნების. ქკს ტკზ“²¹.

საბუთით აშკარაა, რომ აქ სოფლის საერთო-სათემო მიწებზეა დავა, რომლის საზღვრები საცილობელი გამხდარა. აქ მოდავეებად ორივეს მხრიდან მთელი სოფელი გამოდის, ხოლო მათ ექომამება მათი მებატრონე ფეოდალები — კათალიკოსი და თავადი ამილახვარი. ცხადია, სადავო მიწებში გლახთა ინდივიდუალური საკომლო მიწის ნაკვეთები რომ იგულისხმებოდეს, მაშინ მოდავეებად ცალკეული გლახთა კომლები გამოვიდოდნენ და საბუთში ასეთ შემთხვევაში ისინი იქნებოდნენ ფიგურირებულნი, როგორც ეს არის სხვა კერძო ხასიათის დოკუმენტებში.

დოკუმენტებიდან ჩანს, ზერტელთა საერთო მიწების მიჯნებს კვარჩითლები არღვევდნენ და მათი სარგებლობა სურდათ.

²¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Qd, 1337 ა.

ასევე ჩანს, რომ საცილობელი სათემო მიწები ზერტელეს ვაჟის რათ, რადგან მსაჯულებმა ფიცი მათ დაადეს სადავო ადგილ-მამულის გამოსაფიცათ. ფეოდალურ საქართველოში წესი იყო, ვისაც სადავო მიწა ეჭირა იმას უნდა გამოეფიცა, სადავო საზღვრებზე მიწისთვის უნდა შემოეფლო და დაეფიცა — ჩვენიაო.

როგორც საბუთიდან აშკარად ჩანს, საცილობელი სათემო-საერთო მიწები ზერტელთ დარჩა და ამავე დროს სადავო მიწები სამნების ჩასმით გამოიჯნეს.

1653 წელს ქვემო ქართლში სათემო-საერთო მიწაზე დავა აქვთ ღორისთველებსა და გუდარეხელთ. სახელდობრ, სოფლები ღორისთავი და გუდარეხი ბედენზე საზღვარს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

როსტომ მეფის ბრძანებით, მათი დავის გარიგება დაევალა სოლბათიასაულ შანშეს შვილს პაპიას. 1653 წ. 10 ივლისის განჩინების წიგნში ვკითხულობთ: „გუდარეჯელნი და ღორისთველნი ბედენზე სამძღვარს შესცილებულიყვნენ.“

ახლა გერძანოვნის შვილსოთარსა და პა(ა)ტას ფიცი დ(ა)ედვა თავეთის ყმით. გუდარეჯელთა ასრე შეფიცონ: ამ გზასა რასაცა ღორისთვის გზ(ა) რომ შეივლის, ნათლისმცემლის ქვეით, ღორისთველს კაცს ჯელი არა ქ(ო)ნდეს.

ქვეშეთ დიდი შარა რომ გ(ა)ივლის ბედნისა, იმას ქვეითი ტყემლარური და გორას სათიბი არის, — ცხოველთ დარჩა“.

შემდეგ საბუთში ჩამოთვლილია ადგილ-მამულის რიგი ტოპონიმები, სადაც მიჯნები დადეს: „გორას სათიბი“, „მინგულს სათიბი“, „ჭიკვივის წყალი“, „ტყემლარი“ და სხვა²².

აღნიშნული განჩინების შესრულება გადაწყვიტეს რომელიმე მოდავეზე ფიცის დადების გარეშე, რაც ხშირად ასეც ხდებოდა შეთანხმებით.

მაგრამ, მიუხედავად ერთხელ მიღებული გადაწყვეტილებისა, სათემო მიწებზე დავა შემდეგშიაც გრძელდებოდა. 1660 წელს ჩვენ კვლავ ვხვდებით ღორისთველთა და გუდარეხელთა დავას სათემო მიწა-წყალზე და ამ წელს, მიწებზე დავის გამო, კვლავ დაიდო გარიგების წიგნი მეჯინიბეთხუტეკს პაატა ბარათაშვილის მიერ სარდარ და სახლთუხუტეკს პაპუნასადმი. 1660 წ. 13 მაისის დავის გარიგების

²² ქართული სამართლის ძეგლები, IV, 36.



წიგნი²³ ვკითხულობთ: „ქ. ესე წიგნი (დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ბარათაშვილმა მეჭინბეთ უხუცესმა პაატამა თქვენ სარდარსა და სლის უხუცეს პაპუნასა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ღორისთაველნი და ჩვენ მიწებზსა და ალაგებზედ ცილობდენ (sic!) და როსტომ მეფეს (ბრძანებით) სამართალი ვჰქენით და ფიცი სამს ღორისთველს კაცს ჰქონდეს.

აწე ამ ბაირამს უკან, როდესაც მე შინ წავედი, ერთი თქვენი აზნაურიშვილი თან წაიყვანო და სამ(მა) ღორისთველმა კაცმა: ფანოშვილმა ზურაბამა, ხუცისშვილმა ღოგამა და მექვაბიშვილმა ჯიმშერამა ხატი ასვენონ და ასრე დაიფიცონ: ამ ხატმა, ამისმა მადლმა და²⁴... ამისმა გამაცხოვლებელმა ქრისტემა ღ(მერ)თ(მ)ან, პაატა ბარათაშვილია, როდესაც ღორისთავი გუდარეჯისა ღ(ე)თის მშობელს გამოსწირდეა, ეს რომ ჩაჰგვივლია (?), ამ ალაგს აქეთი საღორისთაო იყოს, რომ გუდარეჯისა ღ(ე)თის მშობელსა და გუდარეველთ სამამულეთ კელი არა ჰქონდეს.

თუ დაიფიცონ დაგანებო. და თუ ვერ დაიფიცონ არაა მემართლები. ამისი მოწმე და წიგნის დამწერელი გიორგი ქართველი არის.

ქკსა ტმშ, მაის(ს)ა ივ²⁵.


როგორც ვხედავთ, აქაც, აშკარაა, ღორისთველთა და გუდარეხელთა დავა სათემო-საერთო მიწებზე, რასაც ორივე სოფელი თავისად სთვლიდა. თუ როგორ გადაწყდა მათი დავა, მორიდდნენ თუ არა ისინი საბოლოოდ, არ ჩანს, მაგრამ მოცემული საკითხისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანია ის, რომ მოტანილი საბუთები ნათლად მოწმობენ გლეხთა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობას ქართლში.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობის დოკუმენტების ძიებისას, ქართლში, საკვლევ პერიოდში, დიდად გვაინტერესებდა, შეგვხვდებოდა თუ არა საბუთებში დავა სათემო სახნავ მიწებზე. ასეთი საბუთებიც შეგვხვდა, ხოლო ერთ-ერთ მათგანში პირდაპირ არის ნათქვამი სოფლის გლეხობის საერთო სახნავ მიწებზე. ეს არის XVII ს. პირველი ნახევრის საბუთი, დაწერილი მეფე როსტომის ზეობაში, 1632—1658 წლებში (საბუთი დედანია).

23 საბუთი თავნაკლულია, აღდგენილია ჩვენ მიერ.

24 ერთი სიტყვა არ იკითხება.

25 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, 830.



საბუთი არის ქვემო ქართლის სოფლების — შულავრისა და თეთრი სოფლის შორის საცილობელი ადგილ-მამულისა და წყლის გარიგების წიგნი, მიცემული ბირთველ თუმანიშვილისა და ჰამზაბეგის მიერ. ამ მეტად მნიშვნელოვან საბუთს მთლიანად მოვიტანთ.

„ქ. ზეადიდნეს ღ(მერ)თ(მა)ნ ძლიერი და უძლველი მეფეთ-მეფობა პატრონის რ ო ს ტ ო მ ი ს ა.

ბრძანებითა მათითა ჩუენ, სუფრაჩი პატრონი ჰამზაბეგ და თუმანიშვილი მდივანი ბირთველი მოვედით შულავრისა და თეთრი სოფლის საცილობრის მამულის გარდასაწყვეტად. მოკითხული ვქენით და რაც მამა პაპით უამში გლეს კაცს მამული ჰქონებოდა ისეები ისრევ უცილებრად დარჩათ. და მას გარდა ისად რაც სხუა საერთოდ საჯნავი მინდვრის მიწა იყო, იმისი ასრე გავაჩინეთ და გარდავსაწყვიტეთ, რომე რაც თეთრის სოფლის კაცმან სამის იტუნით ან ან(ე)ული მოჯნას ან ქერა ან ბამბა და ან ფეტუი, იმის ღალას ბატონიშვილი იორამ თავისთუის ა(ა)ლებინებდეს და ნურა კაცი ნუ ეცილების და მას გარდა ისად რაც სხუა მოჯნას ან შულავრელის კაცისაგან და ან სხუის თემის კაცი-საგან, იმისი ღალა მეღიქ ყორსმაზ ა(ა)ლებინოს და ნურავინ შეეცილების.

აგრევე წყლისა და რუს საქმისა ასრე უნდა ქნან: რარიგადაც ამას წი(ნ)ათ ერთობაში რიგით ჰქონებოდეს, ისრევ სამართლიანის საქმით სსსწორო(თ) იჯმარონ. ყოველს წელიწადს ორს მერუეს შულავრისა მამასახლისი დააყენებდეს და ერთს მერუეს თეთრი სოფლის მამასახლისი და მამულისა და სარწყავისა ორად გაიყოფდნენ და რიგით იჯმარებდენ და ერთმანეთზე უსამართლოს და ძალას ნუ მოინდომებენ.

ჩუენი განაჩენი ამას იქით არა არის რა და ვინც ამას გარდავიდეს კელმწიფეს სამი კომლი (?) კაცი თარჯიმანად დაუდოს.

თუ ამ გარდაწყვეტილების საქმეზედ ბატონიშვილის კაცმან ტყუილად იჩივლოს ან მოიგონოს, ცოლი და შვილი კელმწიფემ უნდა ბართ(ში) გაუცეს“²⁶.

საბუთის ბოლოს სამი ბეჭედი დასმული სპარსული წარწერით.

მოტანილი საბუთიდან ნათლად ჩანს შულავრისა და თეთრი სოფლის ყმა გლეხთა ორი სახის ადგილ-მამული — ორი სახის მი-

26 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd, საბუთი 484.

წათმფლობელობა (მიწათსარგებლობა): 1. გლეხთა ინდივიდუალური მიწათმფლობელობა — „რაც მამაპაპათ უამში გლეხს კაცს მამული ჰქონებოდა“, ანუ ის ადგილ-მამული, რაც მამა-პაპადან მემკვიდრეობით ინდივიდუალურ მფლობელობაში მიიღო შთამომავლობამ და 2. სათემო-საერთო მიწათმფლობელობა, — დოკუმენტის ენით „საერთო საჯნავი მიწის მიწა“, რომელიც გლეხთა კოლექტიურ, სათემო-საერთო მფლობელობაში იმყოფებოდა.

განჩინებით აღნიშნული სოფლების გლეხობას „რაც მამა-პაპათ უამში გლეხს კაცს მამული ჰქონებოდა, ისიები ისრევ უცილებრად დარჩათ“. ე. ი. მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული ინდივიდუალური მიწის ნაკვეთები გლეხობისა ხელუხლებელი დარჩა.

„საერთო-საჯნავი“ მიწების საქმე კი ისე გარიგდა, რომ შათი მონენა-დათესვისთვის გლეხობას გადასახადი — „ლალა“ უნდა ეძლიათ ბატონიშვილ იორამისა და მელიქ ყორსმანისთვის.

საბუთიდან კარგად არ ჩანს აღნიშნული სოფლები საბატონოა თუ სამეფო, ხოლო აღნიშნულნი პირნი — ბატონიშვილი იორამ და მელიქ ყორსმან — მებატონეებია თუ აქ სამეფოს მოხელე-ფეოდალები, ვთქვათ, მოურავები. შესაძლოა ამ ორი სოფლიდან ერთი საბატონო ყოფილიყო, ხოლო მეორე — სამეფო-სამოურავო. გვიან ხანაში XVIII ს-ის ბოლოს კი, ჩვენ ვიცით, რომ შულავერი სამეფოს სახასო სოფელია და მას მეფის მოხელე-მოურავები განაგებენ.

საბუთით „საერთო საჯნავი მიწის“ მიწები გლეხებს უჭირავთ საერთო მფლობელობა-სარგებლობაში, ე. ი. ეს მიწები არის არა საკუთრივ საბატონო მიწები, არამედ არის საგლეხო მიწები, რომელთა დამუშავებისათვის, როგორც ცნობილია, გლეხობა ფეოდალებს (სახელმწიფო ზაზინას, ეკლესიას, თავადაზნაურობას) უხდიდა სადვილმამული გადასახადს — „ლალას“. „ლალა“ (ერთდროული თუ მუდმივი სადვილმამული გადასახადი) საბუთში სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ეს მიწები საკუთრივ საბატონო მიწები — ხოდაბუნები არ იყო, რადგან, როგორც ცნობილია, ასეთ მიწებზე მოსავალი მთლიანად მებატონე-ფეოდალებს რჩებოდა. აქ კი გლეხობა ამ სათემო-საერთო მიწების სარგებლობისათვის გადასახადს, „ლალას“, უხდის მებატონე თუ მოხელე ფეოდალებს და, მაშასადამე, საბუთში მოცემული „საერთო საჯნავი მიწის“ მიწები საგლეხო სათემო-საერთო მიწები იყო, რითაც XVII საუკუნეში აშკარად მტკიცდება ქვემო ქართლის აღნიშნულ სოფლებში სათემო-საერთო მიწათმფლობელობა.

დაბოლოს, საბუთში მოცემული სოფლები უწყებრივად რა კუთვნილებისაც არ უნდა იყვნენ და საბუთის საადგილმამულო გადასახადს, — „ლალას“, — რანაირი ახსნაც არ უნდა მიეცეს, ჩვენთვის მთავარი და არსებითი ის არის, რომ დოკუმენტში პირდაპირი ცნობაა შუღლავრისა და თეთრი სოფლის ელესობის „საერთო საჯნავ მინდვრის“ მიწებზე, მაშასადამე, სათემო მიწათმფლობელობის არსებობაზე.

ამავე ხანებში, 1654 წელს, ქვემო ქართლში ნახილურელები და სვეტიცხოვლის საეკლესიო ყმები — თამრგვალელნი სასოფლო მიწებზე დაობდნენ. როსტომ მეფის ბრძანებით, დავის გარჩევა დაევალა ბოქაულთუხუცეს ელისბარ დავითაშვილს.

მოიყვანეს „მასხოვარნი კაცნი“ და საზღვრები გასინჯეს. მოვიდნენ სვეტიცხოვლის ყმანი — აზნაურები გედეონიშვილები, მალაღვილი და სხვები, აგრეთვე მსახურნი. „ჯვარი და ხატი მოიტანეს და ფიცზე იდგნენ“. მაგრამ ფიცი არც ერთ მხარეს — არც სოფ. ნახილურის მცხოვრებთ და არც სოფ. თამრგვალის მცხოვრებთ არ დაადეს, რადგან თემის „მასხოვარი“ კაცების მიერ ნაჩვენები საზღვრები ჭეშმარიტად მიიჩნიეს და დავა მიწებზე ასე გადაწყვიტეს: „თავს კვირაცხოვლის ბოლოს რომ აბაშიშვილი ნაზვრუვევი რომ არის, იმას ბოლოს რასაც ქუაყრილი გაიტანს, ქუემო ქალაქის შარა რომ გავივლის იქამდი, იმას იქით დოლოვნის სამზღურამდი, იმას იქით კვირაცხოვლისაჲენ ნაჯიდურელთ დარჩა; და თავმრგვალელთ ჳელი ნუ აქუთ.

და იმას იქით სვეტიცხოველს დარჩა და ნაჯიდურელთ ჳელი ნუ აქუსთ. და არცა რას ემართლებიან“²⁷.

განჩინება როსტომ მეფემ დაამტკიცა.

მაგრამ როსტომის გარდაცვალების შემდეგ, 1658—1675 წლებში ნახილურისა და თავმრგვალას მცხოვრებთ კვლავ დაუწყიათ სათემო მიწებზე ცილობა. მეფე შაჰნავაზმა დავის გადაწყვეტა კვლავ ბოქაულთუხუცეს ელისბარ დავითაშვილს დაავალა, რომელმაც ნახილურელებს და თავმრგვალელებს საცილობელ სათემო მიწებზე კვლავ დაუდგინა საზღვრები და სათანადო განჩინებაც დაუწერა. განჩინება ამჯერად მეფე შაჰნავაზმა დაამტკიცა²⁸.

1656 წელს ქვემო ქართლში გაირჩა თავად ბარათა ბარათაშვილის აზნაურების — სოფ. ორთაშუის მებატონე ბლორძელთა და სოფ.

²⁷ ქართული სამართლის ძეგლები (ქსდ), IV, 39.

²⁸ იქვე, 73.

გარისის მცხოვრებ პარონ სარქისაშვილებისა და სხვა გარისელთა დავა სათემო მიწებზე.

სარქისაშვილები და გარისელნი ბლორძელებს მიწაზე ედავებიან: „მიწები საგარისო ყოფილაო და ორთაშუისა არ არისო“.

დავის გადაწყვეტა დაევალა მდივანბეგ როინ ჯავახიშვილსა და მდივან ბირთველ თუმანიშვილს.

როგორც წესი, მოიხმეს „თემის მახსოვარი გლეხნი კაცნი“, გარეშემოს მეზატონე ბარათაშვილები და სხვები. ფიცი გარისელებს დაადეს, მაგრამ „ველარ დაიფიცეს და ვერც მოწამე იშოვნეს“ და გამტყუვნდნენ. სადავო სათემო მიწები დარჩა ორთაშუელ გლეხებსა და ბლორძელთ — ბარათა ბარათაშვილის ახნაურებს: „დდეს და დღეიან უკან ბარათას მეტს სხუას ბარათაშვილთა ამათან ველი არა ჰქონდეს, და არცავის სხუას თემის კაცსა. ალაგი და მიწაც ორთაშუის გარის და გლეხნიც თავისი დაუსახლებია. დარჩა მამუკა ბლორძელსა, გიორგის, ოტისასა და გულბათს ამ წესითა, რომე ვერავინ ესარჩლოს“²⁹.

1660—1670 წლებში ქვემო ქართლში სათემო მიწებზე ცილობა ჰქონდათ ზემო ბოლნელთა და სამწევრელებს კალნუტშასა და ურწაშნის ბოლოს, რომელიც იურიდიულად საეკლესიო მიწებად ითვლებოდა. ჩანს, 1660—1661 წლებში დავა ბოლნელთა სასარგებლოდ გადაუწყვეტიათ. ათი წლის შემდეგ ამ „მიწებისათვის ცილობა“ განახლებულა. 1670 წელს მეფე შაჰნავაზის ბრძანებით ეს საქმე გაურჩევიათ და განჩინებით სადავო სათემო მიწები ზემო ბოლნელებს დარჩათ³⁰.

XVII საუკუნეში, მეფე გიორგის მეფობის წლებში (1676—1688), ქართლში სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობის დამადასტურებელია აგრეთვე შიდა ქართლის სოფლების წადგლისა და ტკოცის (დღ. ხაშურის რაიონში) დავა სათემო სახნავ მიწაზე.

საბუთით (იგი დაზიანებულია), რომელიც 1676—1688 წლებით თარიღდება, წადლელნი და ტკოცელნი სახნავ ჭალაზე „შეცილებულიყვნენ“. მისულან მეფე იგიორგისთან. დავის გაპარიგებლად გოგია ყარონაშვილი გამოეგზავნათ. ყარონაშვილს სათემო სახნავ ჭალაზე მოდავე სოფლები „უფიცრათ გ(ა)ერიგებინა“: „ჭალას მიწები წად-

²⁹ ქსდ, IV, 42.

³⁰ სცსია, ფ. 1451, დავთ. 9, საბ. 2.

ლელთათვის დაენებებინა... და ტყე და ხეით (sic) ტკოცელთათვის დაენებებინა“.

შემდგომ წაღწელებს დავა დაეწყოთ და კვლავ ეჩივლათ, ისევ გაურჩებიათ. მაგრამ ამის შემდეგ უკვე ტკოცელებს და რიკაძეებს უჩივლიათ მეფე გიორგისთან. კვლავ გოგია ყარონაშვილი გამოეგზავნათ და მას „როგორათაც უწინ ხელმწიფვეს ბრძანებით... ისრე გაურჩებებინა“. წაღწელ გლეხებს ჭალაში „ხნა დაეწყოთ“, საპასუხოთ რიკაძეებს შახყულიხანთან ეჩივლათ. როგორც იქნა, დავა საბოლოოდ მაინც გადაუწყვეტიათ და სადავო სათემო საერთო მიწების საზღვრებზე „სამნები ჩაესხათ“³¹.

1702 წელს სოფ. ენაგეთის გლეხები და ჭაბუკანთ უბნელნი სათემო სახნავი მიწების საზღვრებზე ცილობდნენ. მეფის ბრძანებით დავა გაარიგეს. ფიცი ენაგელთ დაადეს. მათ აღდეს ენაგეთის სამეზობლო და ისე დაიარეს სადავო მიწების საზღვრები, გამოიფიცეს და სამნების ჩასმით გამიჯნეს³².

1706 წელს ქვემო ქართლში, მარნეულები მეთემეები მებატონე პაბუნა გოსტაშაბაშვილს სოფ. დოლოვანის ბოლოს მიწებს ედავებიან, რის გამოც ვახტანგ VI-ის მიერ დაიწერა განჩინების წიგნი და სადავო ადგილ-მამული გამიჯნეს³³.

1713—1714 წლებში განუწყვეტელი დავა ჰქონდათ სათემო-სახნავ მიწებზე კოდას ლილოელთ და დიდლილოელთ. 1713 წელს დედოფალ რუსუდანიისა და ბატონიშვილის ბაქარის ბრძანებით „საცილობელი მამული“ უნდა გამოეფიცათ კოდელებს, ყოველი კომლის უფროსი, წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩებოდათ დიდლილოელებს³⁴. კოდელებს გამოუფიციათ სადავო სათემო მიწები და სამნები ჩაუსვამთ. მაგრამ შემდეგ დიდლილოელებს, რომლებიც ფიცში არ დასწრებიათ (მათ შორის მათი მამაპაპლისიც), „გაფიცებულის მამულს“ სამნები ამოუყურიათ³⁵. დავა გაგრძელდა.

1714 წ. 15 აგვისტოს დაიწერა საბოლოო განჩინება კოდას ლილოსა და დიდლილოს ადგილ-მამულის საზღვრებზე.

31 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, 3992,

32 სცსია, ფ. 1450, დავთ. 11, საბ. 160.

33 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, II, № 23.

34 სცსია, ფ. 1451, დავთ. I, საბ. 214.

35 იქვე, საბ. 204.

აღნიშნული სოფლების მცხოვრებნი მოვიდნენ გორს და ვახტანგ VI-ის შეილთან ბატონიშვილ ბაქართან იჩივეს. ბაქარმა დავის გადაწყვეტა ადრე ქაიხოსროთ უმანის შვილს დაავალა, შემდეგ კი მთავარეპისკოპოს ნიკოლოზს³⁶. მოდავე სოფლების სათემო ადგილ-მამული, სახნავი მიწები, გამიჯნეს და სამნებო ჩასვეს. სათემო მიწების გამოფიცვის წინ კოდელებმა „მოსავენეს სიონთა მღ(ვ)თისმშობლის ჯვარი“ და მით შემოიარეს სადავო მიწები. კოდელებს დავის გარიგების დროს დაეფიცათ და ასე უთქვამთ: „როდესაც კუთხეულმან მეფე გიორგიმ ამ კოდაზედ დავგასახლო, ეს მამულიც აქამდის გვიბოძაო და აღარც მასუკან დღევანდლამდის იგვილება ვინმეო; ასრე გამოეფიცათ“. განჩინებაში აქვე აღნიშნულა, რომ „თვევადობით ამ გამოფიცულში მოეჯნათ და ამათთინ დაგვინებებია ვნულიცა“³⁷. სადავო სათემო ადგილ-მამული კვლავ კოდელებს დარჩათ³⁸.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობას ქვემო ქართლში საბატონო გლეხებში მოწმობს ბაქარ მეფის 1719 წლის განჩინება სოფ. მარიაშულის და სოფ. ჩრდილისუბნის (ნასოფლარები დღ. თეთრი წყაროს რ-ში) დავის შესახებ სათემო-საერთო მიწებზე. საბუთით მარიამული აშილდაბარგოსტასაბიშვილის და მისი სახლიკაცების საბატონო სოფელია, ხოლო ჩრდილისუბანი — ოთარმდივნისა და ლომკაცბეგაშვილის საბატონო სოფელი.

მარიამელი გლეხები ჩრდილისუბნელთა „მიწებსა და სათიბზეც“ ეცილებოდნენ: „ჩვენი არის, უბრალოდ გიჭირავსთ“-ო. ჩრდილისუბნელმა გლეხებმა მათ „აშორო უთხრეს“ — არა, ჩვენიაო.

ბაქარ მეფემ 1719 წ. 9 ივნისს დავის გადაწყვეტა ორბელს დაავალა და ასეთი განაწესი მისცა: მას, როგორც წესი, „გარშემო მას-სოვარი მტოდნე კაცნი“ უნდა მოეყვანა. სათემო საცილობელი მიწები ჩრდილისუბნელებს ეჭირათ და ამიტომ მათ უნდა გამოეფიცათ ადგილ-მამული. თუ გამოიფიცადნენ საცილობელ სათემო მიწებს, მათ დარჩებოდათ, თუ არა — მარიამულის გლეხებს მიეცემოდა³⁹.

³⁶ სცსია, ფ. 1449, საბ. 1887, 1888.

³⁷ ქსდ, IV, 178.

³⁸ სცსია, ფ. 1451, დავთ. I, საბ. 52.

³⁹ ქსდ, IV, 195.

სათემო მიწათმფლობელობას ქვემო ქართლში მოწმობს აგრეთვე ერთი პატარა საბუთი, რომელიც XVIII ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება: „მათიშვილნი შ ა ნ შ ი სოფლებს მიწებს ეცილებოდნენ. ჩვენ სომ(ი)ხითის მელიქი ბატონი ავთანდილ მოვედით და ვნახეთ. მოკითხული ექენით და ძველადგან შ ა ნ შ ი სოფლისა ყოფილიყო და ხევს აქეთ ისრევ შ ა ნ შ ი სოფლელთ დავანებეთ. მათიშვილნი იმათთან ხელი არა აქვსთ“⁴⁰.

როგორც საბუთიდან ჩანს, ადგილ შ ა ნ შ ი რამდენიმე სოფელს საერთო მიწები ჰქონია. საბუთით მათიშვილები კერძო პირებს კი არ ედავებიან მიწებს, არამედ სოფლებს. განჩინებით შ ა ნ შ ი სოფლებს დარჩა, რადგან ძველითგანვე იგი სასოფლო-სათემო ყოფილა⁴¹.

1755 წელს დაიწერა განჩინება საეკლესიო სოფელ კ რ წ ა ნ ი ს ი ს ა და საბატონო სოფელ თ ე ლ ე თ ი ს სათემო-საერთო მიწების შესახებ. კრწანისელები და თავად ამილახორის თელეთელი ყმა გლეხები ერთმანეთს ადგილ-მამულზე, მათ შორის ს ა ხ ნ ა ვ მიწებზე ედავებოდნენ.

დავის ადგილზე მოვიდნენ ამირინდო ამილახორი და ერთობილნი მცხეთელნი, მათ შორის, სახლთუხუცესი გიორგი მაღალაძე, მოლარეთუხუცესი პაატა გედეონის ძე და კრწანისის მოურავი პაატა თაზიშვილი. მათ იგვერდ იახლეს „ერთობილნი უფროსი კაცნი“ — კრწანელები და თელეთელები და სადავო ადგილ-მამულში წავიდნენ. დავა გარჩიეს და შეთანხმებით, ფიცის გარეშე, საცილობელ სასოფლო-საერთო მიწებზე საზღვრები დადეს. განჩინების წიგნში ვკითხულობთ: „ვ არ და ნ ა ს ჭ ა ლ ი ს ბოლოს ზეით კლდიდამ რომ სამი ჯევი ჩამოგარდება და მერმე ერთათ შეიყრება და ის ჯევი მ ტ კ ვ არ ს შეეყრება გაჭრული კლდე მტკვრის პირსა, იმას ზეით აქეთ კრწანელებს დარჩა და იქ ჯევის გაღმა თელეთელებსა. რ ა ც ა ქ ა თ ს ა ჯ ნ ა ვ ი მ ი წ ე ბ ი ა რ ი ს ზ ე მ თ კ ლ დ ე მ დ ი ნ კ რ წ ა ნ ე ლ ე ბ ს დ ა რ ჩ ა .“

დადეს ამას იქით ერთმანეთთან ამ საქმეზე კრწანელებსა და თელეთელებს ძმობისა და მეზობლობის მეტი დავა და საქმე აღარა აქვს რა.

ჩუენ ასე გან(ვ)საზღვრეთ და გავასამართლეთ: საჯნავ მიწებს გარდა კლდესთან კრწანელებს ჯელი არა აქვსთ და რ ა ც ს ა ჯ ნ ა ვ ი მ ი წ ე ბ ი ა რ ი ს ი ს კ რ წ ა ნ ე ლ ე ბ ს დ ა რ ჩ ა“⁴².

40 იქვე, IV, 230.

41 შ ა ნ შ ი ადგილია ქვემო ქართლში.

42 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 13.072.



აღნიშნული საბუთი კიდევ ერთი ნათელი და პირდაპირი მტკიცებულებაა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობისა ქვემო ქართლში.

აღსანიშნავია, რომ კრწანელები და თელეთელები სათემო-საერთო მიწებზე, მათ შორის სახნავებზე, შემდეგშიც დაობდნენ.

1772 წელს 14 აგვისტოს სოფ. არაშენდას გლეხებმა არზაშიართვეს მდივანბეგებს ხვედიანელებთან სახნავ მიწებზე დავის შესახებ. არზაში ეკითხულობთ: „ქ. ლ(მერ)თ(მ)ან ბატონის მდივანბეგების ჭირი მოსცეს ერთობ არაშენდელოთ.

ჩვენ და ხვედიანელები შამულის მესამზღვრენი ვართ. სამუხრამბლებს აქეთ ისინი გადმოსულან და ჩვენს მამულსა ხვნიენ.

წყალობას ვითხოვთ, რომ მოიკითხოთ და რაც ჩვენი მკვი(დ)რის მამული იყო ჩვენ დაგვენბდეს, ლ(მერ)თი გაგიმარჯვებსთ. აგვისტოს იდ, ქქს უა“⁴³.


მდივანბეგების ოქმით გარსევან გარსევანიშვილს დაევალა მისულისო, ენახა სადავო სახნავი მიწების საზღვრები და დავა გაერიგებია. თუ დავას ვერ გაარიგებდა, მაშინ მოდავენი მდივანბეგებთან უნდა მიეყვანა და მათი დავა აქ უნდა გადაწყვეტილიყო⁴⁴.

არაშენდაოთხია. ორი კახეთში (დღ. გურჯაანის და ახმეტის რაიონებში) და ორიც ქართლში (დღ. მცხეთისა და გორის რაიონებში). მაგრამ საბუთში მოხსენიებული გარსევანიშვილი (სამცხეთო აზნაური) და ხვედიანელები (გვარი თუ ხვედურეთის მცხოვრებნი?), უფრო ქართლის არაშენდაზე მიგვიბრუნებს, რომლის გლეხთა სათემო-საერთო სახნავ მიწებზე გადასულან ხვედიანელები და დამუშავება დაუწყიათ.

1796—1798 წლებში დირბელებს მათ სათემო-საერთო მიწებზე ელდავებიან ფეოდალი ფავლენიშვილები. დირბელებს ერთხელ ფიცით გაუტანიათ თავიანთი სათემო მიწები, მაგრამ ფავლენიშვილები მაინც არ ეშვებოდნენ. 1798 წელს მეფე გიორგი XII-მ ბრძანებით თავის შვილს იოანეს დაავალა: დირბელებმა ერთხელ კიდევ „ჩაიარონ, ფიცით გაწმინდონ ეგ სადაო მამული. მასუკან შენც ხელი მოუწერე“-ო, ფავლენიშვილები დირბელთა ფიცს აუცილებლად უნდა დაესწრნო.

⁴³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd — 8736.

⁴⁴ იქვე.



ბატონიშვილმა იოანემ ელიზბარ ერისთვიშვილს დაავალა: ფეხვენიშვილებს „ამ დირბელებმა კიდევ გული აჯერონ და ისე ჩაუტახნი სამნები“, თუ ფავლენიშვილები დირბელებს „არ გაყვენ, შარშან ხომ დაიფიცეს ჩვენის განაჩენით, როგორც შარშან მიჯნები ჩასხეს ისევ დაუნიშნე... და ამათ (დირბელებს — დ. გ.) მოაბარე ეს მამული“-ო. თავის მხრივ დირბელების მღვდელ-მონაზონი მეფე გიორგის თხოვდა, „მუშაობია და მოსავლის დრო არის“ და დაგვეხმარეთ, შფოთი არ მოხდესო⁴⁵.

როგორც ვხედავთ, მოტანილი საბუთებით XVII—XVIII საუკუნეებში აშკარად მტკიცდება ქართლში სათემო-საერთო მიწათმფლობელობა, მათ შორის, რაც მთავარია, სახნავ მიწებზეც. ეს ვითარება, ცხადია, უფრო ძლიერად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი საკვლევე პერიოდის ადრეულ ხანაში, რაც იმას მოწმობს, რომ სამიწათმოქმედო ერთობა — საერთო-სათემო მიწათმფლობელობა XIII—XVIII საუკუნეებში ერთ-ერთი ფართო აგრარული ინსტიტუტი იყო საგლეხო მიწათმფლობელობაში (მიწათსარგებლობაში) და იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მწარმოებელი კლასის ეკონომიკაში.

კ ა ხ ე თ ი

მეორადი (კლასობრივი) სამიწათმოქმედო ერთობა, შეიძლება ითქვას, კლასიკური სახით იგაქვს მოცემული კახეთში. მთელი ივრისა და ალაზნის აუზის სახნავ-სათესი მიწები, საბატონო ხოდაბუნების გარდა, კახეთის სოფლებს საერთო მფლობელობაში ჰქონდათ. სამიწათმოქმედო ერთობის ეს აგრარული ფორმა კახეთში არქაული დროიდან მოდიოდა. მან გამოიარა უკლასო და კლასობრივი საზოგადოების ფორმაციები, იცვლებოდა საზოგადოებები და სახელმწიფოები, პატრონები და ბატონები, საადგილმამულო (სამიწათმოქმედო) ერთობა კი კახეთში, საერთო მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობითა და მიწების პერიოდული გადანაწილებით, ასევე, სასოფლო ერთობების იურიდიული სტატუსი საადგილმამულო სფეროში, დიდ გამძლეობას ინარჩუნებდა და არსებობას განაგრძობდა.

გაცილებით უფრო მძლავრადაა წარმოდგენილი დოკუმენტები სათემო მიწათმფლობელობაზე კახეთში XVI—XVIII საუკუნეებში, — სა-

⁴⁵ სცსია, ფ. 1450, დავთ, 51, საბ. 213.



სოფლო ერთობების ხშირ კოლექტიურ გამოსვლებზე მათი მიწების გარშემო ატეხილ დავა-ცილობის გამო. ვფიქრობთ, ეს დოკუმენტები თითქმის სრულ და ნათელ სურათს ქმნიან სათემო-საერთომიწათმფლობელობაზე კახეთში XIII — XVIII საუკუნეებში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ნათლად მოწმობს სათემო მიწათმფლობელობის არსებობას კახეთში XIII—XVIII საუკუნეებში, ეს არის სამეფო-საკათალიკოსო სოფლის გიორგი-წმინდის დავა თავად მაყაშვილებთან იორს გამოღმა სათემო-საერთო სახნავ მიწებზე XV—XVIII საუკუნეებში.

XV—XVI საუკუნის დოკუმენტით გიორგიწმინდელებს საერთო სახნავი მიწები აქვთ მდ. იორთან, ყარაღაჯში. კახთა მეფის ალექსანდრეს დროს, — (დოკუმენტში არ ჩანს ეს მეფე ალექსანდრე I (1476—1511) არის თუ ალექსანდრე II (1574—1605), — XV—XVI საუკუნეში, გიორგიწმინდელნი ყარაღაჯში მაყა და გოშფარ მაყაშვილებს სათემო „საჯნავს ალაგებს“ ეცილებიან. მაყაშვილებმა მეფე ალექსანდრეს მიმართეს. მეფემ საგარეჯოს მოურავს ჩერქეზს ხასფოლადს უბრძანა: „ეგ ალაგები ხომ თქუენ კარგად იცით, ორთავე მესამძღვრე ხართ, ყარაღაჯის ოლეს* გარეთ ხომ მაყაანთ ჳელი არა აქუსთ, თქვენს სამძღვარს ჳემოთ და ოლესში ოგნიო — გიორგიწმინდელთ; გამინჯეთ და თუ შიგნით ეცილებოდნენ რასმიც, მაყაანთ დაანებეთ, მაგათ (გიორგიწმინდელთ — დ. გ.) ჳელი ნუღარა აქეს და ასე შეარიგეთ“⁴⁶.

როგორც ჩანს, მოდავენი საბოლოოდ ვერ მორიგებულან.

შემდგომ მათ შორის დავა გაგრძელდა XVII საუკუნეში როსტომ მეფის დროს. 1656 წელს დაიწერა მეფე როსტომის განაჩენი, რომელიც ჩერქეზიშვილების მამულის მესაზღვრედ გიორგიწმინდელებს მიიჩნევდა. სახელდობრ, როსტომის განაჩენში აღნიშნული იყო, რომ

* ოლე — ბუჩქნარი, პატარა ტყის ზოლი.

⁴⁶ სესია, ფ. 1449, საბ. 1041. ამ საბუთის „დაძულებული“ დედანი „სწორედ და უმეტეალებოდ“ (ე. ი. ზუსტად — დ. გ.) გადაწერეს ერეკლე II-ის ბრძანებით 1792 წელს. გადაწერილი პირი დედანთან თვით ერეკლეს შეუღარებია. მეფე ალექსანდრეს ამ საბუთის დედანი „ისევე შენახულია“-ო, წერს მეფე ერეკლე. ამჟამად დედანი არ ჩანს, ვერ აღმოვაჩინეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი დღემდე გამოუქვეყნებელია.

„მეფის ალექსანდრედამ მოკიდებული როსტომ მეფამდის ოლეს რეთ ჩერქეზიანთ სამძღვრამდის გიორგიწმინდელთ ჰქონებიათ“⁴⁷.



კვლავ ვერ მორიგებულან და დავა გიორგიწმინდელებსა და მაყაშვილებს შორის ახალი ძალით გაჩაღდა XVIII საუკუნეში.

1712 წელს დაიწერა ახალი განჩინება — კახეთის გამგებლის თეიმურაზის (შემდეგში მეფე თეიმურაზ II) მიერ, სადაც აღნიშნული იყო, რომ მაყაშვილებს ჰქონდათ სადავო მამულზე „წინაპართ მოსამართლეთაგან“ განსჯილი განაჩენები, „და რადგანაც მამულიც კვლავ ეჭირათ“ ფიცი მაყაშვილებს დაედო. მაყაშვილები საფიცრად წარდგნენ, მაგრამ გიორგიწმინდელებმა აღარ დააფიცებინეს და სადავო მამული მაყაშვილებს დარჩაო.

მიუხედავად ამისა, როგორც შემდგომში ირკვევა, გიორგიწმინდელნი ამ განაჩენით უკმაყოფილონი დარჩენილან. ვგებულობთ იმასაც, რომ 1712 წლის განჩინების დაწერის დროს გიორგიწმინდელთ ძველი მეფეების (ალექსანდრეს, როსტომის) ბოძებული სამამულო დავის საბუთები დაკარგული ჰქონიათ და, ამიტომ, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. შემდეგში კი ეს საბუთები მათ უბოვიათ.

1711—1716 წლებში, კახეთის გამგებელ თეიმურაზის დროს, სოფ. გიორგიწმინდისა და მაყაშვილთა სოფელ მარიაძვეარის ივრისპირა სათემო საერთო მიწებზე დაიწერა მეორე განჩინებაც, ადგილ-მამული გამოიჯნეს⁴⁸. მაგრამ დავა ისევ გრძელდებოდა.

ბოლოს გიორგიწმინდელებისა და მაყაშვილების დავამ ერეკლე II-მდე მიაღწია.

1790 წ. 21 ივნისს „ერთობლივ მაყაშვილებმა“ არზა მიართვეს ერეკლე მეფეს.

მაყაშვილებს საბატონო მამულად გარე კახეთში მარიამჯვარი ეჭირათ თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-გან დამტკიცებული: „თქვენი წყალობა გვეჭირს და მარიაძვეარი გვეჭირავს და რა თქვენგან გვბოძებია, სულ შემოფარგვლით გვეჭირავს და ღალასაც ნიადაგ ვიღებთ“; — ისწერენ არზაში მაყაშვილები ერეკლეს.

გასულ 1789 წელს, წერენ მაყაშვილები, გიორგიწმინდელები ერეკლესთან მისულან და მოუხსენებიათ, მაყაშვილებს ჩვენი სახნავი მიწები უჭირავთო. სახნავი მიწებიდან აღებული მოსავლის ღალა მაყაშვი-

⁴⁷ ჩსდ, V, 300.

⁴⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 10 023.

ლებისათვის განკუთვნილი, რომელსაც ალბათ ჯერ კიდევ მინდვრების
იდო, გიორგიწმინდელებს მთლიანად წაუღიათ (საბუთიდან არ ჩანს მა-
ყაშვილთათვის განკუთვნილი ღალა თავიანთი ყმა გლეხებისაგან მოწეუ-
ლი მოსავლის ნაწილი იყო, თუ სადავო ნაკვეთზე, — რომელსაც მაყა-
შვილები თავისად თვლიდნენ, — გიორგიწმინდელთა მიერ დამუშავე-
ბული და მოწეული მოსავლის ნაწილი, მაგრამ საკითხისათვის ამას
არსებითი მნიშვნელობა არა აქვს).

მაყაშვილები წერენ, რომ ჩვენი მამულის წიგნები ეგვიპტეს, სადაც
„იმისი მიჯნები თითვეულად ფარჩევით სწერია“ და „სხვას მეტს მამულს
იმათ არას ვეცილებით და ახლა ისინი სულ ერთიან გვეცილებიან და
გვართმევენ“-ო. მაყაშვილები სამართალს ითხოვდნენ.

ერეკლე მეფე გაცნობია მაყაშვილთა არხას და მათ სამამულო
წიგნს. ერეკლემ უშიკაღასბაშ გა არ ს ე ვ ა ნ ს უბრძანა: თუ გიორგი-
წმინდელებს მაყაშვილების ამ წიგნის „გასამტყუნებელი წიგნი და მე-
ფეთაგან ბოძებული განაჩენი არა აქვს“, სადავო მამული მაყაშვილებს
უნდა დარჩეთ და გიორგიწმინდელების მიერ წაღებული ღალა მაყა-
შვილებს უნდა დაუბრუნოთ. თუ მაყაშვილების გასამტყუნებელ
წიგნი აღმოაჩნდებათ, ჩვენ მოგვიტანონ და განვსჯით⁴⁹.

1791 წლის 18 მარტს დაიწერა განჩინება მაყაშვილთა და გიორგი-
წმინდელთა „იორს გამოდმა“ მდებარე საცილობელ მამულზე — სახ-
ნავ მიწებზე.

მოდვეთა სამამულე საბუთები წაიკითხეს მეფე ერეკლემ და მსა-
ჯულებმა და, როგორც განჩინებაშია აღნიშნული, მკაცრად გამოიძიეს
(„ამათის სარჩელის სიმკაცრით გამოიძიებაში შევედით“-ო).

მაყაშვილებმა წარადგინეს თეიმურაზ II-ის განჩინება 1712 წლი-
სა, რომელშიც დავა მათ სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი.

გიორგიწმინდელებმა კი წარადგინეს გაცილებით ძველი — კახთა
მეფის ალექსანდრეს ბოძებული დავის განჩინების საბუთი XV—XVI
საუკუნისა და როსტომ მეფის 1656 წლის განჩინების დოკუმენტი, რაც
ჩვენ ზემოთ იანვიხილეთ, რომლებითაც იორთან მდებარე სათემო-
საერთო სახნავების საზღვარი გიორგიწმინდელებსა და თავად მაყაშვი-
ლის საბატონო სოფელ მარიამჯვარის გლეხებს შორის დასახელებუ-
ლია ყარაგაჯის პატარა ტყის ზოლი (ოლე).

⁴⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad, 686.

მეფე ერეკლემ და მსაჯულებმა რიგი არგუმენტებით სადავო სახნავი მიწები უფრო გიორგიწმინდელის სათემო სახნავებად სცნეს. სახელდობრ, მათი აზრით:

1). მეფე როსტომის განაჩენი აცხადებდა, რომ მეფე ალექსანდრედან მოკიდებული როსტომ მეფემდის, მიჯნად დებულ „ოლეს გარეთ ჩერქეზიანთ სამძღვრამდის გიორგიწმინდელთ ჰქონებიათ“.

2) გიორგიწმინდელი გლეხები მაყაშვილების საბატონო გლეხებთან — მარიამჯვარელებთან შედარებით რიცხობრივად ოთხ-ხუთჯერ მეტი იყო როგორც წინათ, ისე ამჟამადაც, და გონების განსჯით, თორმეტ კომლ გლეხს ორმოც და სამოც კომლ გლეხზე მეტი მამული არ ექნებოდათ.

3). მეფე ალექსანდრე მაყაშვილთა და გიორგიწმინდელთა სახნავი მიწების „მიჯნად ოლეს რომ სწერს“, მსაჯულთა აზრითა და განსჯით, სწორედ „ის ოლე“ „გაყოფს მარიამჯვარს და გიორგიწმინდელთ მიწის მდებარეობას“—ო.

რადგან სადავო სახნავი მიწები მაყაშვილებს ეჭირათ, სამართლიანი ფიცი მათ ერგებოდა. მაგრამ მეფე ერეკლემ და მსაჯულებმა გიორგიწმინდელთა ნაპოვნი საბუთები, განსაკუთრებით მეფე ალექსანდრეს განჩინების წიგნი, უტყუარად, ჭეშმარიტად, სცნეს და ამიტომ ფიცი გიორგიწმინდელებს დააკისრეს.

მამულის გამოფიცვის შედეგად, სადავო სახნავი მიწები „ოლეს გარეთ“ ჩერქეზიშვილების საზღვრამდე, გიორგიწმინდელებს მიეცემოდათ, მაგრამ თუ გიორგიწმინდელნი ვერ გამოიფიცავდნენ, — მაყაშვილებს დაარჩებოდათ, როგორც ამჟამად იყო.

განჩინებით ეშიკადასბაშ გარსევანს უნდა აღესრულებია ეს გადაწყვეტილება.

განჩინება ერეკლე მეფემ დაამტკიცა. აქვე განჩინებაში აღსანიშნავია მეფე ერეკლეს სიტყვები: „გიორგიწმინდელთ ფიცი აღარცკი ესაჭიროებოდათ, მაგრამ თითონ მოინდომეს ფიცი და ჩვენც ნება მივეცი“—ო⁵⁰. ე. ი. ისე აშკარა იყო გიორგიწმინდელთა სიმართლე, რომ ფიცი აღარც იყო საჭირო, სადავო სახნავი მიწები ისედაც უნდა მისცემოდათ.

როგორც ვხედავთ, სადავო ადგილ-მამული გიორგიწმინდელ გლეხთა კუთვნილებად ცნეს და არავითარი ეჭვი არაა, რომ ამ განჩინების

⁵⁰ ქსდ, V, 300.

შემდეგ გიორგიწმინდელებს დაუბრუნდა სადავო სახნავი მიწები, რომელნიც მათი სათემო-საერთო სახნავი მიწები იყო.

მარიამგვარის მებატონე მაყაშვილთა და გიორგიწმინდელ გლეხთა შორის სათემო სახნავ მიწებზე სამამულო დავის სამასწლოვანი ისტორია და შედეგი — ბრძოლა გლეხთა მიერ მათი სათემო მიწის, შენარჩუნება-დაბრუნებისათვის, ხოლო ფეოდალის მიერ მისი მითვისებისათვის, საბოლოოდ-კი სასოფლო თემის გამარჯვება ამ საქმეში, ცხადია, თავისთავად მნიშვნელოვანია. მაგრამ აქ ჩვენთვის არსებითია იგლეხთა სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობის დადგენა კახეთში XIII—XVIII საუკუნეებში, რასაც ზემოთ განხილული სამსაუკუნოვანი დავის ისტორიის საბუთები აშკარად მოწმობენ. დოკუმენტურად ირკვევა, რომ სოფელ გიორგიწმინდის გლეხებს ივრისპირა მიდამოებში საერთო სახნავი მიწები აქვთ XV—XVI საუკუნეებში, მეფე ალექსანდრეს დროს და მაშინაც ჰქონიათ მათ საადგილმამულო დავა თავად მაყაშვილებთან და, მათ საბატონო სოფელ მარიამგვართან. ეს ვითარება კი იმიტაც არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ მას ადრეულ ეპოქაში გადავყავართ, სახელდობრ, არავითარი ეჭვი არაა, რომ ასეთივე სათემო-საერთო მიწათმფლობელობა არსებობდა კახეთში XII—XIII საუკუნეებში და, კერძოდ, ერთიანობის ხანაშიც გიორგიწმინდელებს საერთო სახნავი მიწები ჰქონდათ, რადგან იქ, სადაც სათემო მიწათმფლობელობა არსებობდა, ყველგან ეს ფაქტი არაა უღია, ძველი დროიდან მომდინარე აგრარული ინსტიტუტია. უფრო მეტიც, ამ ფაქტიურ რეალობას ადრეფეოდალურ ხანაშიც გადავყავართ, როცა ქართული სამიწათმოქმედო ერთობა საერთო მიწათმფლობელობითა და სხვა დამახასიათებელი სერვიტუტებით, ანუ დაც კი იგი არსებობდა, გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე მომდევნო პერიოდებში.

ამასთან, გიორგიწმინდის სასოფლო ერთობის და მებატონე-ფეოდალის სამამულო დავის ისტორია იმის მაჩვენებელიცაა, რომ ქართული სამიწათმოქმედო ერთობების ბრძოლა მათი საადგილმამულო უფლებების დასაცავად, კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაც იყო ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოში.

დოკუმენტურად ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცნობა კახეთში სათემო მიწათმფლობელობისა დასტურდება აგრეთვე კახთა მეფის ლევანის (1520—1574 წწ.) დროს XVI საუკუნეში. დოკუმენტში, რომელიც მეფე არჩილ II-ს განუახლებია, ნათქვამია, რომ სოფ. შიბლ-

ან ის და ნ ა პ ი რ ა ს საზღვრები, — ჩვენი აზრით, აშკარაა, მათი სა-
დავო სათემო მიწები, — „ძველადგანვე ბატონის ლევანისა და აღმ-
სანდრესაგან გამიჯნულ არს“⁵¹.



* * *

ამავე ხანაში კახეთში საეკლესიო სოფლების მცხოვრებთ, ნ ი ნ ო -
წ მ ი ნ დ ე ლ ე ბ ს ა და თ ვ ა ლ ე ლ ე ბ ს, სათემო ს ა ხ ო ხ ბ ი ს ქ ა -
ლ ა ზ ე ცილობა ჰქონიათ და ამის გამო „მრავალი შუღლი და ყარყაში
ყოფილიყო“. ადგილ-მამულს (ჭალა) ნინოწმინდელები ეცილებოდნენ
თვალელებს.

1651 წელს როსტომ მეფის ბრძანებით ქრისტეფორე კათალიკოსმა
„ერთობილნი უფროსნი მცხეთის შვილნი“-ს თანდასწრებით ეს დაცა
გადაწყვიტა. ფიცი თვალელთ დაადეს; „დაიფიცეს ერთობილთ თვა-
ლელთა და ასრე გამოიფიცეს, რომე მკვიდრათ და შეუცილებლად
სვეტიცხოვლისა და თვალური იყოს“⁵².

კათალიკოსის განჩინებით, რისი მოწმებებიც იყვნენ როგორც მოხე-
ლეები, ისე „ერთობილნი მცხეთელნი“ და „ერთობილნი გარეველნი“,
სახოხბის ჭალა, რომელიც თვალელების სათემო-საერთო სახნავ-სათესს
მიწად სცნეს, მათვე მიეკუთვნა.

როგორც ცნობილია, სვეტიცხოვლის ანუ საკათალიკოსო სოფ-
ლები და მამულები კახეთში ბევრი იყო. ხშირად საეკლესიო სოფლე-
ბი ერთმანეთს ედავებოდნენ სათემო-საერთო მიწებზე. ამასთან, მათ
სათემო მიწებზე თვალი ეჭირათ კახ საერო ფეოდალებსაც.

აღნიშნული განჩინებების შემდეგ, კათალიკოსს მალე მოუხდა და-
ვა საერო ფეოდალებთან საეკლესიო გლეხთა სათემო მიწების გამო.

თავადებმა მამუჩი, გიორგი და გულბათ ჭავჭავაძეებმა წ ი ნ ა -
ს ა გ ა რ ე ჯ ო ე ლ ე ბ ს მ თ ა ზ ე და ბ ა რ ი ს სა ზ ღ ვ რ ე ბ ზ ე და-
უწყეს ცილობა, ხოლო თავადები ჯანდიერიშვილი და ვაჩნაძე სვეტი-
ცხოვლის სახასო სოფლებს, ვანთასა და ბუშატს, ეცილებოდნენ.

1654 წლის 2 იანვარს დაიწერა საეკლესიო სოფლების სათემო მამუ-
ლების გამოფიცულების წიგნი. მოიყვანეს თემის „მახსოვარნი კაცნი“. ფიცი დაედო თვით კათალიკოს ქრისტეფორეს, სრულ სამცხეთლო აზნ-

51 სცხია, ფ. 1451, დავთ. I, საბ. 298. საბუთები მცხეთის ეკლესიისა.
52 ქსძ, IV, 33.

ურშვილებსა და საგარეჯოს მოურავ გივი ჯანდიერიშვილს, უკანასაგარეჯოელთა ნაცვალს მანელაშვილს და წინასაგარეჯოელთ. მათ თან ახლდნენ ჯიმიტელნი და ახაშნელნი.

წინასაგარეჯოელთა სათემო მამულების გამოფიცულების სამართლის წიგნში კვითხულობთ: „მოვედით შაშიანთ თავსა მთავარანგელოზთან და დავიფიცეთ. მივედით მარმაროვანთა სამზღურამდინ და მივედით მ ო რ ა მ ნ ა ხ ი ს ც ი ხ ე ზ ე დ ა, დავიფიცეთ. თვითან მოდამნახის ციხე სამძღუარია.

და მივედით, წავდექით გრავასწყაროსთ სამზღურამდის და იქიო დევთანასახლურზედ და დევთ-ნასახლარიდამე ო მ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა ს ა კ ლ ა მ დ ი ნ, ეს სამძღურები გ ო მ თ-წყ ა ლ ზ ე დ მივიდა და სადაც გომთ-წყალი ჭ ე რ ი მ ი ს წ ყ ა ლ ს შეერთვის, იქამდისი მთა და ბოლო სრულ გამოგვიფიცავს“⁵³. მათ გამოიფიცეს აგრეთვე ვანთა და ბუშატი.

ამავე დროს კ ი ს ი ს ხ ე ვ ი ს მცხოვრებნი საეკლესიო სოფელ ხოდანის მცხოვრებთ მთის ნაწილს ეცილებოდნენ. კისისხეველნი გაამტყუნეს და სადავო ადვილ-მამული ხოდაშენს, დარჩა. ხოდაშნელთ დარჩა აგრეთვე გამოფიცვით „წინანდლის სამძღვრამდი ბოლო და სადგომის ალაგი და ბალთ-კარი“⁵⁴.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობა კახეთში XVII საუკუნეში დასტურდება აგრეთვე რიგი სხვა საბუთებითაც.

ერთი საბუთი არის შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ი ს მიერ დამტკიცებული განჩინება გ ო შ ფ ა რ ი ს ა და მისი გ ა ნ ა ყ ო ფ ი ს მამულის საქმეზე 1658—1675 წლებში.

საბუთით გოშფარ და მისი განაყოფი (ჩანს, თავადები) მიწებზედ დაობდნენ. „ერთს მიწას სამებელი ნასყიდობით ირჩოდა: მამაშენს მამის ჩემიათვის მიუყდიოა და მეორე მიწაზედ რომ ლაპარაკობდა, ეს მიწა ს ა გ ლ ე ხ ო ე ბ ი ი თ.

და ჩვენ, მ დ ი ვ ა ნ ბ ე ჭ მ ა ჯ ა მ ა ს ბ ი მ ასრე) გაუჩინეთ:

ს ა თ ე მ ო მ ი წ ე ბ ი შუა გაიყონ. და ნასყიდობით რომ მიწას სარჩლობდა, იმ მიწაზედ გ ო შ ფ ა რ თუ ვ ი მ რ ი ა შ ვ ი ლ ი ლ ა ზ ა რ ე შეაფიცოს, რომ მამას იმის არც მიეყიდოს და არც მოეცეს, სამებელი აღარას ემართლების.

53 ქსდ, IV, 38.

54 იქვე, 37, 38.

და თუ ვერ დაიფიცოს, დარჩეს მიწა სამებელსა და როსაბს. რიგად გარდაგვიწყვეტია“⁵⁵.

საბუთოში ნათქვამ „სათემო მიწებში“, ვფიქრობთ, სწორედ ამავე საბუთოში მოხსენიებული საგლეხოები — სათემო-საერთო მიწები იგულისხმება, რომელნიც, ისე როგორც ყმა გლეხთა ინდივიდუალურ მემკვიდრეობით მფლობელობაში არსებული მიწები (საკარმიდამო, ბაღვენახები) საერთოდ, იურიდიულად, მებატონე-ფეოდალთა მიწებად ითვლებოდა. მებატონეები იცაყოფის დროს, ცხადია, ყმა გლეხებთან ერთად იყოფდნენ გლეხთა საერთო-სათემო მიწებსაც.

ასევე, შესაძლებელია, საბუთოში მოცემულ „სათემო მიწებში“ და „საგლეხოებში“ შედიოდეს როგორც ყმა გლეხთა ინდივიდუალური, ისე სათემო-საერთო მიწებიც მთლიანად.

შაჰნავაზის მეფობის წლებს განეკუთვნება აგრეთვე ჩერქეზელთა და გარეჯელთა შორის სათემო მთაზე დავის საბუთი. ამ დავის შესახებ მეფე შაჰნავაზი (ვახტანგ V) წერს კათალიკოზს: „ჩერქეზელნი და გარეჯელნი მთასა ცილობენ და ამას წინათაც ჰქონიათ სარჩლობა და ასრე მოგვახსენა, რომე მცხეთოვანთ გაუფიცავსთ, და ამისი მახსოვარი კაცი ვუყვანდესთ, ისიც გვიბოძეთ და ძველი გუჯარიც, რომ ამათი საქმე გავარიგოთ“⁵⁶.

„ჩერქეზელნი“-ში აქ შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც მხოლოდ მებატონე ჩერქეზიშვილები, ისე მხოლოდ მათი ყმა გლეხები, ასევე, ორივენი ერთად, რომლებიც სათემო მთაზე ედავებოდნენ გარეჯელებს.

* * *

სათემო-საერთო მიწათმფლობელობის ნათელსაყოფად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVII ს-ის ბოლო, 1700 წლის საბუთი, რომელიც ეხება გარეკახეთის სოფლების — კაკაბეთის და შიბლიანის (ორივე დღ. საგარეჯოს რ-ში) დავის გადაწყვეტას სათემო-საერთო მიწებზე, მათ შორის სახნავ მიწებზე.

საბუთი, დედნის პირი, პირველად ცენტრარქივში აღმოაჩინა და დაბეჭდა ნ. ბერძენიშვილმა (დოკუმენტები საქართველოს სო-

55 ქსდ, IV, 72.

56 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad, საბუთი 102.

ციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I). შემდეგში იგი შემოვიდა
გამოსცა ი. დოლიძემ (ქართ. სამ. ძეგ., IV), რომელიც ნ. ბერძენიშვი-
ლის გამოცემის ანალოგიურია. აღნიშნული საბუთის დედანი მიკვლე-
ული ჯერჯერობით არაა.

ხელნაწერთა ინსტიტუტში, Ad და Qd ფონდებში ჩვენ აღმოვაჩინ-
ეთ აღნიშნული საბუთის დედნის ორი სხვა პირი: Ad — 574, Qd —
2137. აღმოჩნდა, რომ ცენტრარქივში დაცული დედნის პირის გადამ-
წერს XIX საუკუნეში ზოგიერთი შეცდომა-უზუსტობა დაუშვია, დე-
დნის ზოგიერთი ადგილი ან ვერ ამოუკითხავს სათანადოდ, ანდა ვერ
გაუგვია. ასე მაგალითად, ადგილ-მამულის საზღვრებთან დაკავშირებით
„თეფი“-ს (თეფა) მაგივრად გადამწერს დაუწერია „თუთა“ (თუთის ხე),
მაშინ როდესაც თეფი, თეფა, — ღორაკია ველზე, მიწის ყრილი, ბორ-
ცვი. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ პირებში კი გადამწერს დედ-
ნიდან სწორად გადაუწერია — „თეფი“. არის სხვა განსხვავებებიც.
Ad ფონდში დაცული საბუთის პირი, ქალაღის ჭვირნიშნის თანახმად,
გადაწერილია 1814 წელს, ხოლო Qd ფონდში დაცული საბუთის პი-
რი, ქალაღის ჭვირნიშნის თანახმად, 1859 წელს.

Qd ფონდში დაცულ საბუთზე (№ 2137) არის მინაწერები რიგი
თავადი მოხელეებისა, რომლებსაც საბუთის დედანი უნახავს და გა-
დაწერილ პირთან შეუდარებიათ (სულხან და იოანე ჩერქეზიშვილები,
დავით თუმანიშვილი და სხვ.). საბუთი უხეზავს სამოქალაქო სასამარ-
თლოში მოუტანიათ სოფ. კაკაბეთის მცხოვრებთ, რომლებსაც ჭიმითე-
ლები მთაზე ედავებოდნენ. საბუთი გადაუწერია დავით თუმანიშვილს.
გადაწერილ საბუთზე, მინაწერში, იგი წერს: „ამისი სწორე ასლი სა-
სამართლოში კაკაბელთაგან მოტანილი ვნახე და იქილამ თანასწორეთ,
უნაკულლოთ, გადმოვსწერე მე თავადმა დავით თუმანოვ“. ხოლო
იოანე ჩერქეზიშვილი წერს: „ამისი ასლი ვნახე და ესე ჭეშმარიტია,
იმისი პირია“. ასევე სხვა თავადები წერენ, რომ ამისი ასლი ვნახეთ
და პირი სწორიაო. როგორც ჩანს, ეს „ასლი“ (ძვ.) საბუთის „დედანი“
იყო, რადგან მისგან „პირი“ გადაუღიათ.

კითხვა ისმის: რატომ არის განსხვავება აღნიშნული საბუთის პი-
რებში. შეიძლება დავუშვათ, რომ ორი დედანი არსებობდა თავიდან-
ვე, დავის განჩინების დაწერისას, და ერთი მისცეს კაკაბელთ, ხოლო
მეორე შიბლიანელთ და ცოტა რამ განსხვავებანი იყო დედნებში. ჩვენ
ნი აზრით, ასევე დასაშვებია, რომ გადამწერებმა სხვადასხვაგვარად

ამოიკითხეს დედნის ზოგიერთი სიტყვა, ხოლო ზოგიერთი წინადადება, მათი აზრით, უფრო გასაგებად გამართეს.

ჩვენ ვსარგებლობთ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საბუთის პირებით, სახელდობრ, Ad ფონდში დაცული საბუთით (№ 574), ხოლო საბუთის სხვა პირებში არსებულ განსხვავებებს სქოლიოში ვუთითებთ.

კაკაბელთა და შიბლიანელთა სათემო მიწებზე დავის განჩინების საბუთი, როგორც აღინიშნა, უაღრესად მნიშვნელოვანია და მას მთლიანად მოვიტანთ:

„ესე წიგნი დავჰსდევით ჩუენ ამა ალავერდელმა ჩოლაყასშვილმა ნიკოლოს, ხიზიყის მოურავმა რევაზ, ყორჩიბაშმა ენდრონიკასშვილმა ზაალ, მოურავის შვილმა პაატამ, სალთხუციშვილმა ედიშერ.

ასე, რომ¹⁾ კაკაბელნი და შიბლიანელნი მიწა-წყალზედ შუღლობდენ. მივედით და ენისელთ მოურავი ნოდარ და ენისელთ მოურავის შვილი ზურაბ, ჯანდიერისშვილი გივი მოვიყვანეთ და ორნივე ვალაპარაკეთ. მთა და ბარი იღვეუსინჯეთ და ასრე გავუყავით და შევარიგეთ:

იორზედ სალთხუცის ობა²⁾ რომ არის ყოჯას პირდაპირ გზა რომ გამოვა, ის ჭალა შიბლიანელთა წიქვილოდ და ვანებეთ და წიქვილებს გარდა ჭალა სამჭმოთ კაკაბელთ და ვანებეთ. იმას ქვემოთ ზარგრის ობას პირდაპირ პატარა თეფი³⁾ არის, ერთი სამძღვარი ის არის, იმის ჰსწორად პირდაპირ დიდი გორა არის, იმაში ერთი პატარა თეფი არის, ერთი სამძღვარი იმის, იმის ჰსწორად სამზირლის წვერის ჰსწორად შავის ტყის მალაღლი წვერი რომ წარმოდგება⁴⁾, ერთი სამძღვარი ის არის; იმას იქით ტყე ჰსწორედ ჭამონ⁵⁾, საერთოდ იყოს.

ყანდაურიანი წყლითვე კაკაბელთ დარჩათ. თუ შიბლიანელთ ბოლოს საძოვარი ბალახი კაკაბელთ არ დაუშალონ, კაკაბელთ შიბლიანელთ წყალი არ დაუჭირონ.


1) რომე — Qd, 2137; ასევე: ნ. ბერძენიშვილის და ი. დოლიძის გამოცემა.

2) ელი — Qd, 2137.

3) თუთა — ნ. ბერძენიშვილის და ი. დოლიძის გამოცემებში.

4) წამოდგება — Qd, 2137.

5) ტყე ერთად ჭამონ — Qd, 2137.



თუ კარგად⁶⁾ მეზობლურად შერიგდნენ ერთმანეთში და თესვა არ დაუშალონ. და თუ ვერ შერიგდნენ ლურად⁷ და თავ-თავისი სამძლურარი როგორც ამ წიგნში ჰსწერია, იმგვარად თავისას⁸⁾ ველი მოჰკიდონ.

იმ წვერს იქით ერთად ჭამონ.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგან ბარამისშვილი ეპიფანე⁹⁾, ალავერდლის მეღვინეთხუცესი სულხან, კაკაბეთის მოურავი ბაინდურასშვილი ბეჟან, ბეჟანისშვილი კაკაბეთს შერმაზან, ნაცვალაოთარი, შიბლიანელი ქემხის შვილი თამაზა, კიდევ ალაკანის¹⁰⁾ ქემხა ჭიკაძე ქრისტესია, შიბლიანში კიდევ ქემხა მგელიტა და იქვე ღვთისია¹¹⁾, კიდევ ალაკანს¹²⁾ ჟანგირა და ეშმაკურა¹³⁾

და მე მოურავს სალთხუცესს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა გიორგობისთვის ნახევარს¹⁴⁾, ქქს ტჰჰ.

ალავერდელი ნიკოლოზს⁵⁷⁾.

საბუთის პირზე ოთხი ბეჭდის ადგილია.

წინასწარ აღვნიშნავთ, რომ მოტანილი საბუთი აშკარად და ფართოდ მოწმობს გლეხთა სათემო-საერთო მიწათმფლობელობას კახეთში, არა მარტო ტყეებზე და სათიბ-საძოვრებზე, არამედ სახნავ მიწებზედაც. თანაც საბუთით აშკარად ჩანს გლეხთა კომლეებზე ფაუბროვნებელი ანუ დაუნაწილებელი საერთო სახნავები.

როგორც ცნობილია, კახეთში სახნავ-სათესი მიწები გადაჭიმული იყო მდინარეების ივრისა და ალაზნის მიდამოებში მთელ სიგრძეზე.

6) კარგვარად — Qd, 2137; ასევე: ნ. ბერძენიშვილის და ი. დოლიძის გამოცემები.

7) „და თუ ვერ შერიგდნენ და ერთმანეთის თავი არ ინდომონ“ — Qd, 2137.

8) „თავ-თავის მიწაწყალს“ — Qd, 2137.

9) ბერი ეპიფანე — Qd, 2137 ასევე: ნ. ბერძენიშვილის და ი. დოლიძის გამოცემები.

10) ალაკას — ნ. ბერძენიშვილის და ი. დოლიძის გამოცემები.

11) „შიბლიანელში ქემხა მჭედელი გელიტა მღვთისია“ — Qd, 2137.

12) ალაკას — Qd, 2137; ასევე: ნ. ბერძენიშვილის და ი. დოლიძის გამოცემები

13) „ალაკას კიდევ ხატიაშვილი ჟანგირა და ეშმაკურა“ — Qd, 2137.

14) „დაიწერა გიორგობისთვის ნახევარს გასულს“ — Qd, 2137; ასევე: ნ. ბერძენიშვილის და ი. დოლიძის გამოცემები.

57) ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 574.

საბუთით გარეკანეთის სოფლების კაკაბეთისა და შიბლიანის ცილობელი ადგილ-მამული. „მთა და ზარი“ — ტყე, საძოვარი, ნავი მიწები, — სათემო-საერთო იყო. მთელი ეს ადგილ-მამული ივრის მიდამოებში იყო.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სოფლებს აქ ადგილ-მამული — სახნავი მიწები, საძოვარი და ტყე — საერთო ჰქონიათ, გაუყოფლად. საერთო ადგილ-მამულის სარგებლობისას, ჩანს, მათ უთანხმოება მოსვლიათ და, როგორც საბუთშია აღნიშნული, „მიწაწყალზედ შუღლობდნენ“. ამიტომ ალავერდელ-ეპისკოპოსს და სხვა მოხელეებსა და თავკაცებს კაკაბეთსა და შიბლიანის საერთო-სათემო მიწა-წყალი გაუყვიათ და საზღვრები დაუდიათ. გაუყვიათ სახნავი მიწები და საძოვარი. რაც შეეხება სათემო ტყეს, იგი არ გაუყვიათ და ორივე სოფელსათემო ტყით თანასწორად უნდა ესარგებლათ: „ტყე ჰსწორედ ჰამონ, საერთოდ იყოს“-ო.

განჩინებით „ყანდაურაიანი (ყანდაურა სოფელია კაკაბეთთან ახლო, აქ მიწები იგულისხმება — დ. გ.) წყლითვე კაკაბელებს დარჩა“. შიბლიანელებს კი საძოვარი მთლიანად, ან მისი ნაწილი რგებიათ, რომლის შესახებ აღნიშნულია, რომ თუ შიბლიანელები კაკაბელებს არ დაუშლიან საძოვარი ბალახით ისარგებლონ, მაშინ კაკაბელებმა შიბლიანელებს „წყალი არ დაუჭირონ“-ო.

ცალკე და განსაკუთრებით უნდა შევიჩრდეთ საერთო-სათემო სახნავ მიწებზე.

საბუთით, სახნავ-სათესი მიწები ივრისპირა მიდამოებში კაკაბეთისა და შიბლიანის გლეხებს საერთო ჰქონიათ, რაც განჩინებით ახლა გაუყვეს. მაგრამ უაღრესად დამახასიათებელია განჩინების ის ადგილი, რომელიც სათემო-საერთო სახნავ მიწებს ეხება. საბუთში ამის შესახებ აღნიშნულია, რომ კაკაბელნი და შიბლიანელნი „თუ კარგად მეზობლურად შერიცხდნენ, ერთმანეთში ხვანადათესვა არ დაუშალონ, და თუ ვერ შერიცხდნენ მეზობლურად და, თავ-თავისი სამძღუარი როგორც ამ წიგნში ჰსწერია იმ გვარად თავისას ველი მოჰკიდონ“.

საბუთში ნათქვამი — „ერთმანეთში ხვანადათესვა არ დაუშალონ“ — ნიშნავს ორივე სოფლის გლეხთა მიერ მათი სათემო-საერთო სახნავი მიწების ნებისმიერი ნაკვეთის მოხვნას ვინც სად დაასწრებდა, ნიშნავს თავისუფალ ანუ ე. წ. „დატაცებით“ მიწათმფლობელობას, რაც თავის მხრივ, სახნავი მიწების დიდ რაოდენობაზე, დიდ ფართობზე მი-



უთითებს, რომელიც ორივე სოფელს საერთო მფლობელობაში აქვთ. და ჩანს, სათემო-საერთო სახნავი მიწები გლეხთა ცალკეულ კომლებზე არ ყოფილა გაყოფილ-გაპიროვნებული, რადგან სახნავი ფართობის დიდი მასივები ამას არ საჭიროებდა და ვისაც სად უნდოდა და რამდენის დათვისვის შეძლება ან სურვილი ჰქონდა, იმდენს მოხნავდა. აშკარაა, ასე ყოფილა გაყოფამდე.

მაშასადამე, განჩინების საბუთით, აშკარაა, ორ სოფელს შორის საერთო სახნავი მიწების გაყოფამდე, მათში თავისუფალი, „დატაცებითი“ სათემო მიწათმფლობელობა (მიწათსარგებლობა) არსებულა.

საერთო სახნავი მიწების ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ კი განჩინებით ასე დადგინდა: თუ კაკაბელები და შიბლიანელები კარგ მეზობლურ დამოკიდებულებაში იქნებიან ერთმანეთთან, მაშინ, როგორც აქამდე იყო, საერთო-სათემო სახნავი მიწებით ძველებური წესით ისარგებლონ — „ერთმანერთში ხვნა და თესვა არ დაუშალონ“, ე. ი. სადაც უნდათ იმ სახნავ ნაკვეთზე გაიტანონ გუთნები და რამდენიც უნდათ ან რამდენიც შეუძლიათ იმდენი მოხნან; მაგრამ „თუ ვერ შერიგდნენ მეზობლურად“, მაშინ თავ-თავისი საზღვრები იცან, როგორც ამ განჩინების წიგნში სწერია, და „იმ გვარად“ თავის სახნავ მიწებს „ველი მოჰკიდონ“ და ისე დაამუშაონ.

ცხადია, კაკაბეთსა და შიბლიანს შორის საერთო სახნავი მიწების გაყოფის შემდეგაც, ამ სოფლებს შიგნით ზემოთ აღნიშნული თავისუფალი ანუ ე. წ. „დატაცებითი“ სათემო მიწათმფლობელობა (მიწათსარგებლობა) შესაძლოა არ მოშლილიყო და გლეხებს ამ მხრავ ძველი წესით ისარგებლათ, ანდა, შესაძლოა, იგი უკუეგდოთ და სათემო სახნავი მიწების პერიოდულ დანაწილებაზე გადასულიყვნენ.

ისე როგორც რიგი სხვა საბუთები, ზემოთ გარჩეული საბუთი — კაკაბელთა და შიბლიანელთა შორის სათემო მიწა-წყალზე დავის განჩინების წიგნი 1700 წლისა, ნათლად, ჩვენ ვიტყვით, ბრწყინვალეი მოწმობს სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობას კახეთში XVI—XVIII საუკუნეებში, კლასიკურ ქართულ სამიწათმოქმედო ერთობას თავისი დემოკრატიული ტრადიციებით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სათემო-საერთო მფლობელობა სახნავ მიწებზე XVI—XVIII საუკუნეებში, ამ პერიოდის საბუთებით, ერთნაირი ზომით დასტურდება კახეთში სამეფო-სახაზინო, საეკლესიო და საბატონო გლეხობაში. ამ შემთხვევაში კაკაბეთი საეკლესიო სოფელი იყო, ხოლო შიბლიანი — საბატონო სოფელი.

როგორც აღინიშნა, ხშირი იყო კერძო მებატონე-ფეოდალთა და საეკლესიო ან სამეფო სოფლებს შორის დავა სათემო-საერთო მიწებზე — ტყეზე სათიბ-საძოვარზე და სახნავ მიწებზე.

ერთი საბუთით, რომელიც XVII—XVIII საუკუნეებით თარიღდება, კახეთის მებატონეებს ჯანდიერი შვილებს, ვაჩნაძეებს და საეკლესიო სოფელ აკურის მცხოვრებ გლეხებს — აკურელებს, სხვა ადგილ-მამულთან ერთად დავა მოსვლიათ მთაზე. „შემოდგომამაზედ მდივანი გორჯასპი... ბოქოულთუხუცესი უნდა მივიდენ და სამართლიანის საქმით მთაც უნდა გე(ა)რ(ი)-გონ და შეარიგონ“-ო, ნათქვამია საბუთში⁵⁸.

1711 წელს კი იგივე „ჯანდიერი შვილები, ვაჩნაძენი და ახურელნი“ საჯნავს მიწებზე შეცილდნენ“. სახნავი მიწები მათ ჰქონიათ აკურის ხევიდან მღ. ალაზნამდე.

მეფის (ალბათ დავით იმამყულიხანის — დ. გ.) ბრძანებით დავის გასარიგებლად საცილობელ მიწა-წყალზე მოვიდნენ ალავერდელი ეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი და სხვა საერო და საეკლესიო მოხელეები. ნახეს ადგილ-მამული და ძველი გუჯარი გასინჯეს, მათი დავა სათემო სახნავ მიწებზე ასე გადაწყვიტეს: „აკურის ჯევი რომ შდვრივეს ჯევის შეეყრების, ჩავლით ალაზნამდის, აკურელთ დარჩა.

ზემთ აკურას ჯევის გაღმა სოფლის პირდაპირ ორი ახო გაეტეხათ ახურელთ: ზემო — უზუნაური და ქვემო — ნარბილი. ამაზედ შეცილდენ.

და ბატონის (მეფის — დ. გ.) ბრძანებაც ასე იქცონდა, ფიცარიც ერთისა მომჯდარიყო.

უზუნაური ახო ახურელთ დავანებეთ და დარჩა; და ნარბილას ახო ჯანდიერიანთ და ვაჩნაძეთ დარჩა.

ამ ორს ახოს საჯუნდრის ღელე გაყოფს. ამ ღელეს ზემთ ჯანდიერიანთ და ვაჩნაძეთ ჯელი არა აქვსთ. და ღელეს ქვემოთ ახურელი არა აქვსთ ჯელი“⁵⁹.

⁵⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 473.

* „ახურელი“ — იგივე აკურელებია (აკურას მცხოვრებნი).

⁵⁹ ქსდ, IV, 161; სცსია, ფ. 1449, საბ. 2478.



მიუხედავად აღნიშნული განჩინებისა, დავა მათ შორის, ჩანს, რომელი საუკუნე გრძელდებოდა. 1786 წელს ჩვენ ვხედავთ, რომ ახურელები (აკურელები) და ჯანდიერიან-ვაჩანძიანნი კვლავ დავობენ ადგილ-მამულზე. ახურელებს ძველი კახ ეპისკოპოს-დარბაისელთ გუჯარ-განაჩენები ჰქონდათ, შესაძლოა, 1711 წლისა (რომელიც ზემოთ აღინიშნა), ასევე, სავარაუდოა, უფრო ადრეული ხანისაც — „ახურის ბოლო“ ადგილ-მამულზე, „უზუნაურის ახოზე“ და „ნარბილზე“. 1786 წელს ჯერ მათ საქმეზე განაჩენი გამოიტანეს კახეთის მოსამართლეებმა⁶⁰, შემდეგ კი ერეკლე II-მ.

ერეკლე II-ის 1786 წ. 24 აგვისტოს ბრძანებით ფიცი ახურელებისთვის უნდა დაედოთ, მათ სადავო ადგილ-მამული უნდა დაეცლოთ, გამოეფიცათ და ასეთ შემთხვევაში სათემო მიწები მათ დარჩებოდათ⁶¹.

როგორ წარიმართა შემდგომში საქმე, გამოიფიცეს თუ არა სათემო მიწები ახურელებმა, საამისო საბუთი არ გვაქვს. მაგრამ მომდევნო 1787 წლის საბუთით ვხედავთ, რომ საადგილმამულო საქმე ძალიან გამწვავებულა. ჯანდიერიშვილები ახურელებს მამულში მიხდომიან და მათ შორის ჩხუბი და ხმლით შეტაკება მომხდარა.

ახურელებმა ერეკლესთან იჩივლეს, ჯანდიერიშვილებმა გაგვლახეს, ხმლით დაგვერიენ, ამასთან მღვდელი დაგვიჭირეს და გაგვილახესო.

ჯანდიერიშვილებს უჩიოდა აგრეთვე დავით-ვარეჯის წინამძღვარი თომა — „უპატიოდ ლანძღვასა“, ასევე, უჩიოდა აკურის ქვეხა: „ბატონს წინ ზა(ა)ლმან მუსტი შემომკრაო პირშიაო და სისხლით პირი ავესო“.

მეფე ერეკლემ 1787 წ. 12 მარტს უბრძანა „საქართველოსა და კახეთის მსაჯულთშეკრებულებას“ ახურელთა სადავო საქმეზე სამართალი გაეჩინათ და თავად ჯანდიერიშვილებისათვის მკაცრად მოეკითხათ, მათ პასუხი ეგოთ სამართლის წინაშე⁶².

⁶⁰ სცხია, ფ. 1451, დავთ, I, საბ. 163, საბუთები დავით ვარეჯის მონასტრისა.

⁶¹ ქსდ, V, 203.

⁶² იქვე, 217.

მეფე იმამყულიხანის დროს (1703—1722 წწ) სათემო-საერთო სახ-
ხავებზე დავა ჰქონიათ ვარეჯელთ და სართიჭალელებს.
იმამყულიხანის ძმას ბატონიშვილ თეიმურაზს, კახთ ეპისკოპოსებს
და დარბაისლებს ადრევე გაუმიჯნავთ მათი სათემო სახნავეები და
სამნებცი ჩაუსხამთ. მეფესაც მიუცია მათთვის სათანადო სიგელი, მაგ-
რამ შემდგომ მიჯნების დარღვევით „კ(ვალა)დცა დაუნხავთ მიწები ვა-
რეჯელთ და სართიჭალელთ“, რის გამო მეფემ საყვედურით ბრძანა
სიგელში აღნიშნული მიჯნები დაეცვათ⁶³.

ამავე მეფის დროს მებატონე რუსიშვილებს — მდივანბეგ დიმიტ-
რის და მის სახლიკაცებს, ასევე ჩანს, მათ გლეხებს, „თელაველებს“,
სოფ. გულგულას საეკლესიო გლეხთა სათემო სახნავი მიწები „ს-
ლათ და უპატრონობით მიუტაცნიათ“. მეფემ სამართლისთვის სამებე-
ლი ნიკოლოზი გაგზავნა. მან გულგულელთა სათემო მიწების ნაწილ-
თელაველებს მისცა, მაგრამ ამან უკმაყოფილება გამოიწვია და გულ-
გულელებმა მათი სათემო მიწები გამოიფიცეს და ძველი გუჯრის მი-
ჯნების მიხედვით მათ დარჩნა⁶⁴.

საბუთიდან აქ ერთი რამ აშკარაა და მანიშნებელი: გულგულას სა-
თემო საერთო მიწა „უპატრონოდ“ ყოფილა, ე. ი. გულგულელები მას
წლების მანძილზე არ ამუშავებენ, რუსიშვილ-თელაველებს ამით უსარ-
გებლიათ და მოსახნავად დაუჭერიათ.

ამავე პერიოდში, 1710 წელს; გაღმა მხარში სოფ. კახისუბნის
გლეხები უჩივიან ენისელთ მოურავსა და ნოდარ სახლთუხუცესს, —
მათ სოფლის „საწნავი მიწები წაგვართვესო“. დავა დემეტრე ყორჩი-
ბაშიშვილს და რამაზ სუფრაჯს გაურიგებია. შემდეგ კათალიკოსმა თა-
ვისი მოსამართლენიც გააგზავნა. მეფემ ბრძანა, „თუ ეს მამულის
მცილე საპატიო კაცები“ გარიგებულს არ დასჯერდებიან, მაშინ „მათი
ყმანი მახსოვარნი და გარემემო მცოდნე მეზობლები“ მოიყვანონ და
„მართებული სამართლით“ გადაწყვიტონ სამამულო დავა⁶⁵.

სათემო მიწათმფლობელობა კახეთში ჩანს ამ ხანის ადგილ-მამუ-
ლის წყალობის დოკუმენტებშიც. ასე მაგალითად, 1712 წელს კახეთის
გამგებელმა თეიმურაზ ბატონიშვილმა ენისლის ნაცვალსა და ერთ-
ბილთ ენისელთ წყალობის წიგნი უბოძა, სადაც ნათქვამია: „ერ-

63 სცსია, ფ. 1451, დავთ. I, საბუთები ნათლისმცემლის მონასტრისა, საბ. 116.

64 სცსია, ფ. 1451, დავთ. I, საბუთები შუამთის მონასტრისა, საბ. 97.

65 სცსია, ფ. 1449, საბ. 2339.

თობილთ ჩვენ სახასო ენისლელთ... გვიბოძებია თქვენთვის
გალმა ვრემს ჩვენი სახასო ალაგები, სათიბი, აღდგომა და გრე-
ბისბოლო და რაც ნაოხარი ჩვენი სახასო ალაგები არის ამისის გა-
სადევრით, წყლითა, წისქვილითა, შესავლითა, გასავლითა, ტყითა, მი-
ნდვრითა, და სახნავი სათიბითა“⁶⁶.

ცხადია, ნაწყალობევი ადგილ-მამული სოფ. ენისლის მცხოვრებ
გლეხთა სათემო-საერთო მფლობელობა-სარგებლობაში გადადიოდა.

1742 წელს შიგნით კახეთში, სოფ. ხოდაშენისა და სოფ. წა-
ნანდლის გლეხებს დიდი დავა ჰქონდათ საერთო-სათემო სახნა-
ვებზე. ამ დავის ამბავი ერეკლე ბატონიშვილამდე მივიდა. ხოდაშენ-
ლები, ჩანს, აპირებდნენ სადავო საერთო მიწების მოხვნას, რაც ერე-
კლე თეიმურაზისძემ მათ ბრძანებით აუკრძალა, ვიღრე დავა არ გადა-
წყდებოდა. ერეკლე ბრძანებაში წერს: „ქ. ბატონიშვილი ერეკლე გიბ-
ძანებთ ხოდაშენელნი. მერმე თქვენ და წინანდალელთ რომ მამულებზე
სცილობთ და განაჩენებში თქვენ ფიცი გაძეთ და საწამდი დაიფიცე-
დეთ და სამართალი იქნებოდეს, ვერც წინანდელთ მოხნან
და ვერც თქვენ იცოდეთ. რომ ფიცამდი და სამართლამდი
თუ ვინმე მოჯნა, ათს თუმანს ჯარიმას წავართმევთ და ავადაც მოვეპ-
ყრობით. ქკს ულ“⁶⁷.

ერეკლეს ბრძანების ამ საბუთშიც ნათლად ჩანს ხოდაშენელ და
წინანდელ გლეხთა სათემო საერთო მფლობელობა სახნავ მიწებზე
— ადგილ-მამულის ამ მთავარ საცხოვრებელ სავარგულებზე.

სათემო მიწათმფლობელობა კახეთში, გარდა უკვე მოტანილ
მრავალი საბუთისა, კარგად ჩანს აგრეთვე გალმა მხრის სოფ. ოთხ-
თვალის აზნაურების პეტრიაშვილების მამულების 1756 წ. 19 იან-
ვრის გამიჯვნის წიგნში, სადაც მთელი რიგი სოფლების საერთო-სათემო
მიწებზე, მათ სოზღვრებზე და გამიჯვნაზეა ლაპარაკი. ასეთებია: „სა-
ფიხხოვანი“ (ფიხხოანის), „საარგოხო“ (არგოხის) და „სამალრანო“
(მალრანის) სათემო-საერთო მიწები. აზნაურ პეტრიაშვილების ადგილ-
მამულის გამიჯვნის ამ საკმაოდ გრძელი განჩინების ერთ ადგილას ვკი-
თხულობთ: „ნათლისმცემელს უკან რომ ყელი გადავა, ცოტა ზევით
მთისაკენ მიწევით, რომელზედაც ჩვენ ჩავვიმიჯნავს, ალავერდლის მი-“

66 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd — 570.

67 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 260.

ჯანმდინ საფიჩხოვრო, საარგოხოთ და სამალრანოდ
დარჩემაიმსოფლებისაკენ“.

განჩინების წიგნში ასევე ლაბარაკია რიგი სოფლების: იულთას,
ართანის, ნაფარეულის, გრემის, ბახტრიონის, ში-
ლდის და საბუეს სათემო ადგილმამულებზე, მათ საზღვრებზე
და გამიჯვნის საქმეზე⁶⁸.

1758 წელს ერეკლე მეფის მიერ დაიწერა განჩინება თავად გუ-
რამიშვილებსა და სამსოფელს შორის საცილობელ მამულზე.

საბუეს, ალმატის და გრემის მცხოვრებ გლეხებს და-
ვაჰქონდათ თავად გურამიშვილებთან, რომლებსაც ეჭირათ საბუეს ბო-
ლოს მდებარე მამული დედაჯანანი. ერეკლე მეფემ ასე გადაწყვი-
ტა: „გურამიშვილებმა უნდა გარს შემოუარონ და შემოფარგლონ და
ფეხი დაადგან, აქამდის ჩვენი მამული არისო. თუ რომე საბუელნი,
ალმატელნი და გრემელნი რაზი შეიქნან და დაანებონ გურამიშვი-
ლებს, ის იქნება.

და თუ რომე არ დაანებონ და საბუელთა, გრემელთა და ალმატე-
ლთ თავთავის მხარეთს უნდა შეჰფიცონ და მიჯნა უჩვენონ: აქამდის
თქვენი ყოფილა და აქამდის თქვენი არა ყოფილაო“.

თუ ასე შეჰფიცავდნენ, განჩინებით სადავო მიწები მიეცემოდა
აღნიშნულ სოფლებს, თუ არა — გურამიშვილებს⁶⁹.

მოტანილი საბუთიც აშკარად მიუთითებს საერთო მიწათმფლო-
ბელობაზე, თანაც საბატონო გლეხებში, რადგან გრემი, საბუე და
ალმატი საბატონო სოფლები იყო.

გლეხთა სათემო მიწათმფლობელობას კახეთში აშკარად და ნათ-
ლად მოწმობს აგრეთვე ერეკლე მეფის 1762 წლის 12 სექტემბრის
განჩინება საეკლესიო სოფელ ჯიმითისა და თავად ანდრონიკაშვი-
ლების საბატონო სოფელ ზიარის დავისა საერთო სახნავ მიწებზე.

სადავო სახნავი მიწები ეჭირათ ზიარელ გლეხებს, მათ ჯიმითელ
გლეხები ეცილებოდნენ. ეს დავა ჯერ კიდევ მეფე დავით იმამყული-
ხანს გაურჩეგბია XVIII ს-ის I მეოთხედში. ზიარელი გლეხების სა-
მამულო უფლებების დამცველ-მოსარჩლეებად სათემო სახნავებზე
განოდიოდნენ მათი მებატონეები, ანდრონიკაშვილები. განჩინებაში
ვკითხულობთ: „ქ. ჯიმითელნი და ანდრონიკაშვილები ერთმანეთს

68 ქსდ, IV, 355.
69 ქსდ, IV, 371.

ედევებოდნენ ზიარელთ სახნავს მიწებზედ. ვერას მისე-
ზით ისე უფიცრათ ვერ გაშველდენ. მუდამ დღეთ სულ დაკა და ჩუ-
ბი ქონდათ.

ჩვენ, მეფემ ირაკლიმ, დარბაისელთ კითხვით მდივანბე-
გების და ჩვენის სამართლით, ენდრონიკაშვილებს ფიცი დავადევით:
ზა(ა)ლს, ოტიას, დავითს; დავასილს. ჯანდიარის შ-
ვილი ჯანდიარ მოასილათ ივატანეთ. ჯიმითიც შე(ე)ყარა,
ზიარიც მისულიყვნენ. (ა)ელოთ წმინდის გიორგის ხატი პატროსა-
ნი ამ ენდრონიკაშვილებს და თავიანთ ყმა ზიარელნიც უკან
დ(ა)ედევნებინათ“.

ზიარელმა ყმა გლეხებმა და მათმა მებატონე ანდრონიკაშვილებმა
დაიარეს სადავო სათემო სახნავი მიწების მიჯნები: „ერასტიშვილის.
გადრეკილის ხოდაბუნის თავი“, „ხევის პირი“, „ჭილას გუბე“, „ღრ-
ნტის თავი“, „სათრეველა“ და ასე შეფიცეს: „თქვენ ჯიმითელნი! ეს
სახნავი მამულე ბიო ჩვენ დაგვრჩაო, რომ მეფემ იმამ-
ყულიხან ივეისამართლაო და ვდაობდით მაშინცაო და ახლაც ჩვე-
ნი არისო, თქვენ ხელი არა გაქვსო“.

იანჩინებით სადავო სათემო სახნავი მიწები სოფ. ზიარის ყმა-
გლეხებს მიეცა⁷⁰.

დავა სათემო მიწებზე, ჩანს, გაგრძელებულა შემდეგშიც. ორი
წლის შემდეგ, 1764 წელს, საკათალიკოსო გლეხებმა ჯიმითელებსა
არზა მიაართვეს თავის სიუზერენ-ფეოდალს ქართლ-კახეთის კათალი-
კოსს.

არზაში ჯიმითელი გლეხები უჩივიან ზაალს (ამკარაა, ზემოთ
1762 წლის განჩინებაში ხსენებულ ზიარის მებატონე ზაალ ანდრონიკა-
შვილი — დ. გ.), რომელსაც, მათი განცხადებით, იოსებ კათალიკო-
სის დროს ჯიმითელებისათვის სათემო მამული წაურთმევია. ამას არ
დაჯერდა და ახლა ჩვენი მთაც სურს მიიტაცოსო. ჯიმითელები არზაში
წერენ: „იოსებ კათალიკოზის დროსა.. ზაალ მოვიდა, მოასილები
მოიყვანა, ჩვენ არაფრისთანა არა გვეკითხარა. ცხენით მოირბინა, დაი-
ფიცა და ჩვენი მამული ჯელსთ უჭირავსთ და ჩვენ ამდენი სული გულ-
ჯელდაკრეფილი გახლავართ. ამასაც არ დაგვაჯერა და ახლა მთასაც
გვეცილება და გვართომს“. თქვენის „ძმისთვის“ (მეფე ერეკლესთვის—

⁷⁰ ქსძ, IV, 388.

დ. გ.) მოუხსენებიათ, თითქოს ჩვენ მთის მიჯნები ამოვყარეთო. ეს მართალი არაა, ჯიმითელებს მიჯნებისთვის ხელი არ გვიხლია⁷¹.

ჯიმითელების არზას კათალიკოსისადმი მეფე ერეკლეც გაეცნა და მან ასეთი ოქმი (ბრძანება, განკარგულება) დაადო: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ჯიმითელნო! ჩვენის ძმის კ(ათალიკო)ზ პატრიარქისათვის რომ არზა მიგიციათ, ამის პასუხი ეს არის. რომელიც მიწები მაშინ გაუფიცავსთ და სამნები და მიჯნები ჩავისხამსთ, იმ მიჯნების მოშლა არ იქნება. იმათი იმათ დარჩება და თქვენი თქვენ. და თუ მართლა სამძვრები შეგიცვლიათ, ეს დიდად მოგეკითხებათ.

მთისა ასე იქმნას: სანამდის ჩვენ კახეთს არ გამოვალთ, მანამდის არ გარიდება. მაშინ სამართალი მოგეცემათ იმისიცა. შობის კვ, ქკს უნბ. ერეკლე⁷².

1762 და 1764 წლების მოტანილი საბუთები ჯიმითისა და ზიარის სადავო მიწებზე, ასევე, ნათლად მოწმობენ სათემო მიწათმფლობელობას კახეთში და, ვფიქრობთ, დაწვრილებით კომენტარებს არ საჭიროებენ.

1770 წელს სავანაძოს თავადებმა და მათმა ყმა გლეხებმა არზა მიართვეს ერეკლე II-ს. უჩიოდნენ მათი ადგილ-მამულის მესაზღვრე სამეფო სოფლების ნუკრიანისა და ჭოტორის გლეხებს: „მთა აღარ შეგვრჩა და ბარი წაურთმეველი ჩვენის მემიჯნეებისაგან. თქვენდ სადღეგრძელოთ ამის სამართალს ველით, რომ სამართალში ერთხელ გადაგვიწყვიტოთ“.

ერეკლე მეფემ სავანაძოს გლეხთა და თავადთა არზის პასუხად ამ წლის 15 იანვარს ქიზიყის მოურავს პაპუას უბრძანა: „ეს სავანაძო ამ არზით ჩივიან ასე. ესენიც შენი სასარდლონი არიან. თუ შენ უზამ მად ამათ სამართალს ხომ კარგია და გაარიგებ. თუ არა და ორნივე კარზე ჩვენს სამართალში გამოგზავნე“⁷³.

* * *

ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა გარეკახეთის ცნობილი სოფლების: საბატონო ჩალაუბნისა და სამეფო მაღაროს დავასა და შეხლა-შემოხლას სათემო-საერთო სახნავი მიწების გამო XVIII საუ-

71 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 1714. კათალიკოსი ანტონ I ერეკლე II-ის მამიდაშვილი იყო.

72 იქვე.

73 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, II, № 112.

კუნეში. არზებსა და დავის ფანჩინების წიგნებში ნათლად ჩანს მიწათმფლობელობა, საერთო-სასოფლო სახნავი მიწები დიდ ტაბით.

როგორც საბუთებიდან აშკარად ჩანს, მალაროელები ებიჯური ძალით ჩაგრაგდნენ ჩალაუბნელებს. ჩალაუბნელებმა არაერთგზის მამართეს მეფე ერეკლეს და მფარველობას და სამართალს ითხოვდნენ.

სათემო-საერთო სახნავებზე დავა მათ შორის დაწყებულა 1767 წელს. მეფე ერეკლე ბრძანებულა მათთან და, ჩანს, მაშინ მოდავენი გაურიგებია. 1768 წელს ჩალაუბნელი გლეხები სათემო-საერთო სახნავ მიწებზე გასულან დასამუშავებლად, მაგრამ მალაროელებს არ დაუნებებიათ მიწების მოხვნა.

ჩალაუბნელებმა მაშინვე არზით მიმართეს ერეკლე მეფეს: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ველმწიფის ჭირი მოსცეს სულერთობ ჩალაუბნელთ. მეგრე შარშან თვით თქვენ ბრძანდებოდით და ნახეთ, რომ ჩვენ და მალაროელნი მამულზედ ვლაპარაკობდით. ახლაც გავიტანეთ გუთნები ჩვენს მამულში. მალაროელთ არ გავგოშვეს მოსახნავად. გუთნები იქ გაუშვით და თქვენს სამართალს მოვმართეთ. ჩვენი მემიჯნეთავს ანაგა არის, ბოლოს -- ნუკრიანი.“

ესეც კარგად მოგეხსენებათ თუ მამული ჩვენი არ იყოს. მალაროელთან ჩვენ დაობა არ შეგვიძლია. შარშან ცემით დაგვხოცეა. ღმერთი გავიმარჯვებს, ამისი სამართალი გვადირსეთ. აპრილის კვს, ქკს უნე“.

ერეკლემ ჩალაუბნელთა არზას ასეთი ოქმი დაადო: „ქ. ჩვენ ბრძანება არის: მარამდის (sic!) ჩვენ კახეთ გამოვიდოდეთ იმ მიწას ნურც თქვენ მოხნავთ და ნურც მალაროელნი და როცა ღ(ვ)ით ჩვენ კახეთს გამოვალთ ამის სამართალს მაშინ გავაჩენთ. აღიწერა აპრილის კვს, ქკს უნე“⁷⁴.

ჩალაუბნელ გლეხთა 1770 წლის არზით ვგებულობთ, რომ ერეკლე მეფე 1768 წელსაც ყოფილა ჩალაუბნელებთან და მალაროელებთან, უბრძანებია სადავო მამულები დავის გადაწყვეტამდე არც ერთ მათგანს არ მოეხნა. 1769 წელს ჩალაუბნელებსა და მალაროელებს შორის დავა

⁷⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 13. 870.

კვლავ ყოფილა, ხოლო მომდევნო 1770 წელს დავა მათ შორის გამწვავდა.

ამიტომ 1770 წელს ჩალაუბნელებმა ახალი არზით მიმართეს ერეკლე მეფეს: „ლ(მერ)თმ(ან) ბედნიერის ჯელმწიფის ჳირი: მოსცეს სულერთბირ ჩალაუბნელთ.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს ჯელმწიფეს. თქვენც აქ ბრძანდებოდით რომ ვილაპარაკეთ ჩვენ და მალაროელთ მამულზედ და თქვენგან ბრძანება ასე გვქონდა, რომე სადაო მამული არც ჩვენ უნდა მოგვეხსნა და არც იმათ.

სადაოს მამულის აქედან ცოტა რამ დაეხანით შარშან. ამოვიდნენ ფეტვიანები, დაგვიხნეს რომ დასაშვად (sic!)^{*} იყო ისეც და ნაფეტვიანებიც წაგვართვეს.

შარშან ხომ ეს გვიყვეს და წელს გავიდნენ და რაც მიხდოდა გვქონდა სულ წაგვართვეს, რომ ჩვენ მიწა აღარ დაგვრჩომიარა. ჩვენთან მალაროს ჯელი არა აქვს, თავს ანაგა არის ჩვენი მემიჯნე და ბოლოს — ნუკრიანი. უწინაც ასე მოგვიხსენებია თქვენთვის.

ლ(მერ)თი გაგიმარჯვებთ, ერთის გზით გაგვაშველეთ... ცალკე გვცემენ. სამი წელიწადია შემოგჩივით. შენდა გასამარჯვებლად სამართალი გვაღირსეთ.

დავიმშინეთ. მიხდორში აღარ გაგვიშვეს. სასახლეების მეტი აღარა დაგვრჩომიარა. ოკლომბრის კთ, ქკს უნც⁷⁵.

სახელმწიფო საქმეებით დატვირთული და გადაღლილი მეფე ერეკლე ყველა დავას გლეხთა სათემო მიწებზე პირადად ვერ წყვეტდა და ზოგჯერ დავის გარიგებას სხვას ავალებდა. ამჯერად მან ოქმით თავის შვილს გიორგის მიმართა: „ქ. შვილო ბატონო გიორგი! ამ არზის პატრონი და ამისი მოდავენი შენთან შეარიგე, ასე რომ ორნივე რაზი გახადო. და თუ თქვენთან ვერ შეარიგოთ ჩვენთან გამოისტუმრეთ. გიორგობის ას, ქკს უნც.

მანდავ შეარიგე, აქ ნუ გამოგზავნი, განაჩენი დაუწერე და მ-ეცი“⁷⁶.

როგორც იქნა, 1772 წელს დამთავრდა დავა ჩალაუბანსა და მალაროს შორის. ამ წელს ერეკლე მეფის მიერ ორჯერ დაიწერა განჩინება

* დასა(მუ)შ(ა)ც(ებლ)ად? ანდა „დასაშ(რომ)ც(ელ)ად(ძვ.) ანუ საღვაწად.
75 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 13. 868.
76 იქვე.



მათ შორის სათემო-საერთო სახნავ მიწებზე დავის გამო. როგორც მეორე განჩინებიდან ჩანს, დავის გადასაწყვეტად ადგილზე მისულა თვაით მეფე ერეკლე.

მეფე ერეკლეს 1772 წ. 7 მარტის განჩინებაში ვკითხულობთ: „ქ. ჩალაუბნელნი და მალაროელნი სახნავს მამულზე დობდნენ. ამათ ჩვენს სამართალში ილაპარაკეს. ჩვენ ამათი საჩივრები გავსინჯეთ და ეს სამართალი განუჩინეთ:

ჩალაუბნელნი რომ თავის მკვიდრს მამა-პაპის მამულს ა(მ)ბობდნენ სამართალში, ჩვენ ამათ სამართლის ძალით ფიცი დავადევით. ჩალაუბნელთ უნდა სამს უფროს კაცს წმინდა სახარება და ჯვარი უნდა ა(ა)ღებინონ და სოფელი თან მიჰყვეს და თავის მამულსა და მიჯნას: უნდა შემოუთარონ და ასე დაიფიცონ: ამისმან მადლმან და ამისმან გამამც(ხ)ოველებელმან ღ(მერ)თ(მ)ანო, ეს მამული ამ სამძღვრამდისა ჩვენი მამა-პაპისა არისო, მალაროელნი თქვენ ამაში საქმე არა გაქვთო.

ჩალაუბნელთ თუ ასე შეჰფიცეს, ეს მამული თავისის სამძღვრით ჩალაუბნელთ დარჩება სიმართლით; და თუ ასე ვერ შეფიცეს, აგრევე მალაროელთ დარჩება. ამ ფიცში ნუკარიიანელი და ანაგელნი მათთან უნდა დაესწრნენ. ამ ჩალაუბნელთ სადამდინაც დაიფიცონ, ამათ მიჯნები უნდა ჩაუსხან და სამძღვრები დაისწავლონ.

იასაულო ბარმიშვილო ზაალ და ნარიმან ბოსტაშვილო! ამათ უნდა ვაპყვე და როგორც ეს განაჩენი მიგვეცეს, ეს სამართალი უნდა მიაცემინო ჩალაუბნელთ. ეს ახლავ ჩვენს აქ ყოფნაშივე უნდა გარდასწყდეს.

მარტის ზ, ქკს უფ.

ქ. ამ წმინდა მარხვაში ფიცი არ იქნება. ხსნილში უნდა დაიფიცოთ, ისე როგორც დაგვიწერია და ისე გააშველოთ. მინამ ფიცით გაშველდებოდნენ, არც ჩალაუბნელთ უნდა მოხნან ის მიწა და არც მალაროელთა“⁷⁷.

როგორც ვხედავთ, სათემო-საერთო მიწებზე მოდავე სოფლების დავა ერეკლე მეფემ ასე გადაწყვიტა: ჩალაუბნელ გლეხებს სადავო სახნავი მიწების მიჯნები უნდა შემოეველოთ და გამოეფიცათ, — ჩვენიო. ჩალაუბნელთა ფიცს მალაროელ გლეხების გარდა უნდა დასწრებოდნენ ქიზიყის სამეფო-სახაზინო სოფლების წუკრიანისა და ანავის გლეხები, რომლებსაც ასევე სათემო-საერთო სახნავი მიწები ჰქონდათ

77 Hd — 4261.

ჩალაუბნელების მეზობლად და მათი მემიჯნეები იყვნენ. ჩალაუბნელთა გამოფიცულ სახნავ მიწებზე მიჯნეები უნდა ჩაესხათ და ამიერიდან საზღვრები კარგად უნდა დაემახსოვრებიათ.

ეს საქმე, მეფე ერეკლემ, განჩინებით იასაულებს ზაალ ბარამიშვილსა და ნარიმან ბოსტაშვილს დაავალა.

ამის შემდეგ, მეფე ერეკლეს მიერ, ამავე 1772 წელს დაიწერა მეორე, საბოლოო განჩინება ჩალაუბნისა და მალაროს სათემო-საერთო სახნავი მიწების გამიჯვნის შესახებ.

ბოლო განჩინებაში ვკითხულობთ: „ქ. ჩალაუბნელი და მალაროელი სახნავს ბოლოზედ დაობდნენ.

ჩვენ, საქართველოს მეფემ ირაკლიმ ეს სამართალი განუწესეთ, რომე: ამ სადაოს ბოლოზედ ფიცი დავადევით ჩალაუბნელთ, რომ უნდა დაიფიცონ, რომ იმათი ბოლოს სახნავი იყოს.

თუ ასე დაიფიცეს ზომ ჩალაუბნელთ დარჩეს და თუ ასე ვერ იფიცეს, მალაროელთ დარჩება.

და ამ სამართლის განწესებაზედ იასაულები მივეციით — ბარამისშვილი ზაალ და ბოსტაშვილი ნარიმან, რომ ეს სამართლის განწესება გაერიგებინათ.

ახლა ამ ჩალაუბნელთ შეფიცეს მალაროელთ, რომ ჩვენი სახნავი ბოლო არისო. ამ ფიცში მალაროელნიც იქ ყოფილან, ნუკრიანელნიც და ანაგელნიც. ახლა რადგან შეფიცეს ჩალაუბნელთ, ეს სახნავი ბოლო ჩალაუბნელთ დარჩა.

ამისი მიჯნები: აღმოსავლეთის კერძო არის ასკილაძანთგორა, მელისწყაროს დელისთავს რომ პატარა გორა არის, ნატობაბთავი, ნაბამბრების სერზედ რომ გორა არის პატარა და ნაქალაქევთ ჩალანათხევი რომ ფაიტანს ივრისპირამდის, — ეს მიჯნები სულ აღმოსავლეთის კერძო არის ერთს მხარეზედ. ამისი საქმე ასე გადასწყდა, რომ ჩალაუბნელთ ვაიტანეს ფიცით, მალაროელთ ხელი აღარა აქვსთ. მთიბათვის გ-ს, ქკს უა“⁷⁸.

ჩალაუბნისა და მალაროს შორის სათემო სახნავ მიწებზე ხუთწლიანი დავის საბუთები ისე როგორც სხვა რიგი დოკუმენტები, უაღრესად მნიშვნელოვანია; ისინი თვალნათლად მოწმობენ ფართო სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობას კახეთში.

⁷⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 4784, დედანი, თავნაკული; ქსმ, IV, 492, პირი.

საბუთების მიხედვით, საერთოდ, სათემო ადგილ-მამულის ჩიბოდ, სახნავი მიწების მოდავეებად გამოდიან არა ცალკეული პირები, რაც მოსალოდნელი იქნებოდა ინდივიდუალური კერძო ნაკვეთების მიმართ, არამედ მოდავეებად გამოდიან მთელი თემის, სოფლების კოლექტივები, „ერთობილი“, რაც ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სადავო ადგილ-მამულები და მათ შორის სახნავი მიწები მთელი სასოფლო ერთობის საერთო კოლექტიურ მფლობელობაში (სარგებლობაში) იმყოფებოდა.

მალაროს, ჩალაუბანს, ნუკრიანს, ანავას და ვარეკახეთ-ქიზიყის მთელ რიგ სოფლებს სათემო-საერთო სახნავი მიწები გადაჭიმული ჰქონდათ ივრის ველზე, მდ. ივრის მარცხენა ნაპირამდის.

აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტია საინტერესო და გასარკვევი. სახელდობრ, გასარკვევია საბუთებში მოცემული ჩალაუბნელთა და მალაროელთა საერთო-სასოფლო სახნავი მიწები დანაწილებული იყო მეთემე გლეხთა ცალკეულ კომლებზე მიწების პერიოდული დანაწილების შედეგად, თუ ეს სასოფლო სახნავები კომლებზე დაუნაწილებელი (გაუპიროვნებელი) სათემო საერთო მიწები იყო, რომელთა მოხვნა-დათესვა მათ მიერ ხდებოდა ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ სიდიდის ფართობზე, — ე.ი. ვინც სად დასაწრებდა და რამდენიც უნდოდა, შეძლების მიხედვით, იმდენს მოხნავდა და დათესავდა. ეს არის სამიწათმოქმედო ერთობის გაცილებით არქაული საადგილმამულო წესი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში (რუსულ, ქართულ). ე. წ. „დატაცებითი“ სათემო მიწათმფლობელობის წესითაა ცნობილი. პირადად ჩვენ მას „თავისუფალ“ სათემო (სასოფლო) მიწათსარგებლობის წესს ვუწოდებთ.

ჩვენ მიერ მოტანილი საბუთები უფრო თითქოს „თავისუფალ“ სათემო მიწათმფლობელობისკენ იხრება, რადგან უამრავ დავასა და განჩინებებში საერთო სასოფლო სახნავ მიწებზე, რომელთა საზღვრებზედაც ცილობა იყო სოფლებს შორის, ამ შემთხვევაში ჩალაუბანსა და მალაროს შორის, ერთხელ ხომ სადმე მაინც იქნებოდა აღნიშნული, რომ სოფლებს შორის საცილობელი სახნავების საზღვრებზე პიროვნულად, ვთქვათ, პეტრიაშვილის, დოდაშვილის სახნავი ნაკვეთია და მას ვკითხოთ მისი საზღვრებიო, უკეთ ეცოდინებოთ. მოდავეებად ყველგან მთელი თემის, სოფლის, კოლექტივი გამოდის თავისი საერთო სახნავი მიწების საზღვრების დასაცავად და არა ცალკეული კომლები, რომელთა ნაწილს მიწების დანაწილებაც პიროვნებებს

შე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, ცხადია, სახნავი ნაკვეთები ექნებოდა სასოფლო-სამეურნეო მიწების საზღვრებზე, რომლებიც ჰყოფდა მათ მეზობელი სოფლის სათემო-საერთო სახნავებისაგან.

როგორც ცნობილია, სათემო-საერთო სახნავების დატაცებითა (თავისუფალი) მიწათსარგებლობა ხდებოდა უფრო ისეთ კუთხეებში, სადაც სახნავი მიწების ფონდი დიდი იყო და ამის გამო მეთემე გლეხები დათქმულ დროს სათემო სახნავ მიწებზე, სადაც უნდოდათ იქ გაიტანდნენ ფუთნებს, შეძლების მიხედვით რამდენიც უნდოდათ მოხნავდნენ და დათესავდნენ. ცნობილია, რომ ასეთი დიდი რაოდენობით სახნავი მიწები გადაჭიმულია კახეთში, ივრისა და ალაზნის სანაპირო ველ-მინდვრებზე. ამიტომ ჩალაუბნის, მადაროსა და კახეთის მთელ რიგ სოფლებს, რომლებსაც სახნავი მიწები მდ. ივრის ნაპირებამდე და მისი სანაპიროების გაყოლებით ჰქონდათ, ჩანს, სახნავი მიწებას თავისუფალი ფონდი გააჩნდათ, რის გამო აქ სათემო სახნავი მიწებას „დატაცებითი“, თავისუფალი, მიწათსარგებლობის წესი არსებობდა. ასეთი წესი უფრო მეტად ქიზიყში იყო.

მაგრამ შეიძლება სხვაგვარი წესიც ყოფილიყო. სახელდობრ, სათემო-საერთო სახნავების „დატაცებითი“, თავისუფალი მიწათსარგებლობა კი არ ყოფილიყო, არამედ, შესაძლოა, ყოველწლიურად ხდებოდა მიწების დანაწილება მოხენის წინ, განსაზღვრული ფართობის ნაკვეთების მიზომვით მეთემე კომლებზე. ანდა, ასევე, შესაძლოა, სათემო სახნავების პერიოდული დანაწილება ხდებოდა რამდენიმე წლით — 3, 5, 10 წლით და ა. შ., რის შემდეგ ხდებოდა ხელახალი გადანაწილება.

ყველა ამ წესის შემთხვევაში ფართო სათემო მიწათმფლობელობის არსებობა კახეთში სახეზეა. სავარაუდოა მხოლოდ გლეხთა მიერ სათემო-საერთო სახნავი მიწების სარგებლობის სხვადასხვა წესი. ამიტომ, რაც მთავარია, ჩალაუბნელთა და მადაროელთა სახნავ მიწებზე დავის ისტორია, ისე როგორც ზემოგანხილული შიბლიანის, კაკაბეთისა და რიგი სხვა სოფლებისა, აშკარად მოწმობს სათემო-საერთო მიწათმფლობელობის (მიწათსარგებლობის) ფართოდ და ამავე დროს კლასიკური ფორმით არსებობას კახეთში მოცემულ ხანაში, როგორც სახელმწიფო (სამეფო) და საეკლესიო, ისე საბატონო გლეხებში.

ამასთან, სათემო-სახნავი მიწების დიდი ფართობის ფონდისა და მისი „დატაცებითი“, თავისუფალ მიწათსარგებლობის წესთან დაკავ-



შირებით ისმის კითხვა: თუ მთელ რიგ სოფლებს ბევრი სახნავი მიწები ჰქონდათ, რატომ დაობდნენ ისინი ამდენს ასე მწვავედ. ამის მიზეზი იყო შემდეგი. როგორც ცნობილია, მარცვლეულის მეურნეობაში მიწების ერთ ნაწილს ამუშავებდნენ, ხოლო მეორე ნაწილს ასვენებდნენ. რამდენადაც მეტ ნაწილს მიწებს დაასვენებდნენ, მით უფრო კარგი იყო. ხანგრძლივად ნასვენ მიწებზე გაცილებით კარგი მოსავალი მოდიოდა, ხოლო ერთი და იგივე ნაკვეთების ზომირი ექსპლუატაცია მიწების გამოფიტვას იწვევდა. ამიტომ, რაც უფრო მეტი სახნავი ფართობი ექნებოდა სასოფლო ერთობებს, ცხადია, მით უფრო კარგი იქნებოდა და ეს იყო მიზეზი სხვისი სათემო მიწების მიტაცება-მითვისების ცდებისა, რაც საბოლოო ჯამში იწვევდა დავასა და ადგილობრივი თუ ცენტრალური სასამართლო-ხელისუფლების სხვადასხვაგვარ განჩინებებს სათემო-საერთო სახნავებზე. სულ ადვილი დასაშვებია, საბუთებში მოცემული დავა ზოგჯერ სწორედ ნასვენ, რამდენიმე წლით მიტოვებულ სათემო-საერთო სახნავ მიწებს ეხებოდეს, რომელთა დამუშავების განახლებისას მათი საზღვრები სათემო კოლექტივებს, გლეხებს, შეიძლება დავიწყებული ჰქონდათ.

1776 წელს ჩალაუბნის სათემო-საერთო სახნავი მიწები ახლა უკვე საბატონო სოფელ მელაანის ყმა გლეხებს მოუხნავთ. ადრე, როგორც საბუთიდან ჩანს, მელაანელ გლეხთა მებატონეებს „ფიცით“ დაუჭერიათ ჩალაუბნელთა სათემო სახნავები, მაგრამ შემდეგ დაწმუნებულან უკანონობაში და „ფიცი“ „აიხსნეს“, სახნავი მიწები დაუბრუნეს და საამისოდ „წიგნიც მისცეს ჩალაუბნელთ“. მაგრამ, მოუხნედავად ამისა, მათ მელაანელ ყმა გლეხებს კვლავ უკანონოდ მოუხნავთ ჩალაუბნელთა სათემო მიწები.

ერეკლე მეფემ 1776 წ. 9 სექტემბერს მელაანელ ყმა გლეხებს უბრძანა, სახნავი მიწები ჩალაუბნელებისთვის დაენებებიათ. ერეკლე ბრძანებაში წერს: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ერთობით მელაანელნი!

მერმე ჩალაუბნელთ სახნავი მამული რომ მოურავისთვიან იყო გაფიცული, მაგ მამულის ფიცი თქვენმან ბატონებმან ზომ აიხსნეს და წიგნიც მისცეს ჩალაუბნელთ. ახლა ჩვენ გავიგონეთ, მაგ მამულს თქვენ კიდევ ხნავთ სადმე.

ახლა თქვენთვის გვიბრძანებია, მაგ მამულს თქვენ ნუღარ ეცლებით და ნურც ხნავთ, თორემ იცოდეთ ჩვენად შეცოდებათ მოგკითხავთ. სეკდემბრის თ, ქკს უდაღ“⁷⁹.

⁷⁹ Hd — 4260.



მოტანილ საბუთებში — სათემო მიწებზე დავის განჩინების წიგნებში, — თითქმის ყველგან ფიგურირებს მთელი „ერთობილი“ თემის (თემის ერთობის) ან თავკაცთა „ფიცი“, „დაფიცება“, „მიწების გამოფიცვა“ ადგილ-მამულის მფლობელობის კანონიერების დასამტკიცებლად. ამაზე ცალკე უნდა შევჩერდეთ.

შეიძლება დღეს ვიფიქროთ, რა ენაღვლებოდათ, ტყუილებზე დაიფიცავდნენო, მაგრამ ეს ასე არ იყო.

რელიგიის გავლენით ფიცის ძალა და რწმენა ხალხში მაშინ დიდი იყო. იბრთინდელი თეოლოგიური აზროვნების გამო ტყუილზე დაფიცებისა ეშინოდათ და ზოგჯერ თუ დაფიცებით ვინმე მამულს დაიჭერდა, ხოლო შემდეგში იგი ან მისი მემკვიდრე დარწმუნდებოდა „ფიცის“ სიმცდარეში, რომ მამული უკანონოდ ეჭირა დაფიცების შედეგად, ფიცისა და ღვთის (ხატის) წინაშე შიშის გამო, იგი ან მისი მემკვიდრე მამულს (მიწას) უბრუნებდა კანონიერ მფლობელს და ხდებოდა მის მიერ „ფიცის ახსნა“, „ფიციდან აღმოშვება“.

„ფიცის“ რწმენის ძალის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ საბუთს — მამულის დანებების წიგნს მიცემულს ქიზიყის მოურავ რევაზის (ალბათ ანდრონიკაშვილის) მიერ თავად ვაჩნაძეებისთვის 1776 წ. 17 აპრილს.

აღნიშნულ თავადებს მამულზე დავა ჰქონიათ. რევაზის მამას, პაპუას, „ფიცით“ მამული დაუჭერია, მაგრამ შვილი შემდეგ დარწმუნებულა, რომ მამამისს „ფიცი“ „შეცდომით მოსვლოდა“ და, სათანადო წიგნის მიცემისა და „ფიციდან აღმოშვებით“, დაჭერილი სადავო მამული დაუბრუნა თავად ვაჩნაძეებს. „მამულის დანებების“ წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ ქიზიყის მოურავ მან რევავ და ძმამან ჩვენმან იესემან და ძმის წულთა ჩვენთა. თქვენ ვაჩნაძიანთ. ასე რომ თქვენ და ჩვენს მამასა და ბიძაშვილებსა და ბიძასა თამაზ მოურავს და ქაიხოსროს და მამა ჩვენს პაპუას მამულზედ გედავნათ. მერმე თქვენ სხვისი ფიცი არავისი გეყაბულად და მამა ჩვენი დაგეფიცებინათ და მამა ჩვენსაც შეცდომით მოსვლოდა ის ფიცი. ახლა ის მამული, რომელიც ჩვენი წილი რომ უნდა გვრგებოდა, ის ჩვენი სარგო წილი ისევ თქვენთვის დაგვინებებია; არც ჩვენმა და არც ჩვენს შემდგომთ შვილთა და შვილისშვილთა თქვენთან საქმე აღარა ჰქონდეს რა... და კურთხეულს მამიჩვენისა პაპუა მოურავისა და ჩვენი თავიც ფიციდან აღმო-“



გ ვ ი მ ვ ი ა... ჩვენ და ჩვენი წილი ყმავე მაგ მამულიდამც გამაღვივებელი ლვართ და ფიციდამც აღმოვშვებულვართ წმინდის ნინოს მადლითა...

აღიწერა ქრისტეს აქეთ ჩლოვ, აპრილის იზ გასულს, ქქს უფდ⁸⁰. მამულის დანებებისა და „ფიციდან“ გამოსვლის აღნიშნული წაგნი დაამტკიცა მეფე ერეკლემ.

მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინაც იყვნენ „ღვთის უშიშნიც“, რომლებსაც ტყუილზე დაფიცების არ ეშინოდათ. ეს ცნობილი იყო როგორც საზოგადოებისთვის, ისე სამეფო ხელისუფლებისთვისაც. ამას ნათლად მოწმობს ერთი საბუთი 1800 წლისა — მეფე ერეკლეს ძე იოანეს და მდივანბეგ სოლომონის (ლიონიძის?) მიწერილობა, სადაც აღნიშნავენ, რომ სათემო სახნავი მიწების საზღვრების სისწორისა და კანონიერი მფლობელობისა დასაცავად სოფ. ნორიოს მცხოვრებთაგან შეერჩიათ „ღვთის მოშიშნი“, რომლებიც ტყუილზე არ დაიფიცებდნენ⁸¹.

აღსანიშნავია, რომ სადავო ადგილ-მამულის „ფიცით“ გადაჭრამ ვახტანგის სახელმწიფო სამართალშიც ჰპოვა ასახვა.

* * *

სათემო-საერთო მიწებზე დავა გრძელდებოდა.

ერთი უთარბლო საბუთით, ერეკლე II-ის მეფობის დროს სოფ. კონდოლს სათემო სახნავეებზე „მდივნიანთ“ მიებატონენი ედავებოდნენ. მეფემ კონდოლელ იასაულებს უბრძანა: „რომელსაც თავიანთ მამულს ეძახიან კონდოლელნი, ხენას ნუ დაუშლიან“ და როცა კახეთში მოვალთ მათ სამამულო საქმეს ჩვენ გავარჩევთ⁸².

1775 წელს ქვემო ხოდაშნის მცხოვრებლებმა, რომლებსაც რომელიღაც სოფელთან დავა ჰქონდათ სათემო მიწებზე, არზით მიმართეს ერეკლე მეფეს, სადაც წერენ, რომ ამას წინათაც მოგვისყენებია და ახლაც მოგახსენებთ, „ჩვენის მთისა და ბარის“ განაჩენი და „გუჯრის პირიცა გვაქვს“ და გთხოვთ ეს წიგნები ნახოთ და „სამართალი გვადირსოდ ღ(მერ)თი გაგიმარჯვებს“-ო. როგორც აღინიშნა, საქვეყნო-სახელმწიფოებრივი საქმეებით მოუცლელი მეფე ზოგჯერ მაშინვე ვერ სწყვეტდა ყველა დავას, მით უმეტეს, რომ მიწებზე დავას

⁸⁰ Hd — 4262.

⁸¹ Ad — 191.

⁸² სტსია, ფ. 1451, დავთ. 3, საბ. 224, საბუთები ალავერდის ეკლესიისა.



ვადაწყვეტისათვის საჭირო იყო ადგილზე მისვლა. ამიტომ, მოუცლელნი
 ბის გამო, ერეკლემ, რომელიც, როგორც ჩანს, თბილისში იმყოფებო-
 და, ერთობლივ ქვემო ხოდაშნელთა არზას ასეთი ოქმი დააწერა: „ქ.
 ჩვენი ბრძანება არის. მერე ჩვენ ახლა თქვენის სამართლისათვის ვერ
 მოვიცლით. როცა ჩვენ ღ(ვ)ითთ კახეთს მოვიდეთ, მაშინ მოგვახსენეთ
 და სამართალს მაშინ ვიზამთ“⁸³.

ამ დროს სათემო საერთო სახნავებზე დავა აქვთ აგრეთვე მა-
 ჩხ ა ა ნ ს ა და ბ ო ღ ბ ე ს. 1776 წლის საბუთით, ადრე „მეფეს ერე-
 კლეს მაჩხანელთათვის ფიცი დაუდვია; ქემხასა და სოფელს ხატი აუ-
 ლიათ და სოფელი მიყოლია და დაუფიცავთ“ სანთლის ხევის თავამდე,
 სამნებიც ჩაუყრიათ. ამასთან, სანთლის ხევის თავიდან ხელი გაუწვდი-
 ათ მინდვრისაკენ და უთქვამთ, რომ ესეც ჩვენიაო. ბოღბელები მაჩ-
 ხანელთა „მინდვრის ფიცს“ არ დათანხმებულან და თვით მათ „ფიცი
 თავს უდვიათ“. ბოღბელები ფიცით სადამდეც დაივლიდნენ მიწება,
 მათ დარჩებოდათ. ბოღბელებს გამოუფიცავთ, ჩანს, სათემო სადავო
 მინდვრის მიწები (თუ მათი ნაწილი), გაუმიჯნავთ და მათ დარჩენიათ⁸⁴.

1780 წელს სათემო სახნავ მიწებზე დავა ჰქონდათ, ერთი მხრივ,
 მეზატონე-თავადების: ენისლის მოურავის შვილებისა და ნოდარიშვი-
 ლების ყმა გლეხებს — გურჯაანელებს, ხოლო მეორე მხრივ, რომელი-
 ლაც სოფლის სამეფო გლეხებს. 1780 წ. 25 აგვისტოს თარიღით მი-
 ცემულ არზაში მეზატონეები და მათი ყმა გლეხები ერეკლე მეფეს
 სწერენ, რომ თქვენმა სამეფო გლეხებმა „ალარც მიწაში შეგვიშვეს
 და ალარც გუთანი გაგვატარებინეს. მოგვხსენებათ ვენის დრო არის.
 დაგვიკრფეთა გულ-ხელი და აქა გხლებივართ. ამისი სამართალი გვა-
 ღირსეთ ღ(მერ)თი გაგიმარჯვეს“-ო.

მეფე ერეკლემ მათ არზას ასეთი ოქმი დაადო: „ქ. ჩვენი ბრძანება
 არ(ი)ს, როგორც აქამდინ გეჭირათ და ვიხნავსთ ისე გეჭიროსთ და
 ხანით...“

როცა ჩვენ გამოვალთ, გავსინჯავთ, მოვიკითხავთ და ამის სამარ-
 თალს განესჯით“⁸⁵.

ამ ხანებში, ჩანს, სოფ. ლ ა ლ ი ს ყ უ რ ი ს გლეხები ტ ა ხ ტ ი ა
 ს ო ფ ლ ი ს (ყოფილი ტახტის ციხის) სათემო საერთო მიწებს ხნავ-

83 Ad — 204.

84 სცსია, ფ. 1451, დავთ. 2ბ, საბ. 58, საბუთები ბოღბის წმ. ნინოს ეკლესიისა.

85 Ad — 13.846.

დნენ უნებართვოდ. ერეკლე II-ს ადრე მათი სათემო მიწები გაუტეხნა ნავს. ტახტის სოფლის გლეხებს ერეკლესთან უჩივლიათ. 1783 მარტს მეფემ ლაღისყურელები ბრძანებით გააფრთხილა, თუ კიდევ თავადისშვილი ან გლეხი „ჩვენგან ჩასხმული მიჯნის შიგნით შევა და მოუხნავს ტახტის სოფელს მიწებს, მკაცრად მოგვითხავთო. თუ ტახტის სოფლის გლეხები ნებას დაგრთავენ „ამათი მამული მოხნათ“, მაშინ როგორც მანდაური წესია, ისე მიეცით ღალაო⁸⁶.

XVIII საუკუნეში გარეკახეთში, შავექდის ბოლოს, ადგილ-მამულზე დიდი დავა ჰქონდათ თავად ჩ ერ ქ ე შ ი შ ვ ი ლ ე ბ ს ა და მანაველ გლეხებს. მანავი სამეფო-სახაზინო სოფელი იყო. დავა ჯერ კიდევ ამ საუკუნის პირველ მეოთხედში დაუწყიათ, მეფე დავით იმამყულ-ხანის დროს. შემდეგში თეიმურაზ II-ს გაუტრეფია მათი დავა.

მანაველი გლეხები თეიმურაზ მეფის (ალბათ თეიმურაზ II-ის) ოქმს იმოწმებდნენ, რითაც მანაველთათვის სადავო მამულზე დაფიცება უბრძანებია, ხოლო მანაველ გლეხებს დაუფიცავთ. ჩერქეზიშვილები კი მეფე იმამყულიხანის „წყალობის წიგნს“, „დავთარს“, იმოწმებდნენ და სადავო მამული თავისად მიიჩნდათ.

1783 წ. 18 იანვრის განჩინებით, ვახტანგის სამართლის თანახმად, სადავო ადგილ-მამულის გამოფიცვა ჩერქეზიშვილებს დაეკისრა. თუ დაიფიცებდნენ, ადგილ-მამული მათ დარჩებოდა, თუ არა, — „სახასოდ დაიდებოდა“, ე. ი. მანავის გლეხებს მიეცემოდათ⁸⁷.

1789 წელს სათემო-საერთო მიწაზე დაობდნენ გარეკახეთის ორი სოფელი — სამეფო პ ა ტ ა რ ძ ე უ ლ ი და საეკლესიო ხ ა შ მ ი. ადრე, ერეკლე მეფეს, ადგილ-მამულზე მათი დავის შესახებ ბრძანება (ოქმი) დაუწერია და პატარძელთათვის უბოძებია.

1789 წ. 11 სექტემბერს კი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ერეკლე მეფის ძე ანტონ II ბრძანებას აძლევს საგარეჯოს მოურავს ჯამასპის: რა გვარადაც მეფე ერეკლეს ოქმში ეწეროს, ისე მოიქეცითო მანამ ხაშმელთ და პატარძელელთ ჩვენთან ვალაპარაკებდეთ და დავას გადაწყვეტდეთ, „შენ ღალა იმ სადაოს მიწისა არავის უნდა დაანებო და მერმე... რომელთაც ის მიწები დარჩება, ღალაც იმათ მიეცემა“⁸⁸.

⁸⁶ სცსია, ფ. 1450, დავთ. 24, საბ. 138.

⁸⁷ ქსდ, V, 119.

⁸⁸ ქსდ, III, 425.

1780-იანი წლების მიწურულს სოფ. ხოდაშნის „სახასნო ცნი“ (სამეფო გლეხები) უჩიოდნენ საბატონო სოფელ აწყურის გლეხებს, — სათემო მთაზე. მთის საზღვრებზე „დიდი ცილება“ ჰქონდათ და „თავ-თავისას ამტკიცებდნენ“. 1790 წ. 19 იანვარს დაიწერა ვრცელი განჩინება. ფიცი დააკისრეს აწყურელებს, რომელთაც უნდა გამოეფიცათ სადავო სათემო ტყე. წინააღმდეგ შემთხვევაში ტყე (მთა) ხოდაშნელებს დარჩებოდათ⁸⁹.

* * *

სათემო მიწათმფლობელობის დიდი მასშტაბით არსებობას კახეთში საკვლევ პერიოდში (XIII—XVIII სს.) ნათლად მოწმობს აგრეთვე საეკლესიო სოფელ ჯიმითისა და მებატონე ანდრონიკაშვილების ხანგრძლივი დავის ისტორია სათემო ადგილ-მამულზე XVIII საუკუნეში. მათი დავა ამ საუკუნის ბოლოსაც, 1790—1791 წლებშიც მიმდინარეობდა და ორჯერ დაიწერა განჩინება.

ჯერ კიდევ მათი დავა გაურჩევიათ XVIII ს-ის დასაწყისში, მეფე დავით იმამყულიხანის დროს (1703—1722 წწ.) და სადავო მიწები გაუმიჯნავთ. განჩინება („გუჯარი“) ჯიმითელებს ჰქონდათ, მაგრამ მიჯნები თუ სად იყო ჩასმული, გუჯარში არ ეწერა. როგორც განჩინებაშია აღნიშნული, „ამ მეფის იმამყულისაგან გამიჯვნას ენდრონიკაან სხვაგან ნიშნევდნენ და ჯიმითელნი სხვაგან“.

მათ დავას ერეკლე მეფის სამართალში ბევრჯერ ჭაუვლია. გაუმიჯნეს კიდევ მიწები, მაგრამ ანდრონიკაშვილები უკმაყოფილონი იყვნენ და საჩივარი აღძრეს.

სადავო მამული ანდრონიკაშვილებს ეჭირათ და 1790 წ. 10 სექტემბრის განჩინებით მეფე ერეკლემ და მსაჯულებმა, ვახტანგის სამართლის ძალით, ფიცი მათ დააკისრეს. თუ სადავო ადგილ-მამულს გამოიფიცავდნენ ანდრონიკაშვილები, მათ დარჩებოდათ, სოლო თუ ვერა — მაშინ მიეცემოდათ ჯიმითელებს იმგვარად, როგორაც ისინი იმამყულიხანისაგან გამიჯნულად აცხადებდნენ.

⁸⁹ ქსდ, V, 279.

განჩინება აფრთხილებდა ანდრონიკაშვილებს: „რომელიც ენდრონიკაანთ გვაჩვენეს, თუ იმ მიჯნას გადასცილდენ და მეტი მამული გამოიციფეს, ფიცი გაუმტყუნდებათ“—⁹⁰.

დავა სახნავ მიწებზე ჯიმითელებსა და ანდრონიკაშვილებს შორის კვლავ გაგრძელებულა. ჯერ მეფე ერეკლემ გადაწყვიტა, რომ სადავო სახნავი მიწა ჯიმითელ გლეხებს მოეხნა, მაგრამ შემდეგ, შფოთის თავიდან აცილების მიზნით, ბრძანა: სადავო სათემო მიწები არც ერთ მხარეს არ მოეხნა მიჯნების დადგენამდე.

მეფე ერეკლე ამის თაობაზე 1791 წ. 28 მარტს ყორიასულბაშ ლუარსაბისადმი გაცემულ განკარგულებაში წერს: „ქ. ჩვენ მაგიერად ყორიასულბაშს ლუარსაბს ასე უამბეთ: ამ წინა დღეებში ოქმი მოაწერეთ ენდრონიკანთა და ჯიმითელთ სადაოს მიწის საქმეზე, რომ ეს ოქმით დანიშნულს ადგილამდის ჯიმითელთ უნდა ეხნათ, მანამდის ღ(ვ)ითი ჩვენ მოვიცილიდეთ და იმ ადგილს კიდევ ვნახავდეთ და სამართალს გარდავწყვეტდეთ. მაგრამ უშფოთველობის გულისათვის ასე ვამჯობინეთ, რომ ის სადაოს მიწაში არც ენდრონიკაანთ შეიტანონ გუთანი და არც ჯიმითელთ, ვინემდის თვით ჩვენ მოვიდოდეთ და სამართალს გარდავწყვეტდეთ.“

ღ(ვ)ითი ამავე ნააღდგომევეს ან* იმ სადაოს ადგილს ჩვენ გავსინჯავთ და ან აქედამევე გადავწყვეტთ სამართალს. მანამდის ორთავ უნდა მოიცადონ, თორემ რომელიც მჯარე ამ ჩვენის ბრძანების ურჩი და შფოთის მიზეზი შეიქნება, მამულზედაც ჯელს ავადებიანებთ და სისხლითაც გარდავახდევინებთ. მარტის კჳ, ქქს უოთ“⁹¹.

მიუხედავად ამისა, ჯიმითელნი არ დამორჩილებიან მეფის ბრძანებას და 1791 წლის დიდმარხვაში, 3 აპრილს, ზუთშაბათს, აპირებდნენ სადავო მიწების მოხვნას (ჩანს, სავაზაფხულო თესვისათვის). ეს მეფე ერეკლეს გაუგია. გაითვალისწინა რა მან ჩხუბის შედეგები, ახალ ბრძანებით სასტიკად გააფრთხილა ჯიმითელი იგლეხები, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი დასჯით დაემუქრა.

მეტად საინტერესოა ერეკლე მეფის 1791 წ. 2 აპრილის ეს ბრძანება ჯიმითელებისადმი: „ქ. ჩვენი ბრძანება ერთობით ჯიმითელთ ასე ეუწყოს:

⁹⁰ ქსდ, V, 291.
* ან
⁹¹ Ad — 1192.

მერე ჩვენ ოქმი მოგწერეთ და იმ ჩვენს ბრძანებას არ დამორჩილებულხართ და ამ წმინდას მარხვაში ერთმანეთზე საკლავად მიდგომას თურმე აპირებთ. ასე ვაგივინეთ, რომ ხვალ, ხუთშაბათსა, თქვენსა და ენდრონიკაანთსა და აოსს მიწაში ვუთხრებთ ის გატანას აპირებდეთ. ლ(მერ)თი ნუ შეგარცხვენს(თ), მამაჩვენის მეფის თებომურაზის მხემ, თუ ახლავ გუთნების გატანაც არ დააყენეთ და შფოთიც არ მოშალოთ, როგორც ლ(მერ)თის სვეტის ცხოვლისა და ჩვენს მუხანათს, ისე მოგკითხავთ და გარდავახდევინებთ.

გახსნილებამდის მოიცადეთ და ნააღვრამევეს ლ(ვ)თით ან ჩვენ გამოვალთ და ან აქედამვე სამართლით ჩვენ გავროგდეთ. აპრილის 3, ქკს უოთ.

„ასლან! შენ რომ მიხვედი მანდ, ხუმრობა არ არის, ჩსუბი არა ქნან, თორემ შენც ძალიან გიწყენთ და მაგათაც“⁹².

1791 წ. 26 ნოემბერს ჯიმითელ გლეხთა და ანდრონიკაშვილთა საადგილმამულო დავაზე დაიწერა მეორე განჩინება.

განჩინების დაწერამდე მეფე ერეკლემ და მსაჯულებმა თვით ნახეს სადავო მიწები ადგილზე მისვლით. ამჯერად ჯერ გადაწყვიტეს ფიცი ჯიმითელებისთვის დაედოთ, რადგან მათ ხელთ ჰქონდათ მეფე ალექსანდრე I-ის (1412—1442 წწ.) შეწირულების გუჯრები, მაგრამ ეს მაინც „დიდი ხნის“ ამბავად მიიჩნიეს და საბოლოოდ მაინც ამჯობინეს ფიცი არც ერთი მხარისათვის არ დაედოთ, უფიცრად გაერიგებინათ, რადგან მსაჯულთა აზრით, „ფიცი... ორისავ მჯრისათვის დიდად საშიშარი და საფრთხილებელი არის“-ო.

ჯიმითელ გლეხთა და ანდრონიკაშვილების სადავო ადგილ-მამულის, მათ შორის სახანავი მიწების გაყოფასა და საზღვრებზე, მეფე ერეკლემ და მსაჯულებმა ასე გადაწყვიტეს: „ჩვენ რომ ის სადაო მამული ვნახეთ და მყავალი დავნიშნეთ, იმ მყველიდამ მოკიდებულს სწორედ ლარზე ჩაიარონ, ლელეში რომ ნაკურჩხალის ზედვას, იქამდის სწორედ გამიჯნონ და იმ ხილამ მოკიდებულს გორაზე რომ მეფის იმამყულისაგან მიჯნად ჩაყრილი ქვები არის იქამდის, და იქილამ წავიდნენ, ბეჟან ბაღს თავს ვარდაუარონ და ბეჟან ბაღის წყალს რომ ჩახედნენ, იქილამ შეუბრუნდნენ და ახალსოფელს შემოუარონ შიბლიანის მიჯნამდის, შედგნენ მიჯნაზე და საგველეს ქვასთან ჩავიდნენ და ჩამიჯნონ. და საგველეს ქვიდამ მოკი-

92 Ad — 2253-ზ.

დებული წნორამდის რაც ადგილია, სწორედ უნდა გაიზომოს
ქიზიყოს შარამდის, და სწორედ შუა გაიმიჯნოს. ნახევარი აღმო-
საველეთის მჯარეს — ენდრონიკაანთ ღდა ნავევარი დასაველეთის მჯა-
რეს — ჯიმიეთლთ.

ფიცი დააყენონ, რომელიც ორისავე მჯარისათვის დიდად საშიშარი
და საფრთხილებელი არის და ამ გარიგებას დასჯერდნენ.

და თუ არ დასჯერდებიან, როგორც ზემორე ფიცი დავეიწერია,
წარდგნენ ერთობით სოფლებურად ჯიმიეთლნი, ცხოველსყო-
ფელი ჯვარი და წმინდანი ხატნი ჳელთ აიღონ, ამ ფიცში თავეთი მო-
ურავი ჳანდიერიშვილი როსებ და კიდეც ორი აზნაურიშვი-
ლი, ვინც ჳიმიეთლთ იშოვნონ, თან მოიყოლიონ, შედგნენ მიჯნაზე და
მეფის იმამყულისაგან გამიჯნულს თავეთს მამულს შემოუარონ და
თქვან: „ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღმერთმან, ენდრონი-
კაანო, ეს სწორედ ის მიჯნა არის, რომელიც მეფემ იმამყულიხანმა
გუჯრით ჩვენ გვიბოძა და სამართლით ამაში თქვენ სადაო არა გაქვსთ
რა“.

თუ ასე ფიცეს, დარჩებათ ჳიმიეთლთ რასაც გაიფიცვენ და ხელ-
ახლა სახსოვარი მიჯნებიც უნდა ჩასხან, რომ საბოლოოდ კიდეც
დავა და სარჩელი არ მოხდესთ. და თუ ჳიმიეთლთ ფიცი ვერ შეიძ-
ლეს, დარჩებათ ენდრონიკაანთ იქამდის, სადამდისაც მეფის იმამყუ-
ლისაგან გამიჯნულად ამბობენ.

ეშივალაბაშო გარსევაწ! განჩინება ესე ასე აღასრულე. აღ-
წერა ნოემბერს კვ, წელთა ჩლყა“⁹³.

ფართო სათემო-საერთო მიწათმფლობელობას კახეთში სახანა
მიწებზე განსაკუთრებით კარგად მოწმობს აგრეთვე 1790—1791 წლე-
ბში საბატონო სოფელ ველისციხისა და საეკლესიო სოფ. ახა-
შენის დავა სახნავ მიწებზე, რომელნიც სოფლის მახლობელი ადგი-
ლებიდან მდ. ალაზნამდე ვრცელდებოდა.

განჩინება აქაც ორჯერ დაიწერა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტი-
ლება სათემო-საერთო სახნავი მიწების გამიჯვნისა ვერ მიიღეს და მო-
მავლისთვის გადადეს. სახნავი მიწები დროებით გამიჯნეს.

მეფე ერეკლეს 1790 წ. 28 სექტემბრის განჩინებით, ველისციხესა
და ახაშენს შორის სადავო სახნავი მიწები „შუა უნდა გაიყოს, სწორედ
ლარზე უნდა გაიმიჯნოს თავის გასადევრით ალაზნამდი, მიხვევ-

⁹³ ქსდ, V, 318.

მოხვევა არ იქნება. რაც სწორედ ლარზე ვაიტანოს, ისე უნდა ვაიმე-
ნოს, ნახევარი ველისციხელთ უნდა მოხნან და ნახევარი
ახაშნელთ, სამართლის გარდაწყვეტამდის ასე შერა-
გდნენ“.

ვანჩინების დამრღვევა და შფოთის გამომწვევს ერეკლე დას-
ჯითა და ჯარით ემუქრებოდა.

ვანჩინებას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა მხრივაც. ვანჩინებით
ვევბულობთ, რომ საერთო-სათემო სახნავი მიწები აქვთ შიდა კახ-
ეთის მთელ რიგ სოფლებს, იურჯანიდან დაწყებული თელავამდის:
ზეგამს (ზეგანს), მუკუზანს, ურიათუბანს; ჩუმლაცს და სხვებს, რომლებ-
ბიც ასევე დაობდნენ საერთო-სასოფლო სახნავი მიწების საზღვრებზე.

მეფე ერეკლე ვანჩინებაში ამის შესახებ წერს, რომ „ღვთით“ რო-
დესაც ჩვენ მოვიცლით, ჩვენ მოვალთ, ახაშნისა, ზეგამისა,
ველისციხისა, მუკუზნისა და ურიათუბნის მიჯნებს
თვით ჩვენის თვალთ ვნახავთ, გულსმოდგინეთ გამოვიძიებთ, მიჯნე-
საც მაშინ გავარჩევთ და სამართალსაც მაშინ გარდაწყვეტთ. მაგრამ
ზეგამის თავისი ბოლო უნდა უბოვნოთ. ზეგამის ბოლოს დაკარგვა
არას გზით არ იქნება.

ურიათუბანს ზევით თელავამდის რაც სოფლები არის, თავ-თა-
ვისი ბოლო გარჩეული აქვსთ. და ურიათუბანს ქვეით გუჯანანაშ-
დის რაც სოფლები არის, ღვთით როდესაც მოვიცლით, თავ-თავისი
ბოლო სამართალი უნდა გაურჩიოთ“⁹⁴.

ასეთივე, მაგრამ მოკლე ვანჩინება გაიმეორა ერეკლე მეფემ ვე-
ლისციხისა და ახაშნის აღნიშნულ სადავო სახნავ მიწებზე 1791 წ. 19
ოქტომბერს. ახალი ვანჩინებითაც სადავო საერთო სახნავი მიწები
ველისციხელებს და ახაშნელებს შუა, „სიგარტუნედ ლარზედ“ უნდა
გაეყოთ და თავ-თავისი მხარე მოეხნათ, სადავო სახნავი მიწების გამა-
ჯვნის საბოლოო გადაწყვეტამდე⁹⁵.

როგორც ნათლად ვხედავთ, XVI—XVIII საუკუნეების სააღვილ-
მამულო დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სა-
თემო-საერთო მიწათმფლობელობა მთელ კახეთში, საკვლევ პერიოდში
(XIII—XVIII სს), დიდი მასშტაბით არსებობდა, რაც მთავარია, მო-
სახლეობის ძირითად საარსებო სავარგულებზე — სახნავ-სათეს მი-

94 ქსდ, V, 293.

95 ქსდ, V, 315.



წებზე. კახეთში სახნავი მიწები ძირითადად ივრისა და ალაზნის ველებზე იდო, ამ მდინარეების ვაკეობებით. საერთოდ, მოტანილი საბუთებიდან, ნათლად ვხედავთ, რომ კახეთის სოფლების გლეხობას — ყველა კატეგორიისას, სათემო-საერთო სახნავი მიწები და სათიბ-საძოვრები მასობრივად ჰქონიათ უმთავრესად ალაზნისა და ივრისპირა მიდამოებში.

სათემო მიწათმფლობელობის არსებობისას სათემო მიწის შემოღობვა თემისა და თემის ადგილობრივი ხელისუფლის, ასევე, მისი მფლობელის დაუკითხავად სასტიკად აკრძალული იყო. ამას კარგად მოწმობს დარეჯან დედოფლის 1790 წ. 16 იანვრის ბრძანება ველების ციხის მოურავ სვიმონ ჯანდიერისშვილისადმი.

სოფ. ველისციხე ადრე მთლიანად სამეფოს სახასო იყო. თავად ჯანდიერ ჯანდიერიშვილს სოფ. ზეგამი ჰქვია საბატონოდ. მას მეფე ერეკლესთვის უთხოვია: ზეგამი თქვენ ჩაიბარეთ და სამაგიერო მამულა ველისციხეში მომეციეთ. მეფე დათანხმებულა და მისთვის ველისციხის ნაწილი უწყალობებია. ჯანდიერს აქ „თავისი ნასყიდი კაცნი“ დაუსახლებია⁹⁶. 1790 წელს ველისციხის მოურავი არის ჯანდიერის შვილი სვიმონ ჯანდიერისშვილი.

დედოფალ დარეჯანის აღნიშნული ბრძანებიდან, სახლთუხუცეს გიორგისა და ველისციხის მოურავ სვიმონისადმი, ვხედავთ, რომ ველისციხის ადგილ-მამულზე მოსახლე გლეხებს სათემო-საერთო მიწებიდან ნებადაურთველად მიწის ნაკვეთები შემოუღობაეთ და თავიანთი ინდივიდუალური, ბარცელური, ნაკვეთები გაუფართოებიათ. დედოფალმა აღნიშნულ მოხელეებს უბრძანა, შემოღობილი სათემო მიწები მათთვის ჩამოერთმიათ და ისევ „სასოფლოდ დაედოთ“. დედოფალი ბრძანებაში წერს: „ჩვენ ასე გვესმის, რომ ველისციხეს მამულზედ მოსახლე კაცნი ზოგნი ვინმე თავის გამიჯნულს მამულზედ კიდევ სხვა ადგილს უმატებენ და ჩვენს შეუტყობლად და უოქმოდ თქვენს დაუკითხავათ სავენახეს ღობენ სადმე და უმატებენ თავიანთ მამულებსა და კალო საბძილს აკეთებენ და უმატებენ. ახლავ თქვენ მოიკითხეთ და გაშინჯეთ, რომელთაც ჩვენს უოქმოთ და თქვენს დაუკითხავათ, ან მამულებისათვის შეემატებინოსთ, ან სამამულეთ შეეღობოსთ და კალო საბძლის ადგილი თავის მიჯნის გარდა დაემატებინოსთ, ყველას ახლავ სასოფლოთ დასდევით და ჯარიმითაც გარ-

⁹⁶ Hd — 1592.



დაახდევინეთ და რომელთაც ან ჩვენის ოქმით ეჭიროათ და ან თქვენი დაკითხვით და შეტყობით, იმას სუ მოუშლით და ვისაც ჩვენგან ოქმით არა ჰპობებოდესთ, ყველას უნდა ახლავ ჩამოართვათ“⁹⁷.

* * *

ჩვენებით რა საველევი პერიოდის ბოლო ხანას, XVIII ს-ის ბოლო ათწლეულის ვითარებას, აღვნიშნავთ, რომ ამ მონაკვეთშიც ჩვენ არაერთი საბუთი გვაქვს სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობაზე.

ჩვენ აღარ გავნიხილეთ ჩალაუბნელთა და მადარბელთა ხანგრძლივი დავის ისტორია სათემო-საერთო სახანაგებზე, ასევე, ჩალაუბნელთა დავა სოფ. მელაანის ყმა გლეხებთან სათემო-საერთო სახანაგ მიწებზე XVIII ს-ის 60—70-იან წლებში. ამ საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კი ჩალაუბნელებთან სათემო სახანაგ მიწებზე დავა ჰქონიათ მებატონე ანდრონიკაშვილებს და მათ ყმა გლეხებს, რომლებიც მარდომიათ ჩალაუბნელებს სათემო მიწებზე და მათი მოსავალი კალაუბნიდან გატაცებით წაუღიათ. მეფე ერეკლემ სასტიკი ბრძანება გასცა ანდრონიკაშვილთა და მათ ყმა გლეხთა მიერ ჩალაუბნელთა გატაცებული მოსავლის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების შესახებ. ერეკლე 1791 წ. 10 ივლისის ბრძანებაში ვკითხულობთ: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ახმეტელაშვილო ზახაგ! ახლა რომ ენდრონიკაანთ ჩალაუბნიდამ მოსავალი წაუღიათ ახლავ სრულებით გამუართვი და მოეც. ენდრონიკაანთ ასე გამოუცხადე ფიცით, რომ თუ ახლავ სრულებით არ მოსცეს, ერთი-ორად და სამად გამოვართმევთ და გარდავახდევინებთ. ივლისის ის, ქქს უოთ.“

ქ. ჩვენ რატომ არ მოგვახსენეს დროებით რომ აუბამით და ისე მიხდომიან. ვინც იმათი თავნი ყოფილან დიდათ ულაცბოათ. თუ ახლავ სრულებით არ მოსცეს ფიცით ვამტკიცებთ, რომ როგორც ბატონყობის რეგია ისე გარდავახდევინებთ“⁹⁸.

1790—1791 წლებში მებატონე ყორჩიბაშისშვილები სოფელ არაშენდას სათემო მიწებზე დავობდნენ „სამკვიდრო მამულობით“. მათ

97 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., II, № 421.

98 Hd — 13.869.



მეფე ერეკლესთანაც წარუდგენიათ არზა. 1791 წელს ერეკლე II-ს სოფ. ხოდაშნის მოურავსა და ხოდაშნელებს ბრძანებით დაავალა: „თქვენ სოფლეურად უნდა მიხვ(ი)დეთ... არაშენდამი“ და ყორჩიბაშიშვილებს „თავითი მამული და მიჯნები უნდა უჩვენოთ და მიუბაროთ“-ო⁹⁹.

1792 წელს უკვე სოფ. მატანის გლეხები, ერთობით მატანელები, ჩივიან ერეკლე მეფესთან თავიანთ სათემო-საერთო მამულზე — სახნავ და საბოსტნე მიწებზე. მატანი ჩოლოყაშვილთა საბატონო სოფელი იყო. ისინი უჩივიან მარილისის მცხოვრებთ. მარილისი ფშავის ლაშარის ჯვრის საყმო იყო, ხოლო მისი ადგილ-მამული ამ ხატისადმი შეწირული. მარილელ გლეხებს, ჩანს, მატანელთა საერთო სახნავი მიწების დაუფლება მოუხდომებიათ. ამ მიზნით მათ ფშაველებისთვის ჩაუგონებიათ, მატანელთა ნახევარი მამული ხატისადმია შეწირული და მათ უკანონოდ უჭირავთო. ფშაველები მისდომიან და სათემო მიწის მოხვნა-დამუშავებას არ ანებებდნენ. მეფე ერეკლემ მოხელეებს დაავალა გაერჩიათ მატანელთა საადგილმამულო საჩუვარი¹⁰⁰.

XVIII ს-ის 80-იან წლებში სახნავ მიწებზე სამამულო დავა ჰქონდათ სოფ. ვეჯინსა და თავად ვახნაძეებს, რომელიც 10 წელი იგაგრძელდა. ერეკლე II-ს ბევრჯერ გაუთრჩევია მათი დავა. ვეჯინელებს მათი სათემო მიწები გამოუფიცავთ; ვახნაძეები, ჩანს, არ ეშვებოდნენ. 1796 წელს ვეჯინელებმა მეფეს მიმართეს და თხოვეს: იასაულმა „თქვენს განაჩენზე გავგატარონ დ ჩვენი მამული დაგვანებონ“, „დაკარგვის გზაზედ ვდგავართ უმამულობით“, „ერთმანეთში სისხლი არ ჩამოგვივარდეს“, „ჩვენს მამულზე ფიცი გვაძე, ოლეს გაღმამათია, გამომღმა — ჩვენია“.

მეფემ არზაზე ოქმით ვეჯინელებს უბასუხა: ორ-სამ დღეში მანდ ჩამოვივლი, კარდანახელთაც დავიბარებ და როგორც გავვირიგებია, ისევ ჩვენვე გავარიგებთო¹⁰¹.

1797 წელს სასოფლო-საერთო მიწაზე, მათ შორის სახნავზე დაობენ შიდა კახეთის სოფლები — გურჯაანი და ჩუმლაყი. გურჯაანი საბატონო სოფელი იყო, ჩუმლაყი — საეკლესიო. მათი დავის

⁹⁹ სცსია, ფ. 1450, დავთ. 49, საბ. 67.

¹⁰⁰ Hd — 1858.

¹⁰¹ სცსია, ფ. 1448, საბ. 3160.

შესახებ ჩვენება ჩამოართვეს ველისციხელ და გავაზელ გლეხებს. ჩანს, რომ სადავო მიწები — სახსნავ-საძოვარი ალაზნისპირა მიდამოებში იყო (გავაზი ალაზნანს ვაღმა მდებარეობს, ხოლო გურჯაანი, ჩუმლაყი და ველისციხე — მის გამოღმა). დამახასიათებელია ველისციხელთა ჩვენება ფიციით, რომ არ გაგვიგონია ჩუმლაყელთა და გურჯაანელთა დავა იმ მიწებზე, რაზედაც ამჟამად დაობენო; რომ ამ სადავო მამულთ, საბალახეთ, ჩვენც გვისარგებლია და აგრეთვე „გურჯაანელთაგან გვიხნავს“, მაგრამ ჩვენთვის არც საბალახე და არც დალა არ გამოუერთმევეიათო¹⁰². ცხადია, ველისციხელების ჩვენება: ჩვენც გვინახავს ის მიწა, მაგრამ ჩვენთვის ვინმეს „დალა“ და „საბალახე“ არ გამოუერთმევეიათო, — სათემო მიწათმფლობელობას ნათლად მოწმობს. აღნიშნული სადავო სახნავი მიწა და საძოვარი, ჩანს, საერთო-სათემო იყო და მას რამდენიმე სოფელი ერთად ფლობდა და კოლექტიურად სარგებლობდა.

XVIII ს. 90-იან წლებში სათემო მიწებზე დაობენ აგრეთვე სოფ. ართანის და სანადიროს (სანავარდო?) გლეხები, 1798 წელს დაადგინეს ართანელთა და სანადიროელთა სადავო სათემო მიწების მიჯნა: „ართანას ქვემოთ საყდარი“, ხოლო მის გასწვრივ „ქუქიანთ თელა“. ამ საზღვრებს ქვემოთ კი, ალაზნამდის „ბატონის სახასო მამული“ ყოფილა¹⁰³.

მათი დავა სათემო სახნავეებზე კვლავ განახლდა და 1800 წ. 3 სექტემბერს სანადიროს მებატონე იამეითრის შვილი მეფე გიორგი XII-ს არზას აძლევს, სადაც უჩივის ართანელებს, სანადიროს მიწებს ხნავენო. არზაში იამეითრის შვილი მეფე გიორგის სწერს: „თქვენ რომ სოფელი წყალობა გვიყავით, იმ სოფლელებს თავიანთ მამულს არ ახენივინებენ, ართანელნი ხენენ. კურთხეულის მეფისგან და მოხელეებისაგან გარჩეული არის და გუჯარიც თქვენგან დამტყციებული არის.

ამ წყალობას ვითხოვ, თქვენს შვილს ბაგრატიუნდ ერთი [ოქმი] გვიბოძოთ. ჩვენ ჩვენი დაგვენბდეს და იმათ თავიანთი და რაც იმათ ნახნავი იყოს ჩვენს მამულში, ის ჩვენ დაგვენბდეს. იმის სამაგიეროთ თავიანთ მამული გვიჩვენონ, ჩვენ მოუხნათ“¹⁰⁴.

102 Ad — 242.
103 Hd — 4432.
104 Hd — 4460.

მეფე გიორგიმ საქმის გარჩევა და მათი სათემო სახსრების
ჯენა თავის შვილს ბატონიშვილს დაავალა, ხოლო ბატონიშვილმა,
ბატონიშვილმა, თავის მხრივ, — თუშთ მოურავ დურმიშხან ჩოლო-
ყაშვილს¹⁰⁵.

1799 წელს სათემო-სასოფლო სახსრავ მიწებზე გაღმა მხარ-
ში დაობენ სოფ. შილდისა და სოფ. ყვარლის მცხოვრებნი.
სადავო მამული გამიჯნეს¹⁰⁶.

ამავე 1799 წლის აგვისტოში, აქვე, საშემოდგომო თესვის დროს,
სასოფლო სახსრავ მიწებზე დაეობენ სოფლები — ენისელი და
აღდგომა¹⁰⁷. სოფ. ენისლის გლეხებს მოუხნავთ და დაუფარცხავთ
სოფ. აღდგომის გლეხთა საერთო სათემო მიწები, ხოლო თვით აღდგო-
მის გლეხთა მიერ მოხსული მიწების ნაწილი ენისელ გლეხებს დაუ-
ფარცხავთ. უფრო მეტიც, ენისელებს აღდგომის სათემო მიწების ნა-
წილი დაეთესათ კიდევც. აღდგომელებმა ამ წლის 13 ოქტომბრის არ-
ზით მეფე გიორგისთან იჩივლეს, სადაც აღნიშნავენ, რომ ენისელნი
მუშაობას არ გვანებებენ, „გუთნებს გვირევენ“, გამიჯნულ საზღვრებს
არ აჯერდებიან, „ერთიან შეყრილი ენისელი სოფლები უ-
რად მოგვიხდენ დამე. ჩვენ ამათი შფოთი არ შეგვიძლია“,
გვედრებით სამართალში დაიბაროთ და გვალაპარაკოთო.

გიორგი XII-მ „ერთობით ენისელებს“ უბრძანა, აღდგომის სო-
ფლის მიწების მიჯნებს ნუ არღვევთ, აღდგომელებს ზენასა და მუშა-
ობას ნუ უშლით, თქვენი მიწები გამიჯნული არისო¹⁰⁸.

დავა გაგბრძოდა და ერთი თვის შემდეგ მეფე გიორგის ბრძანე-
ბით ამბროსი ნეკრესელი, სოფელ აღდგომის ეკლესიის მოურავი ვი-
ორგი მაყაშვილი და სხვა მოხელენი ენისელში მივიდნენ და აღ-
დგომის სოფლის სათემო მიწები ხის ჯვრების ჩასმით აღაზნამდე სა-
თანადოდ გაიჯნეს. აღდგომის სოფლის მამულების გამიჯვნის ეს წიგ-
ნი შემდეგ თვით მეფემ დაამტკიცა¹⁰⁹.

ამასთან, მეფე გიორგიმ 1799 წ. 6 ნოემბერს ბრძანა: ენისელებსა
დათესილი მიწები აღდგომის გლეხებისთვის უნდა დაენებებიათ, ხო-

105 Hd — 4460.

106 Hd — 9590.

107 Ad — 1931ბ.

108 სცხია, ფ. 1450, დავთ. 51, საბ. 159.

109 სცხია, ფ. 1450, დავთ. 51, საბ. 166.

ლო აღდგომის გლეხებს ენისელოათვის უნდა მიეცათ იმდენი სათემო მარცვლეული, რამდენიც ენისელებმა დათესეს სოფ. აღდგომის სათემო მიწებზე. დანარჩენი — ენისელების მიერ აღდგომის სათემო მიწებზე მოხნული და დაფარცხული ნაკვეთები — მათ აღდგომის მცხოვრებთათვის უნდა დაებრუნებიათ. სამაგიეროდ, იმდენი მიწის ფართობი, რამდენიც ენისელებმა მოხნეს და დაფარცხეს აღდგომის სათემო მიწებზე, ამდენივე ფართობის მიწა აღდგომის გლეხებს უნდა მოეხნათ და დაეფარცხათ ენისელი გლეხების სასოფლო მიწებზე¹¹⁰.

ზემომოტანილი ფაქტები შესანიშნავად ცხადყოფენ კახეთის გაღმამხრის სოფლებშიც სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობას.

როგორც ცნობილია, დეოდალიზმის დროს სათემო მიწათმფლობელობის ერთ-ერთი არქაული ფორმა იყო სახატო, მიწათმფლობელობა, ხატის მამულები. რომელიც მთელი თემის კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენდა. მას კოლექტიურად ამუშავებდნენ და მოსავალსაც კოლექტიურად ინაწილებდნენ, ან ხარჯავდნენ სახატო-რელიგიური დღესასწაულების დროს. ასეთი სახატო მამულები, ხშირად ფეოდალების მიერ შეწირული, ბევრი იყო კახეთში, სახელდობრ, ფშავის ცნობილი ლაშარის ჯვრისა. მაგალითად, სოფ. მარილისი ძველთაგან ლაშარის ჯვრის სახატო მამული იყო. მართალია, ეს სოფელი სამეფოს სახასო და ასევე ჩოლოყაშვილების საბატონოც იყო, მაგრამ ამავე დროს ლაშარის ჯვრისადმი შეწირული და მისი სახატო მამული, ხოლო მარილელები ლაშარის ჯვრის ყმები¹¹¹. სახატო მამულები კახეთში იყო სხვა სოფლებშიც. ზოგჯერ ამ საერთო სასოფლო სახატო მიწებზეც იყო დავა სოფლებს შორის.

ერთი ასეთი დავა გაიმართა წმ. გიორგის საერთო სახატო მიწებზე 1799 წელს, უკანაფშაველთა (სოფ. ფშაველი?) და გაღმამხრის ფშაველთა შორის. დავა გაარჩია დავით ბატონიშვილმა (მეფე გიორგის ძემ) და 1799 წ. 8 სექტემბრის განჩინებით, რომელიც მეფე გიორგიმ დაამტკიცა, ასე გადაწყვიტა: „რადგან უკანაფშაველნიც და ლალისყურის ფშაველნიც ორნივე წმინდის გიორგის წყაროს თავე(მ)დის ხატის მლოცავნი არიან, ამათ რა:ც

110 Hd — 1931.
111 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd — 2942.



წმინდის გიორგის ვენახები აქვს, ანუ სახნავი
 მე, მამული მათი ყოველივე საერთო არის და
 ნახების გამოსავალი ორ წილად დავსდევით. ერთი წილი გამოსავალი
 უკანაფშაველთ მიეცემოდეს და მეორე წილი გამოსავალი ვალმა ლა-
 ლისყურის ფშაველთ¹¹².

ასეთი სახატო საერთო მამულები, რომელნიც სათემო-კოლექტი-
 ური მიწათმფლობელობის ძველი, არქაული ფორმა იყო, კახეთის სხვა
 კუთხეებშიც არსებობდა.

XVIII ს-ის დასასრულს სამამულო დავა წამოიჭრა სტეფანე
 რუსთველ ეპისკოპოსსა და სამეფო სოფლის ნორიოს გლეხებს
 შორის. 1799 წელს ნორიელები ჩიოდნენ გიორგი მეფესთან, რომ რუ-
 სთველი გუჯარში აღნიშნულ შეწირული მამულების საზღვრებს არ
 სჯერდებო, რომ ძველთა მეფეთაგან გუჯრით ღვთაების* ეკლესი-
 სათვის შეწირულია „ჭობარტის სოფელნი და მამულები. რუსთველ-
 ამას არ სჯერდება და ჩვენს მამულებს გვართმევსო“. როგორც განჩი-
 ნებაშია ნათქვამი, სტეფანე რუსთველს „ნორიელნი სახნავს მიწებს ეცი-
 ლებოდნენ“¹¹³.

ნორიელ გლეხთა და რუსთველის დავა განსაჯეს და 1800 წ. 21
 აგვისტოს განჩინებით გადაწყვიტეს გიორგი მეფის ძე იოანემ, მდივან-
 ბეგმა, მსაჯულმა სოლომონმა** და მარტყოფის მოურავმა ზაალმა, რომ
 მლებსაც ახლდნენ „კახნი თავადიშვილები“, ასევე „მარტყოფელნი და
 ნორიელნი“ და „მახსოვარნი“ კაცები.

მოსამართლენი ჭობარტის მთაზე ასულან, გუჯარი წაუკითხავთ
 და „რომელსაც მამულებს ნორიელნი რუსთველს ეცილებოდენ, მიჯ-
 ნით მიჯნამდის“ დაუვლიათ. როგორც გუჯარში ეწერა, მოსამართლე-
 ებმა რუსთველის ანუ ღვთაების ეკლესიის მამულებად ცნეს „ჭობარტის
 წვერსა და პირდაპირ ლილოს მთას ზემოთ“ მდებარე სახნავი მიწები
 („რასაც ჭობარტის წვერი პირდაპირ ლილოს მთამდის სისწვრივ გა-
 ღმოსჭრის“ — ამის ზემოთ მდებარე მამულები, სახნავები).

112 Sd — 2957.

* გვიან ხანაში, რუსთავის მოშლის შემდეგ, როგორც ცნობილია, რუსთველ-
 ეპისკოპოსი ღვთაებას იჯდა (მარტყოფს).

113 Ad — 190, 191.

** სოლომონ ლიონიძე? განჩინებაში დასმულ ბეჭედს აწერია „მსაჯული სო-
 ლომონ“.

კომპორტის წვერისა და მის პირდაპირ ლილოს მთის ქვემოთ მდებარე მიწები კი ნორიელების მიწებად ცნეს.

იანჩინებაში დაადგინეს აგრეთვე, რომ თუ ნორიელები აღნიშნულ მიწებს არ დასჯერდებოდნენ და მამულზე ცილობას დაიწყებდნენ, მაშინ ოთხ მოწმე და „მასხოვარ“ კაცს, რომლებმაც ამ იანჩინებაში მონაწილეობა მიიღო, ღვთაების ხატი ხელთ უნდა ეპყრათ, მათ უნდა მიჰყოლოდნენ კიდევ რუსთველის მიერ არჩეული „ოთხნიც უფროსი“ კაცი ნორიელნი ღ(ვ)თის მოშიშნი“ და საცილობელი ადგილ-მამულის მიწები დაეცლოთ და გამოეფიცათ.

ნორიელებს ამ მხრივ ოცი დღის ვადა ეძლეოდათ. თუ ნორიელები ამ დროში ვერ გამოიფიცავდნენ საცილობელ სახნავ მიწებს, მაშინ მიწები ძველებურად დარჩებოდა, როგორც გუჯარში ეწერა და როგორც ჭეშმარიტად ცნეს მოსამართლეებმა. იასაულს ნორიელ გლეხთა და რუსთველის (ღვთაების ეკლესიის) მამულების საზღვრების ათ ადგილზე მიწები უნდა ჩაესხა¹¹⁴.

XVIII ს-ის მიწურულს სათემო-საერთო სახნავ მიწებზე დავა („შფოთი და ჩხუბი“) აქვთ აგრეთვე ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ი ს საეკლესიო ყმებსა და ბ ე რ თ უ ბ ნ ი ს მცხოვრებთ. „ნინოწმინდლის ყმანი და ბერთუბნელები რომ თავეთს სამძღვრებზედ ტყეზედა და სახნავს მიწებზედ დაობენ“, ჩვენ მოგვხსენდაო, — წერს მეფე გიორგი საგარეჯოს მოურავს სახლთუხუცეს გიორგის და საგარეჯოს ნაცვლებს უბრძანებს, რომ „მანამ ჩვენ მაგათი სამართლისათვის მოვიცლიდეთ და ან შეწირულების გუჯრებს გავჩხრეკდეთ, მაგათ ერთმანეთს არა შესცოდონ რა, თორემ იცოდნენ ჯარიმით გარდავახდევინებთ“-ო¹¹⁵.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობას XVIII ს-ის ბოლო წლების რიგ საბუთებთან ერთად კარგად მოწმობს აგრეთვე ერთობით გ რ ე მ ი ს მ ც ხ ვ რ ე ბ გ ლ ე ხ თ ა 1799 წ. 28 იანვრის არზა გიორგი მეფისადმი, სადაც ისინი ითხოვენ, რომ, რაც სახნავი მიწები აქამდე მათ მამა-პაპათ სჭერიათ, იგივე დაუტოვონ მათ უკლებლივ, ცხადია, აქ, არზაში, გლეხთა საკუთარ ინდივიდუალურ მიწის ნაკვეთებზე რომ იყოს ლაპარაკი, მაშინ მათ ასეთი თხოვნა არ დასჭირდებოდათ. არზაში ლაპარაკია მთელი სოფლის გლეხთა სათემო-საერთო მ-

114 Ad — 191.

115 Ad — 123.



წებზე. გრემელი გლეხები არზაში აღნიშნავენ სათემო სახსნავი მამულებსა საზღვრებს.

გიორგი მეფემ „გრემელთ ერთიან სოფლისა“ „მოსახსენებელს“ ასეთი ოქმი დაადო: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ერთობით გრემელნი... როგორადაც კურთხეულის მამის ჩვენის დროს და აქაღლის გიხნამსთ და გჭერით მამულები ახლაც ისე უნდა გეჭიროსთ და ხნაორიგინად“¹¹⁶.

სახსნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი მიწების გარდა, გლეხთა სათემო-საერთო მფლობელობა-სარგებლობაში იყო აგრეთვე მთა, ტყე. ჩვენ არაერთი საბუთი გვაქვს სოფლებს შორის სათემო მთაზე დავთა, თემის მიერ „საბალახეს“ აღების თაობაზე. ნაწილი ამ საბუთებსა ნაშრომში მოვიტანეთ და მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

რადგანაც, აქამდე სპეციალური გამოკვლევა XIII—XVIII საუკუნეების სათემო მიწათმფლობელობაზე არ არსებობდა და, ბუნებრივია, ეს საადგილმამულო დოკუმენტაცია სამეცნიერო მიმოქცევაში არ ყოფილა, მისი ასე მდიდრულად, შეიძლება გადაჭარბებულია. ვეცდებით მონოგრაფიაში საჭიროდ მიგვაჩინო საკითხის სრულყოფილი გაშუქების მიზნით. ამასთან, ეს მდიდარი საადგილმამულო დოკუმენტაცია მკვლევრებს საშუალებას მისცემს მოცემული პრობლემატიკის სხვადასხვა კუთხით მეცნიერულ-თეორიული გააზრებისათვის.

* * *

მოტანილი საადგილმამულო დავის საბუთები XVI—XVIII საუკუნეებისა მოწმობს, რომ მოცემულ ხანაში, XIII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში, უმთავრესად ქვემო ქართლში და განსაკუთრებით მთელ კახეთში, სახსნავ მიწებზე და სათიბ-საძოვრებზე გაბატონებულია გლეხთა სათემო-საერთო (კოლექტიური) მიწათმფლობელობის (მიწათსარგებლობის) ფორმა. სათემო მიწათმფლობელობის ეს ფორმა მასობრივად, თითქმის ერთნაირი სიდიდით არსებობს როგორც სამეფო (სახელმწიფო), ისე საეკლესიო და საბატონო გლეხობაში.

¹¹⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd — 545.



“შეიძლება დაისვას კითხვა: მიუხედავად ასეთი მრავალრიცხოვანი საბუთებისა, ზემოთ გაკეთებული დასკვნა — აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და მთელ კახეთში, XIII—XVIII საუკუნეებში გლეხთა სახნავ-სათეს და სათიბ-საძოვარ მიწებზე სათემო-საერთო მიწათმფლობელობის მასობრივად არსებობის შესახებ — ხომ არ არის გადაჭარბებული ცდუნება. ვფიქრობთ, არა.

1804 წელს რუსულმა მმართველობამ აღწერა მთელი კახეთის მოსახლეობა. აღწერეს კახეთის ორივე ნაწილი — სიღნაღისა და თელავის მაზრა. აღწერა აშკარად ადასტურებს მასობრივ სათემო-საერთო მიწათმფლობელობას მთელს გლეხობაში.

სიღნაღის მაზრაში აღწერა 47 სოფელი. მაზრაში შედიოდა ქიზიყი მთლიანად და შიდა და გარე კახეთის რიგი სოფლები.

აღწერით სიღნაღის მაზრაში მთელი რიგი სახელმწიფო (ყოფილი სამეფოს სახასო) სოფლების გლეხთა კომლექს ინდივიდუალურ მფლობელობაში არსებული საკარმიდამოს, ბაღ-ვენახებისა და სახნავის ფარდა, გააჩნდათ აგრეთვე საერთო სახნავი და სათიბი მიწები. აღწერაში ასეთ მიწებს ეწოდება „სასოფლო“, „საერთო“ ან „საზოგადო“ მიწები.

სახაზინო სოფელ ნუკრიანის გლეხთა საერთო-სათემო მიწების მიმართ აღწერაში ნათქვამია, რომ „სოფელ ნუკრიანს სოფელ კოტორთან ერთად გააჩნია საერთო მიწა სახნავ-სათესად და სათიბად, სიგრძე-სიგანით ათი ვერსისა“, ანუ 100 კვ. ვერსი ფართობი, რაც დაახლოებით 10 000 დეკტინას შეადგენს*.

სოფ. მაღაროზ გლეხებს აღწერით სათემო-საერთო სახნავი და სათიბი მიწები გააჩნდათ 144 კვ. ვერსი, სოფ. ფანიანის და სოფ. ვაჭირის გლეხებს საერთო სახნავ-სათიბი მიწები გააჩნდათ 250 კვ. ვერსი ფართობი, სოფ. მაჩხაანის გლეხებს — 85 კვ. ვერსი.

ზოგჯერ საერთო სახნავ-სათეს და სათიბ მიწებს რამდენიმე სოფელი ერთად ფლობდა. მაგალითად, ოზაანი, ტიბაანი, პრასიანი და ჯუგაანი, რომელთა საერთო მიწების ფართობი შეადგენდა 75 კვ. ვერსს.

1804 წლის აღწერით საერთო სათემო მიწები გააჩნდათ აგრეთვე საეკლესიო გლეხებს. მაგალითად, საეკლესიო სოფლებს ბოდბე-

* აღწერაში მიწების ფართობის სიგრძე-სიგანე ვერსობით არის მოცემული



სა და ქედელს საერთო სახნავი და სათიბი მიწები ჰქონდათ 1150 კვ. ვერსი, სოფ. ბოდბის ხევის გლეხებს — 50 კვ. ვერსი ფართობი. საერთო სათემო სახნავი მიწები ჰქონდათ აგრეთვე სხვა საეკლესიო სოფლებსაც — ჩუქლაყის, ახაშენის, კაკაბეთის, რომელთა სახნავი მიწები აღწერაში მხოლოდ საერთო ფართობის სახითაა მოცემული.

აღწერით სათემო-საერთო ადგილ-მამული გააჩნდათ საბატონო გლეხებსაც. საერთო სათემო მიწები აქვთ საბატონო სოფლებს: კარდანახს, ვეჯინს, კოლაგს, გურჯაანს, ზიარს, კოდალს, ფხოველს, მელაანს, ჯულაანს¹¹⁷.

აღწერით მხოლოდ 13 სოფელს — ნუკრიანს, ჭოტორს, მალაროს, ფანიანს, ვაქირს, მაჩხანს, ოზანს, ტიბაანს, პრასიანს, ჯუგაანს, ბოდბეს, ქედელს, ბოდბისხევს — სათემო-საერთო სახნავ-სათიბი მიწების ფართობი გააჩნდა 954 კვ. ვერსი, ანუ 95. 000 დესეტინაზე მეტი (190 000 დლიურზე მეტი).

მთლიანად რა ფართობს შეადგენდა სიღნაღის მაზრაში ყოველგვარი სახის სათემო-საერთო მიწები 1804 წელს, რათა შევადაროთ იგი გლეხთა საკუთარ, ინდივიდუალური მიწის ნაკვეთების ფართობს, ამის დადგენა, აღწერის არასრული მონაცემების გამო, არ ხერხდება. მია უფრო შეუძლებელი ხდება გლეხთა საერთო სათემო სახნავი მიწის ფართობის დადგენა, რადგან გლეხთა საერთო მიწებში სახნავი და სათიბი ფართობი ერთადაა მოცემული. მიუხედავად ამისა, აშკარაა, გლეხობის საერთო-სათემო მიწების ფართობი სჭარბობდა მათ ინდივიდუალურ მიწების ფართობს, მათ შორის საერთო სახნავი მიწები — ამავე სახის ინდივიდუალურ სავარგულებს. ამაზე მიგვანიშნებს საერთო-სათემო სახნავ-სათიბი მიწების ფართობის სიდიდე, რომელიც ასეულობით კვადრატულ ვერსებს შეადგენს. ამასვე მოწმობს სხვა საკონტროლო მონაცემიც, კახეთის მეორე ნაწილის — თელავის მაზრის მოსახლეობის აღწერა იმავე 1804 წელს, რითაც კახეთის ამ კუთხის 83 სოფელში გლეხთა (4. 804 კომლი) ინდივიდუალური „საკუთარი სახნავი მიწა“ შეადგენდა 19. 775 დლიურს¹¹⁸, ხოლო მათი

¹¹⁷ დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) — 1800—1864 წწ., თბ., 1971, გვ. 189—191.

¹¹⁸ საქ. ცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 70. მონაცემები დაჯამებულია ჩვენ მიერ

სათემო „საერთო სახნავი მიწა“ ვაცილებით მეტს — 27.600 დღიურზე მეტს; ამგვარად, თუ თელავის მაზრაში (რომელშიც შედიოდა გარე და შიდა კახეთის და გაღმა მხრის სოფლები) სათემო მფლობელობას სახნავ მიწებზე ვაცილებით მეტი ფართობი ეკავა, ვიდრე ინდივიდუალურს, მით უმეტეს ასე უნდა ყოფილიყო კახეთის მეორე ნაწილში, — სიღნაღის მაზრაში, რომლის უმეტესი ნაწილი ქ ი ზ ი ყ ი იყო, სადაც საგლეხო მიწათმფლობელობაში სათემო მფლობელობას დომინირებული მდგომარეობა ეკავა.

თ ე ლ ა ვ ი ს მაზრაში 1804 წელს აღიწერა 83 სოფელი. აღწერით გლეხთა სათემო-საერთო მიწათმფლობელობა არსებობდა სახნავ მიწებზე, სათიბ-საძოვრებზე და ტყეზე (მთაზე), ხოლო ინდივიდუალური მფლობელობა, ცხადია, საკარმიდამოზე, ვენახებსა და ბალ-ბოსტნებზე. სათემო მიწათმფლობელობა, როგორც მოველოდით, აქაც დასტურდება ყველა კატეგორიის გლეხობაში. აღწერის თანმიმდევრობის მიხედვით ქვემოთ წარმოვადგენთ სათემო-საერთო მიწათმფლობელობას.

სოფ. შ ა ლ ა უ რ ი ს 23 კომლ საუფლისწულო გლეხს გააჩნდა 100 დღიური საერთო მიწა, სოფ. ნ ა ს ო მ ხ ა რ ი ს 5 კომლს — 50 დღიური საერთო, „გაუყოფელი“ სახნავი მიწა¹¹⁹.

სოფ. კ ი ს ი ს ხ ე ვ შ ი ალავერდის 20 კომლ სამონასტრო გლეხს ჰქონდა 200-მდე დღიური საერთო მიწა, როგორც აღწერაშია ნათქვამი „გაუყოფელი საერთო მფლობელობაში“. ამავე სოფლის 26 კომლ საბატონო გლეხს გააჩნდა 100-მდე დღიური „საერთო სახნავი მიწა“¹²⁰.

სოფ. ვ ა ნ თ ა ს 15 კომლ საკათალიკოსო-სამონასტრო გლეხს გააჩნდა 100 დღიური საერთო სახნავი მიწა, ხოლო სოფ. აკურას (ათეფელი, რომელსაც ხშირი დავა ჰქონდა XVI—XVIII საუკუნეებში სხვა სოფლებთან საერთო-სათემო სახნავებზე) 40 კომლ დავით გარეჯის სამონასტრო გლეხს გააჩნდა „700-მდე დღიური სახნავი მიწა საერთო მფლობელობაში“¹²¹.

სოფ. კ ა ლ ა უ რ ი ს 80 კომლ სახელმწიფო და 75 კომლ საბატონო გლეხს აქვთ გაუყოფელი საერთო სახნავი მიწები — 850 დღიური. ვე-

119 საქ. ცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 70, ფურც. 19—20.

120 სსსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 70, ფურც. 22.

121 იქვე, ფურც. 24—25. ნიმუშისათვის სოფ. აკურას გლეხთა სათემო სახნავების შესახებ აღწერაში ნათქვამია: «Имеется пахотной земли совокупно владеемой».



ნახი სოფელში გააჩნდა 64 კომლს, ცხადია, როგორც ეს აღწერილია არის აღნიშნული, ინდივიდუალურ მფლობელობაში — კომლებზე გაყოფილი, ხოლო ტყე, — საწვავი და სამშენებლო, — „მთელი სოფლის საერთო მფლობელობაში“, რომლის სიგრძე შეადგენდა 40, ხოლო სიგანე 7 ვერსს¹²².

სოფ. შაშინის 41 კომლ სახელმწიფო გლეხს გააჩნდა 200 დღიური საერთო მიწა, ხოლო სოფ. ურიათუბნის 56 კომლ საუფლისწულო და საბატონო გლეხს საერთო სახნავი მიწები გააჩნდა 250-მდე დღიური¹²³.

ჩვენს წინაშეა გიორგიშინდის, საგარეჯოს და ნიონიშინდის მოსახლეობის აღწერა, იმ ცნობილი სოფლებისა, რომელთაც ხშირი დავა ჰქონდათ მეზობელ სოფლებთან საერთო-სათემო სახნავ მიწებზე, მათ შორის, გიორგიშინდას — სამასლოვანს დავა მაჰანთ-მარამჯვართან. 1804 წელს სამივე სოფელში ითვლებოდა 223 კომლი. აღწერით ამ სოფლებს სახნავი და სათიბი მიწები ჰქონდათ საერთო მფლობელობაში, როგორც აღწერაშია ნათქვამი „საკმაო რაოდენობით“, ფართობის მიუთითებლად. მიწები საერთო იყო როგორც ცალკეული სოფლების გლეხთა შორის, იმე აღნიშნულ სოფლებს შორისაც.

ტყე (საშენი, საწვავი) ასევე გააჩნდათ „ბევრი“ — საერთო მფლობელობაში. რაც შეეხება ვენახებს, აღწერით, ცხადია, გლეხებს ჰქონდათ ინდივიდუალურ მფლობელობაში¹²⁴.

სახანძრო სოფ. პატარძელის 98 კომლ სახელმწიფო გლეხს, აღწერით, „სახნავი და სათიბი მიწები აქვთ საერთო მფლობელობაში — 1700 დღიური“. ტყე სოფელს, როგორც წესი, საერთო, ხოლო ვენახები, ცხადია, ინდივიდუალურ მფლობელობაში ჰქონდათ.

ამავე სოფლის 9 კომლ სამონასტრო გლეხს გააჩნდა 200 დღიური საერთო სახნავი მიწა¹²⁵.

¹²² სესია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 70, ფურც. 26. ნიმუშისათვის კალატრის გლეხთა რუსულ ენაზე შექმნილი ნათქვამია: «Шестидесять четыре дыма имеют выделенные саты разделенные на дымы, лесу соизвкупно всей деревней вл. одного с этого и дрозяного, длиною на 40 а полдерешняему на 7 верс».

¹²³ სესია, ფ. 254, აღწ. I, საქმე 70, ფურც. 27.

¹²⁴ იქვე, ფურც. 28—30.

¹²⁵ იქვე, ფურც. 31.

გარეკახეთში სოფ. ხაშმის 47 კომლ სამონასტრო გლეხს გააჩნდა 450 დღიური საერთო სახნავი და სათიბი მიწა, სახაზინო სოფელ უჯარმის 59 კომლ სახელმწიფო გლეხს საერთო მიწები ჰქონდათ 300 დღიური, სართიკალის 36 კომლ სახელმწიფო გლეხს აღწერით „სახნავი და სათიბი მიწები აქვთ საერთო მფლობელობაში საკმაო რაოდენობით“¹²⁶; მარტყოფში მცხოვრებ 66 კომლ რუსთველის სამონასტრო გლეხს გააჩნია 1.000 დღიური საერთო სახნავი მიწა, ხოლო სოფ. ნორიოს 76 კომლ სახელმწიფო გლეხს — 800 დღიური საერთო მიწა¹²⁷.

1804 წლის აღწერით სახნავი და საერთოდ მიწები საერთო-სათემო მფლობელობაში გააჩნდათ აგრეთვე: სოფ. თიანეთის 106 კომლ სახელმწიფო (ყოფილ საუფლისწულო) გლეხს — 800 დღიური სახნავი მიწა, ხოლო ამავე სოფლის 20 კომლ სამონასტრო გლეხს — 250 დღიური სახნავი მიწა¹²⁸, ქისტაურისა და ბოქორშია 55 კომლ საბატონო გლეხს — 300 დღიური მიწა, რჩეულეთის 26 კომლ ალავერდის სამონასტრო გლეხს — 300 დღიური მიწა¹²⁹, ჭალაანის (ჩალაანის?) 10 კომლ სამონასტრო გლეხს — 100 დღიური მიწა¹³⁰.

გალმამხარში მიწები საერთო-სათემო მფლობელობაში ჰქონდათ: სოფ. გავაზის 113 კომლ სახელმწიფო (ყოფილ სადედოფლო) გლეხს და 4 კომლ სამონასტრო გლეხს სოფ. ჭიკაძის 36 კომლ სახელმწიფო გლეხთან ერთად — 2.400 დღიური სახნავი მიწა¹³¹, სანავარდოს 61 კომლ სახელმწიფო გლეხს (ყოფილი სადედოფლო) — 100 დღიური სახნავი მიწა¹³², სახაზინო სოფელ კუჭატნის (ყოფილი სადედოფლო) 47 კომლ სახელმწიფო გლეხს — 100 დღიური სახნავი მიწა¹³³, სოფ. ვეფხისციხის გლეხობას (ყველა კატეგორიისა) — 300 დღიური მიწა, რომელზედაც ელავებოდნენ ში-

126 იქვე, ფურც. 32—34.
127 სცსია, ფ. 254, აღწ. I, საქმე 70, ფურც. 35—37.
128 იქვე, ფურც. 38—39.
129 იქვე, ფურც. 42—43.
130 იქვე, ფურც. 49.
131 იქვე, ფურც. 60—61.
132 იქვე, ფურც. 62.
133 იქვე.



ლდელი გლეხები. გარდა თავისი სახნავისა, ვეფხისციხელები ვებდნენ იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო მიწება, 550 დლიურს, ღალას უხდიდნენ მონასტერს¹³⁴.

სოფ. ყვარლის 80 კომლ საეკლესიო გლეხს გააჩნდა 700-მდე დლიური გაუყოფელი საერთო სახნავი მიწა¹³⁵, სახაზინო სოფელ ნაქალაქევის 12 კომლ სახელმწიფო გლეხს (ბატონიშვილ იულონის ყოფილი საუფლისწულო) — 250 დლიური საერთო მიწა¹³⁶; სოფელ ადდგომის 19 კომლ სამონასტრო გლეხს — 200 დლიური საერთო მიწა¹³⁷.

სოფ. შაქრიანის (სახაზინო) 58 კომლ სახელმწიფო გლეხს გააჩნდა 800 დლიური საერთო სახნავი მიწა. ამის შესახებ აღწერაში ვკითხულობთ: „აქვთ საერთო მფლობელობაში კომლებზე გაუყოფელი მიწები 800 დლიური, ვისაც რამდენი შეუძლია მოხნას“¹³⁸.

ყოფილ სამეფოს სახასო, ხოლო შემდეგში ერეკლეს მიერ თავად გარსევან ჭავჭავაძისათვის ბოძებულ საბატონო სოფელ ნაფარეულის 121 კომლ ყმა გლეხს (მთელ სოფელს) გააჩნდა კომლზე გაუყოფელი საერთო-სათემო მიწა 4 000 დლიური¹³⁹, სოფ. საფიურას 32 კომლ გლეხს ჰქონდა 500 დლიური საერთო მიწა¹⁴⁰. საერთო-სათემო მიწა გააჩნდა აგრეთვე სახაზინო სოფელ ხორბალოს მცხოვრებთ — 20 კომლ გლეხს 50 დლიური მიწა¹⁴¹.

სულ, გლეხთა სათემო-საერთო სახნავი მიწა თელავის მაზრაში 1804 წლის აღწერით შეადგენდა 27. 600 დლიურს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში გლეხობის საერთო-სათემო სახნავი მიწების ფართობი გაცილებით მეტი იყო, რადგან აღწერაში არაა მოცემული გიორგიწმინდის, საგარეჯოს, წინოწმინდის, სართიჭალის და რიკი სხვა სოფლების სათემო-საერთო სახნავი მიწები, რაც ათასობით დლიურს შეადგენდა.

¹³⁴ იქვე, ფურც. 63—64.

¹³⁵ იქვე, ფურც. 66.

¹³⁶ სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 70, ფურც. 71—72.

¹³⁷ იქვე, ფურც. 72.

¹³⁸ «Имеют землю неразделенную на дымы а совокупно владеемую сколько кто в состоянии пахать на 800 дней» (იქვე, ფურც. 75).

¹³⁹ სცსია, ფ. 254, აღწ. 1, საქმე 70, ფურც. 76.

¹⁴⁰ იქვე, ფურც. 77.

¹⁴¹ იქვე.

გარდა საერთოსი, გლეხურ მოსახლეობას თელავის მაზრაში, 1804 წლის აღწერით, სახნავი მიწები გააჩნდა აგრეთვე „კომლზე დაყოფილი“ და იგი შეადგენდა 19. 775 დლიურს.

ცხადია, 1804 წლის აღწერის მონაცემები საერთოდ არასრულია და გლეხობას ვაცილებით მეტი ფართობის სახნავი მიწები გააჩნდა, რაც კარგად ჩანს გვიანდელი სრული აღწერებით, რითაც საგლეხო მიწათმფლობელობის ფართობი კახეთში, კერძოდ კი გლეხობის სახნავი მიწების ფართობი ვაცილებით მეტია, ვიდრე ეს 1804 წლის აღწერაშია მოცემული.

1804 წლის აღწერით ტყე თელავის მაზრაში ყველა სოფელს საათემო საერთო მფლობელობაში ჰქონდა.

რაც შეეხება ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებს, ცხადია, ისე როგორც ქვეყნის ყველა დანარჩენ კუთხეში. აქაც გლეხობას საკუთარ ინდივიდუალურ მფლობელობაში ჰქონდა.

1804 წლის აღწერით თელავის მაზრაში გლეხთა საათემო-საერთო მიწების ფართობი ვაცილებით დიდი იყო გლეხთა კომლების ინდივიდუალურ მფლობელობაში არსებულ სახნავი მიწების ფართობთან შედარებით. სახელდობრ, გლეხთა საათემო-საერთო სახნავი მიწების ფართობი აღწერით შეადგენდა 27 600 დლიურზე ვაცილებით მეტს, ხოლო ინდივიდუალური, კომლებზე გაყოფილი სახნავი მიწების ფართობი — 19 775 დლიურს¹⁴². აღწერის მონაცემები საერთოდ, როგორც ითქვა, სრული არაა, მაგრამ ეს გარემოება ძირითად სურათს სრულიადაც არ ცვლის.

როგორც ვხედავთ, გლეხთა საათემო მიწათმფლობელობის ფორმა მოსახლეობის 1804 წლის აღწერის პირდაპირი და ნათელი მონაცემებით მასობრივად დადასტურდა კახეთში, თანაც მწარმოებელი მოსახლეობის ძირითად საარსებო სავარგულებზე — სახნავ მიწებზე. ამასთან, იგი მასობრივად დადასტურდა ყველა უწყების და კატეგორიის გლეხობაში. აღწერის მონაცემებით გლეხთა კომლებზე დაყოფილა

¹⁴² როგორც ითქვა, აღწერის მონაცემები გლეხთა საერთო სახნავებისა დაჯამებულია ჩვენ მიერ. ადრე თელავის მაზრის 1804 წლის აღწერის მონაცემები გლეხთა სახნავი მიწების ფართობისა დაჯამა გ. ბოჭორიძემ (იხ. საქართველოს არქივი, წიგნი III, 1927 წ., ცხრილი № 5), მაგრამ, როგორც საკითხის ისტორიოგრაფიულ ნაწილში აღინიშნა, მას მონაცემები შეცდომით აქვს დაჯამებული. შესაძლოა, დაჯამებისას მას შექანიკური შეცდომა მოუვიდა.




ინდივიდუალური სახნავი მიწები გაცილებით ნაკლებია მათ საერთო სახნავი მიწების ფართობთან შედარებით და, ამრიგად, გლეხთა სათემო მიწათმფლობელობა კახეთში მოსახლეობის ძირითად საარსებო საფარგულებზე — სახნავ მიწებზე და, მით უფრო სათიბ-საძოვრებზე და ტყეებზე, მასობრივად დასტურდება და გლეხთა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ერთ-ერთ არსებით ფორმად გვევლინება.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობა კახეთში ფართო მასშტაბით დასტურდება მოსახლეობის 1817 წლის აღწერითაც. ამ წლის აღწერაც მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში გლეხთა სათემო-საერთო მიწების ფართობის სიდიდე ცალკეა მოცემული. ასე მაგალითად, სახელმწიფო გლეხთა 1817 წლის აღწერით სოფ. მ ა ნ ა ვ ი ს 55 კომლ გლეხს გააჩნდა „საკუთარი“, ინდივიდუალური სახნავი მიწა 380 დღიური, ხოლო საერთო-„საზოგადოებრივი“ სახნავი მიწა 500 დღიური. სოფ. ა ნ ა ვ ი ს 215 კომლ გლეხს — „საკუთარი“ — (ინდივიდუალური) სახნავი 670 დღიური, ხოლო საერთო-სასოფლო სახნავი მიწა 1.100 დღიური. სოფ. მ ა ღ ა რ ო ს 241 კომლ გლეხს — „საკუთარი“ სახნავი 2.015 დღიური, ხოლო საერთო-სათემო სახნავი მიწა 4.000 დღიური. სოფ. მ ი რ ზ ა ა ნ ი ს, ც უ ლ უ კ ნ ი ს და ა რ ბ ო შ ი კ ი ს გლეხებს საერთო-სათემო სახნავი მიწა გააჩნდათ 6500 დღიური, ხოლო სოფ. ჟ უ გ ა ა ნ ი ს, ტ ი ბ ა ა ნ ი ს, ო ზ ა ა ნ ი ს, კ ო ტ ა ა ნ ი ს და პ რ ა ს ი ა ნ ი ს გლეხებს გააჩნდათ საერთო-სათემო მიწა — 11 000 დღიური. საერთო-სათემო სახნავი მიწები აღწერით გააჩნდათ აგრეთვე სოფ. დ ი დ ს ა და პ ა ტ ა რ ა საქობოს, ნუკრიანს ჭოტორთან ერთად და, ასევე, სხვა სოფლებს¹⁴³.

გლეხთა სათემო-საერთო მიწათმფლობელობას კახეთში აშკარად მოწმობს აგრეთვე 1817 წლის აღწერის სხვა პირდაპირი მონაცემებიც. სახელდობრ, აღწერით მთელ რიგ, როგორც ცალკეულ, ისე ათეულობით კომლ გლეხთა მიმართ მითითებულა, რომ მათ არ გააჩნიათ „საკუთარი“, ინდივიდუალური სახნავი მიწები და „სარგებლობა“ ან „სარგებლობენ“ სოფლის „საერთო“, „საზოგადოებრივი მიწით“—ო. მაგალითად, საკუთარი სახნავები არ გააჩნდათ: სოფ. დ ი დ ს ა ქ ო ბ ო შ ი

¹⁴³ დ. ვოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) — 1800—1864 წწ., თბ., 1971, გვ. 191—192.



14 კომლს, ნუკრიანში — 6, მაღაროში — 25, ზემო მცხეთაში — 74 კომლს. სახნავი მიწები მათ გააჩნდათ სათემო-საერთო“, „საზოგადოებრივ“ მიწებზე¹⁴⁴.

უაღრესად მნიშვნელოვანი სხვა მონაცემებიც გვაქვს კახეთის გლეხთა 1817 წლის აღწერაში. აღწერა გვაწვდის ცნობებს გლეხთა სათემო-საერთო სახნავი მიწების პერიოდული დანაწილების შესახებ. ეს ცნობები უაღრესად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ამით სათემო მიწათმფლობელობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი — სათემო-საერთო მიწების პერიოდული გადანაწილება საქართველოში დასტურდება ფეოდალიზმის ხანაში. სახელდობრ, მონაცემებში რიგ გლეხთა მიმართ აღნიშნულია, რომ მათ სახნავი მიწა მიაღეს, ანუ დოკუმენტის ენით: „წილად ჰვდათ“ სასოფლო-საერთო სახნავი მიწების „დანაწილების შედეგად“. მაგალითად, სოფ. მაღაროს მცხოვრებ გლეხ მათე დოდაშვილის კომლზე ნათქვამია: „აქვს ერთი ვენახის ბაღი, ხოლო სოფლის საზოგადოებრივი მიწიდან სარგებლობს სახნავი მიწით, რომელიც მას წილად ჰვდა დანაწილების შედეგად“. სოფ. ზემო მაჩხაანის მცხოვრებ გიორგი და იოსებ ნატროშვილების კომლებზე კი აღნიშნულია: „აქვთ თითო ვენახის ბაღი, ხოლო სახაზინო მიწებზე სახნავი, რომელიც მათ წილად ჰვდათ დანაწილების შედეგად“¹⁴⁵.

როგორც ვხედავთ, ისე როგორც XVI—XVIII საუკუნეების მრავალრიცხოვანი აგრარული დოკუმენტაცია, 1804 და 1817 წლების მოსახლეობის აღწერის მასალებიც აშკარად ადასტურებენ სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობას კახეთში, თანაც დიდი მასშტაბით. რაც მთავარია, სათემო მფლობელობა (სარგებლობა) დასტურდება მწარმოებელი მოსახლეობის მთავარ საარსებო ადგილ-მამულზე — სახნავ მიწებზე. მით უფრო სათემო მფლობელობა არსებობდა სათინოსამოვრებსა და ტყეებზე.

მოტანილ მასალებში ასევე უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა სათემო-საერთო სახნავი მიწების პერიოდული დანაწილების ფაქტის დადასტურება ფეოდალიზმის ხანაში, რადგან, როგორც აღინიშნა, საერთო სახნავი მიწების პერიოდული დანაწილება-გადანაწილება გლეხთა

144 დ. გოგოლაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 192—193.
145 იქვე, გვ. 193—194.



კომლებს შორის სათემო მიწათმფლობელობის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, დავასკვნით შემდეგს.

ნაშრომში მოტანილი ფეოდალური ხანის მთელი დოკუმენტაცია აშკარად ცხადყოფს სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობას ქართლ-კახეთში XIII—XVIII საუკუნეებში, განსაკუთრებით კი კახეთში, სადაც იგი მთელი სახანავი მიწებისა და სათიბ-საძოვრების ფართობის მეტ ნაწილზე ვრცელდებოდა, მით უფრო, ცხადია, ასევე — ტყეზე. რადგან კახეთში გლეხთა სათემო მფლობელობა-სარგებლობა მათი ყოველგვარი მიწების საერთო სიდიდის მეტწილ ფართობზე ვრცელდებოდა, ამდენად იგი აქ, კახეთში, მოცემულ ხანაში, როგორც XVI—XVIII, ისე მით უფრო XIII—XV საუკუნეებში საგლეხო მიწათმფლობელობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენდა. ქართლის შედარებით მცირერიცხოვანი და არასრული მონაცემები აქ ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ მოტანილი მთელი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია. დაახლოებით კახეთის ანალოგიური სურათი ყოფილიყო ქვემო ქართლშიც. ამასთან გაირკვა, რომ სათემო მფლობელობა ქართლ-კახეთში დაახლოებით ერთნაირი ზომით არსებობდა როგორც სამეფო (სახელმწიფო), ისე საეკლესიო და საბატონო გლეხობაში.

ასეთია სათემო მიწათმფლობელობის სურათი ქართლ-კახეთში XIII—XVIII საუკუნეებში.

სათემო მიწათმფლობელობის ისტორიული გედი და სიდიდე საქართველოში VI—XVIII საუკუნეებში

1. სათემო-საერთო მიწათმფლობელობა არქაული ინსტიტუტისა

ფეოდალურ საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის მასშტაბზე ნათელი და რეალური წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეოდალიზმის პერიოდის რიგ ქვეყნებსა და კუთხეებში არსებული სათემო საკუთრება და მფლობელობა (სარგებლობა), — ეს შორეული წარსულის ისტორიული ეპოქებიდან მომდინარე არქაული ინსტიტუტია. ძველი და ახალი დროის ზოგიერთ ისტორიკოსთა ცდები უარყოფს კაცობრიობის ისტორიის საწყის ეტაპზე ადამიანთა კოლექტივების საერთო საკუთრება მიწაზე და თავიდანვე ინდივიდუალური საკუთრების არსებობა აღიარონ, — მეცნიერულად გამართლებას და დასაბუთებას ვერ პოულობს. ასევე, დასაბუთებას ვერ პოულობს როგორც XIX საუკუნის, ისე დღევანდელი ზოგიერთი ისტორიკოსის ცდა სათემო მიწათმფლობელობისა და, იანსაკუთრებით, პერიოდული გადანაწილების წესების შემოღება ფეოდალიზმის პერიოდში ჩათვალონ მხოლოდ მთავრობის ფისკალურ და მის სხვა სახის ღონისძიებად და, ამდენად, სასოფლო სამიწათმოქმედო ერთობა კლასობრივი, ფეოდალური საზოგადოების გვიანდელ წარმონაქმნად. სხვა არა იყოს, საადგილმამულო ერთობის გვიან, კლასობრივ ხანაში, შემოღების ამ „სახელმწიფო საწყისის“ თეორიას უარყოფს იულიუს კეისრის და ტაციტის მონაცემები ძველი ივაროვნული გერმანელების აგრარულ წყობილებაზე.

შესაძლოა, მიწების დიდი ფონდის არსებობისა ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობის სიმცირის შედეგად, საწყის ეტაპზე და



შემდგომაც, გარკვეულ პერიოდებში, სათემო კოლექტიური მიწების პერიოდული გადაწილება კომლებს შორის არც ყოფილიყო და იგი შემდგომ შემოსულიყო, მაგრამ ეს გარემოება არ უარყოფს სათემო კოლექტიური მიწის საკუთრების არსებობას კაცობრიობის ისტორიის გარეგანულად და მის შემდგომაც, რადგან სათემო კოლექტიური საკუთრების არსებობისას, მიწის სარგებლობის პერიოდული გადაწილების გარდა, არსებობდა აგრეთვე სათემო მიწის სარგებლობის სხვა ფორმებიც, მათ შორის, თავისუფალი, ნებისმიერი (ე. წ. „დატაცებითი“) სათემო მიწათსარგებლობა.

ამიტომ სათემო მფლობელობა მიწაზე, სადაც კი იგი არსებობას განაგრძობდა ფეოდალიზმის პერიოდში, ეს ძველი, შორეული წარსულიდან მომდინარე მოვლენა იყო, რადგან სათემო საკუთრების დარღვევისა და ინდივიდუალური საკუთრების გაბატონების შედეგად კლასობრივ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში, მათ შორის ფეოდალიზმის დროს, არ ხდებოდა უკან დაბრუნება — მიწაზე კოლექტიური საკუთრების დამყარება. ამის შესახებ, რუსეთისა და გერმანიის მაგალითზე, 1868 წლის 7 ნოემბერს კ. მარქსი სწერდა ენგელსს, რომ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს რუსული „ობშინა“ სოფლიდან გლეხთა წასვლის აკრძალვის შედეგად წარმოიშვაო, რომ რუსული „ობშინა“ და გერმანული „მარკა“ უძველესი მოვლენა არისო¹. ფ. ენგელსი 1883 წლის 2 მარტის თარიღით კ. კაუცკისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ იქ, სადაც არსებობს მიწის საერთო საკუთრება, ეს აუცილებლად ძველთაგან მომდინარე მოვლენა არის და ჩვენ არსად არ ვხვდებით ისეთ შემთხვევას, რომ პირველადი კერძო საკუთრებიდან განვითარებულყოფს მეორადი მოვლენის სახით ერთობა, საერთო საკუთრება².

შესაძლოა, ფისკის მიზნით, ფეოდალურმა სახელმწიფომ უკარნახა სასოფლო თემებს სათემო საერთო სახანავი მიწების პერიოდული გადაწილების სისტემური ვადების შემოღება (და ასევე ურთიერთავადობაც), რათა ყველა საგლეხო კომლს თანაბრად, ანდა მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით წესიერად და დროულად ეხადა სახელმწიფო გადასახადები, მაგრამ, ქვეყანაში სახანავი მიწებზე სათემო

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 32, стр. 157—158.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, стр. 376.

საერთო მფლობელობის არარსებობის პირობებში ასეთ ღონისძიებას ფეოდალური სახელმწიფო ვერ განახორციელებდა.

ასე რომ, როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე ფეოდალურ საქართველოში, სახელმწიფო აპარატს შეეძლო შემოეღო სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილება კომლებს შორის მხოლოდ და მხოლოდ უკუკრეაღურად არსებული სათემო-საერთო მიწათმფლობელობის ბაზაზე, მაგრამ სახნავ მიწებზე კერძო ინდივიდუალური გლეხური მიწათმფლობელობის სისტემიდან მას არ შეეძლო თავს მოეხვეია გლეხობისათვის სათემო-კოლექტიურ მიწათმფლობელობაზე გადასვლა. ეს უკანასკნელი შორეული წარსულიდან მომდინარეობდა.

ამრიგად, ჩვენ მიერ ვრცლად იანხილული სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობის დადასტურება ქართლ-კახეთში XIII—XVIII საუკუნეებში მიუთითებს ამ მოვლენის ძველი საუკუნეების საღრმიდან მომდინარეობაზე, რადგან, როგორც აღინიშნა, კლასობრივ ანტაგონისტურ საზოგადოებაში სათემო მიწათმფლობელობის დარღვევის შემდეგ მისი აღდგენა არ ხდება. სათემო-საერთო მიწათმფლობელობა, სადაც კი იგი არსებობდა, შორეული წარსულიდან მომდინარე არქაული აგრარული ინსტიტუტი იყო.

2. სათემო მიწათმფლობელობის არაალი და მისი მასშტაბი საპართველოში VI—XVIII საუკუნეებში

ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია რეალურად იავიაროთ სათემო მიწათმფლობელობის არეალი და მასშტაბი (ხვედრითი წონა) ფეოდალურ საქართველოში VI—XVIII საუკუნეებში. მთლიანობაში სათემო მიწათმფლობელობის მასშტაბის იავაზრება, ჩვენი აზრით, აუცილებლად საჭიროა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკის ამ ინსტიტუტზე ნათელი წარმოდგენისათვის მთელი ფეოდალიზმის მანძილზე, რათა ვიცოდეთ მისი ხვედრითი წონა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ცალ-ცალკე და, ასევე, მთელი ქვეყნის მასშტაბითაც. ეს მკვლევარს დიდად დაეხმარება როგორც ქვეყნის მთელი აგრარული წყობის სრული სურათის წარმოჩენის, ასევე, კერძოდ, ქართული სასოფლო ერთობის სტრუქტურისა და შინაგანი ორგანიზაციის ვარკვევაში. XVI—XVIII საუკუნეების აგრარულ დოკუმენტაციაში, ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს ქართლ-კახეთში სათემო მი-



წათმფლობელობის დიდი არეალი და მასშტაბი XIII—XVIII სს-ში ნეეებში, რომელიც აქ ძირითად სახნავ-სამიწათმოქმედო აუზებს მოიცავდა, ხოლო XIX ს-ის დასაწყისის მონაცემებით, კახეთში სათემო მიწათმფლობელობა დადასტურდა გლეხობის სახნავი მიწების უმეტეს ნაწილზე.

რადგან სათემო მფლობელობის არსებობა გვიან ხანაში შორეულ წარსულიდან მომდინარე უწყვეტი მოვლენაა, ამიტომ სათემო მიწათმფლობელობის არსებობას ქართლ-კახეთში XIII—XVIII საუკუნეებში რეტროსპექტულად ადრეულ ისტორიულ ეპოქებში გადაგვყავართ, თანაც უფრო დიდი მასშტაბით. ამიტომ, აშკარაა, სათემო მიწათმფლობელობის დაახლოებით ასეთივე სურათს ვხედავთ ჩვენ ადრეფეოდალურ და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოშიც, IV—XII საუკუნეებში, სახელდობრ, უშუალო მწარმოებელ მიწისმოქმედთა კლასის სათემო-საერთო მფლობელობაში უნდა ყოფილიყო უმთავრესად შიდა და ქვემო ქართლის ვაკეების სახნავ-სათიბები, რუსთავეარაიას სახნავ-სათიბი ველები, კახეთში ალაზნისა და ივრის აუზის თითქმის მთელი სახნავ-სათიბი მიწები, ფეოდალთა საკუთრებაში აქ არსებულ უშუალო საბატონო სახნავი მიწების (ხოდაბუნების) გარდა.

ცხადია, სათემო მიწათმფლობელობის გაცილებით დიდი მასშტაბია საგულვებელი სტრაბონის დროინდელ იბერიაში, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო დემოკრატიის რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების (და სახელმწიფოს) წარმოქმნის ეპოქაში მიწათმოქმედი ქართველი ტომების მიწათმფლობელობაზე.

სახნავ მიწასა და სხვა სავარგულებზე, განაკუთრებით კი სახნავზე, საერთო-კოლექტიური საკუთრება საადგილმამულო ერთობას აწლევდა დიდი გამძლეობის საფუძველს. სამიწათმოქმედო ერთობა და არქაული ფორმაციის ზოგიერთი სხვა პირველყოფილი ინსტიტუტი კლასობრივ საზოგადოებაშიც გადმოვიდნენ, მსოფლიოს რიგ ქვეყნებსა და კუთხეებში გაუძლეს კლასობრივი საზოგადოების ფორმაციების ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდებებს და კაპიტალისტურ საზოგადოებამდე მოაღწიეს.

აღინიშნა, სათემო-კოლექტიური მიწათმფლობელობა ძველ საქართველოში დაახლოებით თითქმის იმავე დროიდან გვაქვს დამოწმებული, როგორც გერმანელებში (იულიუს კეისრის დროს), სახელდობრ, ახ. წელთ. პირველ საუკუნეში სტრაბონის მიერ. სტრაბონის ცნობა:

იბერებს „საერთო აქვთ ქონება ნათესაობისდა მიხედვით“ო, ცხადია „საერთო ქონება“ იბერების საერთო-სათემო სახნავ მიწებსაც გული-სხმობს. იბერიის სასოფლო თემებში შემავალ სტრაბონისეულ „სუნგენეებს“, — დიდ ოჯახებს, — აშკარაა, მთელი სოფლის მოსახლეობის მსგავსად, სათემო სახნავ მიწებზე საერთო საკუთრება („საერთო ქონება“) ჰქონდათ, რომელსაც, ცხადია, კოლექტიურად ამუშავებდნენ. ასევე, სტრაბონისეული იბერიის დიდ ოჯახებს „საერთო ქონებაში“ ჰქონდათ სხვა ადგილ-მამულიც, ვენახები და ბაღ-ბოსტნები, მაგრამ ესენი მათი კერძო-ინდივიდუალური საერთო ქონება იყო, ხოლო სათემო სახნავებზე არსებული მათი საერთო ნაკვეთები, — ეს სათემო (სასოფლო) საერთო საკუთრება-მფლობელობას განეკუთვნებოდა. ჩვენ მიერ განხილული XIII—XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთში არსებული სათემო მიწათმფლობელობის არეალი და მასშტაბი, სტრაბონის ცნობას უნიკალურ მნიშვნელობას ანიჭებს. სახელდობრ, სტრაბონის დროინდელ იბერიაში, სათიბ-საძოვრებსა და ტყესთან ერთად, სათემო კოლექტიურ მფლობელობაში უნდა ყოფილიყო იმ დროისათვის სახნავ-სათესად ათვისებული მიწები: შიდა და ქვემო ქართლის ვაკეები, ყარაიას და ცარდაბნის ველები, კახეთში — ალაზნისა და ივრის მთელი სახნავი სამიწათმოქმედო აუზი. ამ ეპოქის იბერიაში საკარმიდამოებზე, ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებზე ინდივიდუალური საკუთრების მაღალ განვითარებასთან ერთად, სათემო კოლექტიური მიწათმფლობელობა სასოფლო ერთობების ინდივიდუალური თუ დიდი ოჯახების (საოჯახო კომუნების) აგრარული წყობის ერთ-ერთი დედაბოძია.

სტრაბონის ამ უნიკალური ცნობის შემდეგ ისტორიულ წყაროებში ჩვენი თვალთახედვიდან ქრება საქართველოში სამიწათმოქმედო ერთობა (ისე როგორც ევროპაში იულიუს კეისრისა და ტაციტის შემდეგ) და მხოლოდ 7—10 საუკუნის შემდეგ ჩნდება ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ და „ძეგლი ერისთავთა“-ში, თანაც ზოგჯერ არაპირდაპირი მანიშნებელი მწიერი ცნობები საერთო-სათემო მიწათმფლობელობაზე. შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ცნობებია სასოფლო-საადგილმამულო ერთობაზე XIV—XV საუკუნეების სვანეთის საისტორიო ძეგლებში.

რეალური, პირდაპირი და დიდმნიშვნელოვანი ცნობები კი ქართულ სამიწათმოქმედო ერთობაზე და მის მასშტაბზე ჩნდება გაცილებით



გვიან, სახელდობრ, XVI—XVIII საუკუნეების ქართულ ავტოგრაფულ დოკუმენტურ წყაროებში, ხოლო სათემო მიწების რეალური ფართობის შესახებ — XIX ს-ის დასაწყისში (I ოცეულში). აღნიშნული საუკუნეების უაღრესად მდიდარი მონაცემებით, ქართლსა და კახეთში XIII—XVIII საუკუნეებში ფართოდ ჩანს სათემო მფლობელობა, ხოლო კახეთში იგი დასტურდება მწარმოებელი მოსახლეობის მთელი სახნავი მიწების უმეტეს ნაწილზე.

თუ ჩვენ დავეყრდნობით იმ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რომ სათემო-საერთო მიწათმფლობელობის დარღვევისა და მიწაზე ინდივიდუალური მფლობელობის გაბატონების შემდეგ კლასობრივ საზოგადოებაში არ ხდება უკან დაბრუნება — ძველი სათემო-საერთო მიწათმფლობელობის აღდგენა, ამასთან თუ ჩვენ ხიდს გავდებთ პირველი საუკუნის იბერიაში საერთო მიწათმფლობელობის არსებობაზე სტრაბონის მონაცემებსა და XIII—XVIII საუკუნეებს ქართლ-კახეთში სახნავ მიწებზე სათემო-საერთო მფლობელობის დიდი მასშტაბით არსებობის დამადასტურებელ XVI—XVIII საუკუნეების და XIX ს-ის დასაწყისის (I ოცეულის) მდიდარ დოკუმენტურ მონაცემებს შორის, მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სათემო მფლობელობა სახნავ-სათიბ მიწებზე აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში, VI—XVIII საუკუნეებში, მიუხედავად შემცირებისა, ჩანს, ძირითადად მაინც ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ეს იყო I—V საუკუნეებში. სახელდობრ, VI—XVIII საუკუნეებში უშუალო საფეოდალო-საბატონო სახნავი მიწების გამოკლებით, შიდა და ქვემო ქართლის ვაკეების, რუსთავ-ყარაისა ველ-მინდვრების, ასევე, კახეთში მთელი ალაზან-ივრის სამიწათმოქმედო აუზის სახნავი მიწების უდიდესი ნაწილი ქართული დაბა-სოფლების მწარმოებელი მოსახლეობის კვლავ სათემო-საერთო მფლობელობა-სარგებლობაში უნდა ყოფილიყო.

ცხადია, ფეოდალურ საქართველოში საუკუნეების მანძილზე სათემო მფლობელობა სახნავ-სათეს მიწებზე შემცირდა. იგი უპირველეს ყოვლისა შემცირდა ქვეყანაში ფეოდალ-მებატონეთა გამრავლებასთან დაკავშირებით საფეოდალო-საბატონო სახნავი მიწების, ხოდაბუნების, ფართობის გაზრდის შედეგად, რაც სათემო სახნავი მიწების ხარჯზე ხდებოდა (ძალით დაუფლება, ბოძება-წყალობა, შეწირვა და ა. შ.). მაგრამ რაც დარჩა, იგი ძირითადად სასოფლო თემების მწარმოებელ მოსახლეობის (გლეხობის) კვლავ საერთო-სათემო მფლობელობა-სა-


რეგლობაში იყო ქართლ-კახეთში, ბარის რეგიონებში. სათემო მიწათმფლობელობის მასშტაბი აქ დიდი იყო და სათემო საერთო სახანაჯ მიწებზე მოწყულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მწარმოებელი კლასის წლიურ სამეურნეო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქონდა.

რაც შეეხება საკარმიდამოებს, მრავალწლიან სამეურნეო კულტურებს — ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებს, — ისინი მთელ საქართველოში უძველესი დროიდან მწარმოებელი მოსახლეობის საკომლო ოჯახების ინდივიდუალურ მემკვიდრეობით მფლობელობაში იყო. მათი ხელუხლებლობის პრინციპი მთელი ფეოდალიზმის მანძილზე დაცული იყო.

ფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, სამიწათმოქმედო (საადგილმამულო) ერთობა გაცილებით უფრო ძველი სახით იყო შემორჩენილი, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. მაშინ როდესაც იგიანი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საერთო მიწათმფლობელობა მხოლოდ ტყეზე, მდელოებზე და საძოვრებზე იყო, ქართ-კახეთის თემებში საერთო მფლობელობა შემორჩენილი იყო სახანაჯ-სათეს მიწებზე — მოსახლეობის ძირითად მარჩენალ სავარგულებზე.

სათემო-საერთო მიწათმფლობელობის შენარჩუნებას აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში, როგორც აღინიშნა, აშკარაა, დიდად უნდა შეეწყო ხელი ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორს, როგორც იყო ერთიანი ვრცელი სახნავი სივრცეების არსებობა, თანაც სოფლებიდან დაშორებულ, ზოგჯერ ათეულ კილომეტრობით მოშორებულ რეგიონებში, რაც ასეთ სახანაჯ სავარგულებზე მიწის ინდივიდუალური მფლობელობის განვითარებას აბრკოლებდა. ასევე, ქართლ-კახეთში, განსაკუთრებით კახეთში, სათემო მიწათმფლობელობის შენარჩუნებისათვის ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე მოსახლეობის გაუფანტავ დასახლებას, ანუ სოფლად ერთ რომელიმე ადგილზე მჭიდრო პუნქტობრივ, ქალაქური ტიპის დასახლებას, რომლის დროსაც კომლის მცირე კარმიდამოდან ახლო იყო მხოლოდ ვენახი და ბაღ-ბოსტანი, ხოლო სათემო სახნავი სავარგულები სოფლიდან მოშორებით მდებარეობდა.

საერთოდ, როგორც ეს ადრეც აღინიშნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი და მოსახლეობის დასახლებათა თავისებურება სათემო მიწათმფლობელობის დაშლისა თუ მისი კონსერვაციის საქმეში ფეოდალიზმის დროს დიდ როლს ასრულებდა.



რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, როგორც XIII—XVIII საუკუნეების და ასევე XIX საუკუნის მრავალრიცხოვანი აგრარული და სხვა სახის წყაროებიდან ჩანს, აქ სათემო-საერთო მიწათმფლობელობა დიდი ხნის წინათ დარღვეული ფაქტია, XIII—XVIII საუკუნეებში მიწაზე აქ გაბატონებულია მწარმოებელი მოსახლეობის კერძო-ინდივიდუალური მფლობელობა როგორც ბალბოტანებსა და ვენახებზე, ასევე სახნავ მიწებზე. სასოფლო სათემო მფლობელობას აღნიშნულ ხანაში აქ ვხვდებით მხოლოდ აქა-იქ მცირე ვადმონაშთების სახით, უმთავრესად სათიბ-საძოვრებსა და ტყეზე. ამ მხრავ დასავლეთ საქართველოში დასავლეთ ევროპის აგრარული წყობილების ანალოგიური ვითარება გვაქვს.

როგორც ეს ადრე, დასავლეთ საქართველოში სამიწათმოქმედო ერთობის საკითხის განხილვისას აღინიშნა, აქ სათემო მიწათმფლობელობის დაშლისა და კერძო-ინდივიდუალური მიწათმფლობელობის განვითარებისა და გაბატონების საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებია იგივე ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორს, ნიადაგის კონფიგურაციას, როგორც იყო ერთიანი ვრცელი სახნავი სივრცეების არარსებობა, ოღროხოლო მთიანი ადგილები, ვიწრო ხეობები და სხვ., რაც ხელს უშლიდა სათემო მიწათმფლობელობის შენარჩუნებას. ასევე, სათემო მიწათმფლობელობის დაშლისა და კერძო-ინდივიდუალური მიწის საკუთრება-მფლობელობის გაბატონების საქმეში დიდი როლი უნდა შეესრულებინა აქ, სოფლებში, მოსახლეობის გაფანტული ტიპის, კომლების ერთიმეორისაგან შორი-შორ დასახლებათა გავრცელებას, რასაც, ჩანს, იგივე გეოგრაფიული ფაქტორი კარნახობდა და, რომლის დროსაც, ყოველი კომლის კარ-მიდამოს დასავლეთ საქართველოში გარს ერტყა თავისი ვენახი, ბალბოტანი, სახნავი, სათიბ-საძოვარი და ტყეც, რაც, ბუნებრივია, მიწაზე კერძო მფლობელობას ამტკიცებდა.

თუ რა დროიდან უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის დაშლისა და მიწაზე მასობრივად მოსახლეობის ინდივიდუალური მფლობელობის გაბატონება, ისეთი როგორც ჩვენ გვაქვს აქ სახეზე XIII—XVIII საუკუნეებში, — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, წყაროების უქონლობის გამო, როგორც აღინიშნა, ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია. ერთი რამ კი, ჩვენი აზრით, ცხადი უნდა იყოს, — ეს ვითარება აქ დიდი ხნის წინათ მომხდარი ფაქტი უნდა ყოფილიყო, და, შესაძლოა, არათუ VI—XII საუკუნეებ-



ში, არამედ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშიც დასავლეთ საქართველოში ამ მხრივ ძირითადად ისეთივე სურათი ყოფილიყო, როგორც იყო აქ XIII—XVIII საუკუნეებში.

ასეთი იყო, ჩვენი აზრით, სათემო-საერთო მიწათმფლობელობას არეალი და მისი მასშტაბი ფეოდალურ საქართველოში VI—XVIII საუკუნეებში.

3. სათემო მიწების სარგებლობის ფორმები. კერიოდული გადანაწილება და გლეხთა ეკონომიკური ჯგუფები

სასოფლო სამიწათმოქმედო ერთობა ფეოდალიზმის ხანაშიც, სადაც კი იგი არსებობდა, ქვეყნის მწარმოებელი მოსახლეობის, გლეხობის, საადგილმამულო-სამეურნეო ორგანიზაცია იყო, რომლის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს მიწების პერიოდული გადანაწილება წარმოადგენდა, უპირველეს ყოვლისა სახნავი მიწებისა, რომელიც მთავარი მარჩენალი ადგილ-მამული იყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში, საერთოდ, დიდი ხანია აღნიშნულია ფეოდალიზმის ხანაში სათემო-საერთო მიწების პერიოდული გადანაწილების არსებობა სხვადასხვა ქვეყნებში. მაგრამ, ამასთან, სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული სათემო მიწების გადანაწილებას საწყისი დროისა და მიზეზების შესახებ.

ერთნი თვლიან, რომ სათემო მიწების პერიოდული გადანაწილება თავიდანვე სათემო მიწათმფლობელობის ორგანული განვითარების შედეგი და მისი შემადგენელი ნაწილი იყო და, ამდენად, უძველესი წესი.

რიგი მკვლევრებისა კი თვლის, რომ სათემო მიწების პერიოდული გადანაწილება და გამთანაბრებითი მიწათსარგებლობა ბატონყმური პერიოდის მებატონე-ფეოდალებისა და სახელმწიფოს ხელოვნური წარმოქმნისა, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, რათა წესიერი საბეგრო სასოფლო თემები ჰყოლოდათ, — ყოველ კომლს შეძლებოდა თანაბრად ეხადა საბატონო და სახელმწიფო გადასახადები.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მკვლევართა მესამე ჯგუფი თვლის, რომ მებატონე-ფეოდალები და სახელმწიფო იძულებით თავს ვერ მოახვედნენ გლეხობას ასეთ აგრარულ ღონისძიებას — მიწების პერიოდულ გამთანაბრებითი გადანაწილების ღონისძიებას, და თუ მოახვედნენ, მას არ შეიძლება არ გამოეწვია მოსახლეობის წინააღმდეგობა, რაც უეჭველად აისახებოდა სხვადასხვა ისტორიულ აქტებში.



მათი აზრით, უფრო მართებულია ვიფიქროთ, რომ მოსახლეობის^{სხვადასხვა} და სამმინდვრიანი სისტემის შემოღებამ (ე. ი. სამეურნეო მიზეზმა) გამოიწვია სასოფლო თემის ჩარევა თავის საადგილმამულო ურთიერთობაში და გადანაწილებისა და მიწათსარგებლობის გათანაბრების აზრი წარმოიშვა როგორც გლეხობაში, ისე მებატონე-ფეოდალთა და მთავრობის წრეებში.

ეს საკითხი, ცხადია, მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად სპინტერესოა, მაგრამ, სათემო მიწების პერიოდული გადანაწილება ადრეული ორგანული მოვლენა იყო თუ გვიანდელი ხელოვნური წარმონაქმნი, სათემო მიწათმფლობელობის არსებობის დადასტურებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან არსებობდა სათემო საერთო მიწათსარგებლობის სხვა ფორმებიც, მათ შორის, თავისუფალა (ე. წ. „დატაცებითი“) მიწათსარგებლობა, — უმთავრესად ნებისმიერი სახნავი ადგილის დაკავება-დამუშავებისა, — რომელიც, როგორც ჩანს, სათემო მფლობელობის საწყის ეტაპზე, მოსახლეობის სიმცირისა და თავისუფალი მიწების დიდი ფონდის გამო, წინ უსწრებდა სათემო მიწების პერიოდული განაწილების შემოღებას.


თუ როგორი ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში ფეოდალთა შინის პერიოდში და ადრეც, ამ საკითხის გაშუქება უაღრესად ძნელია, რადგან მონაცემები ამ საკითხზე არა გვაქვს. სახელდობრ, არ ვიცით მიწების პერიოდული გადანაწილება ძველი დროიდანვე უწყვეტი ხაზით მოდიოდა, გარკვეულ პერიოდში შეწყდა და შემდგომ კვლავ აღადგინეს, თუ საერთოდ ადრე არ არსებობდა და მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში შემოიღეს. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვარაუდის სახით შესაძლოა დავუშვათ, რომ საქართველოში (ისე როგორც სხვა ქვეყნებში) სათემო მიწათმფლობელობის საწყისი პერიოდიდან, — მოსახლეობის სიმცირისა და სახნავების თავისუფალი ფართობების არსებობის გამო, — მიწების სარგებლობის თავისუფალი დაკავება-დამუშავების წესი არსებულებოდა, ხოლო შემდგომ შემოსულობის სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილება, მოსახლეობის რიცხვის გაზრდის შედეგად. აქ, ცხადია, შეიძლება სათემო მიწათსარგებლობის წესების სხვადასხვა ვარიანტების დაშვება, როგორც მის საწყის ეტაპზე, ისე მისი არსებობის შემდგომ პერიოდებში.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ერთი რამ ნათლად გამოჩნდა, სახელდობრ, დაწვრილებით განხილულ XVI—XVIII საუკუნეების აგრარულ დოკუმენტაციაში აშკარად ჩანდა საერთო სათემო ნებისმიერი სახნავი

მიწების თავისუფალი დაკავებისა და დამუშავების წესი, „დატაცებითი“ მიწათსარგებლობა. როგორც ადრეც აღინიშნა, თი წესი, აშკარაა, კახეთში უნდა ჰქონოდა გიორგიშინდის, მარიამჯვარის, კაკაბეთის, შიბლიანის, ჩალაუბნისა და მალაროს სოფლების გლეხობას, ასევე, ჯიმითის, ველისციხის, ახაშნის გლეხობას და მთელ რაგ სხვა სოფლებსაც. უფრო მეტად ეს წესი, ჩანს, უნდა არსებულიყო ქიზიყში.

რაც შეეხება სათემო მიწების პერიოდულ დანაწილებას, საამისო მონაცემები ჩვენ მხოლოდ გვიანფეოდალური ხანისა გვაქვს, სახელდობრ, 1817 წლისა, მართალია, ორიოდე მონაცემი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი. 1817 წლის აღწერით, როგორც აღინიშნა, სოფ. მალაროს გლეხს მათე დოდაშვილს და სოფ. მაჩხაანის გლეხებს გიორგი და იოსებ ნატროშვილებს სახნავი ნაკვეთებო მიუღიათ სათემო საერთო მიწების დანაწილების შედეგად. აღნიშნული გლეხების მიმართ აღწერაში ცალ-ცალკე ნათქვამია: „სოფლის საზოგადოებრივი მიწიდან სარგებლობს სახნავი მიწით“, რომელიც მას „წილად ხვდა დანაწილების შედეგად“. სხვა მონაცემი ფეოდალურ საქართველოში სათემო საერთო სახნავი მიწების პერიოდული დანაწილების შესახებ ჩვენ არ გავაჩნია. გვიან ხანაში კი, XIX ს-ის 80-იანი წლების სახელმწიფო გლეხთა აღწერებში, როგორც ეს ისტორიოგრაფიულ ნაწილში აღინიშნა, საკმაოდ დაწვრილებით არის მოცემული კახეთში სათემო სახნავი მიწების დანაწილების წესები, როგორც პერიოდული, ისე თავისუფალი, ე. წ. „დატაცებითი“, ასევე ყოველწლიური თუ პერიოდული გადანაწილების დროს თანაბარი მიწათსარგებლობის წესი, სათემო სახნავების თანაბარ ნაკვეთებად დაყოფა და სხვ.

თუ როგორი იყო ამ წესების არსებობის მხრივ საქმის ვითარება ადრეულ ხანაში, სახელდობრ, VI—XVIII საუკუნეებში სათემო მიწათსარგებლობის რომელი წესი სჭარბობდა საქართველოში, — ამ საკითხის გარკვევა შეუძლებელია, ირის გამო რეტროსპექტული გააზრებებით თუ შეიძლება ასე თუ ისე დაახლოებით სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ საკითხზე. უაღრესად დასანანია, რომ ჩვენ მიერ დაწვრილებით განხილულ XVI—XVIII საუკუნეების, დიდძალ აგარარულ დოკუმენტაციაში, რომელიც სათემო მიწათმფლობელობას ეხება, არაა მონაცემები სათემო საერთო მიწების სარგებლობის წესების, კერძოდ კი სათემო სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილებისა და მისი



წესების შესახებ. რიგ დოკუმენტებში აშკარად ჩანს მხოლოდ სათემო სახნავი მიწების თავისუფალი, ნებისმიერი ნაკვეთების მოხვნა, კის სად დაასწრებდა და ვის რამდენი შეეძლო. მაგრამ ამის გვერდით უნდა არსებულებოდა სათემო სახნავების პერიოდული განაწილებაც, რასაც მოწმობს ზემოაღნიშნული 1817 წლის აღწერის მონაცემი. ცხადია, ეს ვითარება სათემო სახნავების დანაწილებისა XIX ს-ის დასაწყისის წარმონაქმნი არაა და სათემო საერთო სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილება, აშკარაა, აქამდეც, ადრეულ საუკუნეებშიც არსებობდა.

მაგრამ თუ რომელი წესი სათემო მიწათსარგებლობისა დომინირებდა შუა საუკუნეების საქართველოში, სახელდობრ, თავისუფალი (ე. წ. „დატაცებით“) თუ პერიოდული გადანაწილება, — ამ კითხვაზე, როგორც აღინიშნა, პასუხის გაცემა შეუძლებელია სათანადო მონაცემების უქონლობის გამო. არც ისაა ცნობილი, ქართლ-კახეთში, უმთავრესად კახეთში, რა დამოკიდებულება ჰქონდა სათემო სახნავი მიწების გადანაწილებას, თანაბარს თუ არათანაბარს, ქართულ საგადასახადო სისტემასთან: პერიოდული გადანაწილებისას, სადაც იგი არსებობდა, გადასახადის მეტ-ნაკლები სიდიდის მიხედვით ეძლეოდათ სათემო სახნავების მეტ-ნაკლები ფართობი თუ — არა. ერთი რამ კი ცხადია, ფეოდალთა კლასი (მეფე, მებატონე-ფეოდალები, ეკლესია) დაინტერესებული იყო გლეხები ქონებრივად თანაბარი შეძლების ყოფილიყვნენ, რათა თანაბარი შეძლებით წესიერად ეხადათ სახელმწიფო და საბატონო გადასახადები. მაგრამ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ქონებრივი დიფერენციაცია დიდი ხანა ამის საშუალებას არ იძლეოდა.


ერთი კი, რაც აშკარად ჩანს ქართული ფისკალური სისტემიდან, ისაა, რომ ქართული ფეოდალური სახელმწიფო, ფეოდალთა კლასი — საერო და სასულიერო, გლეხობას გადასახადებს აწერდა, როგორც წესი, ქონებრივი შეძლების მიხედვით, მაგრამ ამასთან ერთხელ შეწერილ-გადაკვეთილი ბეგარა-გადასახადების გადიდება გლეხის დად უკმაყოფილებას იწვევდა.

გლეხი იყო საადგილმამულო ერთობის კოლექტივის წევრი, რომლის მთავარ მოვალეობას შეადგენდა საბატონო და სახელმწიფო გადასახადების გადახდა. სასოფლო სამიწათმოქმედო თემი კი, თავის შიგნით, მოწოდებული იყო დაეცვა თავისი კოლექტივის თითოეული წევრის ინტერესები, უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაკვეთის მიცემით.

როდესაც საადგილმამულო ერთობებში მიწების პერიოდულ გადაწილებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, ეს ეხება სახნავ მიწებს, რადგან სახნავი მიწა იყო მოსახლეობის მთავარი მარჩინალი სავარგული.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ საუკუნეებში დოკუმენტური დადასტურება არა იგვაქვს, აშკარაა, VI—XVIII საუკუნეების ქართლ-კახეთში ადგილი ექნებოდა სათემო-საერთო სახნავი მიწების პერიოდულ გადანაწილებას, — სათემო მფლობელობის ამ ერთ-ერთ ძირითად ნიშანს.

სათემო სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილების ძირითადი მიზეზი იყო სოფლად გლეხობის კომლთა რიცხვის გაზრდა ან შემცირება, ასევე, — კომლთა სულადობრივი რიცხვის გაზრდა ან შემცირება. ახალ კომლს თავისი ნაკვეთი უნდა ჰქონოდა სოფლის საერთო სახნავ მინდორზე, ხოლო სულადობრივად გაზრდილ კომლს ძველი სახნავი ფართობი არ აკმაყოფილებდა. საერთო სახნავი მიწების ხელახალი დანაწილებითა სოფელი, თემი, ცდილობდა შეეზღუდა გლეხთა ქონებრივი უთანასწორობა და მისი გაღრმავება, ცდილობდა ცალკეული კომლები სათანადო ქონებრივი შეძლების ყოფილიყვნენ, რათა შეწერილი ყველა სახის გადასახადები წესიერად ეხადათ. სათემო მიწების პერიოდული გადანაწილება ქონებრივი უთანაბრობის წინააღმდეგ იყო მიმართული და რამდენადმე ხელს უშლიდა უთანასწორობის გაღრმავებას, მაგრამ გლეხთა ეკონომიურ ჯგუფებზე (ღარიბი, საშუალო, მდიდარი) არსებით ზემოქმედებას ვერ ახდენდა. ქონებრივად ღარიბ კომლს სახნავი მიწის სათანადო ნაკვეთის მიცემა ეკონომიურად უცებ ვერ გააძლიერებდა, რადგან საამისოდ საჭირო იყო სხვა ქონებრივ-სამეურნეო პირობებიც: სამეურნეო იარაღები, გამწევი მუშა-პირუტყვი, ვენახი, წვრილფეხა ან მსხვილფეხა საქონლის სათანადო რაოდენობა და სხვა, რითაც ღარიბები, ჩვეულებრივ, სათანადოდ უზრუნველყოფილნი არ იყვნენ. ქონებრივად შეძლებულ კომლს კი, არა მარტო სახნავი მიწა გააჩნდა, არამედ კარგი საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, საკმარისი გამწევი მუშა-პირუტყვი, სამეურნეო იარაღები (მათ შორის, დიდი გუთანის), მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ვენახის დიდი ფართობი და სხვ. ამიტომ საერთო სახნავი მიწების ხელახალი დანაწილების შემდეგაც, ეკონომიურად ასეთ ძლიერ კომლებს, ცხადია, ღარიბ გლეხებზე უკეთ შეეძლოთ მეურნეობის წარმართვა და თავიანთი ეკონომიური დონის შენარჩუნება.



ასევე იყო სათემო სახნავი მიწების თავისუფალი დაკავების დროსაც (ე. წ. „დატაცებითი მიწათსარგებლობა“). აქაც გლეხი მხოლოდ იმ სიდიდის ფართობს დაიკავებდა, რისი დამუშავებაც მას ეკონომიურად შეეძლო. ასე რომ, სამიწათმოქმედო ერთობის ეს შინაგანი იურიდიული კომპეტენცია საერთო მიწების პერიოდული გადანაწილებისა თუ „თავისუფალი დაკავებისა“, სოფლად მეთემე კომლანაჰტონებრივ უთანასწორობას ვერ სპობდა, იგი ამას მხოლოდ რამდენადმე არეგულირებდა და ზღუდავდა.

ნავიანევი მონაცემებით, საერთო სახნავი მიწების ხელახალი დანაწილება სხვადასხვა კუთხეში ან სხვადასხვა სოფელში დროის სხვადასხვა ინტერვალებში ხდებოდა. ზოგჯერ მისი ხანგრძლივობა 5—10, 20—25 წელი იყო. უფრო კი, როგორც ჩანს, მიწების ხელახალ დანაწილებას მაშინ ახდენდნენ, როცა ამას საჭიროდ დაინახავდნენ. მიწების ხელახალი დანაწილების წესიც სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი იყო. ზოგან საერთო სახნავ ფართობს თანასწორ ნაკვეთებად დაყოფდნენ და კომლებზე წილისყრით თანაბრად ანაწილებდნენ. ანდა, დათქმულ დროს, ვინც დაასწრებდა ამა თუ იმ დაყოფილ ნაკვეთზე პარველად მისვლას და მოხვანას, მომავალ დანაწილებაზე ეს ნაკვეთი მისი იყო. ნაკვეთების ფართობს ზომავდნენ საბელით. ასეთი დანაწილების მიხედვით მიღებულ სათემო სახნავ ნაკვეთს აღმოსავლეთ საქართველოში ეწოდებოდა „საბლის მამული“ (რუსეთის სასოფლო თემში იდენტური შესატყვისი ერქვა: „верёвочное имение“, მიწის ნაკვეთებად დაყოფას — „вервление“. ასეთ სათემო ნაკვეთს იდენტური შესატყვისი ეწოდებოდა გერმანიის სასოფლო თემშიც: „schnuren“, ხოლო ნაკვეთის საბლით დაყოფას „Reebnings procedur“). აღმოსავლეთ საქართველოში აღნიშნულ სათემო ნაკვეთებს ეწოდებოდა კიდევ „წილის მამული“, „ნაწილარი“ (რუსეთში — „жеребьево имение“, გერმანიაში — „Losgut“, „Los“).

ზოგან კიდევ, სადაც საერთო სათემო სახნავი მიწები ჭარბად ჰქონდათ, — ყოველწლიურად, დათქმულ დროს, ვინც დაასწრებდა, ნებისმიერ ადგილზე ნებისმიერი სიდიდის ფართობს ხნავდა და იკავებდა. სავარაუდოა, არსებობდა სხვაგვარი წესიც, მათ შორის სათემო სახნავიდან მეტ-ნაკლები სიდიდის ნაკვეთების მიცემა კომლებზე, — შე-

წერილი მეტ-ნაკლები გადასახადის მიხედვით³. სათემო მიწების პერიოდული გადანაწილების ინტერვალი და დრო სასოფლო თემის სრულწინაგან თურბიდიულ კომპეტენციაში იყო, იგი მეთემე გლეხობის ნება-სურვილით განისაზღვრებოდა.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, სათემო-საერთო სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილება კომლებს შორის, ასევე, სათემო მიწების თავისუფალი დაკავების წესიც, მათ ქონებრივ უთანასწორობაზე არსებით ზეგავლენას ვერ ახდენდა, გლეხთა ეკონომიური ჯგუფები: საშუალო, ღარიბი და მდიდარი გლეხობა, — ძველებურად რჩებოდა და ქონებრივი დიფერენციაცია, ცხადია, არსებობას განაგრძობდა.

4. სასოფლო-საადგილმამულო ერთობა და ფეოდალთა კლასი,
იურიდიული სტატუსი

როგორც აღინიშნა, სათემო მიწათმფლობელობამ მთელი რიგი ისტორიული ეპოქები განვლო. სასოფლო ერთობები იცვლიდნენ უფლებებს, პატრონებს, ბატონებს, იცვლიდნენ სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმებს, რომლებშიაც ისინი იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ სათემო-საერთო მიწათმფლობელობა რიგ ქვეყნებსა და კუთხეებში, გარკვეული ისტორიული თავისებურებისა და ნიადაგის ფიზიკურ-ტოპოგრაფიული პირობების შედეგად, რჩებოდა. რჩებოდა ასევე მისი ძირითადი პრინციპი — საერთო სარგებლობისა და მიწების პერიოდული გადანაწილებისა. ფეოდალიზმის პერიოდში კი სასოფლო-საადგილმამულო ერთობებს ფეოდალთა კლასი მოეწვინა.

კლასობრივი საზოგადოების ყველა საფეხურზე სასოფლო ერთობები სახელმწიფო, საერო და საეკლესიო ხელისუფლების მიერ მეტ-ნაკლები დონით დაბეგრულია ვალდებულება-გადასახადებით. სასოფლო ერთობების წინაგან ორგანიზაცია კი, — ამ შემთხვევაში მისი აგრარული წყობილების ერთ-ერთ არსებით მხარეს, სათემო-საერთო მიწათმფლობელობას, — საერო და სასულიერო ხელისუფლება არ ეხება და იგი არსებობას განაგრძობს.

აღინიშნა, ფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, საადგილმამულო ერთობა გაცილებით უფრო ძველი სახითაა შემორჩენილი, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. მაშინ როდესაც

³ დ. გ. ვ. ლ. ა. ძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 194—195.

საც დასავლეთ ევროპაში საერთო მიწათმფლობელობა მხოლოდ ტყეზე, მდელოებზე და საძოვრებზე იყო, ქართლ-კახეთის თემებში საერთო მფლობელობა შემორჩენილი იყო სახნავ-სათეს მიწებზე — მოსახლეობის ძირითად მარჩენალ სავარგულებზე.

ცხადია, მოცემულ ხანაში, სოციალური თვალსაზრისით ჩვენ საქმე გვაქვს არა არქაულ გვაროვნულ ერთობებთან, არა პირველად არქაულ ფორმაციასთან, არამედ, როგორც აღინიშნა, მეორად, კლასობრივ ფორმაციასთან, მეორად სასოფლო ერთობებთან. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობიდანავე პირველადი, დამოუკიდებელი არქაული სასოფლო ერთობები (კომუნები) იქცევიან „მეორად“ (კლასობრივ) ერთობებად. არა მარტო საკვლევ პერიოდში, არამედ გაცილებით უფრო ადრეც, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ქართული სასოფლო ერთობები კლასობრივ საზოგადოებაშია მოქცეული. VI—XVIII საუკუნეებში ისინი ფეოდალ-გაბატონეთა მფლობელობაში იმყოფებიან. გაბატონებული კლასი მოცემულ ხანაში და ადრეც მათ ექსპლოატაციას უწევს ხარკით, გადასახადებით, პირადი სამახსურით, სალაშქრო ვალდებულებებით. ამდენად ჩვენ საქმე გვაქვს უკვე არა არქაულ, არამედ „მეორად“ (კ. მარქსი) ფისკალურ სასოფლო თემთან.

ამრიგად, ფეოდალურ საქართველოში სათემო მიწათმფლობელობა სადაც კი იგი არსებობდა, — ეს არქაული, წინაკლასობრივი საზოგადოებიდან მომდინარე აგრარული ინსტიტუტია. მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში სასოფლო ერთობა ეს უკვე „მეორადი“, კლასობრივია. სასოფლო ერთობებს მიეკვლინა გაბატონებული კლასის წარმომადგენლები, — სახელმწიფო, ეკლესია, კერძო ფეოდალები (პატრონები და ბატონები), ისინი დამორჩილებულნი, მონობისა და ყმობის უღელსი აღმოჩნდნენ. ძველი მესაკუთრე სასოფლო ერთობები კლასობრივ საზოგადოებაში მიწის მესარგებლებად იქცნენ, რადგან მიწის მონობილიურ და იურიდიულ მესაკუთრედ გაბატონებული ფეოდალთა კლასი გახდა. „მეორადი“ (კლასობრივი) სასოფლო ერთობა ფეოდალიზმის დროს ყმობაში მოქცეული და დაბევრილი ფისკალური აგრარული უჭრეღია. სათემო მიწათმფლობელობა ფეოდალური ექსპლოატაციის ოპიეტტი გახდა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებულმა ფეოდალთა კლასმა მიწაზე სასოფლო ერთობის საკუთრების ანულირება და მისი ფეოდალიზირება მოახდინა, იგი არ ჩარეულა, სასოფლო ერთობის შინაგან აგრარულ და შრომის ორგანიზაციაში. სახელდობრ, იგი არ ჩა-

რეულა სასოფლო-სამიწათმოქმედო ერთობის საერთო სახნავი მიწების კოლექტიური სარგებლობისა და პერიოდული გადანაწილების საქმეში. ეს და შინაგანი ორგანიზაციის რიგი სხვა საკითხები სასოფლო-სამიწათმოქმედო ერთობის შინაგან კომპეტენციაში რჩებოდა. სასოფლო საადგილმამულო ერთობა, როგორც ერთიერთ თავდებობის ფისკალური უჭრედი, ამ სახით, მნიშვნელოვანწილად ფეოდალთა კლასსაც აწყობდა, როგორც კომპრომისული *modus vivendi*. ამიტომ სათემო მიწათმფლობელობა რიგ ქვეყნებსა და კუთხეებში სპეციფიკური ისტორიული თავისებურებების შედეგად და, ამასთან, სადაც მას გეოგრაფიული პირობები (უმთავრესად ნიადაგის კონფიგურაცია) და დასახლების თავისებურება ხელს უწყობდა, მთელი ფეოდალიზმის მანძილზე იგანაგრძობდა არსებობას.

სათემო მიწათმფლობელობის ფაქტიური მდგომარეობის დაწვრილებით განხილვისას, უამრავი მაგალითი ვნახეთ იმისა, რომ სათემო-საერთო მიწებზე სოფლებს შორის საადგილმამულო დავისას, მებატონე-ფეოდალები თავიანთი საბატონო სოფლების და ყმა გლეხთა მხარეზე გამოდიოდნენ და ცდილობდნენ არ დაეჩაგრათ ისინი. მაგრამ, ცხადია, ამით ისინი პირველ რიგში თავიანთ ინტერესებს იცავდნენ, რადგან, ჯერ ერთი, საგლეხო-სათემო ადგილ-მამულის დაცვა-შენარჩუნებით საბატონო და საქვეყნო გადასახადების მიღებას უზრუნველყოფდნენ; მეორეც, საგლეხო ადგილ-მამული, მათ შორის გლეხთა სათემო-საერთო მიწებიც, იურიდიულად მათი ფეოდალური საკუთრება იყო.

სათემო-საერთო სახნავი მიწების და სხვა სავარგულების გამო საადგილმამულო დავისას, საკმარისია ამ მხრივ აღინიშნოს ნაშრომში მოცემული სოფელ მარიამჯვარისა და მისი მებატონე თავად მაყაშვილების სამსაუკუნოვანი ერთობლივი დავა საკათალიკოსო სოფელ გიორგიშინდასთან სათემო სახნავ მიწებზე, საეკლესიო სოფელ ჭიმითის დავა საბატონო ზიართან და მის მებატონე თავად ანდრონიკაშვილებთან, თავად ანდრონიკაშვილებისა და მათი ყმა გლეხების დავა ჩალაუბნელებთან, თავად ჭავჭავაძეების დავა სათემო მიწებზე წინასაგარეჯოელებთან, თავად ვახნაძისა და მათი ყმა გლეხების ერთობლივი დამოსვლა სათემო-საერთო მიწების გამო ნუკრიანისა და ჭოტორის წინააღმდეგ, ენისლის მოურავიშვილ-ნოდარიშვილების და მათი გლეხების დავა სხვა სოფლებთან სათემო მიწებზე და უამრავი სხვ.



ასეთივე ვითარება იყო გლეხებისა და მათი მებატონეების მებრუნე-ხელმწიფისადმი წარდგენილ არზა-საჩივრებში — კერძო მებატონე-ფეოდალები თავიანთ საბატონო გლეხების მხარეზე გამოდიოდნენ, ეკლესია — საეკლესიო სოფლებისა და გლეხების მხარეზე, ხოლო მეფე, ცენტრალური ხელისუფლება კი, მუდამ ცდილობდა დავა სათემო-საერთო ადგილ-მამულზე, სათანადო საბუთების წარდგენით და ჯვარ-ხატზე გამოფიცვის ძალით, სამართლიანად გადაეწყვიტათ, რათა არც ერთი მოდავე მხარე არ დაჩაგრულიყო.

სასოფლო-სამიწათმოქმედო ერთობები თავის სათემო-საერთო მიწათმფლობელობასა და ძველ რიგ ტრადიციულ სერვიტუტებს გაფორმებით იცავდნენ. ამიტომ სასოფლო-საადგილმამულო ერთობა, სადაც კი იგი შემორჩენილი იყო, მთელი ფეოდალიზმის მანძილზე წარმოადგენდა შედარებით „თავისუფლებისა და სახალხო ცხოვრების ერთადერთ კერას“⁴. იგი იყო გლეხობის კლასობრივი ბრძოლის იარაღი ფეოდალური ექსპლოატაციისა და, საერთოდ, გაბატონებული კლასის ძალმომრეობის წინააღმდეგ, რაც ნათლად აისახა საქართველოს მწარმოებელი კლასის სასოფლო ერთობების უამრავ აგრარულ კონფლიქტებშიც.

ფეოდალურ-ბატონყმური საქართველო არსებითად კლასიკური ევროპული ფეოდალიზმის ნიმუშის ქვეყანა იყო. ამასთან, ქართული სასოფლო საადგილმამულო ერთობა თავისი საერთო კოლექტიური მიწათმფლობელობით (მიწათსარგებლობით) აღმოცენდა საქართველოში, უმთავრესად კახეთში, ასევე, კლასიკური ფორმით იყო შემორჩენილი. მაგრამ ეს პარადოქსი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ჩამორჩენილობას სრულიადაც არ ნიშნავდა, რადგან საქართველო მაღალგანვითარებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ქვეყანას წარმოადგენდა თავისი ფეოდალური საკუთრების ფორმებით, ფეოდალური ვასალიტეტით და საერთოდ ყველა ფეოდალური ინსტიტუტებით, ასევე, ინდივიდუალური საკომლო მეურნეობით, ნასყიდი კერძო საკუთრების უაღრესად ფართო განვითარებით როგორც ფეოდალთა, ისე გლეხთა კლასის შიგნით. ამასთან, ფეოდალური საქართველო თავისი დროის უმაღლესი დონის მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ქვეყანა იყო თავისი მევნახეობა-მეღვინეობით, მებაღეობით, მესაქონ-

⁴ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 19, стр. 403.

ლებით, მარცვლელი მეურნეობის მრავალფეროვნებით და მრავალ
სხვა სამეურნეო-საწარმოო დარგებით.



სათემო მიწათმფლობელობის ასეთი განხილვის მიზანია აღმოსავლეთ
საქართველოში, უმთავრესად კახეთში, როგორც აღინიშნა, განსაკუთრე-
ბულმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა ფაქტორმა და მოსახლეობის დაა-
ხლების თავისებურებამ განაპირობეს. ვარდა ამისა, ფეოდალიზმის პე-
რიოდში ასეთი სასოფლო-საადგილმამულო ერთობები თვით გაბატო-
ნებულ ფეოდალთა კლასსაც აწყობდა, როგორც მოხერხებული საბე-
გრო-ფისკალური ერთეული (უჯრედი) და ურთიერთთავდებობის აგრა-
რული ორგანიზაცია.

საქართველოს ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების კლასიკურ
შენიშვნას სათემო საერთო მიწათმფლობელობა, ეს ძველი საზოგადო-
ების აგრარული ინსტიტუტი, ბოლომდე შემორჩა და აღმოსავლეთ სა-
ქართველოს მწარმოებელი მოსახლეობის საადგილმამულო წყობაში
დიდი კვალი დატოვა.

დასართი

კახელ მოხუცთა ნაამბობი სათემო მიწათმფლობელობაზე

(ჩანაწერები)

1974 წლის ივლისი

სათემო მიწათმფლობელობა კახეთში თითქმის ისეთივე სახით არსებობდა მთელ XIX საუკუნეში, როგორც წინა ხანაში. კიდევ მეტი, იგი არსებობდა XX ს-ის პირველ ათეულ წლებშიც, რევოლუციამდე.

ჩემს დიდ ინტერესს შეადგენდა ადგილებზე დამეველ ალაზან-ივრის სამიწათმოქმედო-სახნავი აუზი. ვფიქრობდი, შესაძლოა, ჭერ კიდევ ადგილობრივ მცხოვრებ მოხუცებს ახსოვდეთ სათემო საერთო მიწათმფლობელობა კახეთში, კერძოდ, ქიზიყში.

1974 წელს, ივლისში, კახეთში ლექციების წასაკითხად მიგვაგვლინეს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები: უშანგ სიღამონიძე, ლოვარდ ტუხაშვილი და ჩვენ. შემთხვევა მომეცა დავალების შესრულების პარალელურად ადგილებზე მენახა მოხუცები და მესაუბრა მათთან სათემო მიწათმფლობელობაზე. მე თან მახლდა ლ. ტუხაშვილი (წარმოშობით აჭაური, წნორელი).

გაოცებული დავრჩი. ჩვენი საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში 80 წლამდე მიღწეულ მოხუცებს, მით უმეტეს იმათ, ვინც 80-სა და 90 წელსაც გადაცილებულნი იყვნენ, შესანიშნავად ახსოვდათ საერთო სახალხო მიწათმფლობელობის ეს ძველი აგარარული ინსტიტუტი, ზოგს XIX ს-ის 90-იანი წლების ვითარებაც, რადგან თვით იყვნენ მისი მომსწრენი. რაც მთავარია, მათ სათემო მიწათმფლობელობის ისეთი სურათი წარმოაჩინეს, როგორც მე ძველი დოკუმენტური წყაროებით მესახებოდა. მათ მთლიანად და ნათლად დაადასტურეს სათემო-საერთო მიწათმფლობელობის არსებობა კახეთში სახნავ მიწებზე XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის პირველ ათეულ წლებში. ამასთან, მათ ნაამბობში კარგად ჩანს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სოფლად უკვე ქონებრივი უთანაბრობა მეტად გაღრმავებულია და გლეხობაში სოციალური დიფერენციაცია განვითარებულა, სათემო საერთო მიწების სარგებლობის საქმეში სოფლის მდიდარი კულაკი-ბურჟუები ზოგან მძლავრობდნენ, მაგრამ მიწათმფლობელობის ეს ფორმა მაინც არსებობას განაგრძობდა.

სათემო სახნავი მიწების ფართობის სიდიდის ან სოფლის კომლთა რაოდენობის განსაზღვრისას, შესაძლოა, მოხუცების ნათქვამი ზუსტი არ იყოს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საერთო რეალური სურათი მათ, ჩვენი აზრით, შესანიშნავად ახსოვთ და კარგადაც გადმოსცემენ.

სათემო მიწათმფლობელობასთან დაკავშირებით, მოხუცებს, თბრობისას, შვილებს და შვიგ, მე კითხვებს ვაძლევდი ამა თუ იმ სამეურნეო საკითხზე. მათ ნაამბობსა კითხვებზე პასუხს მთლიანი თბრობის სახით, ამასთან მათი სტილის დაცვით, ჩვენ უცვლელად ვაქვეყნებთ.

ს. ო. ვ ა ქ ი რ ი

დემეტრაშვილი დავით გაბრიელის ძე

(76 წლის)

საერთო მიწები გვქონდა წინამხარში, ყარაგაჯში, ყარაგაჯთან 20—25 კილომეტრზე. სათემო მიწებს ვეძახდით. აქ წინამხარში სოფელთან „მამის მამულებიც“ გვქონდა, „კერძო მამულები“, სახნავი, შედარებით ცოტა რაოდენობით, თითო-ორი, მაქსიმუმ სამი დღისა. დანარჩენი სათემო მიწებიდან სარგებლობდნენ. ვენახები აქ ახლო გვქონდა, 3—4 კილომეტრამდე სოფლიდან, მერმე მინდორი იწყება სახნავები, — „მამის მამულები“ და სათემო. აქ მინდორი ორად იყო გაყოფილი, სახნავი; „მამის მამულები“ ცალკე იყო და სახნავი სათემო ცალკე. სათიბი ცალკე იყო.

წესი იყო, 3 წელს ვხნევდით ნაკვეთებს, შემდეგ 3 წელიწადს ვასვენებდით და „საბალახედ“ უშვებდით. შემდეგ კვლავ შევუწავსვლებდით.

თემი უნაწილებდა სათემო მიწებს, სახნავებს, ცალკეულ კომლებს, კომისიას გამოყოფდნენ უბნების მიხედვით. ჩვენთან 12 უბანი იყო. უბნები იყო გვარების მიხედვით. საუბნო კომისია თავისი უბნის კომლების უფროსს წაიყვანდა სახნავ საერთო მიწებზე და კომისია მიუნიშნებდა ამა თუ იმ ნაკვეთს ამა თუ იმ კომლს.

ჩემს დროს თანასწორად არ უნაწილებდნენ სახნავ მიწებს კომლებს. მდიდარ კომლები, რომლებსაც 2—3 და მეტი გუთნეული ჰყავდა, თვითნებურად გავიდოდა და მოხნავდა რამდენიც უნდოდათ, მძლავრობდნენ. თუ უჩივლებდი, მთავრობა მათ მხარეზე იყო. თემის უფროსებზეც გავლენას ახდენდნენ. თემის მამასახლისი თითონ იყო ასეთივე მდიდარი. მასაც გუთნეულები ბევრი ჰყავდა და რამდენიც უნდოდა ხნავდა. თუ სხვა მდიდრებს დაუშლიდა იგი, რატომ მოხენი ამდენიო, მდიდრები განა არ ეტყოდენ, შენ რატომ იჭერ თითონ ამდენ ნაკვეთებსო.

ასეთი მდიდარი კულაკები ჩვენს სოფელში იყო დაახლოებით 50 კომლი. მათ გააჩნდათ ჯოგები — ცხვრის, ცხენების, ღორების, ჰყავდათ მოჯამაგირეები, წლიური, თვითური, დღიური მუშები.

ვაქირში ჩემს დროს იქნებოდა 1000-მდე კომლი. მამასახლისს ადრე ჩვენში „ქ ე ვ ხ ა“ ჰქვიადა. მამასახლისს მდიდრები თავიანთი წრიდან ირჩევდნენ.

ჩემს დროს, ღ ა რ ი ბ ე ბ ს სათემო სახნავი განაწილების დროს შეზღუდობდა დაახლოებით ერთი დღიური.

„მამის მამულები“, ანუ „საკუთარი მამულები“ ცოტა იყო შედარებით, ხოლო სათემო-საერთო სახნავები გაცილებით მეტი.

ვაქირის საერთო სახნავი მიწები ჩემს დროს იქნებოდა 1000 დღიურზე მეტი. ვაქირს ჩემზე წინ, მამაჩემის დროს, საერთო სახნავი მიწები ჰქონია აგრეთვე უკ-



ნამხარში, — მელანთან, არაშენდასთან, ჩალაუბნთან და მაშინაც კომისიის წილებდაო მიწებს და მაშინაც მდიდრები თურმე თვითნებობდნენ და მეტ მიწებს იგდებდნენ ხელში.

სათემო მიწების გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ და არც „საკუთარი მამულე-ბის“ გაყიდვის უფლება არ იყო და საბუთებს ვერ წერდენ ნასყიდობაზე ოფიცია-ლურად, რადგან ვაჭირის მიწები სახელმწიფო იყო.

